ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და

სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ირაკლი მანველიძე

რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები

ლექციების კურსი

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2013

სალექციო კურსში მოცემულია რეგიონთმცოდნეობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნაჩვენებია ისეთი კატეგორიები, როგორიცაა გეოგრაფიული გარემო, ბუნება, დემოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფია, მსოფლიო რეგიონები და ა.შ. ვრცლად არის მოცემული ევროპის რეგიონის დახასიათება ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტით.

წიგნი განკუთვნილია დარგის სპეციალისტების, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული აუდიტორიისათვის.

რედაქტორი:

ინეზა ზოიძე,
ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები:
ნატალია ლაზბა,
აკადემიური დოქტორი

ზაზა ბურკაძე,
ასისტენტ პროფესორი

რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები,
ლექციების კურსი, თბილისი, 2013

© ირაკლი მანველიძე, 2013

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-115-6

შინაარსი

ლექცია 1

რეგიონთმცოდნეობა - სამეცნიერო და საწავლო დისციპლინის განსაზღვრება, საგანი, მიზანი, ამოცანა და შესწავლის მნიშვნელობა 5

ლექცია 2

რეგიონთმცოდნეობის კვლევის მეცნიერული მეთოდები და მათი მნიშვნელობა 23

ლექცია 3

ტერიტორია და გეოგრაფიული მდგომარეობა 49

ლექცია 4

ბუნება, ბუნებრივი რესურსები, ბუნებათსარგებლობა.....70

ლექცია 5

რეგიონმცოდნეობის ნიშნები - დემოგრაფია 85

ლექცია 6

რეგიონმცოდნეობის ნიშნები - საზოგადობა და მეურნეობა 112

ლექცია 7

მსოფლიოს მსხვილი რეგიონები 140

ლექცია 8

ევროპა : ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....203

ლექცია 9

ევროპის ისტორიული განვითარების ეტაპები 220

ლექცია 10
ევროპის პოლიტიკური გეოგრაფია.....243

ლექცია 11
ევროპის ეკონომიკა 273

ლექცია 12
ევროპის პოლიტიკური სისტემები 286

ლექცია 13
ევროპის ეთნიკური და რელიგიური რუკა 334

ლექცია 14
რეგიონალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 362

ლექცია 15
ევროპის ინტეგრაცია და ევროკავშირი.....379

ლექცია 1

რეგიონთმცოდნეობა - სამეცნიერო და საწავლო დისციპლინის განსაზღვრება, საგანი, მიზანი, ამოცანა და შესწავლის მნიშვნელობა.

„რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები" - წარმოადგენს სასწავლო დისციპლინას, რომელსაც სწავლობენ რეგიონთმცოდნეობის სპეციალისტები. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად ის ითვალისწინებს ისეთი ძირითადი თემებისა და პრობლემების განხილვას, როგორიცაა დარგის მეთოდოლოგიის საკითხები, რეგიონთმცოდნეობის ფუნქციები, რეგიონთმცოდნების ძირითადი მახასიათებლები და ელემენტები, კვლევის მეთოდები, რეგიონული პოლიტიკა, რეგიონული ეკონომიკა, დემოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტიკური სისტემები და ა.შ. ვინაიდან მოცემული სალექციო კურსი, წარმოადგენს თავისებურ შესავალს ევროპისმცოდნეობის სპეციალობაში, ის შეიცავს ევროპის რეგიონთან დაკავშირებული რეგიოთმცოდნეობის კატეგორიებს.

,,რეგიონთმცოდნეობა", როგორც სასწავლო დისციპლინა, შედარებით ახალგაზრდაა და ცოტა ხნის წინ შეიტანეს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტში. იგი როგორც ინტერდისციპლინარული მიმართულება ჩართულია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის სასწავლო პროგრამებში. რადგანაც ეს დარგი ჩამოყალიბების სტადიაშია ზოგიერთი ექსპერტი თუ მკლევარი მის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი. ისინი უარს ამბობენ რეგიონთმცოდნეობა აღიარონ, როგორც მეცნიერულ დარგი და სასწავლო დისციპლინა.

რეგიონთმცოდნეობის შესახებ სახელმძღვანელოები დღეისათვის საკომდ ცოტაა. ხოლო გამოცემული წიგნების ავტორები ძირითად არიან ან ეკონომისტები, ან გეოგრაფები, ან ისტორიკოსები, რაც გარკვეულ დაღს ასვამს სახელმძღვანელოების შინაარსა და სრულყოფილებაზე. ვინაიდან მათი განხილვის ობიექტები ძირითადად არის კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური რეგიონები და რეგიონული პოლიტიკა და ა.შ.

,,რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები: როგორც სასწავლო დისციპლინა გათვალისწინებულია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც რეგიონულ ჭრილში სწავლობენ ეკონომიკას, გეოგრაფიას, კულტურას, სოციოლოგიას, დემოგრაფის, პოლიტიკას, ისტორიას და შესაბამისად, იგი ჩართულია მსაგავსი პროფილის საკითხებთან დაკავშირებულ სპეციალობებსა და მიმართულებებში.

წინამდებარე ლექციების კონსპექტური კურსი ეყრდნობა გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ისტორიულ და საერთაშორისო-პოლიტიკური ხასიათის საკითხებს.

დღემდე სადავოა რეგიონთმცოდნეობისა და ქვეყანათმცოდნეობის გამიჯვნის საკითხი. ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ქვეყანათმცოდნეობის ფართო გაგება როგორც რაიონებათმცოდნეობისა, როგორც რეგიონთმცოდნეობისა და როგორც კონტინენტმცოდნეობისა. თუმცა, ეს საკითხი დავის საგანია მეცნიერებს შორის.

თუ ამოვალთ რეგიონის საერთო განმარტებიდან, როგორც ტერიტორიისა, რომელსაც გარკვეული ინდივიდუალურობა გააჩნია, ნებისმიერი ქვეყანა არის რეგიონი, მაგრამ არა ყველა რეგიონი წარმოადგენს ქვეყანას (მაგ. ტიბეტი, ჩრდილოეთ აფრიკა, ციმბირი და ა.შ.). ე.ი რეგიონთმცოდნეობა არის უფრო მომცველობითი ტერმინი, ვიდრე ქვეყანათამცოდნეობა, მაგრამ არსებითად მასთან ახლოს მყოფი ერთიცა და მეორეც უფრო ორიენტირებულია ტერიტორიების სპეციფიკის გამოვლენაზე მრავალი პოზიციის გათვალისწინებით. ამიტომ მათ აქვთ კომპლექსური ხასიათი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული განმარტებით რეგინთმცოდნეობა არის ,,სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცოდნის სფერო, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ეთნოგრაფიული, ბუნებრივი და ეკოლოგიური განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით შეისწავლის შედარებით ერთიან ტერიტორიულ წარმონაქმნებს, რომლებსაც რეგიონები ეწოდება.“

ასევე საკამათოა რეგიონთმცოდნეობის ადგილის შესახებ საკითხი სამეცნიერო ცოდნის სისტემაში. ეს განსაკუთრებით აქტიურად განიხილება გეოგრაფიულ სამეცნიერულ საზოგადოებაში და, აქ აშკარად შეიმჩნევა ამ პრობლემისადმი ორი მიდგომა. პირველის მიხედვით ,,რეგიონთმცოდნეობა“ არის გეოგრაფიული მეცნიერების განუყოფელი ნაწილი, ის რომ ეს ,,ძალიან მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ნაწილია რეგიონული გეოგრაფიის“, ის რომ არის ,,ღრმად გეოგრაფიული სუბდისციპლინა“ და ა.შ.

მეორე მიდგომით კი რეგიონთმცოდნეობა განიხილება ფიზიკურ გეოგრაფიასთან, საზოგადოებრივ გეოგრაფიასთან, კარტოგრაფიასთან) ერთად. და ა.შ. ერტად.

თუმცა, ფაქტია, რომ რეგიონთმცოდნეობა, როგორც ინტერდისციპლინარული სამეცნიერო და საწავლო დარგი უნდა განიხილებოდეს არამარტო გეოგრაფიის, არამედ ისტორიის, ეთნოგრაფიის, დემოგრაფიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ეკონომიკის, და სხვა დარგების კონტექსტში. ქვეყანათმცოდნეობის მთავარი ამოცანაა იმ ქვეყნების და რეგიონების სინთეზური შესწავლა, რომლებიც მოიცავენ ბუნებისაც და ადამიანისაც ერთად მთელ მათ რთულ ურთიერთქმედებაში.

რეგიონთმცოდნეობა არის კომპლექსური ინტეგრირებული სოციალურ-ეკონომიკურ დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მსოფლიო რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესს, მის კანონზომიერებებს ისტორიული, დემოგრაფიული, ეროვნული, რელიგიური, ეკოლოგიური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ბუნებრივ-სარესურსო თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და სა-

ერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მათი ადგილის გათვალისწინებით. აშკარაა, რომ მოცემულ განსაზღვრებაში საერთოდ უარყოფლია გეოგრაფიულ მეცნიერებათა მონოპოლია რეგიონთმცოდნეობაზე.

რეგინთმცოდნეობის მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ:

1. რეგიონთმცოდნეობა - ეს არის გარკვეულ ტერიტორიის შესახებ მრავალფეროვანი მონაცემების შეგროვების და ანალიზის ორგანიზაციული ფორმა.

2. რეგიონთმცოდნეობა არ არის ინტეგრირებული „სინთეზური“ დისციპლინა ან მეცნიერული ცოდნის ინტეგრაცია. რეგიონთმცოდნეობის ჩარჩოებში რაიმე საკითხების სინთეზი საერთოდ საეჭვოა ვინაიდან დარგის მეცნიერული ცოდნის დიფერენციაცია გრძელდება.

3. რეგიონთმცოდნეობას არ აქვს საკუთარი მეთოდოლოგია, ამიტომ არ მიდის საუბარი მის დამოუკიდებელ მეცნიერულ სტატუსზე.

მოცემული შენიშვნები შეიცავს გარკვეულ ჭეშმარიტებას, ვინაიდან თანამედროვე რეგინთმცოდნეობა ჯერ კიდევ არ გასულა მეცნიერული ცოდნის სინთეზის გარკვეულ დონეზე. ასევე მას არ გააჩნია საკუთარი მეთოდოლოგიური ბაზა. ამ ყველაფრის აღნიშვნის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს გარკვეული გარემოებები. კერძოდ, და ყველაზე მთავარი - რეგიონთმცოდნეობა - ეს ცოდნის შედარებით ახალი სფეროა, ის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია.

მართალია დიფერენცია მეცნიერების დარგისათვის მნიშვნელოვანია, ის ბუნებრივი და პროგრესულია, მაგრამ მეცნიერების ისტორია იმასაც ადასტურებს, რომ დიფერენციაცია პროგრესიულია მანამ, სანამ არ იკარგება ცოდნის გამოყოფილი მრავალრიცხოვანი სფეროების მოვლენებს შორის კავშირი. მასში ხდება ცალკეულ მოვლენათა შესახებ ცოდნათა გარკვეული სინთეზი და საკუთრივ განისაზღვრება მეცნიერული ცოდნის განვითარების ლოგიკით.

რეგიონთმცოდნეობის და ქვეყანთმცოდნეობის სოციალური ფუნქციები უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ტერიტორიების შესახებ ცოდნის სინთეზთან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოების ინტერესი ქვეყნებისა და რეგიონებისადმი ატარებს არა იმდენად დიფერენცირებულ რამდენადაც ინტეგრირებულ ხასიათს.

ის რომ რეგიონთმცოდნეობას არ გააჩნია საკუთარი მეთოდიკა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი შემუშავების შეუძლებლობას. გარდა ამისა, ამჟამად საერთოდ ძალიან ცოტაა სამეცნიერო დარგები, რომელთაც მხოლოდ საკუთარი მეთოდები გააჩნიათ. მათემატიკაც კი დღეს იყენებს ფორმალური ლოგიკის ინსტრუმენტებს, ფილოსოფიის პრინციპებს, სისტემების საერთო თეორიის ელემენტებს და ა.შ.

მეთოდები, რომლებსაც ესა თუ ის მეცნიერება იღებს სხვა მეცნიერებებისაგან, რა თქმა უნდა, ადაპტირდებიან მისი შესწავლის საგანთან.

მსგავსი მიდგომა მთლიანად ეხება რეგიონთმცოდნეობაასაც, რომელსაც გააჩნია დისციპლინათშორისი, კომპლექსური ხასიათი. შესაბამისად რეგიონთმცოდნეობა იყენებს როგორც ზოგადმეცნიერულ მეთოდებს, ისე ეკონომიკური გეოგრაფიის, დემოგრაფიის, პოლიტიკური მეცნიერებების, ისტორიის, ფიზიკური გეოგრაფიის, ეკონომიკის და ა.შ. მეთოდებსაც.

გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში მნიშვნელოვანია ადგილი უჭირავს გლობალიზაციას და რეგიონალიზაციას.

ცნება „გლობალიზაცია" სამეცნიერო და პოლიტიკურ მიმოქცევაში შემოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. გლობალიზაციის არსი მდგომარეობს სხვადასხვა ხალხისა და სახელმწიფოების პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და ა.შ. ურთიერთობების ურთიერთდამოკიდებულების ზრდაში. მათი ურთიერთკავშირების მკვეთრ გაფართოებასა და გართუ-

ლებაში. საუბარია საერთაშორისო საზოგადოების მსოფლიო საზოგადოებად გარდაქმნაზე.

გლობალიზაციის პროცესი განპირობებულია ისტორიული განვითარების მსვლელობით, და ბუნებრივია აგრძელებს ინ-ტერნაციონალიზაციის პროცესს. ამ უკანასკნელის სუბიექტად გამოდიოდნენ, უმთავრესად, სუვერენული სახელმწიფოები. გლობალიზაციის განმასხვავებელი თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო საქმეები სულ უფრო მეტად ყა-ლიბდებიან ისეთი პროცესებით, რომლებიც არ ცნობენ საზ-ღვრებს.

გლობალიზაციის პროცესის ყოვლისმომცველი ხასიათი-დან გამომდინარე, იგი ექცევა სხვადასხვა დისციპლინების ინ-ტერესთა სფეროში. ამასთან, ყველა მათგანი შეისწავლის არა-მარტო პრობლემების თავის ასპექტს, არამედ გამოიყენებს თა-ვის ცნებათა აპარატს. ეკონომისტებისათვის ამ მოვლენაში მთავარი არის საკითხის ფინანსური მხარე. გლობალური ტრან-სნაციონალური კომპანიების (ტნკ) ჩამოყალიბება, მსოფლიო ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, ეკონომიკის რეგიონალიზაცია და სხვა. ფილოსოფოსებისთვის გლობალიზაციის არსი მდგომარე-ობს ადამიანური ღირებულებების უნივერსალიზაციაში, ხოლო სოციოლოგები ამ ფენომენში უპირველეს ყოვლისა ხედავენ ადამიანის ცხოვრების ერთიანი წესის ჩამოყალიბებას მსოფლი-ოს სხვადასხვა რეგიონებში და სხვ.

„გლობალიზაციის" ცნების ერთიანი, საყოველთაოდ მი-ღებული განსაზღვრება ჯერ კიდევ არ არსებობს. სამეცნიერო წრეებში აღნიშნული პროცესისადმი არაერთგვაროვანი დამოკი-დებულება, უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ ტერმინ - გლობალი-ზაციის განმარტებისას ვლინდება. **ეკონომიკურ ლექსიკონ-ში** გლობალიზაცია განმარტებულია როგორც ,,მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდე-ბა მეურნეობრიობის პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები,

საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შედეგად სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები“.

ტერმინი გლობალიზაცია ინგლისურ სიტყვა globe-ს უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო global-მსოფლიოს, გლობალურს. გლობალიზაციის ტერმინის გამოჩენა დაკავშირებულია ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელთან, რომელმაც ის 1983 წელს სტატიაში გამოიყენა. გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, ზოგადად, არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება: პირველი შეხედულების თანახმად, გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, ხოლო მეორე შეხედულებით, გლობალიზაცია არის ნეგატიური პროცესი, რომელიც ემუქრება არა მარტო ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოს, ერებს, მათ კულტურულ თავისებურებებს, არამედ განიხილება როგორც მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის საშიში ტენდენცია.

გლობალიზაციაში იგულისხება „მსოფლიო მეურნეობის ახალი სისტემის შექმნა, რომელიც ხდება ეროვნული ეკონომიკის შერწყმით ერთიან საერთო მსოფლიო სისტემასთან, რომელიც თავის მხრივ ეფუძვნება საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის ახალ საფეხურს, მსოფლიოს ახალ ინფორმაციულ გახსნილობას, ტექნოლოგიურ რევოლუციას, ქვეყნებისა და რეგიონების ტელეკომუნიკაციურ დაახლოებას, ერთაშორისი სოციალური მოძრაობების აღმოცენებას, განათლების ინტერნაციონალიზაციას. ყოველივე ამას თან სდევს გლობალური მართვის პროცესების, პოლიტიკური ინტერესების, კულტურისა და ფასეულობების, ინფორმაციული და კომუნიკაციური ნაკადების სტაბილიზაცია. აღნიშნული პროცესები გამოიხატება მსოფლიოს რეგიონალიზაციის და ფრაგმენტაციის პარალელურად მიმავალ პროცესებშიც”.

მოცემულ განსაზღვრებაში, აშკარად ჩანს გლობალიზაციის ყველა გამოვლინების სინთეზირების ცდა.

გლობალიზაციის სამი განზომილება, რომლებსაც ფრანგი მეცნიერი ბ. ბადი გამოყოფს, ასახავს გლობალიზაციის მოვლენისადმი ყველა მიდგომის ინტეგრაციის მისწრაფებას. მისი აზრით გლობალიზაცია არის ისტორიული პროცესი, რომელიც ვითარდება მრავალი საუკუნის მანძილზე, ხოლო მსოფლიოს ჰომოგენიზაცია ნიშნავს ცხოვრებას ერთიანი პრინციპებით, ერთგულებას ერთიანი ღირებულებებისადმი, მიმდევრობას ქცევის საერთო ნორმებისა და ჩვევებისადმი; ასევე ნიშნავს მზარდ ურთიერთდამოკიდებულების აღიარებას, რომლის მთავარი შედეგი არის სახელმწიფო სუვერენიტეტის მოშლა; ასევე ნიშნავს ტრანსნაციონალური არასახელმწიფო გაერთიანებების მზარდ როლს, ეთნიკური დიასპორების, რელიგიური მოძრაობების, გლობალური ფირმების, მაფიოზური დაჯგუფებების გავლენის ზრდას. ე.ი. ბადის მიხედვით, გლობალიზაცია არის მუდმივად მიმდინარე ისტორიული პროცესი, მსოფლიოს ჰომოგენიზაცია და უნივერსალიზაცია, რომელსაც თან სდევს ეროვნული საზღვრების „მოშლა".

გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია თანმდევი პროცესებია. რეგიონული ინტეგრაცია, რეგიონული კავშირები – ესეც არის თანამედროვე მსოფლიოს რეალობა. რეგიონალიზაციას ასევე აქვს გაფართოებისა და გაღრმავებისკენ აშკარა ტენდენცია. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია ჩნდება კითხვა: როგორ შეეფარდებიან ერთმანეთს მსოფლიოს რეგიონალიზაცია, ფრაგმენტაცია და გლობალიზაცია. ზოგიერთ მკვლევარს სურს რეგიონალიზაციაში დაინახოს გლობალიზაციის ანტიპადი. სხვები რეგიონალიზაციის პროცესს უფრო მიიჩნევენ გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ ფორმად. მათი აზრით, უნივერსალური ნიშნების ტრანსნაციონალური ნაკადი მოითხოვს მათ მისადაგებას ადგილობრივ პირობებთან, ეს ნიშნავს იმას რომ შინაარსით გლობალური „გახდეს" ლოკალური. რეგიონალიზაცია, მოცემული მიდგომის კონტექსტში, გამოდის გლობალურის როგორც ლოკალურთან ადაპტაციის ხერხი.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი გლობალიზაციას ადარებს ორსახა იანუსს. მათი აზრით გლობალიზაცია და რეგიო-

ნალიზაცია არის როგორც ურთიერთდაკავშირებული, ისე ურთიერთდაპირისპირებული ტენდენციები, რადგან ყველა ქვეყანა წარმოადგენს როგორც მათ ობიექტს, ისე სუბიექტს.

რეგიონული წარმონაქმნები გლობალიზაციის აქტიური მონაწილეებია. ისინი ცდილობენ საკუთარი ძალისხმევისა და შესაძლებლობების გაერთიანებით პროგრესირებადი გლობალიზაციის გათვალისწინებით დაიკავონ უფრო მტკიცე პოზიციები მსოფლიო მეურნეობაში და ერთობლივად დაძლიონ მასთან დაკავშირებული საფრთხეები, უპასუხონ მის გამოწვევებს. ამავე დროს, ისინი პრეტენზიას აცხადებენ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციათა ოპონენტობის როლზე. წარმოადგენენ გლობალიზაციის ტენდენციებისადმი ოპოზიციას, მაგრამ ამ ოპოზიციურობის დონე არ არის ერთნაირი: ის დიდწილად განისაზღვრება რეგიონალიზმის ხასიათით. ღია რეგიონალიზმის პროცესი მიჰყვება ეკონომიკური გლობალიზაციის კალაპოტს; დახურული, კი რომელიც წარმოადგენს საკუთარ ძალებზე დაყრდნობის პრინციპის ვარიანტს, აშკარად უპირისპირდება მას.

რეგიონალიზაცია – ეს დაყოფილ-დანაწევრებული რეგიონების ინტეგრაციის პროცესი. ამავე დროს რეგიონალიზაცია არის რაიონებს ან რეგიონში შემავალ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის კავშირების გამყარება და განვითარება.

ცნება „რეგიონი". რეგიონის სახეები და გამოყოფის კრიტერიუმები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული იყო ტერმინი რაიონი. ჩვენთან იგი რუსულის გავლენით შემოვიდა. რეალურად კი, ორივე მონათესავე ტერმინს -„რაიონს" და „რეგიონს" უცხოური წარმოშობა აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში და მასობრივი ინფორმაციის წყაროებშიც დაიწყო ტერმინ „რაიონი"-ს გამოძევება ტერმინით „რეგიონი-თ". რაშიც დიდი როლი შეასრულა ამ უკანასკნელის აშკარა უპირატესობამ უცხოურ ლიტერატურაში.

ტერმინ „რაიონი”-ს გამოყენების სფერო შევიწროვდა. როგორც წესი, ის გამოიყენება ადმინისტრაციული ერთეულების აღსანიშნავად. ეკონომისტები ძირითადად გამოიყენებენ მას, როდესაც გამოყოფენ ამა თუ იმ ტერიტორიებს ეკონომიკური ხასიათის თავისებურებების მიხედვით. ხშირად ტერმინი „რაიონი” და „რეგიონი” გამოიყენებულია, როგორც სინონიმები (რაც ზოგადად გასაგებია, რადგან ეს მონათესავე ცნებებია).

ცნება „რეგიონის“ ზოგად აზრს გამოხატავს მისი შემდეგი განსაზღვრება: **რეგიონი - ეს არის „მსხვილი ინდივიდუალური ტერიტორიული ერთეული (მაგალითად, ბუნებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ.)”.**

ცნება „რეგიონი”-ს უნივერსალური განსაზღვრება, რომელიც „ყველა შემთხვევისთვის გამოდგება”, არ არსებობს. უფრო მეტი, იგი არც შეიძლება იყოს, ვინაიდან, ამერიკელი მეცნიერის უ. იზარდის სამართლიანი შეხედულებით, ცნება „რეგიონი” ჩვეულებრივად დეტერმინინდება იმ შეკითხვით, რომლის შესწავლით არის მკვლევარი დაკავებული. ესე იგი, ბუნებრივი, ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული, საერთაშორისო, გეოსტრატეგიული და სხვ. შესაბამისად, რეგიონის განმარტებები ყოველთვის განსხვავებული იქნება.

რეგიონები განსხვავდებიან ტიპების მიხედვით.

1. რეგიონები, რომლებიც გამოიყოფიან ერთეული ნიშნებით:

2. რეგიონები, რომლებიც გამოიყოფინა რამდენიმე ნიშნით.

3. რეგიონები, რომლებიც მოიცავენ მოცემული ტერიტორიის ფარგლებში ადამიანის საქმიანობის თითქმის მთელ ერთობლიობას.

ფართო გაგებით რეგიონში მოიაზრება გარკვეული ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს რთულ ტერიტორიულ-ეკონომიკური და ეროვნულ-კულტურულ კომპლექსს. ის შეიძლება გამოიყოს იმ მოვლენათა არსებობის, ინტენსიურობის, მრავალფეროვნების და ურთიერთდაკავშირებული ნიშნების მიხედვით, რომლებიც გამოხატავენ მოცემული ტერიტორიის გეოგრაფი-

ულ, ბუნებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ-ისტორიულ და კულ-ტურულ-ეროვნულ პირობებს, მათ სპეციფიკურ ერთგვაროვნე-ბას.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყოფა რეგიონთა 50-ზე მეტი კატეგორია, რომლებიც მიეკუთვნებიან ფიზიკური, ბიო-ლოგიური, სოციალური გარემოს სხვადასხვა მხარეებს და გა-ნისაზღვრებიან მაკონსტიტუირებელი მრავალი ნიშნის საფუძ-ველზე. დასავლურ ლიტერატურაში რეგიონების კლასიფიკაციი-სას ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი სამი გრადაცია:

1. **რეგიონები, რომლებიც ერთეული თვისებებით გამო-იყოფიან. ასეთ რეგიონებს მარტივებს ეძახიან. (მაგ: შაქრის ჭარხლის დათესვის ზონა ეკონომიკურ გეოგრაფიაში);**

2. **რეგიონები, რომლებიც რამდენიმე თვისებით გამოი-ყოფიან. ესაა, მაგალითად, ლანდშაფტური რეგიონები ფიზი-კურ გეოგრაფიაში, რომლებიც გამოიყოფა კლიმატური ნია-დაგის, ბიოლოგიური, ჰიდროგრაფიული ფაქტორების გათვა-ლისწინებით. ასეთმა რეგიონებმა მიიღეს რთული რეგიონის სახელწოდება;**

3. **რეგიონები, რომლებიც განხილული ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფიან ადამიანის საქმიანობის გამოვლი-ნებების მთლიან ერთობლიობით. მასში აისახება მჭიდრო ურთიერთკავშირი ტერიტორიის ბუნებრივ და საზოგადოებ-რივ ინდიკატორებს შორის. სწორედ ასეთ რეგიონებს ეწოდე-ბა კომპლექსურები.**

ფართო გაგებით რეგიონში, ,იგულისხმება გარკვეული ტე-რიტორია, რომელიც წარმოადგენს რთულ ტერიტორიულ-ეკო-ნომიკურ და ეროვნულ-კულტურულ კომპლექსს, რომელიც გა-მოიყოფა იმ მოვლენათა ნიშნების არსებობით, ინტენსიურობით, მრავალფეროვნებით და ურთიერთდაკავშირებით, რომლებიც გამოხატავენ ტერიტორიის სპეციფიკურ ერთგვაროვნობას გე-ოგრაფიული, ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალურ-ისტორიუ-ლი, ნაციონალურ-კულტურული პირობებით და რომლებიც წარ-მოდგებიან ამ ტერიტორიის გამოყოფის საფუძვლად.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოცემული განმარტება საშუალებას იძლევა კომპლექსურ რეგიონებს მიეკუთვნოს, როგორც შესაბამისი ტერიტორიები ცალკეული ქვეყნების შიგნით, ისე ტერიტორიებიც, რომლებიც რიგ ქვეყანას მოიცავენ, ე.ი. გამოიყოს „შიდა" და „გარე" რეგიონები.

მსოფლიოს მიკრორეგიონები

1. გეოგრაფიული მაკრორეგიონები – აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ოკიანეა, ევროპა;

მეზორეგიონები (საშუალო რეგიონები) – ცენტრალური, ჩრდილო, სამხრეთ ამერიკა,

ევროპა,

ავსტრალია და ოკიანეა;

ჩრდილო-აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ცენტრალური აზია;

ჩრდილო (არაბული) და სახარის სამხრეთით აფრიკა.

აგრეთვე რეგიონები:

სუბრეგიონები:

ამერიკის – ცენტრალური, ჩრდილოეთი, სამხრეთი;

ევროპის – ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, ცენტრალური და სამხრეთი (სხვაგვარი დაყოფისას კი დასავლეთი, ცენტრალური, აღმოსავლეთი. ამასთან ევროპის რეგიონის შემადგენლობაში სხვადასხვა კლასიფიკაციის დროს მთლიანში ან მის ნაწილებში ასევე რთავენ ქვეყნების სხავადასხვა რაოდენობას).

დასავლეთი, უფრო ზუსტად კი სამხრეთ-დასავლეთ აზია - მახლობელი და შუა აღმოსავლეთი. მაგრამ ცნება „მახლობელი და შუა აღმოსავლეთი" უფრო ფართოა, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთი აზია, რადგან მასში რთავენ არა მარტო ამ უკანასკნელის 16 სახელმწიფოს, არამედ ეგვიპტესა და სუდანს.

მსოფლიოს ეს დანაწილება ესადაგება რეგიონის განმარტებას, როგორც ვრცელი ტერიტორიისა, რომელიც მოიცავს კონტინენტების მთავარ ქვედანაყოფებს ან მათ მთლიან ნაწილებს.

2. ისტორიულ-კულტურული რელიგიები: ჩინეთის, კორეის, ვიეტნამის, (ვიეტნამის, ლაოსი, კამბოჯა), ინდოეთის (ინდოეთი,

ნეპალი, ბუტანი, შრი-ლანკა), ინდო-ირანული (ირანი, პაკისტანი, ავღანეთი, ტაჯიკეთი), თურქული (შედგება ექვს სახელმწიფოსგან), არაბეთის (შედგება 17 სახელმწიფოსგან), რუსეთის (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ან, სხვა ინტერპრეტაციაში-დსთ-ს ქვეყნები), ევროპის (შედგება 13 სახელმწიფოსგან). ჩრდილო ამერიკული, ლათინოამერიკული, აფრიკული რეგიონები ერთიანდებიან შესაბამისი რეგიონალურ გაერთიანებებში ისეთი პარამეტრებით, როგორებიცაა გეოპოლიტიკური ტრადიცია, თანამედროვე ტენდენცია ინტეგრაციისკენ, ეთნოლინგვისტური, ეთნოკულტურული, ეთნოფსიქოლოგიური ერთიანობა.

მსოფლიოს მოცემული დანაწილება უპირატესად დაფუძვნებულია ისტორიულ-კულტურულ პარამეტრებზე.

1. კულტურულ-რელიგიური მაკრორეგიონები, ან ცივილიზაციური კომპლექსები - კონფუციურ-ბუდისტურ, ინდუისტურ, მუსლიმანურ, მართლმადიდებლური, დასავლეთ ქრისტიანული, ლათინოამერიკული, აფრიკული, წყნარი ოკეანესის (სხვა ავტორებთან წყნარი ოკეანის ნაცვლად, როგორც წესი, სახელდება იაპონური).

მსოფლიოს დაყოფა კულტურულ-რელიგიურ მაკრორეგიონებზე, ან ცივილიზაციურ კომპლექსებზე, ეყრდნობა რეგიონის გაგებას, როგორც რაღაც ნაწილისა, რომელიც ხასიათდება ტერიტორიის ისტორიული განვითარების, გეოგრაფიული მდებარეობის (მეტნაწილად), ბუნებრივი და შრომითი რესურსების, მეურნეობრიობის სპეციალიზაციათა (ნაკლები დონით) ერთიანობით.

2. სხვადასხვა პარამეტრების შესაბამისად, ამ განაწილებების მიხედვით, ცალკეული ქვეყნები შეიძლება შედიოდნენ ერთ, ორ ან სამ რეგიონალ კლასტერშიც კი. ზოგიერთმა მკვლევარმა პროდუქტიულად ჩათვალა ტერმინ **საერთაშორისო-პოლიტიკური რეგიონის** გამოყენება. საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების კონტექსტში ეს არის „საერთაშორისო ცხოვრების მოვლენების ერთიანობა, რომლებიც მიმდინარეობს გარკვეულ ტერიტორიულ-დროებით ცენტრებში, რომლებიც საერთო ლოგიკით ისე არიან გაერთიანებულნი, რომ

ინტეგრაციის ლოგიკა და მისი არსებობა ურთიერთგანამპირობებლია“.

მსგავსი რეგიონების განმარტებიდან გამომდინარე, საერთაშორისო-პოლიტიკურ რეგიონებს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებების ზონები როგორიცაა ნატო, ასეანი, ცენტრალურ-ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, დსთ და სხვ.

3. გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური რეგიონები. ეს სახელმწიფოთა ისეთი აგლომერაციებია, რომლებიც აგებული არიან ეკონომიკური კოოპერაციის და უსაფრთხოების ერთიანი სისტემის პრინციპით, „მაგრდებიან” ისტორიული კომფლიქტებით, სადავო პრობლემებით, ტრადიციული მტრებით და სხვ.

ამავე დროს გეოპოლიტიკურ რეგიონებს, სივრცეებს, რომლებიც გაერთიანებული არიან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო-პოლიტიკური კავშირების მაღალი ინტენსიურობით, ხშირად მიაკუთვნებენ ჩრდილოეთ ამერიკას (უპირობო ლიდერობით), დასავლეთ ევროპას, აღმოსავლეთ აზიას (აქ ლიდერის როლზე აშკარა პრეტენზია აქვთ ჩინეთსა და იაპონიას), სამხრეთ აზიას (ჯერ ინდოეთის წამყვანი პოზიციებით), ისლამურ „ნახევარმთვარის” ქვეყნები, (ამ რეგიონს ახლა ზოგიერთი შუა აზიის სახელმწიფოებსაც უმატებს), პოსტსაბჭოთა ქვეყნების „ევრაზიული მტევანი”, გეოეკონომიკურებს – ამერიკული, ევროპული, აზია-წყნარი ოკეანისთანა განვითარების თანამეგობრობები.

გეოეკონომიკური რეგიონის გამოსახულებას უკანასკნელ დროს იძენენ ისეთი კულტურულ-ისტორიული რეგიონები, როგორებიცაა: სამხრეთ-აღმოსავლეთ, აზია, არაბული მაღრიბის ქვეყნები, სპარსეთის ყურის ქვეყნები და სხვ.

ამ კლასიფიკაციების მიხედვით, ცალკეული ქვეყნები, სხვადასხვა პარამეტრების შესაბამისად შეიძლება შედიოდნენ არა ერთ, არამედ ორ და სამ რეგიონულ კლასებშიც კი.

რეგიონებთან დაკავშირებული მსოფლიოს ზემოთ მოყვანილი რეგიონალიზაციის გარდა არის მისი სხვა კლასიფიკაციაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის დასახელებულია მსოფლიოს 11 ცივილიზებული მაკრორეგიონი: დასავლეთ ევროპა, ცენტრალურ-აღმოსავლეთი ევროპა, რუსეთ-ევრო-აზიური რეგიონი, ჩრდილოეთ აფრიკა და შუა აღმოსავლეთი, სამხრეთ აზია, აღმოსავლეთ აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, აფრიკა სახარა სამხრეთით, ჩრდილოეთ ამერიკა, ლათინური ამერიკა, ავსტრალია, ოკეანია.

მსოფლიოს ცივილიზაციური რეგიონალიზაციაში ავტორთა უმრავლესობა არ იზიარებს ამგვარი მიდგომას, ან ახლოს არიან მასთან. აშკარა უპირატესობა აქვს ფიზიკურ-გეოგრაფიულ კრიტერიუმს და მიჩქმალულია კულტურულ-რელიგიური.

ცივილიზაციურებისა გარდა მაკრორეგიონებს ასევე მიაკუთვნებენ იმ რეგიონებს, რომლებიც გამოყოფილია ფიზიკურ-გეოგრაფიული კრიტერიუმით (ეს კონტინენტები და სუბკონტინენტებია), აგრეთვე რეგიონებს, რომლებიც წარმოადგენენ (სახელმწიფოთა თანამეგობრობას, რომელიც შექმნილი სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე შეთანხმებით, როგორიცაა მაგალითად: ევროკავშირი, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა აცოციაცია და ა.შ.)

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ვხდებით მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული რეგიონებისა და სუბრეგიონების გამოყოფის სხვა დასახელებებსაც: დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა, ევრაზიის მაკრორეგიონი, აფროაზიური მაკრორეგიონები, ინგლისურენოვანი ამერიკა, ლათინური ამერიკა, ავსტრალია და ოკეანია.

აფრო-აზიურ მაკრორეგიონების შემადგენლობაში მეცნიერები გამოყოფენ მესოპოტამიას, ეგვიპტეს და არაბეთს, მაღრიბს, მცირე აზიას, ირანს, ავღანეთს, ცენტრალურ აზიას, იაპონიას, ჩინეთს, ინდოჩინეთს, კუნძულოვან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ინდოჩინეთს, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკას. აშკარაა, რომ მსოფლიოს ეს დანაწილება არ არის კულტურულ-ისტორიულ ასპექტებით.

სადისკუსიო არის საკითხი აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებზე. დიდი ხნის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპა განიხილებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების თვალსაზრისით და გულისხმობდა, როგორც წესი შვიდ სახელმწიფოს. ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ამჟამინდელი კლასიფიკაციით, აღმოსავლეთ ევეროპის ქვეყნებს მიაკუთვნებენ ესტონეთს, ლიტვას, რუსეთს, ბელორუსიას, უკრაინას, მოლდოვას, ხოლო ყოფილ „სახალხო დემოკრატიის" ქვეყნებს მიაკუთვნებენ ცენტრალურ ევროპას. სხვა კლასიფიკაციით, ყველა ზემოთ აღნიშნული ქვეყნები მიკუთვნებული არიან ერთ რეგიონზე – ცენტრალურ – აღმოსავლეთ ევროპას.

აღმოსავლეთ აზიაში ჩვეულებრივად ჩართულია ჩინეთი, იაპონია, ჩრდილო და სამხრეთ კორეა, მონღოლეთი და ტაივანი. მაგრამ უკანასკნელ დროს სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს აღმოსავლეთ აზიის „გაფართოებული გაგებაც", როგორც გეოეკონომიკური არეალისა, რომელშიც შედის იაპონია, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, ტაივანი, მალაზია, სინგაპური, ტაილანდი, ინდონეზია. ზოგიერთი აქ რთავს ასევე ვიეტნამს, ლაოსს, კამბოჯას, სულ უკანასკნელ დროს, მონღოლეთს, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს, ზოგიერთ სახელმწიფოებს წყნარი ოკეანის კუნძულებზე, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადსხვაობაა აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონის საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხზეც. არის მათი განსაზღვრის რამდენიმე ვარიანტი. პირველის მიხედვით ეს არის გიგანტური რაიონი, შემოფარგლული ორივე ამერიკის დასავლეთ ნაპირით, აზიის აღმოასვლეთ ზღვისპირეთით და ავსტრალიის ზონით. ამგვარ ინტერპრეტაციისას რეგიონში შეყავთ სამხრეთ აზიის ქვეყნებიც. მეორე ვარიანტი გულისხმობს რეგიონში წყნარი ოკეანეს აზიური ქვეყნების, აშშ, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ზონის ჩართვას. ასეთ შემთხვევაში სამხრეთ აზიის ქვეყნებიც ხვდებიან ამ რეგიონის ქვეყანათა ჩამონათვალში, მაგრამ აქედან გამოირიცხებიან ლათინური ამერიკის ქვეყნები. მესამე ვარიანტი გულისხმობს ფოკუსს აზია-წყნარი ოკეანეს აზიურ შემად-

გენლებზე ბერინგის სრუტედან მიანმამდე. რა თქმა უნდა, რეგიონული მოვლენების გაგება უკანასკნელ შემთხვევაში მოითხოვს მიმართვას ისეთი ქვეყნების პოლიტიკისადმი, როგორებიცაა აშშ, კანადა, ინდოეთი ავსტრალია.

აშკარაა, რომ მსოფლიოს რეგიონებად დანაწილებას აქვს მრავალვარიანტიანი და საკმაოდ სადაო ხასიათი. ამ მოვლენის მიზეზები სხვადასხვაგვარია. კულტურულ-ცივილიზაციური რეგიონალიზაციის შემუშავება შედარებით მოკლე ხნის წინ დაიწყო და ამიტომ ვერ მიაღწია სრულყოფის იმ დონეს, როგორც, მაგალითად, ფიზიკურ გეოგრაფიულმა რეგიონალიზაციამ. რეგიონების გეოპოლიტიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური ჭრილები უცვლელი არ რჩებიან, საკამოდ სწრაფად იცვლიან სახეს. ხოლო საერთაშორის ურთიერთობების რეგიონალურ და სუვერენულ სისტემებზე საკითხი ძალზე სადისკუსიო გახდა ბიპოლარული სისტემის გაქრობასთან ერთად. ვინაიდან არ არის ნათელი, თუ რა მოვიდა მის ნაცვლად, დაიშალა ის დამოუკიდებელ რეგიონალ სისტემებად თუ ისინი მაინც ქვესისტემებს წარმოადგენს.

მხედველობაში მისაღებია, რომ მსოფლიოს დაყოფა მიკრორეგიონებზე არ არის რაღაც მოგონილი პრობლემა. საქმე იმაშია, რომ მაკრორეგიონები და სუბრეგიონები შედგებიან ქვეყნებისგან, რომლებიც თავის მხრივ, იყოფიან ქვეყნის შიდა რეგიონებად. მსოფლისო მაკრო რეგიონების საზღვრების, მათი მყვარი თავისებურებების განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია კარგად გავიგოთ მათში შემავალი ქვეყნების თავისებურებები, მათი მსგავსები და განსხვავები, მათი ურთიერთობები. ტერიტორიული ურთიერთოების უმაღლესი დონის გამოვლენა - ეს არის პირველი ამოცანა საკუთრივ ქვეყანათ - ანუ ე.ი. მაკრორეგიონებისმცოდნეობის გზაზე.

ამგვარად, მსოფლიოს რეგიონული სტრუქტურა საკმაოდ ჭრელი და მოცემულია მრავალი რეგიონი. რეგინული მრავალფეროვნებით გამოირჩევიან ასევე მსოფლიოს ყველა ქვეყნები.

რეგიონალიზაცია, რომელიც დღეს აღიარებულია მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთ წამყვან ტენდენციად, თავის

ფესვებს ღრმა ისტორიაში იღებს. მისი სათავეები დაკავშირებულია გეოგრაფიულ პირობებთან, ეთნოსების, სახელმწიფოს აღმოცენებასთან, რელიგიური განფესოების ჩამოყალიბებასთან, ომებთან და სხვა.

რეგიონალიზაცია ყოველთვის წარმოშობდა და წარმოშობს - ისეთ მოვლენას როგორიცაა რეგიონალიზმი. არსებობს რეგიონალიზმის სხვადასხვა განმარტებები (როგორც მეცნიერეული მიმდინარეობის, რომელიც დაკავშირებული რეგიონების შესწავლასთან, როგორც რეგიონული, ინტეგრაციული დაჯგუფებების შექმნის პროცესისა და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ რეგიონების არსებობა ე.ი. ტერიტორიებისა, რომლებსაც რაღაც სპეციფიკა გააჩნიათ, ადამიანებში წარმოქმნის რეგიონალ შეგნებას, რეგიონალ ფსიქოლოგიას. ესენი კი, თავის მხრივ, აკუმულირდებიან რა ამა თუ იმ რეგიონალურ, ტერიტორიულ ინტერესებად, შეიძლება იქცნენ და იქცევიანთავისებური იდეურ საფუძვლად იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისა, რომლებიც ამ ინტერესებს იცავენ.

ამრიგად, რეგიონალიზმში იგულისხმება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის ნაწილი, რომელიც ყურადღების ცენტრში აყენებს რეგიონის შიგნით არსებული სახელმწიფოების ურთიერთობებს და რეგიონის სახელმწიფოების ურთიერთობებს სხვადასხვა სისტემებთან.

რეგიონალიზმი შეიძლება ეყრდნობოდეს ბუნებრივ-გეოგრაფიული ხასიათის ფაქტორებს (მთიან რაიონებში, მაგალითად, ყოველი მთათა შორის ხეობა - ეს განსაკუთრებული სამყაროა), ისტორიული განვითარების თავისებურებას (მაგალითად, ციმბირული რეგიონალიზმი), ეთნიკურ სპეციფიკას (მაგალითად, ფრანგულ-კანადური რეგიონალიზმი, ბასკების რეგიონალიზმი ესპანეთში, რელიგიურ თავისებურებას, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის თავისებურებებს და.ა.შ.

ამგვარად, მსოფლიოს დაყოფას რეგიონებზე აქვს მრავალვარიანტული და საკმაოდ საკამათო ხასიათი. ამ მოვლენის მიზეზები მრავალფეროვანი.

ლექცია 2

რეგიონთმცოდნეობის კვლევის მეცნიერული მეთოდები და მათი მნიშვნელობა

ნებისმიერი მეცნიერების მთავარი პრობლემა-მეთოდის პრობლემაა, რადგანაც ინფორმაციის შეკრებას, დამუშავება-წარდგენას, განსაზღვრავს თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შედეგები, რაც საბოლოოდ ყოველი მეცნიერების განვითარების ბიძგის მიმცემია.

რეგიონთმცოდნეობისათვის მეთოდის პრობლემას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება ორი გარემოებით.

რეგიონთმცოდნეობის მიზანია, მთლიანი, ჩამოყალიბებული სახის თეორიის შექმნა, რეგიონული სპეციფიკის გამოვლენა და გაცნობიერება. საუბარია, რეგიონული სპეციფიკის მქონე, რეგიონთმცოდნეობის ისეთ საბაზო მახასიათებლებზე, როგორებიცაა: ბუნება, მოსახლეობა, ადამიანი, მეურნეობა და მისი მოღვაწეობის მრავალსახოვანი გამოვლინება. სავსებით ნათელია, რომ ზემოთმოყვანილი მიზნების მიღწევა შეუძლებელია ბევრი სხვა მეცნიერების მეთოდებისა და წესების გარეშე, მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნების მეთოდების გარეშეც.

რეგიონთმცოდნეობის საერთო დისციპლინარული ხასიათი ვლინდება არა მარტო მისი საგნობრივი ველის - გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა მეცნიერებების საგნობრივ ველებთან გადაკვეთაში, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებების მეთოდებთან ურთიერთქმედებაში.

ამასთანავე, რეგიონთმცოდნეობა, როგორც მეცნიერული ცოდნის ორგანო ახლადშემდგარი დისციპლინაა, მას თავისი მეთოდოლოგიური ბაზაც ბოლომდე არ აქვს ფორმირებული.

მეთოდების შემუშავება რეგიონთმცოდნეობის მთავარი ამოცანაა. ეს კი რამდენადაა რეალიზებული ამას ახლო მომა-

ვალი გვიჩვენებს. სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცოდნის სფეროში დამკვიდრებისათვის საჭიროა, არა მარტო საკუთარი მეთოდების შემოღება, არამედ ახლო მდგომი მეთოდების ადაპ-ტირებაც მოცემულ საგანთან. ნაადრევია იმის თქმა, რომ ეს უკვე დასრულებული პროცესია. სამეცნიერო და სასწავლო წიგნებში არ არსებობს რეგიონთმცოდნეობის მეთოდთა ანალი-ზის ყოვლის მომცველი სფეროები.

საერთოდ მეთოდთა პრობლემა მეცნიერებაში, არა მარტო მთავარი, არამედ ძალიან რთულიცაა. საქმე იმაშია, რომ მეთო-დი არა მარტო მონაწილეობს თავისი ობიექტის მეცნიერულ შესწავლაში, არამედ თავად ხდება ასეთი შესწავლის შედეგი.

მკვლევარი ახალი ცოდნის მიღწევისათვის, დასაწყისშივე უნდა ფლობდეს განსაზღვრული რაოდენობის მეთოდებს. ის შესწავლის შედეგია, რომელიც დაკავშირებულია, არა მარტო კვლევის ობიექტთან, მისი შესწავლის საშუალებებთან, არამედ მიღებული შედეგების გამოყენებასთანაც. უფრო მეტიც, მკვლევარი ეჯახება მეთოდთა პრობლემას ლიტერატურის ანა-ლიზის დროსაც, მის კლასიფიკაციასა და შეფასების აუცილებ-ლობასაც.

ფართო გაგებით, მეთოდი – ეს არის „გზა-რაღაცისკენ", ფ. ბეკონმა მეთოდი შეადარა შუქურას, რომელიც მგზავრს სიბნელეში გზას უნათებს.

მეთოდის მთავარი ფუნქციაა შემეცნების პროცესის რე-გულირება და შინაგანი ორგანიზაცია, ან ამა თუ იმ ობიექტის პრაქტიკული გარდაქმნა.

ამიტომ მეთოდი (ამა თუ იმ ფორმით) არის გარკვეული წესების, საშუალებების, მაგალითების, ნორმების, გაცნობიერე-ბის და მოქმედების ერთიანობა. ის არის მოთხოვნებისა და პრინციპების სისტემა, რომლებმაც ორიენტირება უნდა გაუკე-თონ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას, შედეგის მიღწევას შემოქმედების ამა თუ იმ სფეროში.

მეცნიერული შესწავლის ობიექტები მრავალგვარია, რაც აყალიბებს მათი კლასიფიკაციის მოთხოვნილებას. საფუძველი

(კრიტერიუმი) მეთოდთა დაჯგუფებისთვის შეიძლება იყოს მრავალგვარი.

მეცნიერული შესწავლის პროცესის, როლისა და ადგილის გათვალისწინებით გამოიყოფა შემდეგი მეთოდები: ფორმალური და შემცველობითი, ემპირიული და თეორიული, ფუნდამენტური და პრაქტიკული კვლევის და ჩამოყალიბების მეთოდები.

მეცნიერულად შესწავლილი კვლევის ობიექტების შინაარსი წარმოადგენს სოციალურ-ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების მეთოდთა განსხვავების კრიტერიუმს.

გამოყოფენ აგრეთვე ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, ერთგანსაზღვრებიან – დეტერმინირებულ, ჭეშმარიტ, პირდაპირ და ირიბი შემეცნების მეთოდებს, აგრეთვე ორიგინალურ და წარმოებულ მეთოდებს.

თანამედროვე მეცნიერებაში „მუშაობს" (და ძალიან წარმატებულადაც) მეთოდოლოგიური ცოდნის მრავალდონიანი კონცეფცია. ამ სახის სამეცნიერო შემეცნებითი მეთოდები საერთო ხარისხობრივი და მოცულობითი მოხმარების თვალსაზრისით იყოფა ფილოსოფიურ, საერთომეცნიერულ, ნაწილობრივ მეცნიერულ, დისციპლინარულ და საერთო დისციპლინარულ კვლევის მეთოდებად.

ფილოსოფიური – ეს დიალექტიკური და მეტაფიზიკური მეთოდებია. საერთო მეცნიერული მეთოდების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა კონკრეტული მახასიათებლების, მოვლენების, შემადგენლობის „შედუღაბება" კერძო მეცნიერებებსა და ფილოსოფიურ კატეგორიებში და მეორე მხრივ, მათი ფორმულირების შესაძლებლობა, მათემატიკური თეორიების სიმბოლური ლოგიკის (ფილოსოფიური კატეგორიებისგან განსხვავებით) საშუალებებით დამოწმება.

კერძო სამეცნიერო მეთოდები – ეს არის საშუალებების, შემეცნების პრინციპების, კვლევის წესებისა და პროცედურების ერთიანობა, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ მეცნიერებაში: მექანიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და სოციალურ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

დისციპლინარული მეთოდები – მაგალითთა სისტემაა, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ დისციპლინაში, შედის რომელიღაც მეცნიერულ მიმართულებაში ან აღმოცენებულია მეცნიერებათა საფუძველზე. ნებისმიერი ფუნდამენტალური მეცნიერება წარმოადგენს დისციპლინათა კომპლექსს, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიკური საგანი და დამახასიათებელი კვლევის მეთოდები. დემოგრაფიაში გამოიყოფა დემოგრაფიული სტატისტიკა, მოსახლეობის გეოგრაფია, პოლიტიკური დემოგრაფია, ისტორიული დემოგრაფია, სამედიცინო დემოგრაფია, ეთნოდემოგრაფია და ა.შ.

პოლიტიკური მეცნიერებათა სისტემაში შედიან: პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური გეოგრაფია, ელექტოლარული დემოგრაფია, გეოურბანისტიკა, პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტოლოგია (პოლიტიკური მეცნიერება ვიწრო გაგებით), საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ.

საერთო დისციპლინარული კვლევის მეთოდები რიგი სინთეტიკური და ინტეგრაციული საშუალებების ერთიანობაა, რომელიც მეცნიერულ დისციპლინების საფუძველს ემყარება.

ეს მეთოდები ფართოდ გამოიყენება იმ კომპლექსური პრობლემების რეალიზაციაში, რომელთაც მიეკუთვნება რეგიონთმცოდნეობა.

როგორც აღინიშნა, შემეცნების პროცესი ბევრად განისაზღვრება მეთოდებით და მკვლევარის მეთოდოლოგიური პოზიციით. მის შენაკადად ითვლებიან მეცნიერული მიდგომები, რომელებიც ასახავენ კვლევის საგანზე სტრატეგიულ შეხედულებას. მეცნიერული მიდგომა სიტყვის რთული გაგებით არ შეიძლება იწოდოს მეთოდად, ანუ ახალი ცოდნის მიღების საშუალებად, მაგრამ ძველ ცოდნაზე დაყრდნობით, ის გვაძლევს საშუალებას მოვხაზოთ გარკვეული პრობლემები.

რეგიონთმცოდნეობის ინტეგრირებული ხასიათი სხვადასხვა მეცნიერებაში შექმნილი მიდგომების გამოყენების აუცილებლობასთანაა დაკავშირებული.

რეგიონთმცოდნეობაში გამოყენებული რამდენიმე მიდგომა მიეკუთვნება საერთო მეცნიერულ დისციპლინებს (ისტორი-

ულ, სისტემურ, ეკოლოგიურ და ა.შ.). მეორენი ქმნიან სხვადასხვა მეცნიერების სპეციფიკას: ტერიტორიალურ-გეოგრაფიულს, მრეწველობით–სოციალურ-ეკონომიკურს და ა.შ.

წარმოშობიდან დღემდე დაგროვილი გამოცდილებით მეცნიერული მიდგომები იყოფა ტრადიციულ (ტერიტორიული, კომპლექსური, ტიპოლოგიური) და ახალი (სისტემური, ეკოლოგიური, პრობლემური, ქცევითი) მიდგომებად.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სამეცნიერო მიდგომის თავისებურება, რომლებსაც რეგიონთმცოდნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია.

ტერიტორიული მიდგომა, ის ტერიტორიულ ანალიზს გვთავაზობს. ტერიტორია გამოდის ადამიანისა და საზოგადოების ყოფიერების მთავარ არენად. მასთან არის დაკავშირებული ბუნების მოხმარების, ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების აღმოცენების, საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაციის, ფიზიკურ-ეკონომიკურ-გეოგრაფიული რაიონული მოწყობა, მოსახლეობის განსახლება, საწარმოო ძალთა განლაგების პროცესები.

რეგიონალურ განვითარებაში ტერიტორიალური ფაქტორები განიხილება სამ პოზიციაში: 1) როგორც მრავალფეროვანი რესურსებისა და პირობების გადამტანი; 2) მრავალფეროვანი ფუნქციების შესრულების თვალსაზრისით, მათ შორის: ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკურ-ნაციონალური და ა.შ. 3) როგორც სივრცის სპეციფიკური თვისება, რომელიც გავლენას ახდენს მასში განლაგებულ ობიექტების წესრიგიანობაზე. ამიტომ, ტერიტორია მიეკუთვნება რეგიონთმცოდნეობისა ანალიზის მთავარ ასპექტს.

ტერიტორია შეიძლება შევისწავლოთ სხვადასხვა: გლობალურ, რეგიონალურ (სუბრეგიონალურ), სამხარეო, რაიონულ, ლოკალურ დონეზე.

ეს დონეები ერთმანეთთან კავშირშია. ნებისმიერი გლობალური პრობლემა არ განიხილება მისი რეგიონალიზაციის გარეშე.

ტერიტორიულმა მიდგომამ რეგიონალიზმის პრინციპში ჰპოვა განივითარება. იგი აღნიშნავს, რომ განსაზღვრული, ბუნებრივი საზღვრების ჩარჩოებშო ჩნდება სპეციფიკური ერთობა, ბუნების, ადამიანის (მოსახლეობის) და მისი მოღვაწეობის ურთიერთქმედებით. ქვეყანა, რეგიონი ეს არის არა ქაოსური თავმოყრა ობიექტებისა, არამედ ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისა და პროცესების ტერიტორიული აღმოცენება, რომელთაც გააჩნიათ, მთლიანობა და ღიაობა. ეს განსაკუთრებულ სივრცეში არსებული ორგანიზაციაა.

ამგვარად, ტერიტორიულ-სივრცითი ორგანიზაცია ეყრდნობა ადამიანისა და ბუნების ერთობას, რაც ქმნის სოციალურ და გეოგრაფიულ სივრცეს. რეგიონალიზმში ვლინდება ტერიტორიული მიდგომა. ის წარმოადგენს მკვლევარის სამიზნეს ტერიტორიულ ურთიერთდამოკიდებულებასა და ქვეყნებისა და რეგიონების განმეორებული ხასიათის კვლევაში. რეგიონალიზმი ასახავს მნიშვნელოვან ბუნებრივ, საყოფაცხოვრებო, სოციალურ ეთნოკულტურულ განსხვავებებს ტერიტორიებს შორის (მათ შორის ქვეყნებს შიგნით).

ისტორიული მიდგომა. ეს მიდგომა რეგიონთმცოდნეობაში ეფუძვნება ტერიტორიალური ობიექტების, როგორც დროითი სივრცე-დროითი რეალობის ობიექტების გაგებას, რეტროსპექციის ეტაპიზაციაში და საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაციის პროცესებში დროის ფაქტორის გათვალიწინებას.

რეგიონთმცოდნეობაში ისტორიული მიდგომა საშუალებას გვაძლევს მივსდიოთ შესწავლილი მოვლენებისა და პროცესების (წარმოებითი, დემოგრაფიული, მოსახლეობის განსახლება, საერთაშორისო ურთიერთობა, ეთნიკური და ა.შ.) ფორმირებასა და ჩამოყალიბებას. გავიაზროთ მათი განვითარების კანონზომიერებანი და ტენდენციები, გავხსნათ სხვადასხვა რანგის ტერიტორიული სისტემების დროებითობის ასპექტები, მობილობისა და ინერციულობის რევოლუციური და ევოლუციური გზების ჩათვლით. რეგიონის შესწავლა საშუალებას გვაძლევს თანამედროვე ეტაპზე რეგიონების მდომარეობაში გარკვევის.

ამგვარად, ქვეყნებისა და მხარეების შესწავლისას, ისტორიული მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ, წინა ეპოქები და მათი გავლენა თანამედროვე ტერიტორიების, მხარეებისა და რეგიონების „გარსზე". ამ ანალიზმა შეიძლება დადებითი როლი შეასრულოს რეგიონის განვითარების პროგნოზირებაში.

ერთი მხრივ, ის ასახავს ბუნების მოხმარების, მეურნეობის მოწყობისა და განსაზღვრულ ისტორიულ ტერიტორიებში მცხოვრები მოსახლეობის ანალიზს – უძველეს, შუა საუკუნეებისა და ახალ და უახლეს ისტორიაში. ამგვარი მიდგომისას საუბარია ტერიტორიების დამახასიათებელი თვისებების სამეურნეო, ბუნების მოხმარების, დასაქმების, შემადგენლობის, განსახლებისა და მოსახლეობის დასახლების დროებით დაყოფაზე.

სხვა შემთხვევაში განიხილება, არა შემადგენლობა („შევსება") ტერიტორიებისა კონკრეტული ისტორიული ეპოქებით, არამედ სამეურნეო საქმიანობის თავისებურებების მიხედვით. ეს უკვე არა დროებითი დაყოფაა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, არამედ მისი მთავარი ფუნქციების მახასიათებლების მიხედვით. სასწავლო საგანმანათლებლო რეგიონთმცოდნეობასა გამართლებულია პირველი მიდგომის გამოყენება. სამეცნიერო რეგიონთმცოდნეობაში კი ეფექტურია მეორე მიდგომის გამოყენება.

კომპლექსური მიდგომა. ეს არის ინტეგრირებული რეგიონთმცოდნეობის საფუძველი. საერთო გეოგრაფიულ საამქროში რეგიონთმცოდნეობას შეუძლია ითამაშოს შემგროვებელი და სამწყობო სახელოსნოს როლი, რომელიც აწვდის შემდგომი დამუშავებისათვის პროდუქციას ფიზიკოს – გეოგრაფებს, ეთნოგრაფებს, დემოგრაფებს აგრეთვე პასუხობს მისი ამოსავალი წერტილით დაინტერესებული მკვლევარების ახალ შეკითხვებს.

კომპლექსური მიდგომა ეს არის აგრეთვე სინამდვილის შემეცნების მეთოდების თავისუფალი ცოდნის ცირკულაცია ერთი ნაკადიდან მეორისკენ.

საბოლოო ჯამში კომპლექსური მიდგომა შეიძლება გადავიდეს ფაქტების მეცნიერებიდან ურთიერთკავშის მეცნიერებამ-

დე, პირველ ყოვლისა კი ადამიანსა და ბუნებას შორის, რომელიც მოღვაწეობას ახორციელებს კონკრეტულ ტერიტორიაზე. მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სამეცნიერო დისციპლინები, რომლებთანაც რეგიონთმცოდნეობას კომპლექსური ხასიათი აქვს, უდავოდ დიდია მაგრამ პრობლემა რაოდენობაში როდია. პრობლემა ამ დისციპლინების სინთეზშია, მათი საგნობრივი როლების შემოსაზღვრაში კომპლექსური რეგიონთმცოდნეობის საგნობრივ ველთან მიმართებაში. წინამდებარე პრობლემის გადაწყვეტაზე საუბარი, მისი სირთულიდან გამომდინარე ნაადრევია.

სისტემური მიდგომა. ეს მეთოდი გვაძლევს საშუალებას შესწავლის ობიექტი წარმოვადგინოთ ერთიანობასა და მთლიანობაში. ურთიერთმოქმედ ელემენტებთან კორელაციის ძიების უნარის საშუალებით, ის ეხმარება ასეთი ურთიერთქმედების „წესების" ან როგორც ამბობენ, სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერების გამოვლენას.

სისტემურ მიდგომაში შესაძლებელია „დიდი სისტემის" ნაწილების განხილვა ქვესისტემის ხარისხში. ეს კი იმას, ნიშნავს, რომ ამ მიდგომას გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი კომპლექსური რეგიონთმცოდნეობისათვის. ნებისმიერი რეგიონი – ეს არის განსაზღვრული მთლიანობა, სისტემა. მაგრამ ერთდროულად ის დიდი სისტემების ქვესისტემაა, ელემენტია. ქვეყანაში შემავალი რეგიონი, მისი ავტონომიურობის ჩათვლით განიხილება, ქვეყანასთან მიმართებაში, როგორც ქვესისტემა. საერთაშორისო – პოლიტიკური რეგიონი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის რეგიონალურ ელემენტს.

პრობლემური მიდგომა. იგი მიეკუთვნება საერთო მეცნიერულ მიდგომებს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერები „სულ უფრო მეტად სპეციალიზდებიან არა მეცნიერებაში, არამედ პრობლემებში".

თანამედროვე სოციალურ – ეკონომიკური, პოლიტიკური პრობლემების სიმწვავე და სირთულე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედება საფუძველს უყრის პრობლემური მიდგომის მნიშვნელობასა და მაშტაბურობას მეცნიერულ ცნობიერე-

ბაში. რეგიონთმცოდნეობისათვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი გარემოებით. პრობლემები როგორც ცნობილია, აღმოცენდება სხვადასხვა: გლობალურ, რეგიონალურ, სამხარეო და ლოკალურ სფეროებში.

გლობალური პრობლემები ეს ის პრობლემებია, რომლებიც ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხს აღელვებს, მათ მოაქვთ ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები და მათი გადაწყვეტა მოითხოვს, საერთოპლანეტარულ თანამშრომლობას. ნაკლებად პრიორიტეტულ გლობალურ პრობლემებს მიეკუთვნება მშვიდობისა და განიარაღების, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ენერგეტიკული, ნედლეულის, ვაჭრობის, კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების, მსოფლიო ოკეანიის გამოყენების, განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობის დაძლევა.

გლობალური პრობლემები არ დებენ გვერდით ან არ ასუსტებენ რეგიონთმცოდნეობასა. საქმე იმაშია, რომ მათი აღქმა ხდება ლოკალური, რეგიონალური, სამხარეო პრობლემების პრიზმის მიღმა. ლოკალური საზოგადოებრივი პროცესი გადაიზრდება რეგიონალურში, რეგიონალური კი გლობალურში. ამიტომ, ამ უკანასკნელის შესწავლის გარეშე შეუძლებელია გლობალური მოვლენების სიღრმის გააზრება, რომლებიც გამოწვევრიანდებიან ნაციონალური და რეგიონალური დონის აზრთა სხვადასხვაობებიდან და პრობლემებიდან, მეორე მხრივ, გლობალური მიდგომა ორიენტირებულია შედარებით საერთორეგიონალური და ქვეყნებს შორის საერთო კვლევებზე, რომლებიც ეყრდნობიან განსხვავებათა ანალიზს, სიღრმისეულად აშუქებენ რეგიონალურ სპეციფიკას, რაც შესაძლებლობას იძლევა ლოკალურ დონეზე მათი გადაწყვეტისათვის ადეკვატური სტრატეგიის გამომუშავებას. ამიტომაცაა კაცობრიობის გლობალური პრობლემების შემსწავლელი მეცნიერების დევიზი ასეთი: „ვიფიქროთ გლობალურად, ვიმოქმედოთ ლოკალურად".

პრობლემური მიდგომა დევს პრობლემური ქვეყანათმცოდნეობის საძირკველში. იგი ჩამოყალიბდა 1980-იან წლებში და მისით იყვნენ დაკავებული ისეთი მეცნიერებები, როგორებიცაა ვ.მ. ჰოფმანი და ი.გ. მაშბიელი. პრობლემური კომპლექ-

სური ქვეყანათმცოდნეობის კონცეფციების მთავარი და არსებითი ნიშანი მდგომარეობს ტერიტორიების კომპონენტების აღწერიდან დაწყებული ხისტად მოცემული სქემით, ძირეული პრობლემების ანალიტიკურ ხასიათებზე დასრულებული.

მკვლევარები გამოყოფენ სამი ფართო ჯგუფის პრობლემას. ეს არის ყველა ქვეყნისათვის საერთო პრობლემები: პრობლემები რომლებიც წარმოადგენენ განსაზღვრული ტიპის ქვეყნების ინტერესს. (მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები), ინდივიდუალური ხასიათის პრობლემები.

პრობლემური მიდგომა – ეს არის რეგიონალური პოლიტიკის მატარებელი საძირკველიდან ერთ-ერთი. მისი დანიშნულება როგორც ცნობილია, ტერიტორიული განვითარების რეგულირებაა, უკვე აღმოცენებული დისპროპორციების და მისი არ დაშვების მიზნით. რეგიონალური პოლიტიკის ეფექტურობა ბევრად განისაზღვრება პრობლემების გამოვლენით, ე.ი. ბარიერების, სირთულეების, როგორც განსხვავებული აზრის კონცენტრირებული გამოხატვისა, მათგან სირთულეების გამომწვევი მიზეზების ანალიზის გამორიცხვით. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს კანონმდებლობითი, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ზომები და ე.ი. ხასიათი, რომელიც საშუალებას მისცემს თუკი ვერ „ხსნის" რეგიონალურ პრობლემებს მთლიანად, შეარბილოს მაინც მათი სიხისტე.

ტიპოლოგიური მიდგომა. ის შეიძლება მივაკუთვნოთ ტრადიციულს, მაგრამ ამავდროულად ბევრი ავტორის მოსაზრებაშიც, მისი ეფექტური მოხმარება რეგიონთმცოდნეობაში არც თუ ისე მაღალია. ტიპოლოგია და კლასიფიკაცია – ორი ნათესაური შინაარსის მქონე ცნებაა. ამ ცნებებს შორის საზღვრები განსაზღვრული ზომით ნებაყოფლობითია, მაგრამ არსებობს სხვაობაც.

კლასიფიკაცია – ეს, როგორც წესი რაოდენობითი ნიშნებით ობიექტების დაჯგუფებაა.

ტიპოლოგია – ეს არის ობიექტების შემაღლებული გენერალიზებული ნიშნების გამოვლინება, სადაც ისინი ჯგუფდებიან ხარისხობრივი ნიშნებით (ფუნქციებით).

რეგიონთმცოდნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ კომპლექსურ კლასიფიკაციებს, ე.ი. ნაკლებად ან ბევრად მნიშვნელოვანი რიცხვის ნიშნებს ტიპოლოგიის კლასიფიკაცია.

კლასიფიკაცია (ტიპოლოგია) ამცირებს შესასწავლი ობიექტის რაოდენობას, ყოფს ჯგუფებად და ამავდროულად შეაქვს წვლილი პროცესებისა და მოვლენების ღრმად გაგებაში.

ინდივიდუალური თვისებები უკეთ ჩანს, ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ტიპოლოგიურ ფონზე.

ტიპოლოგიური (დამახასიათებელი) თვისებების სახელები განისაზღვრება იმით, რომ ქვეყნების განვითარება მიდის საერთო კანონზომიერებებით, რომლებშიც ვლინდება მთავარი და გადამწყვეტი.

ამგვარად, ტიპოლოგიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მთელი სისრულით ქვეყნების ცხოვრება და ამავდროულად, გავიგოთ, გამოვყოთ საერთო პროცესები.

ტიპოლოგია ეს არის არსებითი ნაბიჯი მთავარისა და განსაკუთრებულის სინთეზისაკენ.

ცოდნის არც ერთ სფეროს არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს მეცნიერულ ჩინზე, მანამ სანამ არ გაერკვევა თავისი კვლევის ობიექტების მრავალფეროვნებაში, არ მოიყვანს მათ განსაზღვრულ სისტემაში, ვერ დაამყარებს კავშირსა და ურთიერთკავშირებს მის ნაწილებს შორის. ზოოლოგია და ბიოლოგია ეს უძველესი დროიდან განვითარებული მეცნიერებები თანამედროვე მეცნიერებად იქცნენ მხოლოდ კ. ლინეის დამსახურებით, რომელმაც შექმნა მსოფლიოს ფლორისა და ფაუნის კლასიფიკაცია. ალქიმია თანამედროვე ქიმიად გადაიქცა მხოლოდ დ. ი. მენდელეევის მიერ პერიოდული სისტემის ელემენტების აღმოჩენის შემდეგ.

რეგიონთმცოდნეობა მაინც რჩება ცოდნის მნიშვნელოვან წყაროდ. მისით სავსეა გიგანტური მასალა ქვეყანათა ფორმირების თავისებურებებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართების ხასიათზე, ქვეყნების შინაგანი სტრუქტურის ფუნქციონირების კანონზომიერებებზე. ბევრი მეცნიერის აზრით,

საყოველთაოდ ცნობილი ქვეყანათა დაჯგუფების სისტემის ტიპები ჯერ არ არსებობს.

ასეთი „ჩამორჩენის" ობიექტური მიზეზები არსებობს. ქვეყნები – ეს არის საზოგადოების, ადამიანების მოღვაწეობის პროდუქტი, ამიტომაც ისინი მეტად არამყარნი არიან, ვიდრე ცოცხალი და ნაზი ბუნების ობიექტები. ასეთი სწრაფი მოძრაობა აფერხებს შედარების კრიტერიუმებს, ძიებას. ჩამოთვლილი მრავალგვარი კონცეპტუალური, იდეოლოგიური მიდგომები კლასიფიკაციისადმი და ქვეყნების ტიპოლოგიზაცია ატარებს ქვეყნების დაჯგუფებისას სუბიექტურ მომენტებს.

ტიპოლოგიური მიდგომა ქვეყნებისა და რეგიონების შესწავლისას განხილულია მრავალი მეცნიერის ნაშრომებში. მნიშვნელოვანი წილი ქვეყანათმცოდნეობის ტიპოლოგიურ მიდგომაში შეიტანა ვ. ვ. ვოლსკიმ. ქვეყნის ტიპად ის მიიჩნევდა: „ობიექტურად ჩამოყალიბებულ, განვითარების თავისებურებების მქონე პირობების მყარ კომპლექსს, მსოფლიო ისტორიის მოცემულ ეტაპზე დამახასიათებელი როლითა და ადგილით".

ლიტერატურაში ფართო გავრცელება მიიღო კლასიფიკაციამ განვითარებული ეკონომიკის, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დანაყოფებით. სინთეთიკური მონაცემებით, მასში იყენებენ თავისებრივი მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს თითოეულ მოსახლეზე. ბოლო პერიოდში საერთაშორისო სტატისტიკაში გამოიყენება უფრო დახვეწილი კლასიფიკაცია ქვეყნებისათვის: ქვეყნები დაბალი, საშუალო და მაღალი მაჩვენებლებით თვისობრივი შინაგანი პროდუქტის განაწილებით თითოეულ მოსახლეზე.

საერთო მეცნიერული მეთოდები რეგიონთმცოდნეობაში

5. **სტიქიური უბედურებას რისკის ქვეშ მყოფობა**. სტიქიური უბედურების ზემოქმედება ტერიტორიაზე ეჭვს არ ბადებს. აგრეთვე ეჭვსგარეშეა ამ ზემოქმედების შესწავლის აუცილებლობა ამოცანების გადასაჭრელად, იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იქნას ტერიტორია.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კაცობრიობა იყო მოწმე ბუნების ძალებისგან გამოწვეული მრავალი ტრაგედიისა. ბევრი მეცნირის აზრითს, სტიქიური ბუნებრივი მოვლენა დღეს შეიძლება მივაკუთვნოთ გლობალურთა რიგს.

ლიტერატურაში სტიქიური ბუნებრივი მოვლენების კლასიფიკაციის მრავალფეროვანი ვარიანტები არსებობს. ერთერთი მათგანია წარმოშობის პირობების მიხედვით კლასიფიკაცია. გამოიყოფა კოსმოსური, მეტეოროლოგიური-კლიმატური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური გეოლოგიურ- ტექნიკური, ტექტონიკური-ჰიდროლოგიური და სხვა სახეების მოვლენები. სტიქიური ბუნებრივი მოვლენების 2/5 მოდის წყალდიდობაზე, 15%- მიწისძვრასა და გვალვაზე.

სამწუხაროდ უახლესი ისტორია ცნობილია, ბევრი მასშტაბური ბუნებრივი ხასიათის კატაკლიზმებით. 1976 წელს ჩინეთში მომხდარმა მიწისძვრამ 242-დან 635 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ციკლონის მიერ გამოწველმა ტალღის ნაკადმა ბანგლადეშში - აღმოსავლეთ პაკისტანში წაიღო 1 მილიონი ადამიანის სიცოცხლე. მძლავრი წყალქვეშა მიწისძვრის ბიძგები 2004 წლის დეკემბერში ინდოეთის ოკეანეში გახადა მიზეზი უდიდესი ბუნებრივი და ჰუმანიტარული კატასტროფისა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. ზოგიერთი მონაცემებით, მხოლოდ ინდონეზიაში დაიღუპა 400 ათასი ადამიანი. ასევე დამან-

გრეველი შედეგები მოჰყვა 2011 წლის 11 მარტის მიწისძვარს და ცუნამს იაპონიაში.

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მუშავდება სპეციალური ნაციონალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს „უბედურების დაგეგმარების" სპეციალისტების მომზადებას. მიმდინარეობს ბუნებრივი სტიქიური მოვლენების ეკონომკიური, სოციალური, ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლა. ყოველ ქვეყანაში აქცენტი კეთდება იმ მოვლენებზე, რომლებსაც ყველაზე ხშირად ვხვდებით მოცემულ რეგიონში. მაგალითად, იაპონიაში ეს არის – მიწისძვრა, აშშ-ში - წყალდიდობები, ქარბორბალები, მიწისძვრები, დიდ ბრიტანეთში - წყალდიდობები.

საქართველო სეისმურად აქტიურ ზონაშია მდებარეობს და აქ არაერთხელ ფიქსირდება მცირე და დიდი მიწისძვრები. სტიქიური ბუნებრივი მოვლენების ცნეტრის მონაცემებით მიწისძვრამ შეიძლება მიაღწიოს 7 ბალსაც.

სტიქიური უბედურებების უმრავლესობა შეინიშნება განვითრებად ქვეყნებში. მათი შედეგები აქ გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარეობს (როგორც წესი, ტროპიკულ ზონებში კლიმატური ანომალიებიდან), ასევე ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო შეიძლება იყოს გამანადგურებელიც. ექსპერტები ფიქრობენ, რომ 1970 წელს ბანგლადეშის კატასტროფის შედეგებმა მოხსნა ყოველგვარი რეკორდები ყველაზე დაბალ საფეხურზე ჩატარებული სამაშველო სამუშაოების თვალსაზრისით.

ამგვარად, სტიქიური უბედურებების თემატიკა, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების თემატიკა, სტიქიური უბედურების შესწავლის ნებისმიერი სახის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არსებობა, ქვეყნების საგანგებო შემთხვევების სამსახურები და ა.შ. არ შეიძლება არ იყოს ჩართული რეგიონთმცოდნეობაში. ამ სიუჟეტების ამოჭრა ნეგატიურად მოქმედებს ტერიტორიის ხასიათზე, როგორც უმთავრეს დასაყრდენ ელემენტზე რეგიონთმცონდეობის თავისებურებების შესწავლისას.

როგორც ავღნიშნეთ, ტერიტორია, გეოგრაფიული მდგომარეობა, არის ნებისმირეი რეგიონისა და ქვეყნის ინდივიდუალობის უმთავრესი ფაქტორი. ამიტომ რეგიონთმცოდნეობით მახასიათებლებში ისინი შეიძლება განხილულნი იყვნენ სხვადასხვა მხრიდან, სხვა მახასიათებლების ურთიერთქმედების გათვალიწინებით.

ლექცია 4

ბუნება, ბუნებრივი რესურსები, ბუნებათსარგებლობა

ბუნება და ბუნებრივი გარემო

ბუნება (*ლათ.* natura, *ბერძ.* φύσις) — მატერიალური სამყარო, მსოფლიო, მთელი მატერია და ენერგია მის საწყის ფორმაში, მეცნიერული შესწავლის ძირითადი საგანი. ტერმინი ხშირად გამოიყენება ადამიანის არსებობის ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობით (ყველაფერი რაც ჩვენს ირგვლივ გვაკრავს, ადამიანის ხელით შექმნილის გარდა).

ბუნების ლათინური ექვივალენტი natura მნიშვნელობით ენათესავება "დაბადებას", მაშინ როცა ბერძნული φύσις (ფიზის) უკავშირდება "ზრდას". ბუნების სპექტრი მოიცავს ყველაფერს უნივერსალურიდან სუბატომურამდე. მასში შედის ყველაფერი ცხოველური, მცენარეული და მინერალური; ყველა ნატურალური რესურსი და მოვლენა (ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, მიწისძვრა და მისთ.). ის ასევე მოიცავს ცხოველურ არსებათა ქცევასაც და უსულო საგნებთან დაკავშირებულ პროცესებსაც - თუ რა სახით იცვლება ეს საგნები.

ბუნებრივი გარემო — დედამიწის გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ბუნებრივად და ხელოვნურად წარმოქმნილ ელემენტებს და ქმნის ბუნებრივ ლანდშაფტებს. ფართო გაგებით ბუნებრივი გარემოს ნაწილია მთლიანად კაცობრიობა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსები, ჰაერი,წყალი, მიწა, ფლორა, ფაუნა. თითოეული ეს ბუ-

ნებრივი ელემენტები ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ბუნებრივ გარემოში ადამიანის სამეურნეო საქმიანობას აქვს როგორც აღმშენებლობითი, ისე დამანგრეველი ხასიათი, რაც ბუნების ყველა ელემენტს - რელიეფს, ჰავას, წყლებს,- ნიადაგებს, ორგანულ სამყაროსა დამთლიანობაში ბუნებრივ-ტერიოტირულ კომპლესებს ეხება.

21-ე საუკუნის ადამიანი დგას უამრავი ეკოლოგიური პრობლემისა და ენერგეტიკული კრიზისის წინაშე, რაც აისახება კაცობრიობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. შესაბამისად საჭიროა საზოგადოებამ ერთად შექმნას საღი აზრი. საჭიროა დაფიქრება იმაზე თუ რას ვიღებთ ბუნებისგან და რას ვუბრუნებთ სანაცვლოდ, რამდენად ვარღვევთ ადამიანები ბუნებაში არსებულ ბალანსს და როგორ ვაგებთ პასუხს გაუაზრებელ ქმედებებზე.

ბუნებათსარგებლობა რეგიონთმცოდნეობის კომპლექსური ნაწილია და მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკითხს, ადგენს პრობლემების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და გავრცელების კანონზომიერებებს, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნები, თუ როგორ უნდა განვითარდეს მეურნეობის დარგები ისე, რომ გარემოს გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს... მნიშვნელოვანია, თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს პასუხისმგებლობა და ცოტათი მაინც შეცვალოს ცხოვრების სტილი გარემოს სასარგებლოდ (პრინციპში საკუთარი თავის სასარგებლოდ).

დედამიწის ბუნებრივი რეგიონალიზაცია

ბუნება, ან ადამიანის გარემომცველი ბუნებრივი არე ეს არის გარკვეულ ნაწილთა ერთობა, რომლებსაც ბუნებრივ კომპონენტებს ვუწოდებთ. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება რელიეფი, კლიმატი, წყლები, მცენარეები, ცხოველები, სასარგებლო წიაღისეული. ყველა მათგანმა გაიარა განვითარების ხანგძლივი

პერიოდი, ურთიერტქმედებისას ყველანი ემორჩილებიან გარკვეულ კანონზომიერებას.

რეგიონთმცოდნეობისათვის განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ბუნების ცალკეულ კომპონენტთა შორის არსებულ კავშირებს. უმთავრესია კავშირის გამოვლენა ერთის მხრივ ბუნებასა და ადამიანის, მეორე მხრივ კი საზოგადოებასა და მეურნეობას შორის.

ეს ურთიერთმოქმედება დაიწყო კაცობრიობის არსებობის დასაწყისიდან და მას შემდეგ განიცადა გარკვეული ცვლილებები. პირველ ყოვლისა გაიზარდა მისი მასშტაბები. მაგალითად, განვითარების დაბალ საფეხურზე, ნებისმიერი საზოგადოება ურთიერთქმედებდა ახლო მყოფ ბუნებრივ შრეზე, დღეს კი შეიძლება ვილაპარაკოთ მის ურთიერთქმედებაზე მთელს გეოგრაფიულ შრესთან (ამ შემთხვევაში ძალაშია პირველ ყოვლისა, შრომის საერთაშორისო დანაწილება და თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები) მეორე მხრივ, გართულდა ადამიანს, საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთკავშირი. მრავალი ათასწლეულის მანძილზე ათეული ქიმიური ელემენტი, რომლებიც ქმნიან მინერალებს, არსებითად არ წარმოადგენდნენ გეოგრაფიული შრის ელემენტებს, იმიტომ, რომ კაცობრიობამ არ იცოდა მათი არსებობის შესახებ და არ ფლობდა მათი მოპოვებისა და მოხმარების ტექნოლოგიებს, ისინი არ თამაშობდნენ არანაირ როლს საზოგადოების განვითარებაში. წინა საუკუნეებში ნავთობის საბადოები არ თამაშობდნენ არავითარ როლს ადამინის ცხოვრებაში მე-19 ს-მდე, ე.ი. არ იყო ცნობილი.

ბუნებრივ-გეოგრაფიული შრე პირდაპირ ან მატერიალური წარმოების საშუალებით გავლენას ახდენს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ასპექტებზე.

პირველ ყოვლისა, ადამიანების ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე. მაგალითად, ბუნებრივ-კერითი დაავადებები გავლენას ახდენენ აფრიკის მრავალი ქვეყნის მოსახლეობის შრომისუნარიანობაზე.

მეორე მხრივ, ბიოლოგიური მოხმარების აუცილებელი დაკმაყოფილების საშუალებების განსხვავებულობასა და ცვლა-

ზე (საჭმლის, წყლის, ტანსაცმლის, საცხოვრებლის რაოდენობა და ხარისხი, ტემპერატურული კომფორტის შექმნა და სტიქიის ზემოქმედებისგან დაცვა).

მესამე – მრეწველობაზე: არსებული რესურსების ქონა და არქონა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმოებული პროდუქტის ასორტიმენტს, განსხვავებას შრომის დანაწილებაში.

მეოთხე – ადამიანის გადაადგილები ინტენსივობის გაზრდა. ისინი არ იმყოფებიან იმ საფეხურზე, რომლებშიც იმყოფებოდნენ წინა ეპოქებში, ბუნებრივი დაპრკოლებისა და საზღვაო გზებთან დამოკიდებულების ჩათვლით.

მეხუთე, სამხედრო – პოლიტიკური სიტუაციის ხასიათი: არსებული საზღვრები დღესაც აქცევენ უსაფრთხოდ ზოგიერთი ტერიტორიის მდგომარეობასა და განვითარებას.

ბუნებრივი შრის ზოგიერთი ვექტორის გავლენა საზოგადოებაზე, ადამიანზე, მათი ურთიერთქმედება შეიძლება გაგრძელდეს. მაგრამ ყოველთვის ამ ურთიერთკავშირებს როდი გააჩნიათ ისეთი „მოხაზულობა", რომელსაც ვხედავთ ზემოთგანხილულ პოზიციებში (საქართველოში პოლიტიკური კრიზისები უმეტესად გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხდება).

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთქმედების განხილვისას მთავარია ხაზი გავუსვათ ორ მნიშვნელოვან გარემოებას.

1.არა მარტო ბუნება ახდენს გავლენას ადამიანზე, საზოგადოებაზე, არამედ ადამიანიც გავლენას ახდენს ბუნებაზე (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

2.არ შეიძლება ბუნებრივი ფაქტის როლის საზოგადოების ცხოვრებაზე აბსოლიტიზირება. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ მიმდინარე ერთნაირ პირობებში სიმდიდრე და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი პირობები ადამიანთა ცხოვრებისა და შრომისათვის ამარაგებენ საზოგადოების განვითარების საბოლოო უპირატესობას. ამასთანავე, „ძალიან მოუფრთხილებელმა ბუნებამ" შეიძლება შეაჩეროს ეს განვითარება.

3.ბუნების ზემოქმედებას ადამიანსა და საზოგადოებაზე არ გააჩნია უნიფიცირებული ხასიათი. საქმე იმაშია, რომ დედა-

მიწის გეოგრაფიული გარსი არ არის თანაბარი, მას განეკუთვნება თავისი რეგიონალური დიფერენციაცია, ზონალურობა. ბუნებრივი ზონალურობის ნათელი გამოხატულებაა გეოგრაფიული (კლიმატური) სარტყლები (ეკვატორული, სუბეკვატორული, ტროპიკული, სუბტროპიკული, ზომიერი, სუბარქტიკული და სუბანტარქტიკული, არქტიკული და ანტარქტიკული), ბუნებრივი ზონები.

ბუნებრივი ზონები

ბუნებრივი ზონები – ხმელეთის ტერიტორიები მასთან დაკავშირებული ბუნებრივი პირობებით (მათ შორის კლიმატური, მცენარეული და ცხოველურ სამყაროსთან ერთად), ცვალებადი გარკვეული რიგით პოლურიდან ეკვატორისაკენ ფართო მიმართულებით.

თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ ატლასებში ზონების რაოდენობა ხშირად სცილდება (ქვეზონების ჩათვლით) 50-ს. ვ.ვ. დოკუჩაევი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოყოფდა 7 ზონას, ლ.ს. ბერიგი XX ს-ის შუა წლებში-12-ს. თანამედროვე სწავლული ა.გ. ირაჩენკო იძლევა 17 ზონის თავისებურებებს.

სასწავლო-საგანმანათლებლო ლიტერატურაში, როგორც წესი დახასიათებულია შემდეგი ბუნებრივი ზონები: ყინულოვანი უდაბნო (არქტიკული და ანტარქტიკული), ტუნდა, ტყეტუნდრია ზომიერი სარტყლის ტყეების ზონა, ტყესტეპების ზონა, სტეპები, უდაბნოები, სავანები, მშრალი და ცვალებად მშრალი ტროპიკული ტყეები, ეკვატორიალური მშრალი ტყეების ზონა.

ბუნებრივი ზონები არ წარმოადგენენ იდეალურად სწორ არეალს. ისინი არ ფარავენ პლანეტას უსწორმასწორო ზონებით, არცთუ იშვიათად შეიძლება იყოს არამყარი, ერთ სიფართეზე მყოფი მრავაფეროვანი ბუნებრივი ზონები.

ზონალური კანონზომიერებასთან ერთად არსებობს აზონალური კანონზომიერებაც. აზონალურობის მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს სარტყლების სიმაღლეები, ვერტიკალური ზონალურობა, რომელიც გამომდინარეობს ხმელეთის სიმაღლიდან

და სითბოს ბალანსისიდან. ცნობილია, რომ 1 კმ მაღლობზე ჰაერის ტემპერატურა დაბლდება 6 გრადუსით, 2-3 კმ სიმაღლეზე დიდდება ღრუბლიანობა და ნალექების რაოდენობა.

ზონალურობა ვლინდება არა მარტო ხმელეთზე, არამედ ის არის მსოფლიო ოკეანეშიც, არამარტო წყლის ზედაპირზე, არამედ ოკეანის ფსკერზეც.

ბუნებრივი ზონალურობის მიზეზები ეს არის-დედამიწის ფორმა და მისი მდგომარეობა მზის მიმართ. ეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს მზის ენერგიის განაწილებას, რომელიც განაპირობებს ტემპერატურის ზონალურობას, გვალვას, ღრუბლიანობას, ქარის სისტემას, ქარიანობისა და წიაღისეულის აღმოცენებას, ლანდშაფტის გეოქიმიურ თავისებურებებს (მაგალითად, კალციუმი დამახასიათებელია სტეპებისა და უდაბნოებისათვის, რკინატუნდრისა და ტაიგისათვის) და ა.შ.

გეოგრაფიული ზონალურობის სწავლებას საფუძვლები დიდი ხნის წინათ ჩაეყარა. ანტიკური დროში აღმოცენდა ჰიპოთეზაა სითბური სარტყლებზე. XIX ს. ა. ჰუმბოლტმა გამოიკვლია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ზონალურობის კავშირი კლიმატთან და გახსნა ახალი ზონალურობის მოვლენა. გეოგრაფიული ზონალურობის შესწავლა მისი თანამედროვე სახით ფორმირებული იქნა XIX-XX ს-ის მიჯნაზე. რუსი მეცნიერის ვ.ვ. დოკუჩაევის კვლევის შედეგებით, მან ზონალურობა დაახასიათა, როგორც ბუნების საყოველთაო კანონი, რომელიც ვლინდება როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში, ვაკეებსა და მთებში. ამ კანონის გაგებამდე ვ.ვ. დოკუჩაევი მივიდა წიაღისეულის შესწავლის გზით. მისი შრომა „რუსული შავმიწიანი ნიადაგები" (1883) დღემდე ითვლება ფიზიკური გეოგრაფიის კლასიკური მაგალითად.

ბუნებრივ ზონებს, როგორც რეგიონალური დიფერენციაციის ფაქტორებს აქვთ ურთიერთობა ადამიანების ყოფაცხოვრების ყველა მხარესთან. მაზე არც თუ ნაკლებ გავლენას ახდენს მსოფლიოს ბუნებრივ-რესურსული რეგიონალიზაცია.

დედამიწის ბუნებივ-რესურსული რეგიონალიზაცია

ბუნებრივი რესურსები ეს არის ბუნების ელემენტები, რომლებიც შეჭრილია მრეწველობაში და წარმოადგენს მის რესურსულ და ენერგეტიკულ ბაზას.

არსებობს ბუნებრივი რესურსების მრავალგვარი კლასიფიკაცია: გეოგრაფიული გარსის ამა თუ იმ სფეროზე მიკუთვნების მიხედვით (ლითოსფეროზე, ჰიდროსფეროზე, ატმოსფეროზე, ბიოსფეროზე): მისი მოხმარების მიმართულებაზე: (თბოენერგიის, ფერადი და შავი მეტალურგიის და ა.შ) მეურნეობის მთავარ სფეროში გამოსაყენებლად (მატერიალური წარმოების რესურსები და არამრეწველობითი სფეროები) და ა.შ.

სასწავლო კურსში „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლებში" არ არის სავალდებულო ვისაუბროთ ზემოთდასახელებულ და მსგავს კლასიფიკაციებზე. ისინი წარმოადგენენ სპეციალური განხილვის საგანს ეკონომიკური დისციპლინების კურსში, ხოლო წინამდებარე სასწავლო დისციპლინის კონტექსტში კი ღირს შევჩერდეთ ბუნებრივი რესურსების ორ კლასიფიკაციაზე, რომელსაც ფართო მნიშვნელობა გააჩნიათ - ეკოლოგიურსა და ტრადიციულ ბუნებრივს.

ეკოლოგიური კლასიფიკაცია დაფუძნებულია წაშლისა და გაახლების პრინციპებზე. ამ ნიშნის მიხედვით ბუნებრივი რესურსები იყოფა მილევად და არამილევად ბუნებრივ რესურსებად. არამილევად რესურსებს მიეკუთვნებენ იმ რესურსებ რომელთა გამოყენება ადამიანის მიერ არ მიდის მომავალში მის გაქრობამდე - ქარის ენერგია, მიწის შიგა სითბო, მზის ენერგია და ა.შ. მილევადი რესურსები შეიძლება იყოს აღდგენითი და არა აღდგენითი. პირველი ეს არის, რომლებიც შეუსვენებელი გამოყენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს გარკვეულ დონემდე, მის ექსპლოტაციას ეკონომიკურად არამიზანმიმართულად მიიჩნევენ, ისინი ამავდროულად თვითაღდგენას ვერ ახერხებენ გარკვეული დროიდან მოთხოვნის დროის ფარგლებში. აღდგენადი მილევადი რესურსები - ეს ის რესურსებია რომ-

ლებსაც შეუძლიათ აღდგენა და განახლება – ფლორა, ფაუნა, წყლის რესურსები და ა.შ.

ტრადიციული ბუნებრივი (გენეტიკური კლასიფიკაცია) - ეს არის ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია ბუნებრივი ჯგუფების მიხედვით: მინერალური (სასარგებლო წიაღისეული) წყლის მიწის (მათ შორის წიაღისეული), მცენარეული (მათ შორის ტყეების) ცხოველთა სამყარო, კლიმატური, ბუნებრივი პროცესების ენერგიის რესურსები (მზის დასხივება, დედამიწის შინაგანი სითბო, ქარის ენერგია და ა.შ) იშვიათად მოცემულ კლასიფიკაციაში გამოიყოფა მსოფლიო ქონებისა და რეკრეაციული რესურსები.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო საზოგადეობა ავლენს შესამჩნევ მზრუნველობას ბუნებრივი რესურსების მიმართ, მათ კლებასთან დაკავშირებით, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ნავთობს, გაზს და ქვანახშირს. შეშფოთების მიზეზი მართლაც არსებობს, მაგრამ არსებობს ოპტიმიზმის საფუძვლებიც. ბუნებრივი რესურსები, მათ შორის მინერალური, არამარტო მილეულია, არამედ ბოლომდე არ არის გამოვლენილი. მეორე მხვრივ მოპოვებადი ბუნებრივი რესურსები ჯერ კიდევ გამოიყენება ნაკლებად ეფექტურად. მესამე, ძნელია გამოთვალო რა აღმოჩენები შეიძლება გაკეთდეს რესურსების სფეროში, მაგალითად არც თუ ისე დიდი ხნის წინ ადამიანებმა არაფერი იცოდნენ ატომის წიაღში არსებული ენერგიის შესახებ. ბუნებრივი რესურსების განაწილება მსოფლიოში ხასიათდება არაკანონზომიერებით. ეს აიხსნება დედამიწაზე სხვადასხვა კლიმატური და ტექტონიკური პროცესებით, სასარგებლო წიაღისეულის წარმოქმნის პირობებით წარსულ გეოგრაფიულ ეპოქაში და ა.შ. არამარტო ქვეყნებს შორის არამედ დედამიწის მსხვილ რეგიონებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ბუნებრივი რესურსებით მომარაგების დონესა და ხასიათს შორის. ახლო აღმოსავლეთი გამოირჩევა მსხვილი ნავთობისა და გაზის რესურსებით, ანდის ქვეყნები (ლათინური ამერიკის ქვეყნები - ჩილე, კოლუმბია, პერუ, ვენესუელა, ეკოვადორი, ბოლივია) – სპი-

ლენძისა და პოლიმეტალური წიაღისეულით და ა.შ ბუნებრივი რესურსების ცნობილი ყველა სახეობა გააჩნიათ მხოლოდ სამ ქვეყანას – რუსეთს, ჩინეთსა და აშშ. ბუნებრივი რესურსებით კარგად მომარაგებულია ინდოეთი, ბრაზილია, ავსტრალია. ბევრ ქვეყანას გააჩნია მსხვილი მარაგი მსოფლიო მიშნელობის ერთი ან რამდენიმე რესურსი (ქუვეითი-ნავთობის მარაგი, გაბონი – მარგანეცი, მაროკო-ფოსფორიტები და ა.შ)

რათქმაუნდა, სახელმწიფოებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ბუნებრივ რესურსებს, ექმნებათ მნიშვნელოვანი პრობლემები ეკონომიკურ განვითარებაში, მაგრამ როგორც გვიჩვენებს მსოფლიო გამოცდილება ეს პრობლემა გადალახვადია.

პირველ ყოვლისა არსებობს საერთაშორისო კავშირები. მეორე მხრივ, ნაციონალური სიმდიდრე ყველა ქვეყანაში იზომება არა მარტო მატერიალური ფარეულობების და ბუნებრივი რესურსების მარაგის შენივთებაზე, არამედ ადამინებზე - მათ შრომისმოყვარეობაზე, მათი ენერგიის გამოყენების ხარისხზე და ა.შ.

ყველასთვის ცნობილია იაპონიის მაგალითი, რომელსაც შესანიშნავი წარმატებები აქვს ეკონომიკაში. იაპონიას გააჩნია მსხვილი მარაგი პირიტების, მაგრამ არ ჰყოფნის ნავთობი, რკინის მასალა, კალიუმის მარილი და ა.შ. ამავე დროს არსებობს არცთუ ცოტა სახელმწიფო, რომლესაც გააჩნიათ უმდიდრესი ბუნებერივი რესურსები, მაგრამ არა აქვთ დიდი წარმატებები სოციალურ-ეკონომკურ განვითარებაში.

რა შეუძლია და რას უნდა წარმოადგენდეს რეგიონთმცონეობის მიერ ბუნების დაყოფა? როგორც უკვე იყო ნაჩვენები არსებობს ბუნებრივი და ბუნებრივი რესურსული რეგიონალიზაცია მსოფლიოს მაშტაბით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგიონთმცოდნეობის გამკვლევებში ადამიანსა და საზოგადოებაზე ბუნების ზემოქმედების ნებისმიერი ფაქტორი (ზემოთ დასახელებული და დაუსახელებელი) უნდა გატარდეს რეგიონალიზაციაში. მხოლოდ ასეთი მიდგომას შეუძლია მოამარაგოს რეგიონული სპეციფიკის კავშირის „ბუნება-ადამიანი", „ბუნება- მეურნეობა", „ბუნება-საზოგადოება" გამოვლენა (განსაკუთრები-

თი ბუნებრივი შემადგენლობის როლი საზოგადოების ტერიტორიულ ორგანიზაციასთან).

ბუნების მოხმარება: ცნების გაგება, სახეობრივი სხვაობები

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობით (ტყის გაშენებით ან გაჩეხვით, ჭაობების ამოშრობით, უდაბნოების მორწყვით და ა. შ.) სახეს უცვლის (გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში) ჰავას, რომელზედაც განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ატმოსფეროს დაჭუჭყიანება. ადამიანი აშენებს სარწყავს სისტემებს, სანაოსნო და ჰიდროენერგეტიკული დანიშნულების არხებს, წყალსაცავებს და სხვ, რითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს წყლის ბრუნვაში.

სამეურნეო საქმიანობა სახეს უცვლის ნიადაგურ საფარს. მის გაკულტურებასთან ერთად ინტენსიურმა დაშლის და გადარეცხვის პროცესებმა (ეროზია) მსოფლიოს ნიადაგური რესურსები მნიშვნელოვნად შეამცირა.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ განსაკუთრებით ღრმა კვალი დაამჩნია ცოცხალ ბუნებას. მან მოაშენა ფლორისა და ფაუნის მრავალი ახალი სახეობა. ახალი ტერიტორიების ათვისების და მოგზაურობების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა მცენარეთა და ცხოველთა გავრცელების გეოგრაფია. კონტინენტიდან კონტინენტზე გადასახლდა მათი სახეობები, რომლებმაც ზოგან ძლიერ შეავიწროვეს ადგილობრივი მცენარეები და ცხოველები (მაგ., ავსტრალიაში).

ბუნება არა მარტო გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, არამედ ამავდროულად, თვითონაც წარმოადგენს მათი ზემოქმედების ობიექტს. ეს ვლინდება პიველ ყოვლისა ბუნების მოხმარებასთან.

ეს ტერმინი შემოღებული იქნა ხმარებაში 1950 წლების ბოლოს ეკოლოგის ი.ნ. კურაჟკოვის მიერ. ის არაერთხელ დაზუსტდა და გაფართოვდა. ი.გ. მაშბიცი თვლიდა, რომ რეგიო-

ნათმცოდენობისათვის ნაყოფიერია ბუნების მოხმარების განსაზღვრება, როგორც თეორია და პრაქტიკა ბუნებრივი შრის სამეურნეო გამოყენებისა. სხვადასხვა ტიპის გეოგრფიულ ლექსიკონებში ბუნების მოხმარების ქვეშ იგულისხმება საზოგადოების წარმოებითი მოღვაწეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბუნებრივი რესურსებით. როგორც ჩანს, ბუნების მოხმარება ეძებს გამოხატულებას კაცობრიობის საზოგადოების აქტიურ როლზე გარემომცველ ბუნებრივ შრესთან მიმართებაში.

ბუნების მოხმარების პრობლემების აქტუალურობა.

ბუნების მოხმრება შეიძლება იყოს რაციონალური და არა ნაციონალური. რაციონალური ბუნების მოხმარება კრძალავს მავნე ზემოქმედებას გარემომცველი ბუნებისადმი, ახდენს მისი რესურსების რეგულირებას, უზრუნველყოფს ადამიანის ცხოველმყოფელობის ნორმალურ პირობებს.

არარაციონალური ბუნების მოხმარება აღნიშნავს ერთმხრივ, გამომძალველობით დამოკიდებულებას ბუნებისადმი, სწრაფვას იმისკენ, რომ აიღოს მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი.

რეალურად ადამინებმა გადაკვეთეს თავისი სურვილებისამებრ დედამიწის ხმელეთის მნიშვნელვანი ნაწილი: 23%-სახნავ-სათესი, 11% სათესი და სატყეო, 2-3% საცხოვრებელის ასაშენებლად, სამრეწველო ობიექტების, გზების და ა.შ ხმელეთის დანარჩენი ნაწილი-ტყეები, ბუჩქნარები (30%), მცირეპროდუქტიანი მიწები (33%). მისაწვდომი წყაროების საშუალებით გამოიყენება მტკნარი წყლის ნახევარი. 60% მსხვილი წყლის რესურსები (ისინი 277-ია) გადატვირთულია მყარი და მოსახერხებელი ინჟინერული დანადგარებით, რომელიც ძირფესვიანად ცვლის არსებული წყალსატევების და მდინარეების ეკოლოგიას.

არარაციონალურად ბუნების გამოყენების შედეგია ის, რომ ბუნებრივი საფარი იწყებს რესურსების კარგვას, დაბლა

წევს თავის თვისებებსა და ხარისხს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის. ე.ი. იღუპება ფლორისა და ფაუნის კონკრეტული სახეობები. წიაღისეულის მოპოვება მცირდება, მიმდინარეობს ატმოსფეროსა და წყალქვეშა წყლების დაბინძურება ნარჩენებისაგან.

მეცნირებმა გამოთვალეს, რომ მიწის არარაციონალური გამოყენების შედეგად კაცობრიობამ ისტროიული განვითარების მანძილზე დაკარგა 1,5 დან 2 მლრ ჰექტარი, იმაზე მეტი, ვიდრე დღეს არსებული სახნავი მიწების ფართობია. ეკოლოგიურ საშიშორებას წარმოადგენს სამრეწველო ნარჩენები, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული „ბინძური“ მრეწველობა (ენერგეტიკა, მეტალურგია, ქიმიური, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა) ეს დარგები თავიანთი მრეწველობის დიდ ნაწილს უშვებენ, როგორც ნარჩენებს, რომლებიც ახდენენ ბუნებრივი შრის მეტალიზაციასა და ქიმიზაციას. ტყეების გაშიშვლების პროცესი სამხრეთის ტყეების სარტყელზე ატარებს ეკოლგიური კატასტროფის ხასიათს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სარტყელის ტყეები ჩვენი პლანეტის „ფილტვების” ფუნქციას ასრულებენ, მათში თავმოყრილია დედამიწის ფლორისა და ფაუნის ნახევარზე მეტი. აქტიურად ტყეების გაშიშვლების პრცესი მიდის რიგ რეგიონებში, მათ შორის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. გაქრობის მუქარის ქვეშ, ამერიკელი სწავლულების მონაცემებით იმყოფება 114% სახეობის მცენარე, 11% სახეობას ჩიტებისას ემუქრება სიკვდილი. სამწუხარო და კატასტროფული მაგალითების მოყვანა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური მოხმარების შედეგია, რაც სამწუხაროთ შეიძლება გარძელდეს და გაგრძელდეს.

არარაციონალური ბუნების მოხმარება არ დაიწყო დღეს და გუშინ, მაგრამ გარკვეულ მასშტაბებს მან ინდუსტრილიზმის ეპოქაში მიაღწია. ზუსტად ამ დროს საზოგადოებაში გავრცელდა წარმოდგენა იმის შესახებ რომ ბუნება მხოლოდ შემოქმედებითი საამქროა, ადამიანები კი მხოლოდ მუშები არიან, ამიტომ ბუნებისაგან შეწყალებებს არ უნდა ველოდოთ. მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ყურადღებას ნაკლებად იჩენ-

დნენ. საფრხეები კი იყო. მაგალით დ. ფ. ბეკონი ამტკიცებდა, რომ დავიმორჩილოთ ბუნება, მას უნდა დავემონოთო. ხეოფსის პირამიდაზე არის იეროგლიფული წარწერა: „ადამიანები იღუპებიან იმიტომ, რომ არ იციან ბუნების ძალების მოხმარება და არ იცნობენ არსებულ სამყაროს".

ბუნებასთან ექსპერიმენტებმა მიგვიყვანა ბუნების კანონზომიერების დარღვევასთან. დღევანდელ დღეს, ი.გ. მაშბიცის მონცემების მიხედვით ხმელეთის მოედანის ბუნებრივი სისტემების 36% დეგრადირებულია და 37% სახეშეცვლილია.

ბუნებრივი წონასწორობის დარღვევით ადამიანმა შექმნა ახალი რეალობა, რომელზეც ზემოქმედებს არა მარტო არაგანადგურებულ ბუნებრივ საფართან, არამდე იმ შრესთან, რომელიც მის მიერაა შექმნილი, ე.ი. ბუნებრივ -ანთროპოგენულთან.

თუკი კანონებს პირველად ადამიანი მეტად თუ ნაკლებად სცნობდა, თანამედროვე კანონები ადამიანის მიერ არ არის შეცნობილი. მაგალითად, დღეს ვინ გასცემს პასუხს კითხვაზე, ადამიანის მიერ გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები პროდუქტის გამოყენების შესაძლო შედეგების შესახებ.

გარემომცველი ბუნებრივი შრის დაცვა

რაციონალური ბუნების მოხმარების პრობლემები დღეს ერთმანეთს გადაეჯაჭვა, არსებითად ისინი გარემომცველი ბუნებრივი შრის პრობლემებთან ერთადაა. ის გვთავაზობს ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია ჰარმონიული ურურთიერთქმედების მიღწევაზე ადამიანთა საზოგადოებას და ბუნების დაცვასა და ბუნებრივი სიმდიდრეების კვლავწარმოების შენარჩუნებაზე, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. ეს ერთ-ერთი აქტუალური გლობალური პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია საზოგადოების ძალისხმევის გარეშე, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონალურ დონეზე.

ზემოთ განხილული საერთო მდგომარეობა, რომელიც ეხება ბუნების მოხმარებასა და გარემომცველი ბუნებრივი საფარი დაცვას, საშუალებას გვაძლევს ფორმირება გავუწიოთ შემდეგ პოზი-

ციებს მათი თავისებურებების, ანალიზის ქვეყნების, რეგიონების დონეზე.

1. ბუნებრივი შრის ხარისხი შესასწავლ ტერიტორიაზე (ე.ი. მათზე ანთროპოგენული ბუნებრივი შრის ცვლილებების გამოვ-ლენა)

2. ბუნებრივი შრის შესწავლის ხასიათი და მასშტაბები

3. საშუალებების სისტემა (ეკონომიკური, ადმინისტრაცი-ული, სამართლებრივი და ა.შ.) გარემომცველი ბუნების დაცვაზე.

4. ბუნებრივი წონასწორობის აღდგენისადმი მიძღვნილი მოღვაწეობა.

5. გამოცდილების მიღების გაზიარება ბუნების მოხმარე-ბაში.

6. ადამიანებში ბუნებისადმი ფრთხილი, გონივრული ურთი-ერთობის ფორმირება

7. ტერიტორიის მონაწილეობა ქვეყნებს შორის ურთიერთ თანამშრომლობაზე გარემომცვლელი ბუნებრივი შრის დაცვის-თვის.

8. ბუნებრივი დასაცავი ტერიტორიების ჩამონათვალი. ასე-თებად ითვლებიან პირველყოვლისა ნაციონალური პარკები, ნაკ-რძალები, გამოყოფილი ბუნების ძეგლები, შეკვეთილები.

ნაციონალურ პარკებში იჭრება რთული ამოცანა-ბუნების დაცვისა და ადამიანის დასვენებისა.

პირველი ნაციონალური პარკი - იელოუსტონიისა - შეიქმნა 1872 წელს ამერიკაში. მსოფლიოში ცნობილია ცავოს პარკი კენია-ში, სერენგეტის ტანზანიაში, იგუასუს ჩანჩქერის ნაპირები ბრა-ზილიასა და არგენტინაში, ბაიკალისპირეთის -რუსეთში, კორბე-ტის ინდოეთში და მრავალი სხვა.

ნაკრძალები. ისინი იქმნებიან ველური ბუნების ნარჩენების შენარჩუნების მიზნით. ნაკრძალების ტერიტორიაზე აკრძალულია სამეურნეო საქმიანობა.

ნაკრძალად ითვლება გალაპაგოსსკის კუნძულების ტერი-ტორიაც (ის ეკვადორის კუთვნილებაა). მთავარი ღირსშესანიშნა-ობაა დასაცავი ტერიტორიის - გიგანტური კუები (1,5 სმკვ). 1964

წლიდან, კუნძულზე ფუნქციონირებს საერთაშორის ბიოლოგიური სადგური.

სამხრეთ აფრიკის უდაბნოს ზონაში, განთავსებულია ცენ-ტრალური-კალახარის ნაკრძალი, რომლის მთავარი ობიექტია უნიკალური მცენარის-ველვიგიის დაცვა.

ბუნებრივი ნაკრძალების ფართო ბადეა უკრაინაში (თით-ქმის 6 ათასი ობიექტი), კავკასიაში (კავკასიის, ტიბერდინის და სხვა), მცირე აზიაში და ყაზახეთში (ისსიკ-ყოლის, ჩატკალიის და სხვა). ნაკრძალები მთელ მსოფლიოში წარმოადგენენ სამეცნიერო მოედანს, სადაც ხდება ბუნებრივი პირობების კომპლექსური შეს-წავლა. მთავარია განისაზღვროს ადამიანების მიერ ათვისებულის არსებით ნაწილებთან შედარება, რაც საშუალებას გვაძლევს გა-მოვავლინოთ ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგები.

ბუნების ძეგლები. ეს შეიძლება იყოს მღვიმეები, კლდეები, ხეები და სხვა ბუნებრივი ობიექტები.

შეკვეთილები. აქ იკრძალება განსაზღვრული მცენარეებისა და ცხოველების რეწვა. აკრძალვის ხანგძლივობა სხვადასხვაგვა-რია: ის შეიძლება იყოს მთელი წლის მანძილზე, ან სეზონის მიხედ-ვით.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიები როგორც სჩანს, ასრუ-ლებენ მრავალგვარ ფუნქციას: უზრუნველყოფენ დაცვას ამა თუ იმ უნიკალური ბუნბრივი ობიექტებისა, სამეცნიერო-კვლევა-ძიე-ბითი, ეკოლოგიური აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო მიზნე-ბით. მათი სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრულია კანონით.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების განხილვა რეგიონთმცოდნეო-ბის ანალიზისათვის, უნდა ,,მუშაობდეს“ ტერიტორიული სპეციფი-კის გამოვლენაზე, ბუნების მოხმარების თავისებურებებზე, ბუნებ-რივი შრის დაცავზე, მათ ორიენტაციაზე ადამიანებთან, მისი ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე.

ლექცია 5

რეგიონმცოდნეობის ნიშნები - დემოგრაფია

დემოგრაფია ეს არის მეცნიერება მოსახლეობის, ანუ პოპულაციის შესახებ. სხვა მრავალი მეცნიერების მსგავსად იგი შეიძლება ვიწრო და ფართო მნიშვნელობით განიმარტოს. „ყველაზე ვიწრო მნიშვნელობით დემოგრაფია შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, განაწილებას, სტრუქტურასა და ცვლილებას. ცვლილების კომპონენტებია დაბადება, სიკვდილი და მიგრაცია“. ფართო მნიშვნელობით კი დემოგრაფია გულისხმობს პოპულაციური ჯგუფების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვებას. ამ ინფორმაციაში მათი დედაენების შესახებ მონაცემებიც შედის.

ცნება - „მოსახლეობის განსახლება”

მოსახლეობის განსახლება რეგიოთმცოდნეობის დასაყ-რდენი ელემენტია. მას გააჩნია ბევრი საერთო დამაკავშირებ-ელი წერტილი სხვა დასაყრდენ ელემენტებთან, მოსახლეობის დასახლებასთან, მაგრამ ამავე დროს ყველა მათგანს აქვს სა-კუთარი კვლევის საგანი.

მოსახლეობის განსახლება ეს მისი ტერიტორიულ ორგა-ნიზაციაა, რომლის შემადგენლობაში შედის როგორც მოსახლე-ობის განთავსება, ისე მასთან იმანენტურად დაკავშირებულ კავშირები. ამგვარად ცნება „მოსახლეობის განსახლება“ მო-იზრებს მოსახლეობის განთავსებას, ანუ მათი დანაწილებას მსოფლიო რეგიონების, ქვეყნების, ქვეყნის შიდა რეგიონების და ა.შ. მიხედვით.

თავისთავად განსახლება როგორც მოსახლეობის დასახ-ლების პროცესების შედეგი ტერიტორიის და მიგრაციის მიხედ-ვით, არის მოსახლეობის დანაწილება დასახლებული პუნქტების მიხედვით. რაც ნიშნავს მოსახლეობის გადანაწილებას ტერი-

ტორიების მიხედვით. რეგიონთმცოდნეობის შესაბამიად მოსახ-ლეობის ანალიზი არის მოსახლეობის გადანაწილება ე.ი. მიგ-რაცია, და ამ პროცესთა შედეგი ანუ დასახლების ქსელების აღ-მოცენება, დასახლებული ადგილებისა და მიგრაციის ურთიერ-თკავშირები.

მოსახლეობის განსახლება - ეს რთული სოციალურ-ეკონო-მიკური პროცესია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს ასახავს. ამიტომ განსახლება შეისწავლება მრა-ვალი მეცნიერების მიერ, მათ შორის: დემოგრაფიის, მოსახლე-ობის გეოგრაფიის, გეოპოლიტიკის, ეკისტიკის (მოსახლეობის განსახლების შემსწავლელი თეორია), გეოგრაფიის, ისტორიის, სოციოლოგიის და ა.შ. მოსახლეობის გეოგრაფიის ფარგლებში გამოიყოფა დასახლების გეოგრაფია, რომელშიც მკვეთრად გა-მოიყოფა ორი მიმართულება- გეოურბანისტიკა და გეორურა-ლისტიკა.

მოსახლეობის განთავსება დღეს, ისევე როგორც წარ-სულში ატარებს არათანაბარ ხასიათს. მოსახლეობის განთავსე-ბა - ეს უპირველეს ყოვლისა, მცხოვრებთა განთავსებაა სხვა-დასხვაგვარი რანგის ტერიტორიაზე, ეს არის მსოფლიო ნახატი მოსახლეობის დანაწილებისა ტერიტორიების მიხედვით. ის გაი-ზომება აბსოლუტური მაჩვენებლით (რიცხობრიობისა და მო-სახლეობის წილის მიხედვით) ან დამოკიდებულებათა მაჩვენებ-ლით. უკანასკნელის მიხედვით მენტნაკლებად გააქტიურებულია - მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე.

200 წელს აზიის წილი (რუსეთის გამოკლებით) მსოფლიო მოსახლეობაში შეადგენდა 59,6% (1950 წელს - 55,1%) აფრიკის 13,5% (1950 წელს-8,7%), ევროპის-8,3% (1950 წელს-15,5%), ლათი-ნური ამერიკის-8,5% (1950 წელს-6,6%), ავსტრალიის და ოკეანე-თის 0.5% (1950 წელს-0,5%), საბჭოთა კავშირის, რუსეთის- 4,7% (1950წ-7,1%)

აქ მოყვანილი მონაცემების მიხედვით მსოფლიო მოსახ-ლეობის 2/3 კონკონცენტრირებულია ხმელეთის მოედნის 8%. მოსახლეობის მთავარი თავმოყრის ადგილია სამხრეთ და აღ-

მოსავლეთ აზია, ევროპა. ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ხმელეთის დასახლებულ ნაწილზე შეადგენს 47 ადამიანს კვადრატულ კილომეტრზე. დედამიწის ნაწილების მიხედვით ეს მაჩვენებელი 2003 წელს გამოიყურებოდა ამგვარად: აზიაში 87 ადამიანი, ევროპაში 70, აფრიკაში 28, ამერიკაში 21, ავსტრალია და ოკეანეთი 4 ადამიანი კვადრატულ კილომეტრზე.

როგორც ჩანს, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე მაღალია ევროპასა და აზიაში, მაგრამ ამ რეგიონებში ცხოვრებს მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი.

მოსახლეობის სიმყარის მიხედვით განასხვავებენ არა მარტო დედამიწის ნაწილებსა, კონტინენტებს, არამედ სუბკონტინენტებს, ქვეყნებს, ქვეყნის შიდა ტერიტორიებს. ამ მაჩვენებლის მიხედვით არსებობს ქვეყნების დაჯგუფების სამწევრიანი სისტემა.

200 ადამიანის დასახლების სიმჭიდროვე კვადრატულ კილომეტრზე ითვლება მაღალ მაჩვენებლად. ქვეყნების ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ბელგია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ისრაელი, ინდოეთი, ჩინეთის რესპუბლიკა, შრილანკა და ა.შ. საშუალო სიმჭიდროვე - ეს არის საშუალო მსოფლიო მაჩვენებლიდან დაახლოებული სიმჭიდროვე. ამ ჯგუფში შედის, მაგალითად ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ბელორუსია, ტაჯიკეთი, ეკვადორი და ა.შ.

სიმჭიდროვის ყველაზე დაბალ მაჩვენებლად ითვლება სიმჭიდროვე 2 ადამიანი კვადრატულ კილომეტრზე. დაბალი სიმჭიდროვის ქვეყნების მიეკუთვნება მონღოლეთი, ისლანდია, ავსტრალია და ა.შ.

რუსეთი გამოდგება იმ ქვეყნების მაგალითად, რომლებიც არიან დაბალი სიმჭიდროვის მაჩვენებლის მატარებელნი. 9 ადამიანზე ნაკლები კვ. კილომეტრზე, მაგრამ ამ მაჩვენებლის მიხედვით იხსნება ძალიან დიდი შიდა რეგიონული განსხვავებები: აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებს შუა, ცალკეულ რაიონებს შორის. მაგალითად მოსკოვის რაიონში მოსახლეობის სიმ-

ჭიდროვე - 350 ადამიანია კვ. კილომეტრზე, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში კი - 1 ადამიანზე ნაკლები.

სიმჭიდროვის კონტრასტები დამახასიათებელია ყველა ქვეყნისთვის. მგალითად, იავის კუნძულებზე (ინდონეზია) სიმჭიდროვე შეადგენს 2000 ადამიანზე მეტს კვ. კილომეტრზე, სხვა კუნძულების რაიონებში არ აღემატება 3 ადამიანს კვ. კილომეტრზე.

უდიდესია მოსახლეობის განსახლების კონტრასტი ჩინეთში. საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებლით 135 ადამიანი კვ.კმზე, ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა მცირდება 1 ადამიანი კვ. კმზე, დასავლეთ მთიან რეგიონებში კი 1000 კაცზე მეტი.

მოსახლეობის განლაგების უსწორმასწორობა დედამიწის ქერქის მიხედვით განისაზღვრება მრავალი ფაქტორებით. მათ შორის მთავარია შემდეგი:

1. **ბუნებრივი პირობები.** დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს დაბლობებში, 200 მ-დე ზღვის დონიდან, მთიან რეგიონებში კი ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 10%. ეს არ არის შემთხვევითი: დაბლობები როგორც წესი, არიან ხელსაყრელნი ნებისმიერი ტიპის სამეურნეო საქმიანობისათვის. მუდმივად იზრდება იმ მოსახლეობის წილი, რომელიც ცხოვრობს მსოფლიო ოკეანეთის ნაპირებიდან არა უმეტეს 200კმ. დღეს აქ ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი. შიდა-კონტინენტური უდაბნოები, მაღალმთიანი რაიონები აშკარად და ნაკლებად ხელსაყრელია მოსახლეობის ცხოვრებისა და მოღვაწეობისთვის

2. **მოსახლეობის ისტორიული განსახლების თავისებურებანი დედამიწის ზედაპირზე.** ითვლება, რომ ადამიანთა პირველი დასახლებები გაჩნდა აფრიკაში, აზიაში, დასავლეთ ევროპაში, მაგრამ მუდმივად ხდებოდა მცხოვრებთა გადანაწილება მეტად დუსახლებელ მსოფლიო რეგიონებში.

მოსახლეობის გადანაწილება ხდებოდა ისტორიული განვითარების პროცესში და ქვეყნების შიდა რეგიონებში. სავსებით ნათელია, რომ აზიური რუსეთის მოსახლეობის სუსტი გან-

სახლება ბევრად განისაზღვრება ზემოთ ნათქვამის მიხედვით, ისტორიული დროის ზომების, განსახლების დაწყების, რუსეთის ამ რეგიონის კოლონიზაციის მიხედვით.

3. **დემოგრაფიული გადასვლის თანამედროვე სტადია.** „დემოგრაფიული აფეთქება“ აფრიკაში, აზიაში, უეჭველად გავლენას ახდენს მოსახლეობის რიცხობრივ რაოდენობაზე მსოფლიოს ამ რეგიონებში.

4. **განვითარების დონე და მეურნეობის მოწინავე სტრუქტურა.** აგრარულ მეურნეობის ბატონობისას მას არ შეეძლო უზრუნველყო მაღალი სიმჭიდროვის მოსახლეობა, რადგან განისაზღვრებოდა ადგილობრივი ბუნებრივი პირობებით. ინდუსტრიული და უფრო პოსტინდუსტრიული ეკონომიკა გამოიყენებს არა მარტო ადგილობრივ, არამედ მოშორებით მყოფ ბუნებრივ რესურსებს, სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებს. ეს უზრუნველყოფს მოსახლეობის მაღალ კონცენტრაციას ქალაქებში, საშუალებას აძლევს გახადოს მაღალი მოსახლეობის სიმჭიდროვე და ამგვარად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ტერიტორიულ განლაგებაზე.

ადამიანური რესურსები ყოველთვის განიხილებოდა როგორც, სახელმწიფოების უმტავრესი სტრატეგიული რესურსი. დღეს ასეთი ფაქტორი ძალიან აქტუალურია, რადგან პოსტინდუსტრიული მეურნეობის მთავარი განვითარების მთავარი ფაქტორი თავად ადამიანებინ არიან. ამიტომ რეგიონთმცოდნეობის თავისებურებანი არ გულისხმობს საკუთარ თავში, იმ რაოდენობის მაჩვენებელს, როგორც არის ქვეყნების და რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა.

ცხრილი 5

ქვეყნები რომელთა მოსახლეობის რიცხოვნობით 100 მლ. ადამიანზე ბოლო წელების მონაცემები

ქვეყანა	მოსახლეობა
ჩინეთი	1386 975,5
ინდოეთი	1149 700,1

ინდონეზია	254 893,5
ბრაზილია	192 032,6
პაკისტანი	150 694,7
რუსეთის ფედერაცია	150 526,3
ბანგლადეში	138 448,2
ნიგერია	133 881,7
იაპონია	127 214,5
მექსიკა	104 908,0

მსოფლიოს 12 ქვეყანაში ცხოვრობს 50 დან 100 მლ. ადამიანი. ეს არის გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, უკრაინა, თურქეთი, ეგვიპტე, ფილიპინები, იტალია, ეთიოპია, ირანი ტაილანდი ვიეტნამი. 55 ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა მერყეობს 10-დან 55 მლ.მდე. კიდევ ბევრი ქვეყნები არაან 1 დან 10 მილ მოსახლეობით, ხოლო 30 ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა ვერ აღემატება 1 მლ ადამიანს.

მოსახლეობის დანაწილებისა და განლაგების პროცესი განისაზღვრება მრავალი ფაქტორებით, მათ შორის დემოგრაფიულითაც, ანუ მოსახლეობის შობადობა-მოსახლეობის არსებული მოძრაობა. მნიშვნელოვან გავლენას განლაგებასა და გადაადგილებაზე ახდენს მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, ანუ მიგრაცია.

საერთაშორისო და შიდა მიგრაციები. თანამედროვე მიგრაციების თავისებურებანი

მოსახლეობის მიგრაცია. ეს არის ადამიანთა (მიგრანტების) გადასვლა საზღვრებზე, ამა თუ იმ ტერიტორიაზე, საცხოვრებელი ადგილის შეცვლით სამუდამოდ ან მეტად თუ ნაკლებად ხანგძლივი დროით.

მოსახლეობის სხვა ფორმებისგან მიგრაცია გამოირჩევა დისტანციითა და ხანგრძლივობით. ამიტომ მიგრაციას არ აკუთვნებენ მოსახლეობის გადაადგილებას. სივრცითი მობილობის სხვა ფორმებისაგან მიგრაცია გამოიჩევა დისტანციითა და ხანგრძლივობით. ამიტომ მიგრაციას არ აკუთვნებენ მოსახლეობის გადაადგილებას საცხოვრებელი ადგილის შიგნით (ბინები, სახლები, რაიონები) აგრეთვე მცირე დროითი სისტემის განხორციელებაც (მივლინებები, ტურისტული მოგზაურებაში და ა.შ.).

მიგრაციის მთავრ მიზეზებს მიეკუთვნება შემდეგი:

1) **პოლიტიკური-რევოლუციის შედეგად**, პოლიტიკური გადატრიალება, სახელმწიფო მართველობის ფორმის შეცვლა, ომები. ასეთებია, მაგალითად, მიგრაცია ჩრდილოეთ რუსეთიდან ფაშისტური გერმანიის დროს, ჩილედან პინოჩეტის სამხედრო გადატრიალების შემდეგ 1973 წელს;

2) **სოციალურ ეკონომიკურ** – მოსახლეობის გადადგილება სამუშაოს ძებნისათვის;

3) **ბუნებრივი** - ადამიანების გადაადგილება სტიქიური უბედურების დროს;

4) **ეკოლოგიური** - ადამიანთა გადაყვანა ტექნოგენური კატასტროფების ზონიდან, იმ ზონებიდან, რომლებიც არახელსაყრელი ეკოლოგიურ სიტუაციაში იმყოფებიან;

5) **რელიგიური-პროტესტანტების** საცხოვრებლად გადასვლა ავსტრალიაში, ამერიკაში, საუკუნის შუა წლებში, მართლმადიდებელი ბერების გადასახლება მუსლიმანი ალბანელების დევნის გამო კოსოვოში, თანამედროვე პერიოდში ტაილანდში მუსლიმანების გადასახლება მალაიზიაში ბუდისტების დევნის გამო და ა.შ;

6) **ნაციონალური** - (ნაციონალური) დისკრიმინაციის გამო: ებრაელების ფაშისტური გერმანიიდან და, ჩვენს დროში რუსების გამოსახლება ბალტიის ქვეყნებიდან და ა.შ.;

სხვადასხვაგვარი მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ მიგრაციას, საშუალებას გვაძლევენ **გამოვყოთ ნებაყოფლითი,**

იძულებითი და ძალადობრვი მიგრაცია. ამ უკანასკნელის მაგალითია - შავკანიანი მონების აფრიკიდან ამერიკასა და ბრაზილიაში გადაყვანა და სხვა ქვეყნებში სსკრ კავშირის ხალხების (ჩეჩნების, ინგუშების, ყალმუხელების, ყირიმის თათრების) დეპორტაცია XX საუკუნის 40 – იან წლებში.

რეალიზაციის მეთოდის მიხედვით მიგრაცია კვალიფიცირდება **ორგანიზებულ,** რომელიც ხორციელდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოების მონაწილეობით და **არა ორგანიზებულ** (ინდივიდვალური თვითშემოქმედებით), რომელიც ხორციელდება მიგრანტების ძალებითა და საშუალებით.

მიგრაცია განსხვავდება ტიპებითაც, გვაქვს **გარეგანი და შიდა მიგრაციები.** შიდა მიგრაცია (საერთაშორისო მიგრაციები იყოფა **ემიგრაციად -** მოქალაქეების გამგზავრება თავისი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, ძირითადად ხანგრძლივი დროით საცხოვრებლად და **იმიგრაციად** მოქალაქეების გამგზავრება მეორე ქვეყანაში ძირითად ან ხანგრძლივი დროით საცხოვრებლად.

ცალკე გამოიყოფა **გარეგანი შრომითი მიგრაციები**, მის სუბიექტს წარმოადგენენ სახეები, რომლებიც ეწევიან საგადასახადო მოღვაწეობას სახელმწიფოში, რომლის მოქალაქებადაც ისინი არ ითვლებიან.

შიდა მიგრაციები განსხვავდებიან არამარტო მიზეზებით არამედ ტერიტორიული გარემოცვითაც და ხანგრძლივობითაც. **ტერიტორიული გარემოცვით** შეიძლება გამოვყოთ **კონტინენტთთა შორის და შიდა კონტინენტური მიგრაციები.**

კაცობრიობის მთელი ისტორია ეს არის შეუსვენებელი გადაადგილება ადამიანებისა და ხალხების. მნიშვნელოვანი მასობრივი გადაადგილება ადამიანებისა უძლევეს დროში განპირობებული იყო შრომის დანაწილების პირველ სახესთან - მწემსების ტომთა გამოყოფა. ადამიანების განსახლების სურათი შეიცვალა ხელოსნობის სხვადასხვა სახის გამოყოფიდან მიწათმოქმედებისაგან. ევრაზის მოსახლეობის განსახლებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ადამიანების დიდმა გადმოსახლებამ ჩვენი წელთა აღრიცხვის დასწისში.

ადამიანების მასობრივი გადასახლება მოხდა უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში (XV საუკუნის შუა წლებიდან XVII საუკუნის დასაწყისამდე). ამასთან მის სავიზიტო ბარათად იქცა კონტინენტთა შორის მიგრაციები. უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების დროიდან მრავალრიცხოვანი კოლონიების დაარსებამ გამოიწვია ბევრი მიგრაციული ნაკადი ევროპიდან ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში, აზიაში.

დადგენილია, რომ კოლონიზაციის დასაწყისიდან II მსოფლიო ომამდე ევროპიდან მხოლოდ ამერიკაში გაემგზავრა 60 მილიონი ადამიანი, მათ შორის 60 % იმიგრირებული იქნა აშშ, მიგრაციის კლასკურ ქვეყანაში, რომელიც დასახლებულია ემიგრანტების შთამომავლობითა და ემიგრანტებით (ძირითადად ევროპიდან და ამერიკიდან), სადაც ძირითადი ინდიელი მოსახლეობა განადგურებული იქნა. ეს შეიძლება ითქვას კანადაზე, ავსტრალიაზე, ახალ ზელანდიაზე და ნაწილობრივ ლათინურ ამერიკაზე.

კონტინენტთა შორის მიგრაცია ჩვენს დროში წინა საუკუნეებთან შედარებით შემცირდა, მაგრამ მისი ვექტორების რაოდენობა ძველებურად მნიშვნელოვანია და რამდენადმე გაიზარდა. მაგალითად: XX საუკუნის II ნახევარში აღმოცენდა მიგრაციული ნაკადი იაპონიიდან ბრაზილიაში. II მსოფილო ომის ბოლოს იაპონიის მოსახლეობა ბრაზილიაში აღწევდა 250 ათასამდე ადამიანს. ეს ნაკადი განახლდა 1950 წლების დასაწყისიდან.

XX საუკუნის II ნახევარში გაიზარდა შიდა კონტინენტალური მიგრაციები.

საერთაშორისო მიგრაციების ხასიათი უკანასკნელ XX ასწლეულში არ რჩებოდა შეუცვლელი, 1920-1930 წლებში ის ატარებდა უპირატესად ეკონომიკურ ხასიათს. 1940-1950 წლებში ადამიანების მასობრივი გადაადგილება დაკავშირებული იყო ომებთან, ქვეყნების საზღვრების შეცვლასთან და სხვა პოლიტიკური მიზეზებით, მაგალითად: 10 მილიონი გერმანელი შესახლებული იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმ რაიონებიდან, რომელიც თავის დროზე ფაშისტური გერმანიის მი-

ერ მიტაცებული იქნა მეზობელი ქვეყნებიდან და დაბრუნებულები იქნენ ფაშიზმის დამარცხების შედეგ. 6 მილიონი იაპონელი რეპორტირებული იქნა ჩინეთიდან, კორეიდან და კუნძულ სახალინდან II მსოფლიო ომის შემდეგ. მასობრივი მიგრაციულმა მოძრაობებმა 1947 წელს გამოიწვიეს ინდოეთის გაყოფა ორ სახელმწიფოდ. 1948 წელს მოსახლეობის რელიგიური მიკუთვნების საფუძველზე ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობა პალესტინის ტერიტორიის ნაწილებზე. კოლონიური სისტემის დაცემა, რომელსაც თან მოჰყვა რეპატრიანტების ნაკადი საფრანგეთში, პორტუგალიაში, ინგლისში და ა.შ.

რამდენიმე მონაცემებით საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობამ XXI საუკუნის დასაწყისში მიაღწია 175 მილიონ ადამიანს. მათ შორის 60 % მოდიოდა განვთარებულ ქვეყნებზე. (მათ შორის 56, 1 მილიონი ევროპაზე), 40 მთელი 8 მილიონი ჩრდილოეთ ამერიკაზე. 5,5 მილიონი ავსტრალიაზე და ახალ ზელანდიაზე, 1,6 მილიონი იაპონიაზე.

საერთაშორისო მიგრაციები დღევანდელ დღეს ატარებენ უპირატესად ეკონომიკურ ხასიათს ამასთან მიგრაციული ნაკადები მიედინებიან ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან უფრო მეტად განვითარებული და მჭიდროს დასახლებულ ქვეყნებში, 1870-1920 წლებიდან განსხვავებით, როცა მიგრანტები ძირითადად მიემგზავრებიან უფრო განვითარებულ ქვეყნებიდან ნაკლებად განვითარებული და დასახლებული ქვეყნებისაკენ.

შრომითი მიგრაციის მთავარი სტიმული - ესაა დიდი განსხვავება ქვეყნების მომარაგებისა ბუნებრივი რესურსით და მათ შორის ხარისხობრივი განსხვავებები.

შრომის ანაზღაურების მიხედვით სამუშაო ძალა ძირითადად მიგრირდება მაღალი უმუშევრობის მქონე და დაბალი შრომის ანაზღაურების ქვეყნებიდან სამუშაო ძალის დეფიციტისა და მაღალი ანაზღაურების მქონე ქვეყნებისაკენ. შრომითი მიგრანტების 2/3 არიან განვითარებადი ქვეყნებიდან, რომელიც პრეტენზიას აცხადებს არაკვალიფიცირებულ სამუშაოზე.

მხსვილ მსოფლიო მიზიდულობის ცენტრად უცხოელი მუშებისთვის არიან ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო, სპარსეთის ყურიის ქვეყნები. ამერიკასა და კანადაში იმინგრანტთა ნაკადი 1990-იან წლების შუა წლებში ფასდებოდა 900 000 ადამიანით წელიწადში. დასავლეთ ევროპაში 180 ათასი ადამიანი წელიწადში, 5 % მეტ სამუშაო ძალას საუდის არაბეთში, ბახრეინში, ქუვეითისა და ომანში შეადგენენ იმიგრანტები.

შრომითი მიგრანტების მსოფილო მიზიდულობის ცენტრების გარდა, მსგავსი არსებობს აგრეთვე რეგიონებშიც. ლათინურ ამერიკაში შრომით მიგრანტებს იზიდავს არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიაში სინგაპური და ა.შ.

ახალ მიგრატულ მოვლენად ითვლებაა „გონიერების გაჟონვა“. მისი არსი მდგომარეობს უცხოელი მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების გადაბირებაში. ამ პროცესებს სათავე დაუდო აშშ-მ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ზუსტად მაშინ რამდენიმე ათასი სპეციალისტი ფიზიკის სფეროში, რაკეტების მშენებლობაში გაყვანილი იქნა გერმანიიდან აშშ-ში.

გამოქვეყნებული მონაცემებით რუსეთი 1990-იან წლებში დატოვა მათემატიკოსების 70-80%, ფიზიკის თეორიის მცოდნე 40 %-მა, რომლებიც მუშაობდნენ მსოფლიო დონეზე. ლომონოსოვის უნივერსიტეტის რექტორის ვ. სადოვნიჩენკოს ცნობით, 1990-იან წლებში რუსეთმა დაკარგა თავისი ინტელექტუალური პოტენციალის მესამედი.

თანამედროვე დროში საერთაშორისო მიგრაციული ეკონომიკური მიზეზების გადალახვა არ გამორიცხავს მათში პოლიტიკური მოტივების არსებობას. სსრკ-ს დაცემა, იუგოსლავიის დაშლა, ყოფილი სსრკ. რესპუბლიკების ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებებს თან მოჰქონდა მიგრაციული ხასიათი. ეს და მსგავსი მოვლენები საშუალებას იძლეოდა გაზრდილიყო ისეთი მიგრაციულ ჯგუფები, როგორიცაა ლტოლვილები. განსხვავებით სხვა მიგრაციული ნაკადებისგან, რომლებიც ფორ-

მირდებიან ნელნელა და ექვემდებარება რეგულირებას, ლტოლ-ვილების გამოჩენა ხშირად არაპროგნოზირებადია.

უკანასკნელ დროს ლიტერატურაში უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის გარეგნული შრომითი მიგრაციის შედეგებს. მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს„ რომ მიგრაციის გავლენა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე არაერთგვაროანია. დადებითი შედეგების ხარისხად სამუშაო ძალებს ექსპორტი ქვეყნები ეძახიან შემდეგს:

- უმუშევრობის დონის დაწევა;
- საზღვარგარეთიდან ნაკადის მიღების უზრუნველყოფა (მაგ. მიგრანტებს შემოსავლების ნაწილის გადაგზავნა სამშობლოში).
- მიგრანტების საშუალებების პირადი ინვესტირება სამამულო ეკონომიკაში;
- სამრეწველო დანიშნულების საქონლის შემოტანა, მანქანებიდან დაწყებული და მოწყობილობებით დასრულებული იმისათვის, რომ მოაწყონ მცირე მრეწველობა თავიანთ სამშობლოში;
- კვალიფიკაციის ამაღლება, სამრეწველო ორგანიზაციის გამოცდილებების გამომუშავება;
- გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში შვილობილი ფირმებიდან, შრომითი მოწყობისათვის მიგრანტებისთვის უცხოეთში.

მაგრამ სამუშაო ძალის მიგრაციას ექპორტი ქვეყნებისათვის მოაქვს ნეგატიური შედეგებიც; ხდება სამუშაო ძალის მიქცევა, დაბლდება დემოგრაფიული დონე, ტექნოლოგიკური პოტენციალი და ა.შ.

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც ღებულობენ შრომით მიგრანტებს, აქცენტი კეთდება უარყოფით შედეგებზე. ისინი რეალურად არიან, ესაა სოციალური დაძაბულობის აღმოცენება ძირითადი მოსახლეობის უმუშევრობის ზრდის გამო, შრომის ანაზღაურების დადაბლება, საცხოვრებელი პრობლემების გამწვავება, მნიშვნელოვანი გაზრდა დატვირთვისა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, ჩრდილოვანი ეკონომი-

კის განვითარება. მიგრაციას შეუძლია მდგომარეობის კრიმინალიზაცია, კონფლიქტური და კონფესიონალური პრობლემების გამწვავება. ასეთი ქვეყნებში ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს ნაციონალური განწყობები, ფაშისტურად განწყობილი ახალგაზრდების ხულიგნური გამოსვლები.

მაგრამ ზემოთ ჩამოთვილების შემდეგ არ შეიძლება არ შევნიშნოთ სხვაც. იმიგრანტებს მოაქვთ ახალი გამოცდილება, სწავლა, სიახლები. აშშ. კანადა, ავსტრალია იმიგრაციის შემდეგ აღმოცენდნენ. იმიგრანტები სწევენ მთელ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დინამიკას, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩინელი მუშები ინდოეთში, მალაიზიაში, ინდოელი და ლივანელი ბიზნესმენები აფრიკაში, პალესტინელ მომსახურეები სპარსეთის ყურის ნავთობგადამამუშავებელ ქვეყნებში.

იმიგრანტები მრავალ ქვეყნებში ავსებენ იმ ვაკანსიებს, რომლებზეც პრეტენზია არ გააჩნიათ ადგილობრივ მოსახლეობას.

იმიგრაციამ შეიძლება გააუმჯობესოს დემოგრაფიული მდგომარეობა (ეს კარგად გამოიყურება რუსეთის მაგალითზე).

მეცნიერები ავლენენ სიფრთხილეს მომავალ საერთაშორისო მიგრაციასთან მიმართებაში, ამავე დროს უკვე შეიძლება პროგნოზირება გაუკეთდეს მომავლაში მის სიმაღლეს, თუმცა გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტები ექსპერტთა აზრით შეიძლება შეიცვალოს, გარეგანი შრომითი მიგრაციის ზრდა განსაზღრულია ეკონომიკური გლობალიზაციითა და ინტეგრაციით. პროგნოზირება უკეთდება არალეგალური მიგრაციის გაზრდასაც, რაც განპირობებულია არალეგალური მიგრანტების შრომის დაბალი ანაზღაურებით. მსოფლიო საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს ნათელი წარმოდგენა, იმაზე, თუ როგორ გადაწყვიტონ მიგრაციის პრობლემა. ერთის მხრივ, პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ავლენენ ლიბერალიზაცის არა მარტო კაპიტალისა და საქონლის საერთაშორისო მიმოსვლაზე, არამედ ადამიანების მიმართაც, დგებიან რა ადამიანის უფლებათა დამცველის პოზიციაზე, მაგრამ მეორე მხრივ სამუშაო რესურსე-

ბის მიგრაციასთან დაკავშირებით ხდება შეზღუდვების შემოღება. ნათელია, რომ საჭიროა სხვა, უფრო კონსტრუქციულ გზების ძიება მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებით. მეტნაკლებად პერსპექტიულია მრავალფეროვანი პროგრამები ჩამორჩენილი ქვეყნების ტექნიკურ-ეკონომიკური ურთიერთმოქმედებისათვის. ამ თვალსაზრისით შეიძლება იქნას მიღწეული მოცემულ კონსტექსში ორი მიზანი: დაჩქარებული ეკონომიკური ტემპებით დაწეული იქნას არსებული მოსახლეობის ზრდადობა და შესაბამისად ჭარბი სამუშაო ძალის ზრდადობა სამუშაოს დამკვეთ ქვეყნებში. ერთდროულად უნდა მოხდეს მათი მოსახლეობის მიბმა არსებულ სამუშაო ადგილებზე ზემოთ მოყვანილ ქვეყნებში.

შიდა მიგრაციები: ეს მიგრაცია ხდება ქვეყნის შიგნით. ისინი ავლენენ ქვეყნის სოციალურ-კულტურულ ყოფის მთავარ თვისებებს.

შიდა მიგრაციებს მიეკუთვნება:

1. სეზონური მიგრაციები. მათში იგულისხმება დროებითი გადაადგილება მოსახლეობისა, რომელიც გამოწვეულია დამატებითი სამუშაო ძალის მიზიდვის აუცილებლობით სეზონურ სამუშაოებში. სეზონური სამუშაოები დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, მშენებლობასთან.

მაგალითად, საქონლის გადაყვანასთან, მეორე საძოვარზე, მოსავლის აღებასთან, სეზონური სამშენებლო და ტყის მასალის დამამზადებელ სამუშაოებთან, ნადირობის სეზონთან, მეთევზეობასთან.

2. მორიგე მიგრაცია. ის ტიპიურია იმ რაიონებისათვის სადაც ექსტრემალური ბუნებრივი პირობები საშუალებას არ იძლევა, რათა შეიქმნას დასახლება მუდმივი მცხოვრებლებით. მაგალითად, ნედლეულის მოპოვება უკიდურეს ჩრდილოეთში, უდაბნოებში, ზღვის შელფზე.

3) რეგულარული მიგრაცია. ეს არის რეგულარული, ჩვეულებრივად ყოველდღიური გადაადგილება მოსახლეობისა ერთი დასახლებული პუნქტიადან მეორეში სამუშაოდ ან სწავლის-

თვის. განსაკუთრებით განვითარებულია რეგულარული მიგრაცია მსხვილ ქალაქების ქალაქგარეთ ზონებში.

4) მომთაბარე ეს არის განსაკუთრებული ტრადიციული ფორმა სამეურნეო მოღვაწეობისა და მასთან დაკავშირებული საცხოვრისის (მაგალითად, მომთაბარე მეცხოველეობა, მომთაბარე შემგროვებლობა, ნადირობა, პრიმიტიული ტრადიციული მომსახურეობის გამწევი ისეთი სახეებიც, როგორიცაა: მკითხაობა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, ველური ცხოველების ჩვენება და ა.შ.) ახალი სახე მომთაბარული მიგრაცია გამოჩნდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის. ის არის თანამედროვე სოფლის მეურნეობის მომთაბარული ფორმა. მისი სუბიექტები არიან ადამიანები, მცხოვრებნი ტრაილერებში და მისით გადაადგილებულები განსაზღვრული მარშუტის მიხედვით, წლიდან წლამდე, ფერმიდან ფერმაში. სტატისტიკის მიხედვით, აშ-ში გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელმაც არ იციან ტრაილერის გარდა სხვა სახლი და ცხოვრების სტილი.

5) იძულებითი გადასახლება, შიდა მიგრაციის ეს სახე გაჩნდა რუსეთში, თუმცა 1917 წლამდეც იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა თანამედროვე პერიოდში. ეს გამოსახლებაა „გაკულაკებული“ ყოფილი „ექსპლოატატორიულ კლარებისა, დეპორტაცია რიგი ხალხებისა მეორე მსიფლიო ომის დროს.

6) **ახალი მიწების ათვისება და კოლონიზაცია.** ახალი მიწების ათვისება, როგორც მიგრაცია დამახასიათებელია უპირველს ყოვლისა იმ ქვეყნებისთვის რომლითაც გააჩნიათ დიდი ტერიტორია და მოსახლეობის სიმჭიდროვის მკვეთრი კონსტრასტულობა, ასეთებია კანადა, რუსეთი, ავსტრალია, ბრაზილია, ჩინეთი, ყაზახეთი.

7) **მოსახლეობის გადასვლა სოფლიდან ქალაქში**, ჩვენს დროში ამან ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ მას ეძახიან მეოცე საუკუნის „უდიდეს განსახლებას ხალხებისას“.

ხშირ შემთხვევაში მიგრაციას მივყავართ მიგრანტების საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე ე.ი. ისინი არ ბრუნდებიან

პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე, მაგრამ არსებობს დროებითი მიგრაციებიც, ე.ი. რომელიც ხორციელდება გარკვეულ ვადებში გარკვეულ დროდან დრომდე. ზოგჯერ დროებითი გადაადგილება საერთოდ არ არის დაკავშირებული მიგრაციასთან. ასევე მაგალითად, მათ არ მიეკუთვნებათ ადამიანების გადასვლა შვებულების დროს სხვა რაიონსა და ქვეყნებში. ხანგრძლივი მივლინება ბევრ ქვეყანაში ასევე არ არის მიგრაცია. დროებითი მიგრაციები ძირითადად მიეკუთვნებიან შრომით მიგრაციებს. ზემოთ დასახელებული შიდა მიგრაციის სახეობებს შორის ეს არის სეზონური, მორიგე, რეგულარული და მომთაბარე მიგრაციები,

მიგრაციები იყო და რჩება გავლენის მნიშვნელოვან ფაქტორად მრავალ ქვეყნებში, საზოგადოებრივი განვითარების ბევრ ასპექტზე.

მიგრაციას შეუძლია სამრეწველო პოტენციალის მთლიანი გამოყენება. მათი მთავარი ფუნქცია ზუსტად იკვეთება მოსახლეობის განსაზღვრულ დონეზე უზრუნველყოფისა და მათ ტერიტორიულ გადანაწილებაში.

მიგრაცია გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურის ცვლილებაზე, დემოგრაფიულ პროცესებზე.

მიგრაციას აქვს დიდი გავლენა თვით ადამიანებზე, ეს რთული სოციალური პროცესია, რომელიც შედგება თვით მიგრაციისაგან და გეოპოლიტიკურ სივრცეში ცხოვრების ახალ პირობებთან ადაპტაციაში. ამიტომ ისინი მკვეთრად უმაღლებენ ფასს ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა უზრუნველყოფა, დინამიზმი, მიხვედრილობა, ორიენტაციის უნარი, რომელიც ეხმარება ახალ გარემოსთან სწრაფად და ცვალებად სიტუაციაში შეგუებას.

ამასთან მიგრაციის შედეგები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ერთ რაიონის სოციალური ეკონომიკური რეგრესი და დაცარიელება და მეორე რაიონში მოსახლეობის დიდი კონცენტრაცია. ეთნოკულტურული ახალი სოციალური კონფლიქტები, მათ შორის ეთნოკულტურულ საფუძველზეც.

მოსახლეობის განსახლება
სოფლის მოსახლეობის განსახლება

ცნება „მოსახლეობის განსახლება" როგორც ავღნიშნეთ აღნიშნავს არა მარტო მოსახლეობის გადაადგილებასა და დასახლებას, არამედ ამ პროცესის შედეგსაც დასახლებული ადგილების შეჯერების სახით.

დასახლებული პუნქტი შეიძლება ვუწოდოთ ნებისმიერ ადგილს დედამიწის ქერქზე, სადაც არის ადამიანის საცხოვრისი. ადამიანთა დასახლება მრავალფეროვანია და მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ზომით, ფუნქციით, წარმომავლობით, ბუნებრივი და ტერიტორიული თავისებურებებით, დაგეგმარებით, კეთილმოწყობის დონით და ა.შ. ნებისმიერი ამ პარამეტრთაგანი შეიძლება გამოვიყენოთ მოსახლეობის კლასიფიკაციისადმი. მაგრამ ყოველგვარი კლასიფიკაციის საფუძველია მათი დაყოფა სოფლისა და ქალაქის მიხედვით.

სოფლის დასახლებებს არ გააჩნიათ ზუსტი და მთლიანი განსაღვრება. მათ შორის შეიძლება მივაკუთვნოთ პატარა ტიპის დასახლებული პუნქტები, რომლის მცხოვრებლები დაკავებულნი არიან ტერიტორიიდან გამომდინარე გარკვეული მოღვაწეობის სახეებით. მთავარი ფუნქციებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მიხედვით გამოიყოფა სოფლის დასახლების სამი ეტაპი.

1. სოფლის მეურნეობის დასახლება. მისი მცხოვრებლები დაკავებულნი არიან სოფლის მეურნეობით. ამგვარ სახის სოფლის დასახლებებისათვის არსებობს მრავალი სახელწოდებები:

დაბა, სოფელი, ხუტორები, ფერმა, აულები, ყიშლები და სხვა.

2. სოფლის მეურნეობის გარე დასახლება. მათი მცხოვრებლები არ არიან დასაქმებული სოფლის მეურნეობის სფეროში და მონაწილეობენ სხვაგვარ ტერიტორიულად განაწილებულ ფუნქციებში ე.ი. სატყეო მეურნეობაში, ტრანსპორტზე,

ნავთობის მოპოვებაზე და ა.შ. მათ მიეკუთვნებათ სამსახურეობრივი დასახლებები, რომლებიც არსებობენ სანატორიუმებთან, დასასვენებელ სახლებთან, სატუმბავ სადგურებთან, სამეცნიერო დანიშნულების ობიექტებთან და აგრეთვე კერძო სამშენებლო მასასთან.

მაგალითად, გზების კონტროლიორების, ტყისმცველების, ნიშნების მაკონტროლებლების სახლები და ა.შ.

3. აგროინდუსტრიული დასახლება. ცნება „აგროინდუსტრიული დასახლება" შეიცავს ორი ტიპის თვისებას. ასეთი დასახლება ფორმირდება სოფლის მეურნეობის ნედლეულის, გადამამუშავებელი მრეწველობის ბაზაზე.

ამგვარად, საჭიროა განვასხვავოთ ცნება „სოფლის დასახლება" და სოფლის მეურნეობის გადასახლება". განსაკუთრებით დიდია ეს განსხვავება განვითარებად ქვეყნებში. სოფლის მცხოვრებლები შეადგენენ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს, შესაბამისად 15%-ს მოსახლეობისა, თუმცა ადამიანები ცხოვრობენ სოფლის სექტორში, მაგრამ არ მუშაობენ აგრარულ სექტორში (სოფლის მოსახლეობის წილზე მოდის 10%-ზე ნაკლები)

მე-19 საუკუნის დასაწყისამდე სოფლის მოსახლეობა გაცილებით დიდი იყო, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებშიც კი. მე-20 ს. დასავლეთში მოხდა მათი რიცხობრივობის შემცირება. მარტო 1970-1990 წლებში განვითარებულმა ქვეყნებმა „ დაკარგეს" 66 მილიონამდე სოფლის მცხოვრები. განვითარებად ქვეყნებში სოფლის მოსახლეობა დღესაც შეადგენს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ეს განაპირობებს თანამედროვე შედარებას სოფლის და ქალაქის მცხოვრებლებისას; 2000 წელს სოფლის მოსახლების წილზე მოდიოდა 52,5 %, ე.ი. მსოფლიოში ჯერ კიდევ სოფლის მოსახლეობა აჭარბებს, ქალაქის მოსახლეობას.

მსოფლიოს რეგიონების მიხედვით სურათი არ შეიძლება საერთო იყოს ყველასათვის. 1990 წელს აფრიკაში სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 64,45%-ს, ლათინურ ამერიკაში- 29,44%-ს,

ჩრდილოეთ ამერიკაში-22,88%-ს, დასავლეთ ევროპაში- 18,83%, სამხრეთ აზიაში- 69,94%-ს.

რუსეთში 2002 წლის აღწერის მიხედვით ითვლებოდა 155 289 სოფლის პუნქტი, ამათგან 13086 პუნქტი დაუსახლებელი იყო, სოფლის რაიონში ცხოვრობს მთელი რუსეთის მოსახლეობის 27% . მოსახლეების ნახევარზე მეტი ცხოვრობს მსხვილ და დიდ სოფლის დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 1000 ადამიანს შეადგენს.

ქალაქური დასახლება.

იგი წარმოადგენს ტერიტორიული კონცენტრაციის განსაკუთრებულ სახეს. საერთო აზრით ქალაქი არის - მსხვილი დასახლებული პუნქტი, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა არ არის დაკავებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, არამედ: მრეწველობაში, ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში, მეცნიერებაში, კულტურაში.

ერთიანი კრიტერიუმები საქლაქო დასახლებების პუნქტებისათვის არ არსებობს. ქალაქის მოსახლეობის კრიტერიუმი მერყეობს 200 ადამიანიდან დანიაში, 100 ათას ადამიანამდე ჩინეთში. აშშ-ში რაოდენობა ქალაქის მოსახლეობისა არის 2.5 ათასი ადამიანი, იაპონიაში - 30 ათასი ადამიანი, რუსეთში - 12 ათასი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოგრაფების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის ქვემო ზღვარი ქალაქებში მსოფლიოს მასშტაბით, იწყება 20 ათასი ადამინიდან. ამიტომ გაერთიანებულ ერების მონაცემები განსხვავდება ნაციონალური აღრიცხვისგან.

მსოფლიოში ქალაქების გამოსაყოფად აგრეთვე ფართოდ გავრცელებულია ადმინისტრაციული კრიტერიუმები (ალჟირი, ეკვადორი, მეფის რუსეთი და ა.შ) რამდენიმე ქვეყანაში ქალაქების გამოყოფისას ეყრდნობიან ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა მოსახლეობის სიმჭიდროვე და მშენებლობების სიმჭიდროვე. (იაპონიაში, მაგალითად ამგვარი სიმჭიდროვე ქალაქისათვის შეადგენს არა ნაკლებად 4 მოსახლეს 1 კმ^2) არსებობს აგრეთვე ე.წ. საქალაქო ნიშნების კრიტერიუმი, რო-

მელთა შორის მოიაზრება კეთილმოწყობის დონე, კეთილმოწ-ყობათა ჩამონათვალი, (მოწყობილი ქუჩები, ელექტროობა, კანლიზაცია, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელი). ეს კრიტერიუმები გამოიყენება მაგალითად ზამბიაში, პერუში, ინდონეზიაში.

ადამიანების რაოდენობის მიხედვით ქალაქები კლასი-ფიცირდება შემდეგი სახით: პატარა ქალქები - 50 000-მდე მცხოვრებით, საშუალო ქალაქები 50-100 ათასი მცხოვრებით, დიდი ქალაქები 100-250 ათასი მცხოვრებით, მსხვილი ქალაქები - 250-500 ათასი მცხოვრებით, უმსხვილესი ქალაქები - 500 ათასი-დან 1 მილიონამდე, და ქალაქები მილიონიანი -1 მილიონს ზე-ვით.

პირველი ქალაქები აღმოცენდნენ უძველეს დროში, და ამგვარად საქალქო ცხოვრებას აქვს ხანგრძლივი ისტორია.

ურბანიზაციის თანამედროვე პროცესები და მისი რე-გიონული თავისებურებანი.

ტერმინი „ურბანიზაცია" (ლათ. urbus-,,ქალაქი") გაჩნდა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

აზრთა ერთობლიობა ურბანიზაციის ცნების განსაზღვრაში არ არსებობს. ურბანიზაცია განიხილება როგორც მრეწველობის კონცენტრაცია და ქალალების დასახლება, აგრეთვე ყველგან სა-ქალაქო ცხოვრების წესის გავრცელება.

ურბანიზაციის ცნების ქვეშ მოიაზრება რაოდენობა და რიცხობრიობა, ქალაქური დასახლებები, ქალაქის მცხოვრებთა რიცხობრიობის განსაზღვრა მოსახლეობის საერთო რაოდენობა-ში.

კიდევ ერთი განსაზღვრება ურბანიზაციისა : ურბანიზა-ცია- ეს ისტორიული პროცესია, ქალაქის როლის გაზრდა საზოგა-დოების განვითარებაში, რომელიც მოიცავს ცვლილებებს მრეწვე-ლობის განლაგებაში, უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის განსახ-

ლებაში, მის სოციალურ-პროფესიულ, დემოკრატიულ სტრუქტურაში, ცხოვრების სახეში, კულტურაში და ა.შ.

როგორც ყველა ზემოთმოყვანილი განსაზღვრებებიდან ჩანს ურბანიზაცია რთული პროცესია, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს: დემოგრაფიულს, სოციალურს, ეკონომიკურს, და სხვა. ურბანიზაციის მთავარი მაჩვენებელია ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა და მათი წილი მთელ მოსახლეობაში (ურბანიზაცია ,,სიფართეში"). ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელების პროცესი სასოფლო ადგილებში იწოდება რურბანიზაციად. (ლათინურად rura ,,სასოფლო")

ლიტერატურაში შეიძლება შევხვდეთ საქალაქო ცხოვრების წესის შემდეგ მახასიათებლებს: მოსახლეობის განვითარების გაუმჯობესება, საკუთრი ფენის შეჩევის თავისუფლება, ასევე ამ ფენიდან მსუბუქად იზოლირების საშუალება, სამუშაო დროის რეგულირება და თავისუფალი დროის დაგეგმვის შესაძლებლობა; ოჯახის დეზინტეგრაცია; ოჯახის საშუალო სიდიდისა და საშინაო მეურნეობის შემცირება.

მსოფლიო ურბანიზაციის პროცესებში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი. უკანასკნელი, თანამედროვე დაიწყო მე-20 საუკუნის შუაში. ზუსტად ამ დროს ურბანიზაცია საბოლოოდ გახდა გლობალური პროცესი, რომელმაც მოიცვა მსოფლიოს ყველა რეგიონი.

თანამედროვე ეტაპის ურბანიზაციის დამახასიათ ბელი თვისებებია:

1) საქალაქო მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარება. 1950 წელს ქალაქის მოსახლეობაზე მოდიოდა მსოფლიოში 29,3%, 2000 წელს-უკვე 47,5%.

2) დიდი ქალაქების რაოდენობის გაზრდა. 1950 წელს მსოფლიოში ირიცხებოდა 950 ქალაქი 100 ათასი ადამიანით დასახლეებული, და მათში ცხოვრობდა მოსახლეობის 5% შესაბამისი მაჩვენებელი 2000 წლისათვის -4000 ქალაქი და მასში თავმოყრილი 1/3 მსოფლიო მოსახლეობისა.

3) საქალაქო აგლომერაციების სწაფი ზრდა და მათი როლი.

საქალაქო აგლომერაცია - ეს არის კომპაქტური სივრცითი დაჯგუფება დასახლების (მთავარი სახით-ქალაქის), რომლებიც დაკავშირებულია მრავალსახეობითი კავშირებით (სამრეწველო, შრომითი, კულტურული, რეკრეაციული) რთულ, მრავალკომპონენტურ სისტემაში. აგლომერაციები მოვიდნენ „წერტილის ოდენა" ქალაქის შემცვლელად, ისინი ცვლიან წინა საქალაქო დასახლებების სისტემას.

სტატისტიკა გვიჩვენებს არა მარტო აგლომერაციის რიცხვის ზრდას, არამედ კიდევ დიდ რიცხობრივ სიდიდეს „მილიონერითა" აგლომერაციას. მილიონიან ქალაქებში დღეს ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 21% და 40% მთელი ქალაქის მოსახლეობის (მათი რიცხვი მე-20 საუკუნის ბოლოს 330-ზე მეტი იყო).

მსოფლიოს მსხვილ აგლომერაციებია – ტოკიო (27.9 მლ ადამიანი), მუმბაია (18.1 მლ ადამიანი), სან-პაულო (17.8 მლ), შანხაი (17.2 მლ), ნიუ-ორკი (16.6 მლ), მეხიკო (16.4 მლ) პეკინი (14.2 მლ) ჯაკარტა (14.1 მლ) ალაგორი (13.5მლ), ლოს-ანჯელესი (13.1) რუსულ აგლომერაციებიდან მსოფლიოს 25 უმსხვილესი აგლომერაციაშია მოსკოვი, 9.8 მლ მცოხვრები.

4. სულ უფრო მკვეთრად გამოვლენა ჰიპერურბანიზაციის მრავალგვარი ფორმებისა. ერთ-ერთო „სავიზიტო ბარათი" ამ პროცესებში არის მეგაპოლისები.

მეგაპოლისი - საკმაოდ მსხვილი ფორმაა საქალაქო გადასახლებისა, რომელიც აღმოცენდა მეზობელ აგლომერაციების დიდი რიცხვის შენიშვნების ნიადაგზე. მეგაპოლისები არ წარმოადგენენ საქალაქო მშენებლობის თავმოყრას, მათი მოედნის 90% შეადგენს ღია სივრცეს.

მსოფლიოს უმსხვილესი მეგაპოლის მიეკუთვნება აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთი, 45 მლ – მოსახლეობით (უმსხვილესი აგლომერაცია-ნიუ-ორკში), აშშ ტბისპირა (მოსახლეობა 35 მლ, უმსხვილესი აგრომერაცია-ჩიკაგო); წყნარი ოკეანის (20 მლ. მო-

სახლეობა), უმსხვილესი აგრომერაცია-ლოს-ანჯელესი) ტოკაიდო – იაპონიაში (მოსახლეობა - 55 მლ. უმსხვილესი აგრომერაცია – ტოკიო), ინგლისური დიდ ბრიტანეთში (უმსხვილესი აგლომერაცია – ლონდონი, მოსახლეობა 30 მლ), რეინის (უმსხვილესი აგლომერაცია რეინ-რურსი, მოსახლეობა 30 მლ, და სხვა. უმსხვილესი მეგაპოლისად ითვლება ტოკაიდო – ურბანიზებული ზონა, რომელიც გადაჭიმულია ტოკიოდან ოსაკამდე და მოიცავს 70 ათას კვ.მ.

სპეციალიტები პროგნოზირებენ მსხვილი აგრომერაციის და მეგაპოლისების რიცხვის გაზრდას. ერთერთი ამ უკანასკნელთაგანი ფორმდება რუსეთში, მოსკოვსა და ქვემო ნოვგოროდს შორის.

ურბანიზაციის თანამედროვე პროცესი იქცა რა მსოფლიო, გლობალურ მოვლენად, გამოირჩევა დიდი სხვადასხვაობით, ნაირგვარი ფერებით, რომლებიც გადადის რეგიონებზე, სუბრეგიონებზე, ქვეყნებზე. აღნიშნულ მრავალფეროვნებასთან გენერალიზებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ორი ტიპის ურბანიზაცია. ერთი მათგანი დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის, მეორე –განვითარებადი ქვეყნებისათვის. განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი თვისებები:

1. ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა დაკავშირებულია ბუნებრივ ზრდობასთან. განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მოსახლეობის ნაკადი ქალაქში მასობრივ ხასიათს არ ატარებს, ამიტომ საქალაქო მოსახლეობის ზრდის ტემპი დადაბლდა საშუალოდ 0.6-0.8%- მდე.

2. ქალაქის მოსახლეობის ახალი ფორმების ზრდა (აგლომერაციები, ურბანიზებული რაიონები, ზონები, მეგაპოლისები), ურბანიზაციის პროცესის განვითარება, რებურბანიზაციის პროცესის საფუძველში (ე.ი. უფრო ინტენსიური ზრდა ქალაქის მიმდებარე ზონების მოსახლეობის) შედარებით ქალაქებისა და აგლომერაციების ცენტრებთან დევს რიგი მიზეზები: ზრდადი ფასები საცხოვრებელ ადგილებზე ცენტრში და შესაბამისად საცხოვრისზე ფასის მომატება; უკიდურესად დომესტიკაცია და

ა.შ. მისი გადაყვანა საცხოვრებელ ნაგებობაში, არც თუ დიდ ოფისებში და ა.შ.

ამასთანავე, როგორც პასუხობენ ბევრი ავტორები, განვითარებულ ქვეყნებში, ერთდოულად ხდება დეზურბანიზაციის პროცესი, ე.ი. მოსახლეობის ნაკადის სოფლის შემოგარენში გადასვლა. ორგანიზაციის ტიპიურ თავისებურებებად განვითარებად ქვეყნებში შეიძლება დასახელდეს შემდეგი:

1. ქალაქის მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი. საშუალოდ ის შეადგენს 3.5% წელიწადში, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

2. ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის მიგრანტების ხარჯზე.

3. ფენომენალური ზრდა არა მარტო ქალაქის, არამედ მსხვილი საქალაქო დასახლებისა. მსოფლიოს უმსხვილეს 23 ქალაქს შორის (რომელთა მოსახლეობა 26.4 მლ-დან 10 მლ-მდე) ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებზე მოდის მხოლოდ 8, დანარჩენებს შორისაა 15 მეხიკო, მუმბაი, სან-პაულო, ლაგორი, შანხაი, კოლკატა, (კალკუტა) ბუენოს აირესი, დაკკა, კარაჩი, მანილა და სხვა.

4. ურბანიზაციის მაღალი ტემპი ურბანიზებულობის დაბალ დონესთან. თუკი მთელ მსოფლიოში 2000 წელს ქალაქის მოსახლეობის წილზე მოდიოდა 47.5%, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში -75.%, განვითარებად ქვეყნებში კი მხოლოდ 41%. ესეიგი აქ არის საშუალო მსოფლიო დონეზე დაბალი ორგანიზებულობა.

რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის სწრაფ ზრდას აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ბევრად წინ უსწრებს მათ რეალურ განვითარებას. ზედმეტი სოფლის მოსახლეობა, შეუწყვეტლად გამოდევნილი ქალაქებიდან, ავსებს უსახლკარო ადამიანთა რიცხვებს, რომელბიც ცხოვრობენ უკიდურესად სიღარიბესა და ქალაქის მივარდნილ უბნებში. ასეთი ურბანიზაციას უწოდებენ –ცრუს.

მსოფლიოს რეგიონები ურბანიზაციის დონით (2000 წლის % მონაცემებით) შემდეგნაირად გამოიყურება: ჩრდილოეთ ამერიკა – 78%, ლათინური ამერიკა 77%, საზღვრის იქითა ევროპა-76%, ავსტრალია და ოკეანეთი 74%, თავისუფალ სახელმწიფოთა თანამეგობრობა 64%. საზღვრის იქითა აზია-38%, აფრიკა -37%,.

ბუნებრივია, რომ ურბანიზაციის დონით გამოირჩევიან არა მარტო რეგიონები, არამედ ქვეყნებიც. ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნები შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ: სახელმწიფოები მაღალი ურნაბიზაციის დონით -70%-ზე მეტი, საშუალო ურნაბიზაციის 40-დან 70%-მდე და დაბალი ურბანიზაციით -40%-ზე ნაკლლები ქალაქის მოსახლეობა.

მეტნაკლებად მაღალურბანიზებულ მსოფლიოს ქვეყნებად ითვლება –სინგაპური (100% ქალაქის მოსახლეობა), ბელგია (97%), ქუვეითი (97%), ისლანდია (92%), ისრაელი (92%), ურუგვაი (91%), დიდი ბრიტანეთი (91%), ნიდერლანდები(89%), არგენტინა(89%), ლუიბანი (89%).

მეტნაკლებად ურბანიზებულ ქვეყნებს მიეკუთვნება უმეტესწილად ტროპიკული აფრიკის ქვეყნები, აზიის რამოდენიმე ქვეყნის დამატებით (რუანდა, კამბოჯა, ბუტანი, ეთიოპია, ნეპალი და სხვა).

რუსეთი მიეკუთვნება მაღალურბანიზებულ ქვეყანათა რიცხვს 73% 2003 წლის მონაცემებით, მაგრამ რეგიონული განსხვავებები ამ მაჩვენებლის მიხედვით საკმაოდ არსებითია: 82.3% ჩრდილო-დასავლეთ ფედერალური ოლქში (აქ. რუსეთში ყველაზე მაღალი ურბანიზაციის დონეა) 57.1%-მდე სამხრეთში, სადაც ის ყველაზე დაბალია.

ურბანიზაციის პროცესის შესწავლა მოიცავს გადასახლებული სხვა მრავალ ასპექტს: ურბანიზაცია და დემოგრაფია, ურბანიზაცია და მიგრაცია, ურბანიზაცია და ეკოლოგია და ა.შ. საერთო წუხილს მსოფლიო საზოგადოებაში იწვევს ქალაქების ნეგატიური ზემოქმედება გარემომცველი ბუნებრივ შრეზე –ქალაქები მისი ტრანსფორმაციის მსხვილი შენაკადია. მსხვილ ქალაქებში შეუძლებელია ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა.

ამიტომ, განსახლების მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის რეალიზაცია –აქტიური ამოცანაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

ქსელი და განსახლების სისტემა

ახალი ფორმების გამოჩენა და განვითარება განსახლების სისტემის პროცესის სტიმულირებას ახდენს ტერიტორიულ მთლიანობაში, ხდის ფუნქციონალურად დაკავშირებულს, შენივთებულებს დასახლებასთან.

ქალაქები არიან ძირეული ელემენტები ამ სისტემებში. ტერიტორიის ეკონომიკური კარკასის უმთავრეს მდგომარეობა შედგება ქალაქებისა და გზების ქსელებისაგან, როგორც საფუძველი, რომელსაც ყველაფერი ემყარება და ტერიტორიას ფორმირებას და გარკვეულ კონფიგურაციას აძლევს.

განსახლების სისტემები ხასიათდება, როგორც მასში შემავალი დასახლების პარამეტრები, ასევე შემადგენელი ინტენსიური სოციალურ-ეკონომიკური კავშირები მათ შორის ე.ი. განსახლების სისტემები მათში რთავენ – დასახლების ქსელს, ყველა დასახლების პუნქტის ერთობლიობას, რომლებიც განლაგებულნი არიან რომელიღაც ტერიტორიაზე, რომელიც განსაზღვრავს იმას, რასაც ვუწოდებთ ტერიტორიის ნახატს. მაგრამ იმისათვის, რომ გარდაიქმნას დასახლების ქსელი მთლიან-ტერიტორიულ სისტემად, ამისათვის საჭიროა მომარაგდეს მათ შორის მაღალი ინტენსივობის კავშირი.

ასეთი ინტენსივობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ საერთი სამრეწველო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, კულტურულ-სოციალური მომსახურების ერთიანი ცენტრში, მოსახლეობის დასვენებისა ადგილზე, ის არ შეიძლება იქნეს მიღწეული განსახლების სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე.

თანამედროვეობაში განსახლების ერთიანი სისტემის კონცეფცია არსებობს მსოფლიოს მრვალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც.

განსახლების სისტემები ნაირგვარ იერარქიულ დონეებზე (ლოკალური, რეგიონალური, ქვეყნის საერთო დონეზე) საშუალებას გვაძლევს უფრო თანაწორად განვათავსოთ მოსახლეობა ტერიტორიებზე, სტიმულირება გავუწიოთ დიდი და პატარა ქალაქების ზრდას, შევწყვიტოთ დისპროპორციული ზრდა ქალაქებისა , მზრუნველიობა გავუწიოთ ქალაქისა და სოფლის დასახლებების შეთანხმებულ განვითარებას. განვთარებულ ქვეყნებში ეს ამოცანები ასე თუ ისე წყდება განსახლების სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით, თუმცა რჩება არცთუ ცოტა პრობლემები, რაც განსახლებასთანაა დაკავშირებული.

ამგვარად, რეგიონული მახასიათებელი „მოსახლეობის განსახლებისაა" უნდა ასახავდეს ისეთ სიუჟეტებს, როგორიცაა:

1. მოსახლეობის განვითარება, მისი ტერიტორიული განკარგვა;

2. მიგრაციის თავისებურებანი, მათი როლი სოციალურ-ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, დემოგრაფიულ პროცესებში, რომლებიც ხდება შესასწავლ ტერიტორიაზე, ურთიერთკავშირი მოსახლეობის განსახლებასთან და მეურნეობის განთავსებასთან.

3. ქალქური განსახლების თავისებურებანი, ქალაქების, როგორც მძლავრი კარკასების როლი;

4. ქალაქის ფენის ხარისხი, მისი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა;

5. სოფლის განსახლების თავისებურებანი;

6. განსახლების სისტემის შექმნა, განსახლების საერთო სახელმწიფოებრივი და რეგიონალური პოლიტიკა.

ლექცია 6

რეგიონმცოდნეობის ნიშნები - საზოგადოება და მეურნეობა

საზოგადოება, ბუნებისაგან განყენებული მაგრამ მასთან დაკავშირებული მატერიალური ნაწილია, რომელიც საკუთარ თავში მოიაზრებს სოციალურ ურთიერთქმედების საშუალებებსა და ადამიანების გაერთიანების ფორმებს, რომლებიც ქმნიან შრომის იარაღებს და მოიხმარებენ მათ შრომის პროცესში. სიტყვის ფართო გაგებით, ეს არის ადამინის სოციალური ურთიერთმქედებისა და მათი ერთობლივი ცხოველმყოფელობის ორგანიზაციის ფორმების ნაერთი, რომელიც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული.

ადამიანთა თანასაზოგადოებას სოციუმს ვუწოდებთ. ის ხასიათდება იმით, რომ თანასაზოგადოების წევრები იკავებენ განსაზღვრულ ტერიტორიას და ეწევიან კოლექტიურ სამრეწველო საქმიანობას. საზოგადოებას გააჩნია წარმოებითი პროდუქტის განაწილების ადგილი.

საზოგადოება – სოციუმია, რომელსაც მიეწერება წარმოებითი და სოციალური შრომის განაწილება. საზოგადოებას ახასიათებს ბევრი ნიშანი: მაგ. ნაციონალურობის მიხედვით: ფრანგული, რუსული, გერმანული, სახელმწიფოებრივი და კულტურული ნიშნით, ტერიტორიული და დროებითი, წარმოების საშუალებების მიხედვით და სხვა.

ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები არ ფლობენ, გადაუდებელ საშულებებსა და თვისებებს, იმისათვის რომ უზრუნველყონ თავიანთი მატერიალური ყოფა (მატერიის მოხმარება, მატერიის დაგროვება, კვლავწარმოება). ასეთი ცოცხალი ორგანიზმები ქმნიან თანასაზოგადოებას, დროებით ან მუდმივს, რათა უზრუნველყონ თავიანთი მატერიალური ყოფა.

არის თანასაზოგადოება რომლებიც ფაქტიურად ერთ ორგანიზმს წარმოადგენენ. მაგ: სკა, ჭიანჭველების ბუდე და ა.შ. მათში ადგილი აქვთ თანასაზოგადოების წევრებს შორის ბიოლოგიური ფუნქციის გადანაწილებას. ამ ორგანიზმების სახეობები თანასაზოგადოების გარეშე იღუპებიან. არის დროებითი თანასაზოგადოება – ჯოგი, ფარა, მათში როგორც წესი გამორჩეულები წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას, არ ქმნიან შემთხვევით კავშირებს. ყველა საზოგადოების საერთო თვისებაა, რომ შენარჩუნდეს მოცემული ცოცხალი ორგანიზმის სახეობა.

ცნებას საზოგადოება გააჩნია ბევრი მნიშვნელობა და გამოიყენება ყველა განსაზღვრებისას პროდუქტიულად. ყველაზე ხშირად ცნება „საზოგადოება" აერთიანებს, ახასიათებს ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც გააჩნიათ რაღაც საერთო (პროფესიული საზოგადოება, უმაღლესი საზოგადოება, ქართული საზოგადოება, ევროპული საზოგადოება, საერტაშორისო საზოგდოება). ადამიანთა დიდი და მცირე ჯგუფები არ არსებობენ დროსა და სივრცეში. ისინი ცხოვრობენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოებრივი საზღვრები. გარდა ამისა, ისინი სარგებლობენ იმ სახელმწიფოს დაცვითა და მფარველობით, რომლის მოქალაქეებადაც ითვლებიან.

ცნება „ქვეყანა" გამოხატავს ტერიტორიის გეოგრაფიულ თავისებურებას ან დედამიწის ნაწილს, რომელთაც გააჩნია განსაზღვრული საზღვრები და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. სუვერენიტეტის ცნების ქვეშ გულისხმობენ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას სხვებისაგან, მისი მოვალეობაა გაატაროს საკუთარი შინა და საგარეო პოლიტიკა. ცნება სახელმწიფო ახასიათებს პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციას მოცემულ ტერიტორიაზე, მის სტრუქტურას და განხორციელების საშუალებებს.

ტერმინი „საზოგადოება" გამოხატავს, მოსახლეობის სოციალურ ორგანიზაციას, (ე.ი. მართველობის ფორმას), რომელიც აკავაშირებს სოციალურ ჯგუფებს და საზოგადოებებს, სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, რომელთა სა-

შუალებითაც ხდება ინტერესების და ადამიანების მოთხოვნების სოციალური ნორმებისა და ფასეულობების რეალიზება, რომელთა საფუძველზეც ურთიერთქმედებენ ინსტუტები და ჯგუფები, ხორციელდება სოციალური კონტროლი.

ცნება საზოგადოება იხმარება იმ სოციალური შრის აღსანიშნავად სადაც მოღვაწეობს ადამიანი. საზოგადოების, როგორც სოციალური შრის სპეციფიკა შეიძლება გაგებული იქნას, როგორც საზოგადოებისა და ბუნების თანადგომა. ფართო გაგებით ბუნება განისაზღვრება, როგორც არაორგანიზებული და ორგანიზებული სამყაროს ერთიანობა, რომელშიც ადამიანი და საზოგადოება არის ბუნების ნაწილი და ვითარდება საერთო კანონების მიხედვით. ადამიანი ამ ასპექტში განიხილება როგორც ბიოლოგიური არსება.

ვიწრო გაგებით ბუნება განისაზღვრება, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული შრე, რომელიც შინაგანად ეწინააღმდეგება საზოგადოებას, ის გამოდის როგორც ადამიანის დასახლების ხელოვნური ფენა. თავად ადამიანი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც კულტურული არსება, რომელიც განსხვავდება წარმოქმნილ და ერთმანეთთან მოქმედი სოციალური ხარისხებით. ადამიანი თავისუფლებისა და გონიერების მატარებელი არსებაა, რომელსაც შეუძლია გაიცნობიეროს და დაისახოს მიზანი, მიისწრაფვის, ირჩევს მეთოდებს და თავისი მიღწევების შესაძლო შედეგებს წინასწარ განჭვრეტს. ბიოლოგიური და სოციალური საფუძვლების ჩამონათვალი ადამიანში საჭიროებას ქმნის, რათა გავიგოთ საზოგადოების აღმოცენების, მისი განვითარებისა და ადამიანური მოქმედების მიზეზები.

საზოგადოების ნიშნები

საზოგადოება - ეს ადამიანების ერთობაა, გაერთიანებაა, რომელიც ემყარება შემეცნებასა და ნებას. საზოგადოება ადამიანების გაერთიანებაა, რომელიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთში, რათა დაიკმაყოფილონ მათთვის საჭირო მოთხოვნები.

საზოგადოება ამ მოთხოვნილებათა შედეგია. საზოგადოება ეს არის ინდივიდების მყარი და მუდმივი ურთიერთმოქმედება, რომლებიც გაერთიანებული არიან ობიექტურად ჩამოყალიბებული საერთო ინტერესებით და მათ მიერ აღმოცენებული სოციალური მაჩვენებლით. საზოგადოების ხელისუფლების კანონმდებლობითი, აღმასრულებელი სასამართლო ორგანოების სახით, აგრეთვე სამართლის ნორმების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ ურთიერთქმედებას გარკვეულ ტერიტორიაზე, რათა დაიცვან მოსახლეობა გარეგანი საფრთხეებისაგან.

საზოგადოება - ეს არის სოციოკულტურული სისტემა. საერთო მნიშვნელობის და ინდივიდუალური ინტერესების, მოთხოვნილებების რეგულაცია და შეთანხმება ერთიანი საზოგადოების ფარგლებში შეუძლებელია კულტურაზე დამოკიდებული ფასეულობების სისტემის გარეშე.

ამგვარად, საზოგადოება არის მყარი და თვითგანვითარებული ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთოი ინტერესებით და ერთმანეთთან ურთიერთმოქმედ, საერთო საჭიროების მქონე ნორმებისა და ფასეულობების საფუძველზე, ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

მეცნიერებაში დიდი ხანი მუსირებდა აზრი, რომ საზოგადოების პირველ საფუძველს წარმოადგენდა მატერიალური წარმოება, პირველ ყოვლისა წარმოების საშუალებათა საკუთრება.

საზოგადოებად ადამიანთა გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი, ცალსახაა, რადგანაც არ ითვალისწინებს სხვა ფაქტორების მნიშვნელობას. მათ შორის: იდეოლოგიური, ნაციონალური, რელიგიური, გეოგრაფიული და ა.შ.

მეცნიერები განიხილავენ საზოგადოებას, როგორც ადამიანების ურთიერთქმედებას, რომლებსაც აერთიანებს საერთო კულტურა და ცხოვრობენ განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

საზოგადოება ეს არის ადამიანთა გაერთიანება, რომელთაც გააჩნიათ განსზღვრული საზღვრები, საერთო კანონმდებლობა და განსაზღვრული ნაციონალური იდენტობა. იდენტიფიკაცია აქ გაგებულია, როგორც საკუთარი თავის გაიგივება კონკრეტულ ნაციასთან და კულტურულ საზოგადოებასთან.

გამოიყოფა საზოგადოების 5 თვისება:

საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა (საერთო სალაპარაკო ენა),

საქონლისა და მომსახურეობის წარმოება, რომელიც აუცილებელია საზოგადოების არსებობისთვის,

საქონლისა და მომსახურეობის განაწილება,

საზოგადოების წევრების დაცვა ფიზიკური საშიშროებისაგან, საზოგადოების წევრების კონტროლი, იმისთვის, რათა უზრუნველყოთ საზოგადოების მოღვაწეობისათვის შესაბამისი პირობები და მის წევრებს შორის დარეგულირდეს კონფლიქტები.

ასევე გამოყოფა საზოგადოების ისეთ ჩანასახები, როგორიცაა, ადამიანების გაერთიანება, რომლებიც არა არიან სხვა უფრო დიდი სისტემის ნაწილები. მოცემული გაერთიანების წევრებს შორის ქორწინება, მოსახლეობის მატების კავშირი შობადობასთან; ადამიანების გაერთიანება, რომელთაც გააჩნით საკუთარი ტერიტორია; საკუთარი სახელწოდებისა და ისტორიის ჩამონათვალი; ფასეულობის საერთო სისტემა (ტრადიციები, წესჩვეულებები, ფასეულობები), რომელსაც კულტურას უწოდებენ; საკუთარი მართვის სისტემის არსებობა; კონკრეტული ინდივიდის სიცოცხლის მანძილზე საზოგადოების გაერთიანების არსებობის ხანგრძლივობა.

საზოგადოება ეს ახალი განყოფილებაა რეგიონთმცოდნეობაში. ტერმინი ”საზოგადოება” გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. მოცემულ მომენტში საზოგადოება ეს არის ქვეყნის, რეგიონის მოქალაქეები, მოსახლეობა, რომელიც განიხილება შენივთებულად ტერიტორიასთან, ინტერესებთან, მოთხოვნილებებთან, სურვილებთან, დარწმუნებასთან, ქცევასა და ფსიქოლოგიასთან.

რეგიონთმცოდნეობის ანალიზიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნულ მნიშვნელობასთან მიმართებაში "საზოგადოება" შეიძლება იყოს ტერიტორიული თავისებურების რთული შენაერთი, აგრეთვე სხვადასხვა სოციალური ჯგუფები (სოციალურ-კლასობრივი, ნაციონალური, სქესობრივ-ასაკობრივი და ა.შ.) და ურთიერთობა ერთმანეთს შორის.

აღსანიშნავია, რომ "საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაცია" მკაცრად მეცნიერულ გაგებით უფრო მოქნილი შინაარსის მატარებელია. ეს არის ორმხრივად განპირობებული თანხმობა და ფუნქციონირება მოსახლეობის განსახლების სისტემისა, მეურნეობისა და ბუნების მოხმარებისა, ინფორმაციისა და ცხოვრების უზრუნველყოფის სისტემისა, ადმინისტრაციული ტერიტორიული მოწყობისა და მართვისა. ეს არის "საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაცი-ს ცნების გაგება და გამოყენება.

ამ ამოცანის რეალიზება მოითხოვს მრავალ თემატურ სიუჟეტთან მიმართვას, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე ძირითად ბლოკად.

პირველი ბლოკი - "მართვის ბლოკი", ანუ მმართველობის სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანთა ცხოვრების კეთილმოწყობისა და საზოგადოების ფუნქციონალობაზე. ამ ბლოკის ფარგლებში უნდა განიხილებოდეს საზოგადოებრივი და სახელწიფოებრივი წყობის თავისებურებანი, მართვის ფორმები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ქვეყნის ან ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკა, თუკი განიხილება მსოფლიო რეგიონი. უკანასკნელ შემთხვევაში განსაკუთრებული ანალიზის საგანი შეიძლება იყოს რეგიონის შიგა, ქვეყნებს შორის ურთიერთობები. ხელისუფლების სისტემას, როგორც წესი ახასიათებს სახელმწიფოებრივი წყობა, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო მმართველობის ფორმით, ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობით, აგრეთვე პოლიტიკური რეჟიმით.

სუვერენული სახელმწიფოები მართვის ფორმის მიხედვით იყოფიან მონარქიულ (კონსტიტუციური, პარლამენტური, აბსო-

ლუტურის შეზღუდვა), და რესპუბლიკურ (საპრეზიდენტო ან საპარლამენტო) სახელმწიფოებად.

თანამედროვეობაში 31 სახელმწიფოს გააჩნია მმართველობის მონარქიული ფორმა. ევროპაში ეს არის სანდორა, ბელგია, ვატიკანი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ესპანეთი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი. აზიის ქვეყნებში-ბახრეინი, ბრუნეი, ბეტინი, იორდანია, კამბოჯა, კატარი, ქუვეითი, მალაიზია, ნეპალი, ომანი, საუდის არაბეთი, ტაილანდი, იაპონია. აფრიკა - ლესოტო, მარკო, სვაზილენდი, ოკეანეთში-ტონგო, სამოა. სხვა მსოფლიო სახელმწიფოები არიან რესპუბლიკები.

ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის მიხედვით ქვეყნები იყოფიან უნიტარულ, ფედერალურ და კონფედერალურ სახელმწიფოებად. ფედერალური სახელმწიფოები მსოფლიოში 25. მათშორის ხუთი-აზიაში მდებარეობს (ინდოეთი, მალაიზია, მიანმა, პაკისტანი). ევროპაში ფედერალურ სახელმწიფოებად ითვლებიან ავსტრია, ბელგია, გერმანია, სერბია, ჩერნოგორია, რუსეთი. აფრიკაში - 3 ფედერალური სახელმწიფოა (ნიგერია, ეთიოპია, კანარის კუნძულები) ავსტრალიასა და ოკეანეთში-2 (ავსტრალიური კავშირი, მაკრომენის ფედერალური შტატი). დანარჩენი ფედერეციები იმყოფებიან ამერიკაში. კონდეფერაციად კონსტიტუციის მიხედვით ითვლება შვეიცარია, თუმცა საერთოდ იგი ფედერაციული სახელმწიფოა.

მეორე ბლოკი - ეს პოლიტიკური და სოციალური (სოციალურ-ფსიქოლოგიური) კლიმატის თავისებურებაა, რომლითაც ხასიათდება ნებისმიერი ტერიტორიული სისტემა: იქნება ეს მსოფლიო რეგიონი, თუ კონკრეტული ქვეყნები, ან ქვეყნებს შიგნით რაიონები და ადგილები.

ამ ბლოკის ანალიზის საგანია - მოსახლეობის სოციალურ - კლასობრივ სტრუქტურაში ტერიტორიული განსხვავება, მის ნაციონალურ, რელიგიურ შედგენილობაში, ურთიერთობის ხასიათი, რომელიც ყალიბდება სოციალურ ჯგუფებსა და საზოგადოებას შორის, აგრეთვე მათ ურთიერთობას ხელისუფლებას-

თან (ცენტრალური, ადგილობრივი). ამ ურთიერთობის ინდიკატორები არიან პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, დემოსტრაციები, აქციები, საარჩევნო კომპანიები, რეფერენდუმები, შეიარაღებული გამოსვლა, სეპარატისტული მოძრაობა და ა.შ. რომლებიც სხვადასხვა სოცილური ძალის ინტერესს წარმოადგენენ.

სოციალური და პოლიტიკური კლიმატის თავისებურება ითხოვს კითხვის განხილვას იმის შესახებ, რა პირობებითა და ფაქტორებითაა განსაზღვრული ეს კლიმატი, ე.ი. ისტორიული ძირების ანალიზი, სახელმწიფო ტერიტორიის ფორმირების თავისებურებანი, მოსახლეობის შედგენილობა, სამეურნეო სპეციალიზაცია და ა.შ.

მესამე ბლოკი-ელექტორალური გეოგრაფია, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის გავლენის ანალიზი, ორგანიზაცია და შესაბამისად პოლიტიკური არჩევანის გამოვლენა, მოსახლეობის სიმპათია, აგრეთვე ამ არჩევანის ცვლილების დინამიკის ანალიზი.

მეუნეობა, ცნების არსი
მსოფლიო მეურნეობა და განვითარების ეტაპები

მეურნეობა

მეურნეობა რეგიონთმცოდნეობაში მთელი თავისი ,,უბრალოებით'' (ტერიტორიის ეკონომიკური თავისებურება) ითვლება ძალიან რთულად. ეს სირთულე განისაზღვრება იმით, რომ რეგიონთმცოდნეობითი ანალიზი მოითხოვს კავშირების გამოვლენას იმ ქვეყნებისა და რეგიონებისა, რომელთაც თავისებურებები გააჩნიათ სხვა მახასიათებლებთან ერთად ტერიტორიასთან, მოსახლეობასთან, მოსახლეობის განსახლებასთან, მმართველობის სისტემასთან, ბუნებასთან და ა.შ. ამ კავშირების გამოვლენა, მათი სპეციფიკა წარმოადგენს მთელი რიგი დისციპლინების საგანს: "ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკური გეოგრაფია", "ქვეყნის (მხარის) ეკო-

ნომიკა”, “რეგიონული პოლიტიკა”, “ქვეყნის (რეგიონის) კულტურა”დაა.შ.

შეიძლება გამოიყოს რეგიონთმცოდნეობის თავისებურების შემადგენლობა:

• რეგიონის საერთო ეკონომიკური დონის განვითარება (ქვეყნის, რაიონის, ქვეყნის შიგნით, მსოფლიო რეგიონის), მისი ადგილი მსოფლიო მეურნეობაში (ანუ ქვეყანაში) შრომის ტერიტორიული (საერთაშორისო ან საერთო რაიონული) განაწილება.

• ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა;

• ბუნებრივ-რესურსული წინაპირობები მრეწველობის განლაგებისა და განვითარებისათვის;

• ეკონომიკური წინაპირობები წარმოების განლაგების და განვითარებისათვის ტერიტორიაზე (დასახლება და მისი განლაგება, მოსახლეობის განსახლება, ინფრასტრუქტურა და ა.შ.);

• წარმოების განვითარებისა და განლაგებისათვის ეკოლოგიური პირობების შექმნა;

• დასახლების ისტორია და ტერიტორიის სამეურნეოა თვისება;

• წარმოების დარგობრივი სტრუქტურა;

• მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურა, სამეურნეო სპეციალიზაციის თავისებურებები და ტიპები;

• საერთო სამეურნეო დარგებისა და რაიონთა შორის კავშირები;

• თავისუფალი მეწარმეებისა და სახელმწიფო რეგულირებისშეთანხმება;

• საერთო ეკონომიკური კავშირები;

• წარმოების განვითარებისა და განლაგების პერსპექტივები;

მეურნეობის ძირითადი გაგება; ნატურალური მეურნეობა, სასაქონლო მეურნეობა, საქონელი, უბრალო საქონელწარმოება.

ეკონომიკური თეორია დაფუძნებულია ერთეულ ფაქტორებისა და მოვლენების გაფართოებასა და აბსტრაგირებაზე. საერთო კატეგორიად ეკონომიკურ თეორიაში არის კატეგორია "მეურნეობა" და" ეკონომიკური სისტემა". ძველი ბერძნული ტერმინი "ოიკოს", აღნიშნავს "ადგილს, სადაც ცხოვრობს ადამიანი", ადგილი, რომლის პატრონიც თავად არის. აქედან ვღებულობთ განსაზღვრებას: მეურნეობა - ეს არის შენაერთი არსებითი (ბუნებრივი) და ხელოვნური (ადამიანის მიერ წარმოებული) ეკონომიკური რესურსებისა, რომელიც იმყოფება ეკონომიკური სუბიექტის განკარგულებაში. გამოკვლევის თანახმად, მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში ჩამოყალიბდა ორი ტიპის მეურნეობა - ნატურალური და საასაქონლო მეურნეობა. ასეთი დაყოფის კრიტერიუმად ეკონომიკის შემდეგი მახასიათებლები განიხილება: - ღია ან დახურული ხასიათი ორგანიზაციულ - ეკონომიკური ურთიერთობების;

-საზოგადოებრივი შრომის დანაწილების დონე;

-საზოგადოებრივი პროდუქტის ფორმა;

-ეკონომიკური კავშირის ხასიათი მწარმოებელსა და მომხმარებელსშ ორის:

ნატურალური მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკური ორგანიზაციის ელემენტარულ ფორმას. მეურნეობის ეს ტიპი, რომელშიც წარმოება მიმართულია უცილობლად პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. ურთიერთქმედება ნატურალური მეურნეობის შიგნით ატარებს პირდაპირ ხასიათს. ეკონომიკური კავშირები მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის წარმოიდგინება სქემის მიხედვით: წარმოება-განკარგვა-მომხმარებელი. ნატურალური მეურნეობის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, რომლის საფუძველზე დევს საზოგადოების ხელოვნური შრომა, რომელშიც ბატონობს ნატურალური მეურნეობა, შედგება ეკონომიკურად იზოლირებული და ერთმანეთისგან განყენებული საოჯახო მეურნეობისგან.

ნატურალური მეურნეობისათვის აგრეთვე ტიპიურია წარმოებული პროდუქციის მუდმივი ხასიათი, განვითარების ნელი

ტემპი, აგრეთვე უბრალო კვლავწარმოება და ა.შ. ხელმეორედ წარმოება პირველად ჩარჩოებსა და საფუძველზე.

სასაქონლო მეურნეობა, ანუ სასაქონლო წარმოება - ეს არის რთული ფორმა საზოგადოებრივი წარმოებისა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ნატურალური მეურნეობის საფუძველზე, საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შედეგად.

სასაქონლო მეურნეობის საფუძველს შეადგენს საქონელი - შრომის პროდუქტი, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს რაიმე ადამიანური მოთხოვნილება და განკუთვნილია მეორე საქონელზე გადასაცვლელად ან გასაყიდად. საქონლის განმსაზღვრელ თვისებად ითვლება მოთხოვნილებისა და გაცვლის ღირებულება. სასაქონლო მეურნეობა წარმოადგენს ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობების ღია სიტემას. შემოსავლების ნაკადი წარმოების საზღვრების გარეშეა. სასაქონლო მეურნეობის პირობებში წარმოება შედგება სხვადასხვა წარმოებითი ერთეულებისგან. თითოეული მათგანი სპეციალიზირებულია კონკრეტული პროდუქციის წარმოებაზე. მაგალითად მრეწველობა გამოიყოფა სოფლის მეურნეობისაგან და იყოფა კონკრეტულ სახეებად: კვებითი, მეტალურგიული და ა.შ.

მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ეკონომიკური კავშირები განპირობებულია გაცვლაზე. საზოგადოებრივი შრომის განაწილების პირობებში, თითოეული საქონელმწარმოებელი სპეციალიზირებულია კონკრეტული პროდუქტის წარმოებაზე. ის ახორციელებს წარმოებას საზოგადოების სხვა წევრებისათვის, მაგრამ თვითონ არ განიცდის სხვა მრეწველების შრომის პროდუქტის ნაკლებობას.

სასაქონლო მეურნეობის ევოლუცია დემონსტრირებას უკეთებს სახეობების მრავალფეროვნებას, რომლებიც შეიძლება შემოტანილი იქნენ რამდენიმე მოგების სახით;

1. უბრალო სასაქონლო მრეწველობა. ამ დონეზე მეურნეობის განვითარებისას პროდუქცია იწარმოება წვრილი საქონელმწარმოებლებისათვის- გლეხებისა და ხელოსნებისათვის. ეს მოდელი წინ უძღოდა კაპიტალების წარმოშობას.

2.თავისუფალი კონკურენცია სასაქონლო მეურნეობისა ხასიათდება იმით, რომ ეკონომიკის განვითარება არ არის დაკავშირებული არც ერთ მონოპოლიასთან (როდესაც მრეწველობის უფლება, ვაჭრობა, ან ჩანაფიქრის განხორციელება ეკუთვნის მხოლოდ ერთ მეპატრონე სუბიექტს). მოცემული მოდელის ძირითადი თვისებებია: წარმოებლების იზოლირებულობა, ბაზრის თავისუფლება, თავისუფალი კონკურენცია, გაცვლის კანონების მოქმედება. სასაქონლო ბაზრის თავისუფალი კონკურენციის მოდელი მეტნაკლებად უნივერსალურია, ის მოიცავს არა მარტო წვრილ, არამედ კაპიტალური საქონელწარმოების თვისებებსაც.

3. ბაზრის მიერ დარეგულირებული საქონელწარმოება – ეს არის მაღალი დონის მოდელი. ის გულისხმობს ეკონომიკური მონოპოლიზმის ნაირგვარი ფორმების ჩამონათვალს, აგრეთვე ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმს.

უბრალო და კაპიტალისტურ საქონელწარმოებს შორის არსებობს შემდეგი მნიშვნელოვანი განსხვავებები: 1) უბრალო სასაქონლო წარმოების თვისებაა მწარმოებლის დაკავშირება წარმოების საშუალებებთან, კაპიტალიზმის დროს კი პირიქით, თვისობრივი დაშორება მწარმოებლისა წარმოების საშუალებებისაგან, მისი გადაქცევა დაქირავებულ მუშაკად. 2) უბრალო საქონელწარმოება დაფუძვნებულია პირად შრომაზე, კაპიტალისტურ დაქირავებულ შრომაზე; 3) უბრალო საქონელწარმოებისას გლეხები და ხელოსნები შრომობენ ცალკეულად, კაპიტალიზმის დროს კი – დაქირავებული მუშები ერთიანდებიან კოლექტივში.

მსოფლიო მეურნეობა

მსოფლიო მეურნეობა - ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული და ყოველდღიურად განვითარებადი სისტემაა მსოფლიო ქვეყნების ნაციონალური მეურნეობიდან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მსოფლიო ეკონომიკური ურთი-

ერთობით, რომელიც განვითარებულია შრომის საერთაშორისო გეოგრაფიულ დანაწილებაზე.

მსოფლიო მეურნეობა წარმოადგენს რთულ სისტემას. ნაციონალური ეკონომიკის თავისებურება შედუღებულია საქონლის მოძრაობასთან, წარმოების მომსახურეობასა და ფაქტორებთან. ამ საფუძველზე ქვეყნებს შორის წარმოიშობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ე.ი. სამეურნეო ურთიერთობები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

მსოფლიო მეურნეობის ცნების არსი და მისი სუბიექტები

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცნების „მსოფლიო მეურნეობა" ნაირგავარი მიდგომები უმთავრესი მათ შორის არის:

1. მსოფლიო მეურნეობა ნაციონალური მეურნეობის ნაერთია, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთან შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე. ასეთი განსაზრვრება დაფუძნებულია მსოფლიო მეურნეობის წარმოდგენაზე, როგორც ნაციონალური ეკონომიკების ფასეულობაზე.

2. მსოფლიო მეურნეობა ეს არის წარმოებითი და ფინანსური ურთიერთობების მსოფლიო სისტემა. ასეთ მიდგომაში ნახეს ასახვა მსოფლიო მეურნეობის შემადგენელმა ნაწილებმა -რეალური წარმოების სფერომ და მიმართვის სფერომ.

3. მსოფლიო ეკონომიკა – ეს არის ნაერთი ნაციონალურ სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა, აგრეთვე მათი ურთიერთქმედება შრომის საერთაშორისო განაწილების საფუძველსა და პოლიტიკურ კონტაქტებზე.

მოცემულ განსაზღვრებებში მსოფლიო მეურნეობა წარმოადგენს ერთიან ეკონომიკურ სივრცეს (მეგაეკონომიკას), რომელშიც სამეურნეო ურთიერთობის სუბიექტებად გამოდიან: ნაციონალური ეკონომიკა, მსოფლიოს ქვეყნების; მსოფლიო ბიზნესის სუბიექტები – ტრანსნაციონალური კორპორაციები

და მათი ალიანსი: მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუტები – საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები.

ქვეყნების ნაციონალური ეკონომიკა – ეს არის მსოფლიო მეურნეობის სუბიექტი. მსოფლიოში არსებობს 200-მდე სახელმწიფო. სახელმწიფოების გარკვეულ რაოდენობაში ეკონომიკური განვითარების მრავალგვარი მაჩვენებლებით შეიძლება გამოვყოთ სხვადასხვა ქვეყნების ჯგუფები, რომლებიც კლასიფიცირდებიან არსებითი ნიშნებით.

ტრანსნაციონალური კორპრორაციები (ტნკ) – უმსხვილესი მსოფლიო კომპანიაა, თავისი მოღვაწეობის სფეროთი წარმოადგენს საერთაშორისოს, ნაციონალური კაპიტალიის ბაზირების ქვეყნის მიხედვით. 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში არსებობდა დაახლოებით 80 ათასი ტნკ და 850 ათასი ფილიალი, დაახლოებით 50 ათასი შვილობილი კომპანია განვითარებულია განვითარებულ ქვეყნებში. ტნკ-ს წილზე მოდის 50% მსოფლიო მრეწველობის და 2/3 მსოფლიოს საგარეო ვაჭრობის. მსოფლიოს ყველა მსხვილი ტნკ-ს კაპიტალიზაცია, რომელიც იმყოფება პირველ ათეულში შეადგენს რამდენიმე ასეულ მილიარდ დოლარს.

თანამედროვე ტნკ-ს თავისებურებებში გამოიყოფა კოლოსალური ზომის ტნკ, რომლებიც წარმოდგენილნი არიან გიგანტური სამრეწველო – ფინანსური კომპლექსების მიერ, რამდენიმე მილიონიანი დოლარის ბრუნვით, აგრეთვე ტნკ-ს როლი რომელიც განისაზღვრება ეკონომიკის სახის მნიშვნელობით, სადაც კონცენტრირდება კორპორაციის ინტერესები. ეს არის მოწინავე დარგები რომლებიც მრეწველობასთან მიდგომებს გამოიმუშავებენ და დაკავშირებულნი არიან მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესთან: საავტომობილო, ელექტრონულ, ქიმიურ, ფარმაცევტულ და ა.შ.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები – ეს არის მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუტები, რომელთა როლიც განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათწლეულში. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების უმრავლესობა არასახელმწიფოებ-

რივია, მათი რიცხვი სამასამდე აღწევს. მათ მიეკუთვნება ისეთი გამოჩენილი ორგანიზაციები როგორიცაა „მსოფლიო სავჭრო ორგანიზაცია", „მსოფლიო სავალუტო ფონდი", „მსოფლიო ბანკი" და ა.შ.

მეორე ჯგუფი ორგანიზაციებისა – სახელმწიფოთაშორისია მათი რიცხვი ოთხასამდეა. მათ შორისაა „ევროკავშირი", „ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია", „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური ტანამშრომლობის ასოციაცია" და სხვა.

ამრიგად, მსოფლიო მეურნეობა ეს არის ნაციონალური მეურნეობების შენაერთი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთაშორისო შრომის დანაწილების სისტემით და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობით.

მსოფლიო მეურნეობის განვითარების ეტაპები

მსოფლიო მეურნეობამ ჩამოყალიბება დიდი ხნის წინ დაიწყო, ყველაფერი დაიწყო მსოფლიო ვაჭრობით, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ნაერთს. უძველეს ეტაპებზე ადამიანების ისტორიის, მთელი ერები აუცილებლად ეხებოდნენ ერთმანეთს. ასეთი კონტაქტები აღმოცენდებოდა მიგრაციის, მასობრივი დევნილობის, სტიქიური უბედურების, ტერიტორიის დაყოფის, დაცვის შემთხვევაში.

მსოფლიოს პირველი სახელმწიფოს (ეგვიპტის) მცხოვრებლები ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ ვაჭრობდნენ მეზობელ ტომებთან, ყიდულობდნენ მათთან ხის მასალას, მეტალს, საქონელს ან ცვლიდნენ მიწათმოქმედების და ხელოსნობის პროდუქტებზე. ისინი აგრეთვე ორგანიზაციას უკეთებდნენ ახალი მიწების სამეურნეო ათვისების ექსპედიციას. ამავე დროს საქართველოს მიწაზე მცხოვრები ტომები ცვლიდნენ საქონელს მეზობელ ტომებთან.

ხმელთაშუა ზღვის რაიონი და შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორია მასზე განლაგებული ქვეყნებით აღმოსავლეთ აზი-

აში იქცენ მსოფლიოს იმ რეგიონად, სადაც უძველეს დროში დადიოდა მსოფლიო მეურნეობის საძირკველი. თანდათანობით მას უერთდებოდნენ მსოფლიოს სხვა სამეურნეო რეგიონები – სამხრეთ აზია, სამხრეთ აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი აზია, რუსეთი, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი ტროპიკული აფრიკის რეგიონები.

მსოფლიო საქონლითა და მომსახურეობით ვაჭრობაში უდიდესი წვლილი შეიტანა საბაზრო ურთიერთობების გავრცელებამ, უდიდესმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მე-15-ე – მე-17 საუკუნეებში, მე-19 საუკუნეში სამანქანო ინდუსტრიისა და თანამედროვე ტრანსპორტისა და კავშირის გამოჩენამ.

კოლუმბის, ვასკო და გამას, მაგელანის, ერმაკის ექსპედიციებმა წინ წასწიეს მსოფლიო ბაზრის საზღვრები მრავალჯერ, ახალი რეგიონების მიერთებით. სამეურნეო კავშირები ამ რეგიონებს შორის კიდევ უფრო დაიხვეწა მზა ნაწარმის მასობრივი სავაჭრო წარმოებით მე-19 საუკუნეში. პირველად დასავლეთ ევროპაში, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში, რუსეთსა და იაპონიაში. ეს იყო უბრალო და იაფი მოთხოვნილებადი საქონელი, მათ მომარაგებას ხელს უწყობდნენ გემები, სარკინიგზო გზები, ტელეგრაფი.

მე-19 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა საქონლისა და მომსახურეობის მსოფლიო ბაზარი. ერთდროულად მსოფლიოში გაძლიერდა წარმოების ფაქტორების მიმოსვლა (კაპიტალის, სამუშაო ძალის, საწარმოო ძალების, ტექნოლოგიების). ეკონომიკური რესურსების ნაკადები მიდიოდა ერთი მიმართულებით უფრო განვითარებული ქვეყნებიდან ნაკლებად განვითარებულში. ბრიტანული, ფრანგული, ბელგიური, ჰოლანდიური და გერმანული კაპიტალი იყო ნიშანდობლივი ელემენტი კაპიტალდაბანდებისა.

ევროპელმა ემიგრანტებმა აითვისეს ჩრდილო ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის სივრცეები.

ამის შემდგომ ეკონომიკური რესურსების გადაადგილების პროცესები იქცნენ უფრო კომპლესქურად: კაპიტალი, წარმოე-

ბითი უნარები და ტექნოლოგიები გახდნენ არა მარტო იმპორ-ტიორები, არამედ საშუალოდ განვითარებული ქვეყნების ექ-სპორტიორები, სამუშაო ძალის ექსპოტში აქტიურად მონაწი-ლებდნენ ზუსტად განვითარებული ქვეყნებიც. საერთაშორისო მიმოსვლის შედეგად წარმოების ფაქტორები ხდება ერთობლი-ვი.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ეკონომიკა შეიქმნა მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე, მან განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილე-ბა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის პროცესში, გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი:

ინდუსტრიალიზმის წინა სამრეწველო სტადია XVIIს. ბო-ლო მსოფლიო მეურნეობა აღმოცენდა ჯერ კიდევ წინა ინ-დუსტრიალურ მრეწველობით სტადიაზე, საერთაშორისო ვაჭ-რობის დაბადებასთან ერთად და ფორმირდებოდა XVII საუკუ-ნის ბოლომდე.

XVIII საუკუნის დასაწყისი და XIX საუკუნის შუა წლები ხასიათდება შემდგომი განვითარებით სამრეწველო საქონლისა, რომლის მზარდი მასა მონაწილეობდა რეგულარულ გაცვლაში სახელმწიფოებს შორის; გარევაჭრობის გადაქცევა ნაციონალუ-რი ეკონომიკის ნაწილად; მსოფლიო ბაზრის აღმოცენება, რო-გორც კაპიტალიზმის უმაღლესი მიღწევა.

XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი. ზუს-ტად ამ პერიოდში დასრულდა მსოფლიო მეურნეობის სისტემის ფორმირება, მსხვილ სამანქანო მრეწველობაზე. ეს ეტაპი არის მსოფლიო ეკონომიკის გაძლიერებული ღიადობა. ნედლეულის მიწოდება მსოფლიო ვაჭრობაში ასწრებდა სხვა პროცესებს. ექ-სპორტის წილი განუწყვეტლად იზრდება;

მე-20 საუკუნის ბოლო და 80-იანი წლები. პირველ და მე-ორე მსოფლიო ომს შორის პერიოდი ხასიათდება კრიზისები-სადმი შეუპოვრობით, რომელიც ახლად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისაკენ. გამძაფრდა ნაციონალური მეურნეობების ავტარკიისა და პროტექციონიზმის ტენდენცია, აგრეთვე ექ-სპორტის როლის დაწევისა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო მსოფლიო მეურნეობის სისტემის ხარისხიანი ცვლა,

რომელიც დასრულდა კოლონიური სისტემის დაცემით. მსოფ-ლიო ეკონომიკა გაიყო ორ დიდ სისტემად - სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებად და ბევრი კოლონიური ქვეყანა განთავისუფლდა გარე ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან. ამ პერიოდში მსოფლიო საბაზრო ეკონომიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა სოციალური მეურნეობის მიმართულებით. მყარი საფუძვლებით საბაზრო ინსტრუმენტები შედუღება სახელმწი-ფო რეგულირებას მაკრო დონეზე. მე-20 საუკუნის 1950-70-იანი წლების პერიოდი ხასიათდება ინტეგრაციული ჯგუფების აღმო-ცენებით, მიდის ტრანსნაციონალიზაციის პროცესი, ტექნოლო-გიების აქტიური შერევა, სამრეწველო უნარებისა და კაპიტა-ლის მიმოცვლა, სამართლიანი კაპიტალის მსოფლიო ბაზრის აღდგენა.მსოფლიო მეურნეობაში მნიშვნელოვან როლზე პრე-ტენზიას აცხადებენ სოციალისტური და განვითარებადი ქვეყ-ნები.

სამრეწველო ძალების განვითარებამ და სამეურნეო ურ-თიერთობამ აქტიურად დაასაბუთა შერეული ეკონომიკა. მე-20-ის 80-იან წლებში მსოფლიო მეურნეობის საბაზრო სისტემა წარმოიქმნა 160 მეტი ქვეყანის ურთიერთობებით, მათ შორის 30-ზე მეტი ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულია.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასასრული და 90-იანი წლები. ამ პერიოდში განვითარებადი ქვეყნები გადადიან პოს-ტინდუსტრალიზაციის ერაში, ბევრ განვითარებადი ქვეყანა ლა-ხავენ ეკოომიკურ ჩამორჩენილობას (ჩინეთი, ნისი), ყოფილი საბჭოთა ქვეყნები გადადიან საბაზრო ეკონომიკაზე. ამ ეტაპის განმასხვავებელი თავისებურებაა ინტეგრაციულ პროცესების გაზრდა მრეწველობაში, მათი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმის განვითარება, რომელიც დაკავშირებული იყო საქონ-ლის მრეწველობასთან და კომპლექტირებასთან სხვადასხვა ქვეყნებში. მსოფლიო მეურნეობის ფორმირებაზე მე-20 ს-ის 80-იან წლებში გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის წევრი ქვეყ-ნის გამოყოფამ მეურნეობის სოციალური სისტემიდან, ეკონომი-კური ურთიერთობის კავშირის ლიკვიდაციამ, ეკონომიკური ურ-

თიერთობის ორგანიზაციის, სსრკ დაშლამ, დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებამ.

მე-20 საუკუნის დასასრული და 21-ე საუკუნის დასაწყისი – მსოფლიო მეურნეობის ფორმირების თანამედროვე ეტაპი. მას გამოარჩევენ გეოგრაფიული სივრცის მზარდი ხარისხის ათვისებით, საერთაშორისო სამრეწველო ძალების ფორმებით, ეკონომიკური ფორმებისა და ეკონომიკური ურთიერთობისა და ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებით. მსოფლიო მეურნეობის ახალ ეტაპზე დადგომა ხასიათდება თანამშრომლობის აქტივაციით ქვეყნებს შორის სამეურნეო სფეროში. მთლიანობაში მსოფლიო მეურნეობამ მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, ატარებს რა გლობალურ ხასიათს, შეინარჩუნა მრავალფეროვნება, დიდი რაოდენობით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, ტენდენციები და მიუხედავად ამისა ის მაინც მთლიანი, ინტეგრირებული და დინამიურია, ვიდრე მე-20 საუკუნის შუა წლებში. მისთვის დამახასიათებელი გახდა ახალი კეონომიკური კავშირები და ურთიერთობები, გაფართოვდა საბაჟო და პოლიტიკური კავშირები. მისი ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, რადგანაც გრძელდება ყველა ფაქტორების ღრმა განვითარება, რომლებიც მას განსაზღვრავენ.

მსოფლიო მეურნეობის განვითარებას ადგენს შემდეგი ფაქტორები: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება, ინფორმაციული ტექნოლოგიების გარდაქმნა ერთერთი მთავარი ასპექტია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების;

ნაციონალური მეურნეობის მზარდი ურთიერდამოკიდებულება, საერთო ლიბერალიზაცია გარე ეკონომიური კავშირების ღრმა განვითარება, შრომის საერტაშორისო დანაწილების საერთაშორისო სპეციალიზაცია და წარმოების კოოპერირება;

წარმოების ფაქტორების და საერთაშორისო მიმოსვლის მაღალი დონე;

წარმოების დაკაპიტალის ინტერნაციონალიზაცია;

დამოუკიდებელი ფინანსური სისტემის ფორმირება, რომელიც არ არის დაკავშირებული საქონლის მოძრაობასთან;

გლობალური პრობლემების გადაწყვეტა და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის მთავრი განვითარების ტენდენციას წარმოადგენს წარმოების ინტერნაციონალიზაცია. მის მთავარ ფაქტორად იქცა განვითარებული ქვეყნების გადასვლა მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში ახალ მაღალტექნოლოგიურ ბაზაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების დაძლევით. მან გამოიწვია კვლავწარმოების პროცესების ფეთქებადი ინტერნაციონალიზაცია ორივე ადგილას - ინტეგრაციულის (ნაციონალური მეურნეობის დაახლოებისა) და ტრანსნაციონალურისა (საერთო ნაციონალური წარმოების კომპლექსების შექმნის გზით).

მსოფლიო მეურნეობის განვითარების მაჩვენებელი

იმისთვის, რომ გაკეთდეს მსოფლიო ეკონომიკური მეურნეობის მდგომარეობის ანალიზი, გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობასა და დინამიკას. უმთავრესი მათ შორის არის: 1) ქვეყნის ნაციონალური სიმდიდრე მთლიანობაში, ერთ სულ მოსახლეზე. ნაციონალური სიმდიდრე ეს არის ქვეყნის რესურსების ნაზავი, რომელიც შემცირებულია მის ფინანსურ ვალდებულებების ღირებულებაზე.



მსოფლიო პრაქტიკაში ნაციონალურ სიმდიდრეში მიღებულია ჩაერთოს ისეთი ელემენტები როგორიცაა წარმოებითი აქტივები, არაწარმოებითი აქტივები (მიწა, სახლი და გამოყენებადი ბუნებრივი რესურსები), ძირითადი არამატერიალური აქტივები (ინტელექტუალური კუთვნილება) და ფინანსური აქტივები (ფული, ოქრო, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.).

2) მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეს არის მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება – ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მსოფლიო ეკონომიკის მაჩვენებელი. მშპ ერთ სულ მოსახლეზე – მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი მაჩვენებელია რომელიც ითვლება როგორც წესი აშშ დოლარებზე. მშპ-ს ზრდის ტემპი ასევე ფასდება, როგორც უმთავრესი მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა, ყველაზე ხშირად საშუალოდ წელიწადში 3-4% ეს არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ნორმალური მჩვენებელი. მშპ-ს ზრდის ტემპი 6-10% წელიწადში ძალიან მაღალია.

3) ქვეყნის მონაწილეობის მაჩვენებლები ეკონომიკურ ურთიერთობებში ისინი მრავალფეროვანია. მათ შორის გამოიყოფა ისეთი გამოყენებადი მაჩვენებელი, როგორიცაა საგარეო სავაჭლო კვოტა-საფარურის პროცენტული დამოკიდებულება ვშპ-ს იმპორტთან.მეორე მაჩვენებელი საერთო ვაჭრობითი მოგება ერთ სულ მოსახლეზე გადათვლილი როგორც ქვეყნის ექსპორტისთვის ღირებულების წილი, რომელიც მოდის მოცემული ქვეყნის მოქალაქეზე.

თანამედროვე მეურნეობა და გლობალური ეკონომიკის პრობლემები

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა

21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო მეურნეობა იძენს ახალ თვისებებს მნიშვნელოვან ფორმასა და ერთდროულად

ნამიბი, კალაჰარი),- კი პირიქით აქ ნალექის უკმარისობაა. უმეტესად ხელსაყრელი პირობებია მიათმოქმედებისათვის ატლასისა კაპსკის მთების დაქანებულ ფერდობებზე, მელთაშუაზღვის რაიონებში, სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ ადგილებში, სადაც ნალექების რაოდენობა შეადგენს 800-1000 მმ წელიწადში.

აფრიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია - მემცენარეობა. მემცენარეობის სტრუქტურაში გამოიყოფა ორი მიმართულება: გაყიდვადი კულტურების წარმოება ადგილობრივი მოხმარებისათვის და ექსპორტული კულტურების წარმოება.

აფრიკის ქვეყნებში მოხმარებად კულტურს წარმოადგენს პრასი, სორგო, ბრინჯი, ხორბალი, სიმინდი, მანიოკი (ანდა კასსავა) და ტკბილი კარტოფილი (ბატატი).

აფრიკის ქვეყნების მთავარი მარცვლოვანი კულტურებია პრასი და სორგო, რომლებიც იყიდება ყველგან. სიმინდი -სავანის ძირითადი გაყიდვადი კულტურაა. ხორბლის ყანები თავმოყრილია ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში. ბრინჯი მოყავთ კარგად დატენიანებულ აღმოსავლეთი აფრიკის რეგიონებში (ნილის შორეთი, მაგადასკარზე და სხვა). სიმინდისა ხორბლის წარმოები ვერ ფარავენ რეგიონის შიდა მოთხოვნოლებებს, ამიტომ ამ პროდუქციის უმეტესი ნაწილი იმპორტირებულია.

აფრიკის მთავარი ექსპორტირებადი კულტურებია - ყავა, კაკაო, ჩაი, ბამბეული, არახისი, ბანანი, აგავა (სიზალი). ყავის მრეწველობის უდიდეს ნაწილს იძლევა ეთიოპია და კოტ-დიუარის რესპუბლიკა, კაკაო-ბაბოსს -განა და კოტ-დიუარის რესპუბლიკა, ბამბა- ნედლეულის აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები (ეგვიპტე, სუდანი, უგანდა, ტანზანია, მოზამბიკი), არაქისის ნიგერია, სენეგალი.

აფრიკა - მსხვილი მიმწოდებელია მსოფლიო ბაზარზე ქოქოსის თხილის, პალმის ზეთისა და ზეითუნის ზეთის. ზეთის პალმადასავლეთი და ეკვატორიალური აფრიკის კულტურაა. ზეთისხი-

ლის ხე იზრდება ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში (ტუნისში და სხვა). ჩრდილოეთ და სამხრეთი აფრიკის ქვეყნები აწარმოებენ ციტრუსს (ფორთოხალს, მანდარინს, ლიმონს, გრეიფურტს და ა.შ), ჩაის, თამბაქოს, ყურძენს.

მეცხოველეობა გამოირჩევა დაბალი პროდუტიულობით. აჭარბებს რქოსანი, ნახევრად რქოსანი და გადევნითი-სამწყემსო მეცხოველეობა. მეცხოველეობის მთავარი დარგია მეცხვარეობა (მატყლეულისა და მემატყლეობა- მეხორცეობის მიმართულე-ბა),მესაონლეობა (მეხორცეული მიმართულების), მეაქლემეობა.

ტრანსპორტი

სარკინიგზო გზების სიგრძე არცთუ ისე დიდია - ავტოტ-რნსპორტი მოიცავს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. ცენ-ტრალური და აღმოსავლეთი აფრიკის დიდი სამეურნეო მნიშვნე-ლობა აქვს შიდა წყლის ტრანსპორტს. სიგრძისა და გამოყენების ინტესივობის მიხედვით გამოიყოფა კონგოს, ნილასა და ნიგერას წყალსაცავები.

გარე გადატანას ახორციელებს საზღვაო ტრანსპორტი. აფ-რიკის ქვეყნების ექსპორტის 90% შეადგენს მინერალური და სოფ-ლის მეურნეობის ნედლეული და გაყიდვადი საქონელი. ესპორტის მთავარი სტატიებია -ნავთობი (ნიგერია, ლივია, ალჟირი), სპილენ-ძის (ზამბია,ზაირი), რკინის საბადოების (ლიბერია, მავრიტანია), მარგანეცის საბადოების (გაბონი), ფოსფორიტების (მაროკო), ურანის (ნიგერია, გაბონი), ბამბის (ეგვიპტე, სუდანი, ჩადი, მალი, ტანზანია და სხვა), ყავა (ეთიოპია, ანგოლა, რუანდა, ბურუნდი და სხვა), კაკაო-ბობის (კოტ-დივუარი, განა, ნიგერია და სხვა), არაქი-სის (სენეგალი, გამბია, სუდანი), ზეითუნის ზეთის (ტუნისი, მარო-კო), თამბაქოს (მალავი და სხვა), ციტრუსების, ყურძნის ღვინოე-ბის (ალჟირი, ტუნისი და სხვა).

აფრიკული ქვეყნები იმპორტირებას უკეთებენ მანქანებსა და მოწყობილობებს, სამრეწველო საქონელს, გაყიდვად საქონელს.

ლათინური ამერიკა

ლათინური ამერიკა (ესპ.: América Latina, Latinoamérica; პორტუგ.: América Latina; ფრანგ.: Amérique latine; ინგლ.: Latin America) რეგიონი, რომელიც მდებარეობს დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში და გადაჭიმული აშშ-ს სამხრეთი საზღვრიდან ანტარქტიკამდე; სამხრეთით ესაზღვრება სამხრეთის ოკეანე, აღმოსავლეთით ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით აშშ, დასავლეთით წყნარი ოკეანე. თავდაპირველად ტერმინი ლათინური ამ თავდაპირველად ტერმინი ლათინური ამერიკა თავის თავში გულისხმობდა (და ლინგვისტური და ნაწილობრივ ეთნიკური თვალსაზრისით დღესაც გულისხმობს) ამერიკის იმ ნაწილს სადაც სასაუბრო ენა იყო რომანული ენები ანუ ესპანური, პორტუგალიური და ფრანგული; მაგრამ დღეს რეგიონს ძირითადად კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით გამოარჩევენ და აშშ-სა და კანადის გარდა მთელ მატერიკზე ვრცელდება.

ლათინური ამერიკა დასავლეთ ნახევარსფეროს რეგიონია, რომელიც განლაგებულია აშშ-სა და ანტარქტიდას შორის . მასში შედის მექსიკა, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის ქვეყნები და კარიბის ზღვის კუნძული ქვეყნები (ანდა ვესტ-ინდოეთი). ლათი-ნური ამერკის მოსახლეობის დიდი ნაწილი საუბრობს ესპანურ და პორტუგალიურ (ბრაზილია) ენებზე, მიეკუთვნებიან რომანულ ან ლათინურ ენათა ჯგუფს. სწორედ აქედან წარმოდგება რეგიონის სახელწოდება - ლათინური ამერიკა. ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნები - ევროპელი ქვეყნების ყოფილი კოლონიებია (ძირითა-დად ესპანელების და პორტუგალიელების).

სამხრეთი ამერიკა სუბრეგიონები გეოგრაფიულად: ალტიპლანო (ანდების მაღალთიანი რეგიონი, მოიცავს: არგენტინის, ჩილეს, ბოლოვიისა და პერუს ტერიტორიებს),

ამაზონის აუზი, ანდები, სამხრეთ ამერიკის კარიბის ზღვის სანაპირო და კუნძულები, დიდი ჩაკო (ლა–პლატის დაბლობის ნაწილი, მოიცავს აღმოსავლეთ ბოლოვიას, პარაგვაის, ჩრდილოეთ არგენტინას და ბრაზილიის შტატებს მატო კროსოს და მატო კროსო დე სულს) , გვიანას მთიანეთი, პამპა, პენტენალი (ბარზილიის მთიანეთის დასავლეთით მდებარე ტროპიკული სარტყლის მიწები), პატაგონია ჩრდილოეთი ამერიკა — კონტინენტი დედამიწის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებში. სამხრეთი ამერიკასთან ერთად ქმნის ამერიკას. ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებია: კანადა, აშშ, მექსიკა.

სამხრეთი ამერიკა — კონტინენტი დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროსა და, ძირითადად, სამხრეთ ნახევარსფეროში;

ლათინური ამერიკის ტერიტორია 21 მილიონ კვ.კმ.-ს მოიცავს, რაც მთელი ხმელეთის 15%-ია, ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დიდ სამეულზე ბრაზილია-მექსიკა-არგენტინაზე მოდის. ლათინურ ამერიკაში 34 სუვერენული სახელმწიფოა და 15 კოლონია, რომელთა ძირითადი ნაწილი პატარ-პატარა კუნძულებია და კარიბის ზღვის ზონაში მდებარეობენ. კოლონიათა უდიდეს ნაწილს ამერიკის აღმოჩენის შემდეგ აქ ესპანეთი ფლობდა, რომელსაც კონკურენციას მხოლოდ პორტუგალია უწევდა, ხოლომათთან შედარებით მცირე სამფლობელოები საფრანგეთს, გაერთიანებულ სამეფოს, ჰოლანდიას, შვედეთს და დანიას ჰქონდათ. თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე მხოლოდ 4 კოლონიზატორი ქვეყნის ტერიტორიებია:საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ს და ნიდერლანდის.

ყველაზე მეტი კოლონია გაერთიანებულ სამეფოს აქვს, თუმცა ფართობის თვალსაზრისით საფრანგეთი პირველობს.

ლათინური ამერიკის სუბრეგიონებად დაყოფის მრავალი ვარიანტი არსებობს, თუმცა ყველაზე მიღებული მისი 4 ნაწილად დაყოფაა: ჩრდილოეთი ამერიკა - 1 დამოუკიდებელი სახელმწიფო:

მექსიკა. ცენტრალური ამერიკა - 7 დამოუკიდებელი სახელმწიფო: ბელიზი, გვატემალა, სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა, კოსტა რიკა, პანამა. სამხრეთი ამერიკა - 12 დამოუკიდებელი და 2 დამოკიდებული ტერიტორია: კოლუმბია, ვენესუელა, გაიანა, სურინამი, ბრაზილია, ეკვადორი, პერუ, ბოლივია, ჩილე, პარაგვაი, არგენტინა, ურუგვაი, საფრანგეთის გვიანა,ფოლკლენდის კუნძულები. კარიბები - 14 დამოუკიდებელი და 13 დამოკიდებული ტერიტორია: ბაჰამის კუნძულები, კუბა, ჰაიტი, დომინიკელთა რესპუბლიკა, იამაიკა, სენტ კრისტოფერი და ნევისი, ანტიგუა და ბარბუდა, დომინიკა, სენტ ლუსია, ბარბადოსი, სენტ ვინსენტი და გრენადინები, გრენადა, ტრინიდადი და ტობაგო, პუერტო რიკო, არუბა, ნიდერლანდის ანტილები, სენ-მარტინი, სენ-ბართელმი, ტერქსისა და კაიკოსის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ვირჯინის კუნძულები, ანგილია, მონსერატი, გვადელუპა, მარტინიკა.

ცენტრალური ამერიკა — რეგიონი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის, რომელიც გეოლოგიურად და გეოგრაფიულად ჩრდილოეთი ამერიკის კონტინენტს ეკუთვნის. ისტორიულად ცენტრალური ამერიკა ხშირად განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ნაწილი (რეგიონი). ცენტრალური ამერიკის გაბატონებული ენაა ესპანური. ერთადერთ გამონაკლისად ითვლება ინგლისურენოვანი ბელიზი. რეგიონის მოსახლეობა წარმოდგება ადგილობრივი ინდიელებისგან, ასევე ევროპელებისა და მათ მიერ ჩამოყვანილი აფრიკელი მონების შთამომავლებისგან.

კარიბები, ასევე ვესტ-ინდოეთი (ესპ.: Caribe; ფრანგ.: Caraïbes; ჰოლ.: Caraïben; პორტუგ.: Caribe ან Caraíbas) — რეგიონი ამერიკაში, შედგება კარიბის ზღვის, მისი კუნძულებისა და გარშემო კონტინენების ნაპირებისგან. რეგიონი ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ცენტრალური ამერიკის აღმოსავლეთით და სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთში.

რეგიონის მოედანი -21 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა -500 მლნ ადამიანი. ჩამორჩება აფრიკასა და აზიას ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის მიხედვით. ლათინური ამერიკა წინ დგას წარმოების ინდუსტრიალიზაციით. მსოფლიოს ამ რეგიონებისაგან განსხვავებით, წამყვანი როლი ეკონომიკაში გააჩნია გადამამუშავებელ წარმოებას.

ლათინური ამერიკის გეოგრაფიული თავისებურებანი

ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანას ბოლივიისა და პარაგვაის გამოკლებით ან გააჩნიათ ზღვაზე და ოკეანეზე (ატლანტისა და წყნარ ოკეანეზე) გასასვლელი, ანდა წარმოადგენენ კუნძულებს. ლათინური ამერიკის გეოგრაფიული მდგომარეობა განისაზღვრება იმითაც, რომ ის არის ძალიან ახლოს აშშ-სთან.

ძალიან რთულია ლათინური ამერიკის ეთნიკური შემადგენლობა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი - შერეული ქორწინების შთამომავლები არიან: მეტისები, მულატები. ჰაიტის, იამაიკის და მცირე ანტილიის კუნძულებზე მოსახლეობის უმრავლესობას შავკანიანები შეადგენენ. ანდის ქვეყნების უმრავლესობაში ჭარბობენ ინდიელები, ხოლო ბრაზილიაში მულატებსა და ზანგებს შორის ბევრია ,,თეთრკანიანიც“.

ლათინური ამერკა - ერთ-ერთი საშუალოდ დასახლებული მსოფლიო რეგიონია. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 24 ადამიანს 1კვ.კმ-ზე. ხშირადდასახლებულ რეგიონებს შორის (კარიბის ზღვის კუნძული-სახელმწიფოები, ბრაზილიის ატლანტიკური სანაპირო, დედაქალაქების უმრავლესობა და სხვა) უზარმაზარი სივრცე თითქმის დაუსახლებელია. მოსახლეობის დიდი ნაწილი (72%) თავმოყრილია ქალაქებში.

წყლის რესურსებით უზრუნველყოფაში ლათინური ამერიკა იჭერს პირველ ადგილს სხვა მსხვილ რეგიონებთან ერთად. მდინარეები ამაზონი, ორინოკო, პარანა მიეკუთვნება მსოფლიოს უმსხვილეს მდინარეებს. ლათინური ამერიკის დიდი სიმდიდრეა

უზარმაზარი ტყეები, რომლებიც მოიცავენ რეგიონის ტერიტორიის 1/2.

ლათინური ამერიკის საზღვრებში მოქცეულია 53 სუვერენული და რამდენიმე დამოკიდებული ტერიტორია. ყველა დამოუკიდებელი ქვეყანა ან რესპუბლიკა შედის დიდი ბრიტანეთის მეტაურობით არსებულ კავშირში (ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, გაიანა, გრენადა, დომინიკა, სენტ-ვინსეტი და გრენადინი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, ტრინიდადი და ტობაგო, იამაიკა). ჭარბად არიან უნიტარული სახელმწიფოები.

ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა - განვითარებადია. ეკონომიკური განვითარების ტემპებითა და მიღწეული დონის მიხედვით განვითარებად მსოფლიოში უსწორმასწორო მდგომარეობას - ამ ურთიერთობაში აფრიკულ განვითარებად ქვეყნებს უსწრებენ, მაგრამ ჩამორჩებიან აზიის განვითარებად ქვეყნებს. ეკონომიკურ განვითარებაში მეტნაკლებ წარმატებებს მიაღწიეს არგენტინამ, ბრაზილიამ და მექსიკამ, რომლებიც შედიან ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფში. მათზე მოდის ლათინური ამერიკის სამრეწველო წარმოების 2/3 და ასეთივე რეგიონალური (ვვპ).

ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს აგრეთვე შეიძლება მიეკუთვნოს ჩილე, ვენესუელა, კოლუმბია, პერუ. ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება ჰაიტი.

რეგიონის ჩარჩოებში ლათინური ამერიკის ქვეყნებმა შექმნეს რამდენიმე ეკონომიკური ინტეგრაციული დაჯგუფება, რომელთა შორის უმსხვილესია - არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაისა და ურუგვაისაგან (მერკოსური) შემდგარი საერთო ბაზარი, სადაც თავმოყრილია მოსახლეობის 45%, შენაერთი ვვპ 50% და ლათინური ამერიკის გარე ვაჭრობის გაცვლის 33%.

ლათინური ამერიკის მრეწველობის წამყვანი დარგები

სამთო-მოპოვებითი წარმოება. ლათინური ამერიკა - გამოჩენილი მსოფლიო მწარმოებელი და ექსპორტიორია ფერადი ლი-

თონების საბადოების: ბოქსიტების (გამოიყოფა ბრაზილია, იამაიკა, სურინამი, გაიანა), სპილენძის (ჩილე, პერუ, მექსიკა) ტყვიისა და ცინკის (პერუ, მექსიკა), კალის (ბოლივია), თრუთის(მექსიკა).

დიდი მნიშვნელობა აქვთ ლათინური ამერიკის ქვეყნებს მსოფლო მოპოვებასა და წარმოებაში მარგანეცის (ბრაზილია, ვენესუელა), ურანის (ბრაზილია, არგენტინა) საბადოების, თვითნაბადი ,,(მექსიკა) კალიუმისა და ნატრიუმის სილიტების (ჩილე).

ლათინური ამერიკა ერთ-ერთი ძველი ნავთობისა და გაზის მომპოვებელი მსოფლიო რაიონია. ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ექსპორტისა და წარმოების ზომებით გამოირჩევა მექსიკა, ვენესუელა და ეკვადორი.

გადამამუშავებელი მრეწველობის მთავარი დარგებია მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა, არსებითად განვითარებულია სამ ვეყანაში - ბრაზილიაში, მექსიკასა და არგენტინაში.

დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობას მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა არ გააჩნიათ.

მანქანათმშენებლობის სპეციალიზაცია - ავტომობილთმშენებლობა, გემთმშნებლობა, ავიამშენებლობა, ელექტრო საყოფაცხოვრებო ნაწილების და მანქანების (საკერავი და სარეცხი, მაცივრების, კონდენციონერების) და სხვა.

ქიმიური მრეწველობის მთავარი მიმართულებებია - ნავთობქიმია, ფარმაცევპტული და პარფურმერული მრეწველობა.

ნავთობგადამამუშავებელი წარმოება წარმოდგენილია თავისი საწარმოებით ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში (მექსიკა, ვენესუელა, ეკვადორი და სხვა). მსოფლიოში უმსხვილესი (სიმძლავრის მიხედვით) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები შექმნილია კარიბის ზღვის კუნძულებზე (ვირგინის, ბაჰამის, კიურასაოს, ტრინიდადის, არუბაის და სხვა).

სამთომომპოვებელწარმოებასთან მჭიდრო კონტაქტში ვითარედება ფერადი და შავი მეტალურგია. სპილენძის გამოდნობის წარმოება არის მექსიკაში, პერუში, ჩილეში, თუთიისა და ცინკის - მექსიკასა და პერუში, კალის - ბოლივიაში, ალუმინის - ბრაზილიაში, ფოლადის - ბრაზილიაში, ვენესუელაში, მექსიკასა და არგენტინაში.

უდიდესია ტექსტილისა და კვების მრეწველობის როლი. ტექსტილის მრეწველობის წამყვანი დარგია - ბამბეულის (ბრაზილია), შალეულის (არგენტინა და ურუგვაი) და სინთეთიკური (მექსიკა) ბოჭკოების, კვებითი - შაქრის, ნაყოფის კონსერვების, ხორცისმოპოვების, თევზისგადამუშავების.

რეგიონში უმსხვილესია ლერწმი შაქრის მსოფლიო მწარმოებელი - ბრაზილია.

ლათინური ამერიკის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია სოფლის მეურნეობი განვითარებისათვის. მისი ტერიტორიის უდიდეს ნაწის წარმოადგენს დაბლობები (ლაპლატიის, ამაზონისა და ორინოკსის და ფერდობები (გვიანის, ბრაილიის პატაგონიის პლატო), რომლებიც ხესაყრელია სოფლის მეურნეობისათვის. საკუთარი გეოგრაფიული პირობების გამო (მთელი რეგიონი მდებარეობს ტროპიკულ ტა სუბტროპიკულ სიფართეზე) ლათინური ამერიკა იღებს დიდი რაოდენობით სიტბოსა და მზის სხივს.

რაიონები, რომლებიც განიცდიან მიწის წიაღის სიმცირეს, მოიცავენ არცთუ დიდ ტერიტორიას (არგენტინის სამხრეთი,ჩილეს ჩრდილოეთი, პერუს წყნარი ოკეანის სანაპირო, მექსიკის მთაგორების ჩრდილოეთი რაიონები), სადაც აჭარბებს წითელმიწა, შავმიწიანი, შავი და ყავისფერი ნიადაგი, როლებიც მოიცავენ სითბოს და შესაძებლობა გააჩნიათ ფასიანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების მოცემის.

სუბტროპიკული სტეპების (არგენტინა, ურუგვაი) სავანის ფართო მოედანი შეიძლება გამოყენებული იყოს საძოვრებისათ-

ვის. სოფლის მეურნეების მოღვაწეობისათვის მთავარ სირთულეს ქმნიან დაბლობების მნიშვნელოვანი ტყეების ნაწილები (განსაკუთრებით ამაზონის დაბლობები.

ლათინური ამერიკის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მემცენარეობა. ამ მხრივ გამონაკლისია - არგენტინა და ურუგვაი, სადაც ძირითადი დარგია - მეცხოველეობა.

საექსპორტო კულტურები - ბამბა, შაქრის ლერწამი, ყავა, კაკაო, ბანანი გამოყვანილია მტავარი სახიტ ტროპიკული ამერიკის ქვეყნებში. ბამბის უმთავრესი მწარმოებლები და ექსპორტიორები არიან - ბრაზილია, პარაგვაი, მექსიკა, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები(ნიკარაგუა, გვატემალა, სალვადორი), შაქრის ლერწმის - ბრაზილია, მექსიკა, კუბა, იამაიკა, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები, ყავა - ბრაზილია და კოლუმბია, კაკაო-ბობოს -ბრაზილია, ეკვადორი, დომინიკების რესპუბლიკა, ბანანების - ეკვადორი, კოსტა-რიკა, კოლუმბია, პანამა.

სუბტროიკულ ქვეყნებში (არგენტინა, ურუგვაი, ჩილე) დიდი განვიტარება ჰპოვა მარცველეულმა მეურნეობამ, მევენახეობამ, შაქრის ჭარხლის წარმოებამ (ჩილე და ურუგვაი).

ლათინური ამერიკის მტავარი მარცვლეული კულტურებია - ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი. რეგიონში ხორბლისა და სიმინდის ყველაზე დიდი მწარმოებელია - არგენტინა.

მეცხოველეობის წამყვანი დარგებია - მესაქონლეობა (მეხორცეული მიმართულების), მეცხვარეობა (მემატყლეობა და მეხორცეობა-მემატყლეობა), მერორეობა. მსხილი რქოსანი პირუტყვის და ცხვარის გამოყვანის მიხედვით გამოიყოფიან არგენტინა და ურუგვაი, მეღორეობის მიხედვით - ბრაზილია და მექსიკა. მთიან რაიონებში პერუში, ბოლივიაში და ეკვადორში გამოყავთ ლამა. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას (გამოიყოფა ჩილე და პერუ).

ტრანსპორტი

გადამწყვეტი როლი შიდა გადაზიდვებისათვის აქვს ავტოტ-რანსპორტს, გარე გადაზიდვებისათვის დომინირებს საზღვაო ტრანსპორტი, სარკინიგზო და მდინარის ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული.

ექსპორტის დიდ ნაწილს შეადგენს ნედლეული საქონელი: ნავთობი, შავი და ფერადი ლითონის საბადოები, ბამბა, მატყლი, ტყავნედლეული და სხვა., იმპორტის - მანქანები და მოწყობილობები.

ჩრდილოეთი ამერიკა

ჩრდილოეთი ამერიკა მოიცავს აშშ-სა და კანადას, აგრეთვე ატლანტიკის, წყნარ და ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში განლაგებულ რიგ კუნძულებს. კუნძულებიდან ყველაზე მსხვილი - გრელანდიაა, რომლის მოედანი აჭარბებს 2მლ.კვ.კმ. ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიული მოედანი შეადგენს მითითებულ საზღვრებში 219 მლნ.კვ.კმ, მოსახლეობა - 300 მლნ. მეტი ადამიანი.

სუბრეგიონები გაეროს მიხედვით: ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, ცენტრაკური ამერიკა, კარიბის რეგიონი

სუბრეგიონები გეოგრაფიულად: კანადის არქტიკა, დიდი ყურეები, დიდი ვაკეები, დიდი ტბები, დიდი ანტილიის კუნძულები, მცირე ანტილიის კუნძულები;

ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის დაყოფის საფუძვლად დადებულია ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნიკური ხასიათის წანამძღვრები. ის მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ადამიანთა ეთნიკურ შემადგენლობასთან, რომლებიც წარსულში დასახლდნენ ამ ტერიტორიაზე. ამერიკის სხვადასხვა ნაწილში ჩასახლებულთა ეთნიკური შემადგენლობა სხვადასხვაგვარი იყო. ჩრდილოეთ ამერიკაში მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ჭარბობდნენ ჩრდილო-დასავლეთი ევროპიდან გადმოსახლებულები (პირველ ყოვლისა ბრიტანეთის კუნძუებიდან, მექსიკასა და მთლიანად მთელ სამხრეთ ამე-

რიკაში - პირენეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებიდან გადმოსახლებულები (ესპანეთიდან და პორტუგალიიდან).

აშშ-სა და კანადის უმთავრესი ენა გახდა ინგლისური, სამხრეთით მდინარე რიო-გრანდედან, რომელზეც გადის საზღვარი აშშ-სა და მექსიკას შორის - ესპანური ენა. ამის შედეგად მოხდა ამერიკის დაყოფა ორ მთავარ სოციალურ-კულტურულ და ეთნიკურ რაიონებად - ჩრდილოეთ ამერიკად, რომელშიც შედიან ინგლისურენოვანი ქვეყნები (აშშ და კანადა) და ლათინური ამერიკა.

ჩრდილოეთ და ლათინურ ამერიკას შორის არსებობს არსებითი განსხვავება ბუნებრივი მდგომარეობის მხრივ. თუკი ლათინური ამერიკის დიდი ნაწილი (სამხრეთ ამერიკის სამხრეთის გამოკლებით) არის ტროპიკულ სარტყელში, მაშინ როცა ჩრდილოეთ ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილი - ზომიერ სარტყელშია. მისი დიდი სივრცე მოქცეულია მკაცრ კლიმატში (ალიასკა, კანადის ტერიტორიის დიდი ნაწილი) ნაკლებად გამოსადეგია ადამიანთა ცხოვრებისათვის და ბოლომდე არ არის მათ მიერ ათვისებული (განსახლებასა და მეურნეობას გააჩნია კეროვანი ხასიათი).

ძალიან მკვეთრია განსხვავება ჩრდილოეთ და ლათინურ ამერიკას შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოები აშშ და კანადა შედიან მსოფლიოს უმსხვილეს ინდუსრტიულად განვითარებულ ქვეყნების რიცხვში (შვიდეულში).

აშშ არის არა მარტო მთელი ამერიკის აბსოლუტური ლიდერი, არამედ მსოფლიო ეკონომიკისაც. აშშ უსწრებს მსოფლიოს ყველა ქვეყანას წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და მათი ექსპორტის მიხედვით, გააჩნია მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონე ვვპ-ს (8 ტრლნ. დოლარი, ან 21% მსოფლიო ვვპ-ს; ვვპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 30 ათას დოლარს) და მეურნეობის პროგრესირებადი სტუქტურა (ჭარბია მომსახურების სფეროს წილი, რომ-

ლის ვვპ ქვეყანაში შეადგენს 76%, 20%-ზე მეტი მოდის მრეწველობასა და მშენებლობაზე და 3% სოფლის მეურნების პროდუქციაზე). ამერიკის მრეწველობა მოიხმარს მსოფლიოში მოპოვებული ნედლეულის 1/3-ს. აშშ-ი განლაგებულია ყველაზე განვითარებული მანქანათმშენებლობა, იგი ითვლება სამეცნიერო გამოყენების პროდუქციის უმსხვილეს მწარმოებლად (ამ პროდუქციის მსოფლიო წარმოების 40%). აშშ ფლობს მსოფლიოში ყველაზე მსხვილ სამეცნიერო-ტენიკურ პოტენციალს, რომლის საფუძველსაც შეადგენს მაღალკვალიფიცირებული სწავლულებისა ინჟინრების კადრები (მათი დიდი წილით აშშ ლიდერობს მსოფლიოში), იჭერს პირველ ადგილს ნიოკრი-ს გაცვლაში (ყოველწლიური დადებით ნიოკრ-ში აშშ-ში აჭარბებს ასეთივე ხარჯებს დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის და იაპონიის ერთად აღებულს). აშშ-ში განლაგებულია მაღალგანვითარებული აგრალური სექტორით, სადაც მიღწეულია მსოფლიოში ყველაზე მაღალი შრომისნაყოფიერება.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ყველაზე მეორე ქვეყანა კანადა- (ტერიტორიის მოედანი 9,97 მლნ. კვ.კმ. მოსახლეობა 30 მლნ. ადამიანი), თავისი ეკონომიკური პოტენციალით თუმცა აჭარბებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, მაგრამ მკვეთრად ჩამორჩება აშშ-ს (კანადის ვვპ აშშ-სგან შეადგენს 10%). კანადა ფედერაციული რესპუბლიკაა, რომლებიც შედგებო პროდუქცია პროვინციებისა და ტერიტორიებისაგან. კანადის ეკონომიკა დიდი ხარისხით, ვიდრე აშშ-ს ეკონომიკა, ორიენტირებულია საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე. მოპოვებითი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის როლი მასში უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ი. მსოფლიო შრომის დანაწილებაში კანადა წარმოდგენილია, სამთომოპოვებითი, მეტალურგიული, ტყის მრწველობის და სოფლის მეურნეობის დარგებით. ის ერთ-ერთი წამყვანი მსოფლიო ექსპორტიორია ნიკლის, ცინკის, ალუმინის, სპილენძის, რკინის, ურანის, მოლიბდენის,ტი-

ტანის, ოქროს, ნავთობის, პილომასალებისა ქაღალდის, ავტომობილების,ხორბლის (ამ პროდუქტის მსოფლიო ექსპორტის 20%), ქერის, ქატოს.

კანადის ეკონომიკის თავისებურებაა, მისი უკიდურესი კავშირი აშშ-ს ეკონომიკასთან (რაც განპირობებულია საერთო ენით, საერთო საზღვრითა და ორი ქვეყნის ქაიონს შორის მოხერხებული კავშირით და სხვა), კანადაში წარმოებული პროდუქციის ორიენტირება აშშ-ს სამომხმარებლო ბაზარზე. თავის მხრივ აშშ ახდენს კანადაში უფრო მეტ საქონელს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში (კანადისაკენ მიემართება ამერიკული ექსპორტის 25%).

აშშ და კანადა თავის სამხრეთელ მეზობელთან - მექსიკასთან ერთად ქმნიან ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ინტეგრაციულ დაჯგუფებას - თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკულ ასოციაციას (ნაფტა), რომლის შექმნაზეც შეთანხმებას სამ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა 1994 წელს. შეთანხმება გულისხმობს მთელი ჩრდილოეთი ამერიკის კონტინენტზე მთლიანი საბაზრო სისტემის შექმნას (თავისუფალი ვაჭრობის ზონები) საქონლის კაპიტალის, მომსახურების სამუშაო ძალის თავისუფალი მიმოქცევით.

აშშ - მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყანაა. ტერიტორიის სიდიდის მიხედვით (9,7 მლნ.კვ.კმ) აშშ-ს უჭირავს მსოფლიოში მეოთხე ადგილი (რუსეთის, კანადისა და ჩინეთის შემდეგ), მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (დაახლოებით 300 მლნ. ადამიანი) - მესამე (ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ).

სახელწიფო წყობის მიხედვით აშშ - ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც შედგება 50 შტატისაგან და კოლუმბიის ფედერალური ოლქისაგან. ჰავაის კუნძულები ჰავაის კუნძულები, რომლიც შტატს (ჰავაის) წარმოადგენს, განლაგებულია წყნარი ოკანის ცენტრალურ ნაწილში.

აშშ-ს ძირითადი ნაწილის კონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა ორ ოკეანეს შორის (წყნარი და ატლანტიკის)ხელსაყრელია სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისათვის. განსაკუთრებით მოხერხებული მდგომარეობა აქვს აშშ-ს კანადასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, რომელთანაც კონტაქტი შესაძლებელია როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო გზით.

მოსახლეობა. თანამედროვე ამერიკა ეს არის ნაცია- რომელშიც შერეულია ნაირგვარი ეთნიკური და რასობრივი ჯგუფები. მთელი მოსახლეობის 3/4-ს შეადგენს ამერიკელები (ე.ი.მსოფლიოს ყველა ნაწილიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები). ამერიკული ნაციის განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს შავკანიანი ამერიკელები (ზანგები, ეგრეთწოდებული აფროამერიკელები), რომელთა წილი მოსახლეობაში შეადგენს დაახლოებით მეოთხედს. ხვედრითი წილი ძირითადი მოსახლეობის მოსახლე-აბორიგენების (ინდიელების, ესკიმოსების და სხვა) არც თუ ისე ბევრია (1%ნაკლები).

აშშ-ს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე - 28 ადამიანია 1კვ.კმ. მეტნაკლებად ხშირადაა დასახლებული ქვეყნის დასავლეთ-აღმოსავლეთი რაიონები (ატლანტიკის სანაპირო, ტბისპირა რაიონი), სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე ადგილ-ადგილ აჭარბებს 350 ადამიანს 1კვ. კმ, მეტკაკლებად მთაგორიან შტატებში (საშუალოდ 4 ადამიანი 1კვ. კმ). ალიასკაზე საშუალო სიმჭიდროვე მოსახლეობის შეადგენს 1 ადამიანზე ნაკლებს 4 კვ.კმ.

აშშ მოსახლეობის 3/4 ცხოვრობს ქალაქებში. მოსახლეობის განსახლებაში მთავარი როლო უჭირავს მსხვილ ქალაქებს, მილიონიან ქალაქებს, საქალაქო აგლომერაციებს (ნიუ-იორკის, ლოს-ანჯელესის, ჩიკაგოს, ფილადელფიის, სან-ფრანცისკოს და სხვა).

მეურნეობის განვითარების ბუნებრივ-რესურსული წანამძღვრები

აშშ-ს უმეტესი ნაწილი ხელსაყრელია სამეურნეო ათვისებისათვის. სირთულეს სამეურნეო საქმიანობისათვის წარმოადგენს კორდილიერები, რომლებიც განლაგებულია მთელი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. ცენტრში, აღმოსავლეთში და სამხრეთში არსებული დაბლობები (უდიდესი და ცენტრალური დაბლობები, მისისიპის, ატლანტიკისპირა, ფლორიდისა და მექსიკისპირა დაბლობები) ღებულობენ სითბოსა და ტენიანობას საკმარისად, რათა მოიყვანონ ზომიერი სარტყელის ყველა კულტურები, სამხრეთში კი სუბტროპიკულიც, აქ აური ნიადაგი გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით.

მშრალი სტეპები (პრერიები), მთიანი სივრცეები და მთთაშუა მდლოები შეიძლება გამოყენებული იქნას საძოვრებისათვის.

უდიდესია ნახშირის, ნავთობის, ბუნებრივი გაზის რკინის, სპილენძის, თუთიისა და ცინკის, ურანის ოქროს, ვერცხლის, პლატინის, ვოლფრამის, მოლიბდენის, ფოსფორიტების, კალიუმის მარილების მარაგი.

ქვეყანა მდიდარია წყლის (კოლორადოს მდინარეები, კოლუმბია, მისისიპი შენაკადებით, მისური და ოჰაიო, ვერხნეის ტბა, გურონი, მიჩიგანი, ერი, ონტარიო), მცენარეული (ტყეები იჭერენ აშშ-ს მოედნის ნახევარს) და ბიოლოგიური რესურსებით.

აშშ-ს ეკონომიკაშითანაბარ დონეზე მაღალგანვითარებულია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, არაწარმოებითი სფეროს დარგები. სამრეწველო წარმოებისათვის დამახასიათებელია გადამამუსავებელი დარგების მნიშვნელოვანი სიჭარბე. აშშ-ს მძიმე ინდუსტრიის წამყვანი დარგებია - მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა.

მანქანათმშენებლობა წარმოდგენილია ყველა ცნობილი დარგებით. განსაკუთრებიტ დიდია როლი სატრანსპორო მანქანათმშენებლობისათვის (ავტომობილმშენებლობა, სალოკომოტივო-ვაგონთმშენებლობა, გემთმშენებლობა,თვითმფრინავთმშენებ-

ლობა), დაზგათმსენებლობა, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა, მეცნიეული დარგების - ავიასარაკეტო-კოსმოსური და ელექტრონული წარმოების, რადიოტექნიკის და სხვა. მანქანათმშენებლობის ცენტრთა უმრავლესობა განლაგებულია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (დეტროიტი, ჩიკაგო, ფილადელფია,ნიუ-იორკი და სხვა) და აშშ-ს წყნარი ოკეანის სანაპიროზე (ლოს-ანჯელესი, სან-ფრანცისკო, სიეტლი და სხვა).

ქიმიური მრეწველობა (პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოების, სინთეთიკური კაუჩუკის, მინერალური მასალების, საღებავების, სარეცხი საშუალებების და სხვა) ძირითადად თავმოყრილია შტატების ცენტრში (სენტ-ლუისი, ჩიკაგო, ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბალტიმორი0, სადაც მისი განვითარება დაკავშირებულია ნახშირის მრეწველობის ნარჩენებთანდა მეტალურგიის წარმოებასთან (ნახშირის წვის ნარჩენები და სხვა), და მექსიკის ყურის სანაპირო (ჰიუსტონი, ბომონტი, პორტ-არტური), მდიდარი ნავთობით, ბუნებრივი გაზითა და ნედლეულით.

მეტალურგია. აშშ-ს შავი მეტალურგიის მთავარი რაიონებია - ტბისპირა (უმსხვილესი ცენტრი პისტბურგი, ჩიკაგო, გერი, კლივლენდი, ბუფალო), ბაზირებულია საკუთარ რკინის საბადოების რესურსებზე (ვერხნეეს ტბის რაიონი) და ქვანახშირის კოქსიტების (აპალაჩის წყალსაცავი) და ატლანტიკისპირა (ბალტიმორი, ფილადელფია), რომლებიც დაფუძნებულია ჩამოტანილი რკინის მადანზე (ძირითდად კანადიდან ვენესუელიდან და ბრაზილიიდან).

ფერადი მეტალუგია (სპილენძის, თუთიის, ცინკის, ალუმინის და სხვა გამოდნობა) მიიღო განვითარება მთიანი დასავლეთის შტატებშიც, სადაც თავმოყრილია მსხვილი მარაგი სპილენძის, ტყვიისა და ცინკის და მოლიბდენური მადნის. ასევე გაითქვა სახელიმძლავრი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით კოლუმბიისა და კოლორადოს მდინარეები).

სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა. აშშ-ს ენერგომოხმარების სტრუქტურაში უდიდესია ნავტობისა და ბუნებრივი გაზის წილი (დაახლოებით 70%). ნავთობის დიდი ნაწილიმოიწევა მექსიკის ყურის ნაპირებზე (ლუიზიანას და ტეხასის შტატი), კალიფორნიასა და ალიასკაზე. ეს რაიონები (ალიასკის გამოკლებით) იძლევიან ბუნებრივი გაზის მოპოვების უდიდეს ნაწილს. ნახშირის მოპოვების მთავარი რაიონია - აპალაჩის წყალსატევი. ლექტროენერგიის უდიდეს ნაწილს (დაახლოებით 90%) გამოიმუშავებენ თბო და ჰიდროელექტროსადგურები. სიმძლავრის მიხედვით აშშ-ს ატომურ ელექტროსადგურს უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში. კოლუმბიისა და კოლორადოს მდინარეებზე აშენებულია მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები. მათ შორის უმსხვილესია - გრანდ-კულის, რომელიც იმყოფება მდინარე კოლუმბიაზე.

მსუბუქი მრეწველობის წმყვანი დარგები (ტექსტილის, სამკერვალო და სხვა) და კვების (ფქვილეულის, მეხორცეობა, საკონსერო, სარძევე, საკონსერვო, შაქრის) მრეწველობა არა მარტო აკმაყოფილებს თავისი პროდუქციით ქვეყნის მოთხოვნილებებს, არამედ დიდი რაოდენობით მის ქსპორტირებასაც ახდენს.

აშშ-ს სოფლის მეურნეობა: ძირითადი დარგები და რაიონები

აშშ-ს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია თანაბრად განვითარებული მემცენარეობა და მესაქონლეობა. ძირითადი დარგია მემცენარეობა - მარცვლეული მეურნეობა. მთავარი მარცვლოვანი კულტურები - სიმინდი და სორგო (საქონლის მარცვლეული), ხორბალი, ბრინჯი. სიმინდი გამოჰყავთ ძირითადადცღდილოეთის შტატის ცენტრალურ დაბლობებში (აიოვა,ილინოისი, ინდიანა), ხორბალს, სორგოს - უდიდესი დაბლობების სტეპებში. ბრინჯის თესვის მთავარი ზონაა მექსიკისპირა დაბლობი, მისისპის შორეთი, კალიფორნია.

მთავარი ტექნიკური კულტურებია - ბამბა, შაქრის ლერწამი და შაქრის ჭარხალი, სოიო, თამბაქო. განვითარებული მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მებაღეობა.

მეცხოველეობის მთავარი დარგებია - მეხორცეული და მერძეული მიმართულების მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა. აშშ-ს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია წარმოების რაიონული სპეციალიზაცია.

ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის სოფლის მეურნეობა(ტბისპირა რაიონი), სადაც თავმოყრილია მრავალი მსხვილი ქალაქი, აქვს ქალაქისპირა ხასიათი და სპეციალიზირებულია რძის, კარტოფილის ბოსტნეული, ხილის, კენკრის მრეწველობაზე.

შტატები განლაგებული დიდი ტბების სამხრეთითა და დასავლეთით (ცენტრალური ვაკეების ჩრდილოეთი, უდიდესი ვაკეების რაიონი) არიან მარცვლეულის მთავარი მწარმოებლები (სიმინდის, ხორბლის, სორგოს). მეცხოველეობის სპეციალიზაცია - მსხვილი რქოსანი საქონელი მეხორცეული მიმართულებისა, მეღორეობა და მეფრინველეობა. სამხრეთ- აღმოსავლეთის შტატები სპეციალიზირებული არიან ტექნიკური კულტურები წარმოებაზე (ბამბის, შაქრის ლერწმის, თამბაქოს და სხვა). მთიანი დასავლეთის შტატებში დიდი მნიშვნელობა აქვს საძოვრების მეცხოველეობას - მეხორცეულ რქოსან პირუტყვს, მეცხვარეობას. კალიფორნიისა და ფლორიდის შტატები - მებაღეობისა და მეღვინეობის, ციტრუსის კულტურების წარმოების მთავარი რაიონებია.

ტრანსპორტი და ეკონომიკური კავშირები

ტვირთების შიდა გადაზიდვისათვის გადამწყვეტი როლი აქვს სარკინიგზო ტრანსპორტს. საავტომობილო ტრანსპორტი უზრუნველყოფს მგზავრების გადაყვანასა და ტვიტღების გადატანას საშუალო და მცირე მანზილზე. მთავარი მაგისტრალური მილსადენები აკავშირებს სამხრეთის შტატებს (ტეხასსა და ლუიზიანას) მრეწველობაგანვითარებულ ტბისპირა შტატებთან. შიდა წყლის გადაზიდვების დიდი ნაწილი ხორციელდება უდიდეს მდი-

ნარეებზე, მისისიპითა და სახმელეთო არხების სისტემებით. ტვირთების გარე გადაზიდვებს უზრუნველყოფს ძირითადა საზღვაო ტრანსპორტი. აშშ-ს უმსხვილესი საზღვაო პორტებია -ნიუ-იორკი და ახალი ორლეანი.

მიუხედავად სათბობისა და მინერალური ნედლეულის არნახული მოპოვების მასშტაბებისა, ქვეყნის მოთხოვნილება სათბობსა და ნედლეულზე იმდენად დიდია, რომ აშშ-ს გატანასთან ერთად შემოაქვს დიდი რაოდენობით სათბობი და ნედლეული. აშშ იმპორტირებას უკეთებს ნავთობს, ბუნებრივ გაზს და ურანის კონცენტრატებს, ქრომიტებსა და მარგანეცის მადანს, ბოქსიტებს, კალას, ნიკელს, კობალტს, ალმასს და სხვა.

უდიდსია მზა ნაწარმის იმპორტის წილიც - საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის, მეტალგადამამუშავებელი დაზგების, ფეხსაცმელების, ტექსტილის და სხვა. ექსპორტის სტრუქტურაში წამყვან ადილს იჭერს მზა სამრეწველო პროდუქცია (ძირითადად მანქანურ-ტექნიკური პროდუქცია და მოთხოვნადი საქონელი) და სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

აშშ-ს მთავარი სავაჭრო პარტნიორებია - ნაფტას წევრი ქვეყნები, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის, ლათინური ამერიკისა და დასავლეთი ევროპის სახელმწიფოები.

ავსტრალია და ოკეანეთი

ავსტრალია, ახალი გვინეა და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მრავალრიცხოვანი კუნძულები ქმნიან განსაკუთრებულ რეგიონს - ავსტრალია და ოკეანეთს.

ავსტრალაზია (იგივე ავსტრალია) სუბრეგიონები გეოგრაფიულად: ავსტარლიის სადედაქალაქო ტერიტორია, ახალი სამხრეთ უელსი, ჩრდილოეთის ტერიტორიები, ქვინსლენდი, სამხრეთი ავსტრალია, ტასმანია, ვიქტორია, დასავლეთი

ავსტარლია, ჯერვის–ბეის ტერიტორია (ავსტრალიის სამხრეთ–აღმოსავლეთ სანაპირო).

ოკეანეთი: მიკრონეზია, პოლინეზია, წყნარის ოკეანის სამხრეთი, წყნარის ოკეანის ჩრდილოეთი ავსტრალაზია (ინგლ. Australasia) - მსოფლიოს რეგიონი, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ აზიის ნაწილს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და ოკეანეთის კუნძულებს. რეგიონის შემადგენლობაში შედის ინდონეზიის, ახალი ზელანდიის და ახალი გვინეის კუნძულები. ხშირ შემთხვევაში ავსტრალაზიაში განიხილავენ მხოლოდ ავსტრალიას და ახალ ზელანდიას. ეს ტერიმინის დამკვიდრებულია 1756 წლიდან.

მელანეზია (ძვ. ბერძნ. μέλας νῆσος – შავი კუნძული) – კუნძულების ჯგუფების ერთობლიობა წყნარ ოკეანეში. ავსტრალიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ფართობი: 940 000 კმ². მოსახლეობა: 6 500 000 ადამიანი. მელანეზია შედგება შემდეგი კუნძულების ჯგუფისაგან: ახალი კალედონია, ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, ვანუატუ, ფიჯი, ბისმარკის არქიპელაგი, სანტა-კრუსი, ლოიალტი მოიცავს სახელმწიფოებს: სოლომონის კუნძულები , ვანუატუ, ფიჯი.

მიკრონეზია (ძვ. ბერძნ. μικρός νῆσος – მცირე კუნძული) – კუნძულების ჯგუფების ერთობლიობა წყნარ ოკეანეში. შედის ოკეანეთის შემადგენლობაში. მელანეზია შედგება შემდეგი სახელმწიფოებისაგან: ნაურუ, კირიბატი, მარშალის კუნძულები. მიკრონეზიის ფედერაციული შტატები, პალაუ პოლინეზია (ძვ. ბერძნ. πολύς νῆσος – ბევრი კუნძული) – კუნძულების ჯგუფების ერთობლიობა წყნარ ოკეანეში. შედის ოკეანეთის შემადგენლობაში.

პოლინეზია შედგება შემდეგი სახელმწიფოებისაგან: დასავლეთი სამოა, ტონგა, ტუვალუ.

ავსტრალია და ოკეანეთი არ წარმოადგენს ერთ მრთელს არც ბუნებრივ, არც კულტურულ და არც სოციალურ-ეკონომი-

კურ ურთიერთობებში. ოკეანეთი ქმნის რამდენიმე ათას კუნძულს, რომლებიც განლაგებულია ვრცელ სივრცეზე (მოედნის სიგანე 60მლ.კვ.კმ), წყნარი ოკეანის ცეტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში 29* ს.შ და 53* იუ. შ. და 130* ვ.დ. და 109* ზ.დ. შორის . ოკეანეთის ხმელეთის ნაწილი შედარებით მცირეა და შეადგენს 1,3მლნ.კვ.კმ (ექვსჯერ ნაკლებია ავსტრალიის ტერიტორიულ მოედანზე). ამასთანავე მისი ორი მსხვილი კუნძული - ახალი გვინეა (ფართობი 829 ათასი კვ. კმ) და ახალი ზელანდია (265 ათასი კვ.კმ) იჭერს მისი ხმელეთის 90%-ს და მხოლოდ 10% (ე.ი. დაახლოებით 200 ათასი კვ.კმ) - დანარჩენი რამდენიმე ათასი კუნძულია.

ოკეანის კუნძულებს, არიან რა ტროპიკულ და უბტროპიკულ სარტყელში, გააჩნიათ თბილი, რბილი კლიმატი (ერთ-ერთი კომფორტულია დედამიწაზე)ტემპერატურული რეჟიმითა და ატმოსფერული ნალექების რაოდენობით, საკმარისია სოფლის მეურნეობის კულტურების მოსაშენებლად, რომლებიც ამ სიფართეებზე ხარობს - ქოქოსის პალმას, ბანანებს, კაკაოს, ყავას, ჩაის, თამბაქოს, შაქრის ლერწმის, ბამბის, კენკროვნების (ტარო, ბატატი,ამსა,მანიოკი) და სხვა. ბუნებრივი პირობები წალიწადში რამდენიმეჯერ მოსავლის აღების საშუალებას იძლევა.

ოკეანეთი მდიდარია მრავალგვარი სასარგებლო წიაღისეულით: გახსნილია ქვანახშირის ჩალაგების ადგილები (ახალი ზელანდია), გაზის, რკინის მადნის, სპილენძისა და მარგანეცის საბადოები, პლატინის, ვერცხლის (ახალი გვინეა), ნიკელის (ახალი კალედონია), ოქროს (ფიჯი),ფოსფორატის ნედლულის (ნაურუ) და სხვა.

ოკეანეთი - პაპუასების, მელანეზიმების, მიკრონეზიმებისა და პოლინეზიების განსახლების ობიექტი გახსილი იქნა ევროპელების მიერ მე-16 საუკუნის დასაწყისში (მარიანის კუნძულები 1521 წელს, მფოფლიოს გარშემო ფერნანდო მაგელანის მოგზაურობის დროს 1519-1522 წლებში). ასევე თანამედროვე მოსახლეო-

ბის მსხვილ ჯგუფებს ქმნიან აბორიგენები (პაპუასის ხალხები და ხალხები, რომლებიც საუბრობენ ავსტრონეზიის ოჯახის ენებზე) აგრეთვე ემიგრანტები და მათი შთამომავლები (ანგლოახალზელანდიელები, ამერიკელები, ინგლისელები, ინდოელები, ფრანგები, ანგლოავსტრალიერები, ჩინელები, კორეელები, ვიეტნამელები და სხვა.) - ოკეანეთის ქვეყნების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მაღალი შობადობა, ბუნებრივი მატება და დაბალი სიკვდილიანობა.

ქვეყნების უმრავლესობაში მამაკაცები რიცხობრივად აჭარბებენ ქალებს, ძალიან მაღალია ახლგაზრდების წილი, მცხოვრებთა ძირითადი მასა დაკავებულია სოფლის მეურნეობაში, სამთომომპოვებელ მრეწველობაში, მომსახურების სფეროებში (ტურისტების მომსახურება). მნისვნელოვანია ადამიანტა მიგარციული ნაკადი ქვეყნებს შორის. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მიხედვით (8,1 ადამიანი 1კვ.კმ.) ოკეანეთი თითქმის ოთხჯერ აღემატება ავსტრალიას. მოსახლეობა განლაგებულია არათანაბრად - ხშირად დასახლებულ კუნძულებს შორის (ტუვაკუ, ნაურუ, მბაუ და სხვა) არის უკაცრიელი კუნძულებიც.

სოციალურ -ეკონომიკური გეგმით ოკეანეთის ყველა ქვეყანა განვითარებადია, მთავარი სახით აგრალური, მეურნეობის სპეციალიზაციის მიხედვით - ტროპიკული მიწათმოქმედება (მრავალგვარი ბოსტნეულისა და ხილის, ბამბის, ყავის, კაკაოს და სხვა) და მეცხოველეობის (გამოჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი, ღორი, ფრინველი). მრეწველობისათვის დამახასიათებელიასამთომოპოვებითი დარგების დომინირებული მდგომარეობა (ნაურუს კუნძულზე - ფოსფორიტების მოპოვება, ახალ კალედონიაზე - ნიკელის და სხვა) და დარგების, რომლებიც გადაამუშავებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას (ქოქოსის ზეთის, ჩაის, თამბაქოს ნაწარმის, შაქრის, წვენების, ხილის კონსერვების, თევზისგადამამუშავებელი მრეწველობის და სხვა) ამ მრეწველობის დარგე-

ბის და სოფლის მეურნეობის პროდუცია განსაზღვრავს ოკეანეთის ქვეყნების გარე ვაჭობაში მონაწილეობის ხასიათს.

საშუალოდ სულ მოსახლეზე სემოსავლების მიხედვით ოკეანეთი დიფერნეცირებულია სახელმწიფოებად, სადაც ეს მაჩვენებელი შეადგენს 15 ათას დოლარს (ნაურუ), 1500 დოლარი (ფიჯი), 900 დოლარი (პაპუა -ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, ვანუატრუ), 400 -დან 600 დოლარამდე (დასავლეთი სამოა, ტონგა, კირიბატი, ტუვაკუ).

ავსტრალია ევროპელების მიერ ორჯერ იქნა ,,გახსნილი“- პირველად მე-17 საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიელი მეზღვაურის იანსენის მირ (მისი ჩრდილოეთი სანაპირო), მოგვიანებით, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელი მეზღვაურის ჯეისონ კუკის მიერ (აღმოსავლეთი სანაპირო). პირველ ხანებში ეს კონტინენტი იყო კატორღული დასახლების ადგილი (ინგლისელი დამნაშავეების), ის მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მდიდარი ოქროს საბადოების აღმოჩენის შემდეგ გახდა თავისუფალი მასობრივი მიგრაციის ადგილი.

ავსტრალია - ფედერაციული სახელმწიფოა, რომელიც შედის დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით შექმნილ თანამეგობრობაში. ავსტრალიის კავშირში შედის ექვსი შტატი: ახალი სამხრეთის უელსი, ვიქტორია, სამხრეთი ავსტრალია, კვინსლედი, დასავლეთი ავსტრალია და ტასმანია, აგრეთვე ორი ტერიტორია - ჩრდილოეთის ტერიტორია და დედაქალაქის ტერიტორია.

ქვეყანა განლაგებულია სამხრეთ ნახევარსფეროში და იჭერს ავსტრალიის კონტინენტის მთლიან ნაწილს და მასთან დაკავშირებულ კუნძულებს (ტასმანია, კინგი, კენგურუ, ფლინდერსი, ბარროუ და სხვა). ავსტრალიის ტერიტორიის სიფართე შეადგენს 7,7მლნ.კვ.კმ, მოსახლეობა -18,2 მლნ. ადამიანი. დედაქალაქი - კანბერრა. სახელმწიფო ენა -ინგლიური. მოსახლეობის უმეტესობას ქრისტიანები შეადგენენ.

ავსტრალია შედის მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რიცხვში, მაგრამ მის მეურნეობაზე მიკედლებულია ნედლეულის მიმართულება. საერთაშორისო შრომის დანაწილებაში ავსტრალიას მიეკუთვნება წამყვანი როლი ხორბალის, ხორცის, შაქრის, მატყლის, მინერალური ნედლეულის მრავალსახეობის (ბოქსიტების, პოლიმეტალების, რკინის მადნის, ქვანახშირის) წარმოებასა და ექსპორტში.

გეოგრაფიული მდგომარეობა. ავსტრალიის გეოგრაფიული მდგომარეობის განმასხვავებელი თავისებურებაა - მნიშვნელოვანი დაშორება სხვა კონტინენტებისაგან. ქვეყანა ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია მსოფლიო ოკეანის წყლებით, მის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაპირებს რეცხავს წყნარი ოკეანე, დასავლეთ და სამხრეთს - ინდოეთის ოკეანე.

მოსახლეობა. ავსტრალიის მოსახლეობის ბირთვს შეადგენს ანგლოავსტრალიელები (ირლანდიიდან და დიდი ბრიტანეთიდან წამოსული ემიგრანტების შთამომავლები) და ემიგრანტები მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან.ავსტრალიის აბორიგენები ქმნიან ქვეყნის მოსახლეობის 1%. ავსტრალიისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი იმიგრაცია, რომელიც იზლევა მოსახლეობის 20% გაზრდას. ავსტრალიის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე - 2ადამიანი 1კვ.კმ. მოსახლეობის დიდი ნაწილი (ქვეყნის მოსახლეობის 2/3 -ზე მეტი) თავმოყრილია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, ხელსაყრელ ბუნებრივ ურთიერთობებში (აქ სიმჭიდროვე კონკრეტულ ადგილებზე აღწევს 10-15 ადამიანს 1კვ.კმ) დანარჩენი ტერიტორია დასახლებულია სუსტად.

ავსტრალია - ერთ-ერთი ყველაზე ურბანიზებული ქვეყანაა: მისი მოსახლეობის 85% ქალაქში ცხოვრობს. უმსხვილესი ქალაქებია - სიდნეი, მელბურნი, ბრისბენი,ადელაიდა, პერტი, ნიუკასლი, რომელტა უმრავლესობაც პორტია.

ბუნებრივი პირობები. ავსტრალიის რელიეფი უმეტესად სწორია. მთები იჭერენ 5% ამ მატერიკის ტერიტორიის. სივრცეში გაწვდილი მისი აღმოსავლეთი საზღვრები, წყალგამყოფი თხემი (კოსციუშკოს მთის უმაღლესი წერტილი -2230 მ) არ წარმოადგენს რთულად გადასალახავ წინაღობას სოფლის მეურნეობის ათვისებისათვის. ავსტრალიის უმეტესი ნაწილის კლიმატი არახელსაყრელია მიწათმოქმედებისათვის. ნალექების საკმარისი რაოდენობა (500 მმ წელიწადში) მოდის მატერიკის მსოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ფართო უდაბნოების რაიონები (ისინი იჭერენ ქვეყნის მოედნის 2/5) ცენტრალური და დასავლეთი ავსტრალია არასაკმარისად ტნიანდება, და ისინი გამოიყენება მხოლოდ ცხვარის საძოვრებად.

მდინარეების ქსელი ნაკლებადაა განვითარებული. ერთადერთი წყალუხვი მდინარეა მურეი დარლინგის შენაკადით.

მეურნეობა. მრეწველობის დარგენს შორის დიდი მნისვნელობა ავსტრალიის ეკონომიკისათვის გააჩნია სამთომოპოვებით, მეტალურგიულ და კვების მრეწველობას. ამდარგების პროდუქცია არა მარტო ქვეყნის შიგნით მოიხმარება, არამედ დიდი რაოდენობით მიდის საექსპორტოდ. აცსტრალია მსოფლიოში გამოჩენილ ადგილს იჭერს ბოქსიტების, რკინის, თუთიის, ცინკის, სპილენძის, მარგანეცის, ვოლფრამისა და ურანის მადნის, ქვანახშირის მრაგითა და მოპოვებით. სამთომოპოვებით მრეწველობასთან დაკავშირებულია შავი და ფერადი მეტალურგია, რომელთა ძირითადი დარგებია - ალუმინის წარმოება, სპილენზის გამოდნობა, კალის, თუთიისა და ცინკის, სპეციალური ფოლადისა და თუჯის წარმოება.

კვების მრეწველობის ძირიტადი დარგებია -ხორცის, რძის, ფქვილეულის, შაქრის, ნაყოფისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელი - ამუშავებენ ადგილობრივ ნედლეულს. ამ დარგების საწარ-

მოები განლაგებულია სამხრეთ- აღმოსავლეთის საპორტო ქალაქებშ (მელბურნი, სიდნეი, ნიუკასლი, ადელაიდა).

მანქანათმსენებლობა (სატვირთო და მსუბუქი მანქანების წარმოება, სოფლის მეურნეობის ტექნიკის, ელექტრომომარაგება, სხვადასხვა ნაწილების და ა.შ), ნავთობგდამამუშავებელი, ქიმიური (აზოტოვანი და ფოსფატური ნედლეულის, პლასტმასისა და ქიმიური ბოჭკოების და სხვა) და მსუბუქი (ფეხსაცმელების, ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის) უმთავრესად მრეწველობას გააჩნი ადგილობრივი დანიშნულება.

ავსტრალიის სოფლის მეურნეობას გააჩნია მეცხოველეობის მიმართულება. მეცხოველეობის წამყვანი დარგების - მეცხვარეობა და მეხორცეული და მერძეული მიმართულების მესაქონლეობა. ქვეყანას უჭირავს პირველი ადგილი ცხვარის მოშენებასა და მატყლის, ცხვრის ხორცის, დაკონსერვებული ხორცის და ხბოს ხორცის ექსპორტით. განვითარებულია მეცხენეობა, მეაქლემეობა და მეფრინველეობა. სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის მიმართულებასთან მთლიანობაში და მემცენარეობასტან დაკავშირებულია საკვები კულტურების გამოყვანას (დაკავებულია სახნავი მიწების 49%).

ავსტრალიის ძირითადი ექსპორტული კულტურებია - ხორბალი, შაქრის ლერწამი, ბამბა. მათი მოყვანის მთავარი არეალია - ქვეყნის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ხორბლის წარმოებითა და ექსპორტით ავსტრალიას უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში. მემცენარეობის მთავარი დარგების -მებაღეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა.

ტრანსპორტი. ტვირთების გადაზიდვაში უდიდესია (ტვირთბრუნვის ნახევრამდე) საზღვაო ტრანსპორტის როლი, მგზავრების - საავტომობილო და ავიაციის. სარკინიგზო გზების სიგრძე არც ისე გრძელია.შიდა წყლის ტრანსპორტი ფაქტიურად არ არის.

ქვეყნიდან გამოსვლას ექვემდებარება - მინერალური ნედლეული(რკინის მადანი, ნახშირი, ბოქსიტები და ა.შ.) და სოფლის მეურნეობის პროდუქციას (მატყლი, ხორბალი, ხორცი, შაქარი). ავსტრალია იმპორტირებას უკეთებს სამრეწველო საქონელს. შიდა განსხვავებები. ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილები განსხვავდებიან განვიტარებისა და ეკონომიკის სპეციალიზაციის დონით.

ეკონომიკური რაიონების დამახასიათებელი თვისებებია:

სამხრეთ-აღმოსავლეთი (მოიცავს ახალი სამხრეთი უელსის შტატს, ვიქტორიას და სამხრეთ ავსტრალიის სამხრეთ- აღმოსავლეთს, ფედერალური დედაქალაის ტერიტორიას)- ქვეყნის წამყვანი რაიონია. მის არცთუ ისე დიდ ტერიტორიაზე თავმოყრილია (ქვეყნის მოედნის სიფართე 20%) ტავმოყრილია მოსახლეობის 70%, გადამამუშავებელი მრეწველობის დაახლოებით 80%, სამტომოპოვების თითქმის ნახევარი. სოფლის მეურნეობის თითქმის ნახევარი, ამდენივე სარკინიგზო გზების ხანგრძლივობაშიც. აქ არის ავსტრალიის უმხვილესი ცენტრებიც - სიდნეი, მელბურნი და ადელაიდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთი (კვინსლედის შტატი ბრისბრნის ადმინისტრაციული ცენტრით) გამოიყოფა შაქრის ჭარხლისა და ტროპიკული ხილის კულტურების გამოყვანა (ბანანი, პაპაია, ანანასი და სხვა), მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენება(ქვეყნის ნახევარი)ხორცის, შაქრის, ბოქსიტებისა და თიხამიწის, ნავთობის მოპოვების წარმოება.

დასავლეთ-ცენტრალური მოიცავს (მოიცავს სამხრეთის შტატს (სამხრეთ-აღმოსავლეთის გარდა) და დასავლეთ ავსტრალიას, ჩრდილოეთ ტერიტორიას)- ყველაზე მსხვილი ფართობის მიედვით და ყველაზე მშრალი (აქ არის დიდი ქვიშიანი უდაბნო, გიბსონის უდაბნო და ვიქტორიას დიდი უდაბნო), ნაკლებად დასახლებული და სამეურნეოდ ათვისებული ქვეყნის რაიონი. გამოიყოფა სამთომოპოვებითი მრეწველობა (უწირავს პირველი ადგილი

ქვეყანაში ოქროს, რკინის მადნის, ნიკელის, სპილნძის,ურანის, მარგანეცის მოპოვებაში) და სოფლის მეურნეობით (ხორბლის, შვრიის, ქატოს, ბამბის წარმოება; ექსტენსიური მეხორცეული მესაქონელეობა). მსხვილი ცენტრებია - პერტი (დასავლეთ ავსტრალიის შტატი) და დარვინი (ჩრდილოეთი ტერიტორია).

ტასმანია, კუნძულის მდომარეობის, ხელსაყრელი კლიმატის (თბილი, გაწონასწორებული, ტენიანი), ჰიდრორესურსებისა და სასარგებლო წიაღისეულების სიმდიდრით 9სპილენძი, კალა, ვოლფრამი, ცინკი, რკინის მადანი, ქვანახშირი და სხვა) განვითარებული ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის რაიონი (ხილი,ბოსტნეული, სარძევე მეცხოველეობა), ჰიდროენერგეტიკა და ფერადი მეტალურგია (სპილენძის, ალუმინისა და ცინკის წარმოება და სხვა). ტასმანიის შტატის, რაიონისა და ადმინისტრაციის მთავარი ცენტრია - ხობარტი.

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრეობა (ევრაზიის მაკრო -რეგიონი)

მსოფლიოში განსაკუთრებით გამოიყოფა რეგიონი - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრეობა (დსთ), რომელივ წარმოიშვა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. თანამეგობრობის ტერიტორია იჭერს აღმოსავლეთი ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის დიდ ნაწილს, ჩრდილოეთით აკრავს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, აღმოსავლეთით წყნარი, დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით -ატლანტიკის ოკეანე. ტერიტორიის სიდიდის 22,25 მლნ. კვ.კმ) მიხედვით ეს რეგიონი აჭარბებს საზღვარგარეთის ევროპას, ჩრდილოეთ და ლათინურ ამერიკას, ავსტრალიასა და ოკეანეთს. ტერიტორიის უზარმაზარ ფართობზე გადაჭიმვა (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ - 10 ათას კმ., ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ - 4500 ათასი კმ) დაკავშირებულია მისი მდგომარეობა რამდენიმე ფართო ბუნებრივ ზონაში (არ-

ქტიკული უდაბნოები, ტუნდრები, ტყეტუნდრები, ტყის, ტყესტეპის, სტეპის, ნახევრადუდაბნოს, გ სარტყელი - მეორედან თორმეტის ჩათვლით). თანამეგობრობის შემადგენლობაში შედის 12 დამოუიდებელი სახელმწიფო - რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. თანამეგობრობის ყველა ქვეყნებმა თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის ღიარების შემდეგ ერთიანი მმართველობის ფორმა რესპუბლიკური მმართველობა.

თანამეგობრობის ქვეყნებში ცხოვრობს 100 ნაციაზე და ეროვნებაზე მეტი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენითა და ეთნიკური შემადგენლობის, კულტურისა და ყოფის მიხედვით. დსთ-ს ქვეყნები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან თანაცხოვრების ხანგრძლივობით. სამეურნეო ათვისებამ ოდესღაც ერთიანი ქვეყნის მიიყვანა ქვეყნები ნაციონალურობის ტერიტორიულ შერევასთან, მათ შორის საზღვრების წაშლასთან, მათი ნაციონალური მეურნეობის ინტეგრაციასთან. დსთ-ს ფარგლებში ნაციონალური პოლიტიკური საზღვრების გამოჩენის, მიუხედავად აგრძელებს არსებობას ერთიანი გეოპოლიტიკური, ინფორმაციული და ეკონომიკური სივრცე, რომელიც მოიცავს საერთო შრომისა და ნედლეულის ბაზას, თავისებურ ადამიანთა განსახლებასა და წარმოების განლაგებას.

მსოფლიოს ქვეყნების რეგიონული დაჯგუფება

მსოფლიოს სახელმწიფოთა რაოდენობა უახლოვდება 200, თუმცა მათი განლაგება რეგიონების მიხედვით, დღემდე დეტალურად არ შემუშავებულა. ქვეყნების არსებული დაჯგუფებები რეგიონების მიხედვით, არასრულობის, ერთმხრივობისა და სუბიექტურობის გამო აშკარად ურთირთგამომრიცხავია და არამაყოფილე-

ბას იწვევს, განსაკუთრებით საზღვარგარეთული. მაგალითად, საერთაშორისო ინსტიტუტების სტრატეგიულ კვლევებში (ლონდონი, 2001) გამოიყოფა სულ ექვსი რეგიონი ხუთ დასახლებულ კონტინენტზე:

1. ნატოს რეგიონი და ნატოსგარეშე ევროპა. აქ ევროპის სახელმწიფოების გარდა ჩართულია ჩრდილოეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყანა (აშშ და კანადა) და აზიის (კავკასიის მიღმა ქვეყნები), რომლებიც, როგორც ცნობილია დაყოფილია ატლანტიკის ოკეანით.

2. **ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი** მოიცავს ორი კონტინენტის ქვეყნებს - აზიისა და აფრიკის.

3. ცენტრალური და სამხრეთი აზიის რეგიონი აერთიანებს ქვეყნებს, რომლებიც განსხვავებულნი არიან როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ნიშნებით.

4. **აღმოსავლეთ აზიისა და ავსტრალაზიის რეგიონში** შედის ორი კონტინენტის ქვეყნები, რომლებსაც წყნარი ოკეანე ეკვრის.

5. **აფრიკისა და საჰარის სამხრეთით რეგიონი,** სადაც შედის აფრიკის ყველა სახელმწიფო.

6. **კარიბისა და ლათინური ამერიკის რეგიონი,** რომელიც ერთიანებს თითქმის ყველა ამერიკულ ქვეყანას, სიტყვა კარიბის გამოყენება აქ ზედმეტიცაა, რადგანაც ეს ლათინური ამერიკის ნაწილია. ამ რაიონირების, ისევე, როგორც ყველა მსგავსის ნაკლოვანებები ნათელია : ზოგიერთი რეგიონი მოიცავს მთელ კონტინენტს, ყველსხვები კი განლაგებულნი არიან ორ. ან სამ მატერიკზე და იყოფიან ოკეანეებით. აქ მკვეთრადაა გამოხატული დასავლური ქვეყნების, ნატოსა და აშშ-ს სუბიექტური პოზიცია რაიონირების გაგების. სამამულო სახელმძღვანელოებში გამოყენებული, მსოფლიოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში რეგიონალური დაჯგუფებები, უფრო მეტად ობიეტურია, მაგრამ მაინც შორს არის სრულ-

ყოფილებისაგან. ამიტომაც ნათელია, რომ უკვე დიდი ხანია მომწიფდა აუცილებლობა იმისა, რომ მოხდეს ერთიან პრინციპებზე დამყარებული მსოფლიოს ახლებური რაიონირება. ამ პრინციპების რეალიზების გზებზე გვხვდება რიგი დაბრკოლებებიც, ისეთი როგორიცაა ქვეყნების მრავალგვარობა ტერიტორიის მასშტაბების მიხდვით (მილიონჯერ), მოსახლეობის რაოდენობა(ათეულ და ასეულ ათასჯერ), ქვეყნების სხვადასხვაობა ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით და ბუნებრივი და სახელმწიფო საზღვრების დაუმთხვევლობა. ამ სირთულეების დასაძლევად საჭიროა რაიონირების ერთიანი პრინციპების არჩევა.

1. ობიექტურობის პრინციპი: ქვეყნების რაიონირება და დაჯგუფება რეგიონებად, არ უნდა ასახავდეს კონკრეტული სოციალური და წამყვანი ჯგუფების ან ქვეყნების ვიწრო ინტერესს. საფუძვლად მიიღება გეოგრაფიული ერთიანობა, ანუ აღწერა როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მაჩვენებლებისა შესაძლებლობის მიხედვით თანაბარ ხარისხში.

2. სტაბილურობის პრინციპი: დროში შედარებით მყარი მაჩვენებლების გამოყენება, ისეთების, როგორებიცაა ბუნებრივი და რესურსული პრამეტრები, აგრეთვე ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული და ცივილიზებული ტავისებურებები. შედარებით მყარი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მაჩვენებლები.

3. ტერიტორიის უწყვეტობის პრინციპი: რეგიონი არ შეიძლება დაიყოს სხვა რეგიონის სახელმწიფოს ტერიტორიებით ან მხვილ აკვატორიებად, გარდა ყურეებისა, სრუტეებისა მცირე ზღვებისა.

4. ტერიტორიის გაუყოფლობის პრინციპი: არ შეიძლება სახელმწიფოს ტერიტორიის დაყოფა რეგიონებს შორის, ერთი რეგიონი, ან სუბრეგიონი არ შეიძლება განლაგდეს სხვადასხვა კონტი-

ნენტზე. გამონაკლის წარმოადგენს რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ტერიტორია. აქ დაიშვება მცირეოდენი დაუმთხვევლობა ბუნებრივი და სახელმწიფოებრივი საზღვრებისა. მაგალითად, სინას ნახევარკუნძული სხვა დანარჩენ ეგვიპტესთან ერთად შეიძლება მივაკუთვნოთ აფრიკას, აღმოსავლეთი ფრაკია დანარჩენ თურქეთთან ერთად - აზიას, ხოლო ახალი გვინეის კუნძული შეიძლება გაიყოს აზიასა (ინდონეზია) და ოკეანეთს (პაპუა -ახალი გვინეა) შორის.

5. იერარქიულობის პრინციპი - ჯგუფების მრავალგვარი დონეების ურთიერთდამორჩილება ,,კონტინენტი- სუბკონტინენტი- სახემწიფო'' ფარგლებში. ეს იერარქია შეიძლება გაგრძელდეს უფრო მცირე რეგიონალური სტრუქტურებისაკენ, რომლებიც გამოიყოფიან სახელმწიფოს შემადგენლობაში. მიზანმიმართულია გამოიყოს რეგიონ-რაიონების შვიდი იერარქიული დონე, როგორც ზესახემწიფოებრივ, ასევე სახელმწიფოებრივ და შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე. **ზესახელმწიფოებრივი** რეგიონალური სტრუქტურები წარმოდგენილა სამი დონით:

1. დონე, ყველაზე მაღალი - კონტინენტალური, შედგება 4 დასახლებული ზონისაგან (ევრაზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი).

2. დონე - სუბკონტინენტალური, წარმოდგენილია კონტინენტების მეტნაკლებად მსხვილი ნაწილებით - მაკრორეგიონებით და უფრო ნათლად - რეგიონებით. მაგალითები:დასავლეთი ევროპა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია,ცენტრალური აფრიკა და ა.შ (სულ 17 რეგიონი).

3. დონე - სუბრეგიონული. სუბროგიონები - ეს რეგიონების მსხვილი ნაწილებია, რომლებსაც გააჩნიათ საპეციფიკური მახასიათებლები და თავისებურებები. მაგალითები:ბალკანეტის სუბრეგიონი არის ცენტრალურ-აღმოსავლეთი ევროპის შემადგენლობაში, არაბეთის სუბრეგიონი სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, კუნძულოვანი სუბრეგიონი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ა.ს. სუბროგი-

ონები ყველაზე მცირე ზესახელმწიფოებრივი რეგიონალური წარმონაქმნია , ისინი არ გამოიყოფიან ყველა რეგიონებში.

სახელმწიფოებრივი რეგიონული სტრუქტურები წარმოდგენილნი არიან ერთი დონით.

4 იერარქიული დონეა - სახელმწიფოებრივი (დასავლური ტერმინოლოგიით - ნაციონალური), ე.ი. კონკრეტული სახელმწიფოები სხვადასხვა ზომისა და ნირგვარი დანიშნულების.

შიდასახელმწიფოებრივი ტერიტორიული სტრუქტურები წარმოდგენილია სამი დონით.

5 დონე - შიდასახელმწიფოებრივი კონსტიტუციური. ისინი ყველაზე მსხვილი შიდასახელმწიფოებრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია, რომელთა ჩამონათვალი ხშირადაა ამ ქვეყნების კონსტიტუციაში. მაგალიტად, რუსეთში ამდონეს შეესაბამება ფედერაციის სუბიექტები (რაიონები, მხარეები, რესპუბლიკები, ავტონომიური ოლები, ფედერალური დაქვემდებარები ქალაქები), საფრანგეთში - დეპარტამენტები, დიდ ბრიტანეთში - საგრაფოები, პოლონეთში - ნაკვეთები. ზოგიერთ ქვეყანაში ეს რეგიონები ჯგუფდებიან უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (მე-5 ა დონე), რომლებიც ხშირად დაფუძნებულია ისტორიულ ტრადიციებზე (იტალიისა და ეპანეთის ისტორიული პროვინციები). ხშირ შემთხვევაში - ეს ადმინისტრაციული ერთეულები მმართველობითი ვერტიკალებია (ფედერაციული ოლქები რუსეთში, ეკონომიკურ-დაგეგმვითი რაიონები საფრანგეთში). დიდ ბრიტანეთში ასეთი ადმინისტრაციული ერთეულები ფორმირდება აღმოცენებული ნაციონალური ავტონომიების ირგვლივ (ჩრდილოეთი ირლანდია, შოტლანდია, უელსი). ესპანეთში - ეს ავტონომიური ოლქია, რომელიც პროვინციებისაგან შედგება.

6 დონე - უფრო წვრილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რგიონალური ერთეულია, მაგალითად რუსეთისა და დსთ-ს ადმინისტრაციული რაიონები, პოლონეთის პოვატები და ა.შ.

7 დონე - ეს არის კომუნების ყველაზ დაბალი დონე. რუსეთში - სოფლის ადმინისტრაციები (სოფლსაბჭოები), საფრანგეთში, რუმინეთსა და მოლდავეთში - კომუენები, პოლონეთში - გმინი და სხვა.

ცხრილში მოყვანილია მსოფლიოს ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურა 1-4 დონის ფარგლებში.

მსოფლიოს ქვეყნების რეგიონული დაჯგუფება

რეგიონული დაჯგუფების დონეები				
ზესახელმწიფოებრივი				სახელმწიფოებრივი
1	2	3		4
კონტინენტები	რეგიონები	სუბრეგიონები	ქვეყნების რა-ოდენობა	სახელმწიფოები
ევრაზია	დასავლეთი ევ-როპა (24 ქვეყანა)	ცენტრალურ-და-სავლეთი ევროპა	9	ირლანდია, დიდი ბრიტანე-თი, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ავსტრია
		ჩრდილოეთი ევ-როპა	5	დანია,ნორვეგია, შვედე-თი,ფინეთი, ისლანდია
		სამხრეთი ევროპა	5	პორტუგალია, ესპანე-თი,იტალია საბერძნეთი, მალტა
		მიკრო-სახელმწი-ფო	5	ანდორა, მონაკო, სან-მა-რინო, ლიხტენშტეინი, ვა-ტიკანი
	ცენტრალურ-არმოსავლეტი ევროპა (15 ქვე-ყანა)	შუა ევროპა	4	პოლონეთი, ჩეხეთი,სლო-ვაკეთი, უნგრეთი
		ბალკანეთი	8	სლოვენია, ხორნვა-ტია,ბოსნია და ჰერცოგო-ვინა, სერბია და ჩერნოგო-რია (იუგოსლავია), მაკე-დონია, ალბანეთი, რუმინე-თი, ბულგარეთი
		ბალტიის პირეთი	3	ესტონეთი, ლატვია, ლიტვა
	დამოუკიდე-ბელ სახელმწი-ფოთა კავშირი (12ქვეყანა)	აღმოსავლეთი ევ-როპა	3	ბრლორუსია, უკრაინა, მოლდოვა

		სამხრეთი კავკა-სია	3	საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი
		ცენტრალური აზია	5	ყაზახეთი,უზბეკეთი, ყირ-გიზეთი, თურქმენეთი, ტა-ჯიკეთი
		რუსეთი	1	რუსეთი
	სამხრეთ-და-სავლეთი აზია (17 ქვეყანა)	აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის	8	თურქეთი, ლივანი, სირია, ერაყი, ისრაელი, პალესტი-ნის ავტონომია, ირლანდია, კვიპროსი
		არაბეთი	7	საუდის არაბეთი, ქუვეითი, ბახრეინი, კატარი, ოაე, ომანი, იემენი
		მცირე აღმოსავ-ლეთი	2	ირანი, ავღანეთი
	სამხრეთი აზია (8 ქვეყანა)		8	პაკისტანი, ინდოეთი, ბან-გლადეში, ნეპალი, ბუტანი, მიანმა, შრი-ლანკა, მალდი-ვია
	სამხრეთ - აღ-მოსავლეთი აზია (10 ქვეყა-ნა)	კონტინენტალუ-რი (ინდოჩინეთი)	4	ტაილანდი, ლაოსი, კამბო-ჯა, ვიეტნამი
		კუნძულოვანი (მალაის)	6	მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, ბრუნეი,ინდო-ნეზია,აღმოსავლეთ ტიმო-რი
	აღმოსავლეთი აზია (6 ქვეყანა)		6	მონღოლეთი, ჩინეთი, ია-პონია, კორეის სახალხო - დემოკრატიული რესპუბ-ლიკა, სამხრეთი კორეა, ტა-ივანი
აფრიკა	ჩრდილოეთი აფრიკა (5 ქვე-ყანა)		5	მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ლივია, ეგვიპტე
	დასავლეთი აფრიკა (17 ქვე-ყანა)	გვინეის	5	კოტ-დივუარი, განა,ტოგო, ბენინი, ნიგერია
		ატლანტიკის პირა	7	სენეგალი, გამბია, გვინეა-ბისაუ, გვიენა, სიერა-ლეო-ნე, ლიბერია, კაბო-ვერდე
		დასავლეთი სუდა-ნი	5	დასავლეთი საჰარა,მავრი-ტანია, მალი, ბურკინა-ფა-სო, ნიგერი
	ცენტრალური აფრიკა (11ქვე-ყანა)		11	კამერუნი, ჩადი, გაბონი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კონგო, დე-მი,კონგოს რესპუბლიკა, ანგოლა, ეკვატორიალური გვინეა, სან-ტომე და პრინ-ტ

				სიპი
	აღმოსავლეთი აფრიკა (16 ქვეყანა)	ზემო ნილის	3	სუდანი, ეთიოპია, უგანდა
		ოკეანისპირა	6	ერიტრეა,ჯიბუტი, სომალი, კენია, ტანზანია,მოზამბიკი
		კუნძულოვანი	4	სეიშელის კუნძულები,კანარის კუნძულები, მაგადასკარი, მავრიტანია
		შიდა	3	ზამბია, მალავი, ზიმბაბვე
	სამხრეთი აფრიკა (5 ქვეყანა)		5	ნამიბია, ბოტსტვანა, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა, ლესოტო, სვიზელენდი
ამერიკა	ჩრდილოეთი ამერიკა (3 ქვეყანა)		3	აშშ, კანადა, მექსიკა
	ცენტრალური ამერიკა (20 ქვეყანა)	შუა ამერიკა (კონტინენტალური)	7	გვატემალა, ჰონდურასი,ბელიზი,სალავადორი,ნიკარაგუა, კოსტა-რიკა, პანამა
		ვესტ-ინდოეთი (კუნძულოვანი)	13	კუბა, ჰაიტი, დომინიკის რესპუბლიკა,იამაიკა, ბაჰამის კუნძულები, ანტიგუა და ბარბუდა, სენტ-კისი და ნევისი, დომინიკი, სენტ-ლუსია, ბარბადოსი, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, გრენადა, ტრინიდადი და ტობაგო
	სამხრეთი ამერიკა (12 ქვეყანა)	ატლანტიკის	7	ვენესუელა, გაიანა, სურინამი, ბრაზილია, პარაგვაი, ურუგვაი, არგენტინა
		წყნარი ოკეანის (ანდის)	5	კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, ბოლივია, ჩილე
ავსტრალია და ოკეანეთი	ავსტრალია და ახალი (2 ქვეყანა)		2	ავსტრალია, ახალი ზელანდია, ზელანდია
	ოკეანეთი (12 ქვეყანა)	მელანეზია	4	პაპუა-ახალი გვინეა,სოლომონის კუნძულები, ვანუატრუ, ფიჯი
		მიკრონეზია	5	პალაუ, მიკრონეზიის ფედერალური შტატი, მარშალის კუნძულები, ნაურუ,კირიბატი
		პოლინეზია	3	სამოა, ტონგა, ტუვალუ

ლექცია 8

ევროპა : ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

საბოლოო განსაზღვრება ბერძნული სიტყვისა „**EUROPA**" უცნობია. მეტნაკლებად შესაძლებელია მისი წარმოქმნა სემიტური ძირისაგან „**Ereb**", რომელიც ნიშნავს „სიბნელესა" და „დასავლეთს", რეგიონის დასავლეთი მდებარეობიდან მესოპოტამიიდან, ანატოლიის ლევანტიის სანაპიროდან და ბოსფორიდან. ამგვარად, სიტყვა აღნიშნავს „მზის ჩასვლის მიწას", „დასავლეთის მიწას".

ევროპა ითვლება დასავლური კულტურის აკვნად. ის თამაშობდა წამყვან როლს მე-16 საუკუნეში, განსაკუთრებით კოლონიზაციის დაწყებისას. მე-17 და მე-20 საუკუნეებს შორის პერიოდში ევროპული ქვეყნები სხვადასხვა დროს აკონტროლებდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, აფრიკის ქვეყნების უმრავლესობას, ოკეანეთსა და აგრეთვე აზიის მნიშვნელოვან ნაწილს. ორივე მსოფლიო ომი დაიწყო ცენტრალური ევროპის ტერიტორიების განაწილების გამო. ამან მეტნაკლებად ხელი შეუწყო ევროპის დომინირების შემცირებას საერთაშორისო საქმეებში, ხოლო მე - 20 საუკუნის შუაწლებში წამყვან პოზიციებს იჭერენ აშშ და სსრ კავშირი. ცივი ომის დროს ევროპა გაყოფილი იყო დასავლეთით ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებით აღმოსავლეთ ნაწილებად. ევროპული ინტეგრაციამ მიიყვანა ევროპის საბჭოსა და ევროის კავშირის ორგანიზაციის შექმნამდე. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ორგანიზაციის შემადგენლობა გაფართოვდა აღმოსავლეთისაკენ.

საზღვრები

ძველი ბერძნები პირველად ევროპას მიიჩნევდნენ ცალკე მატერიკად, ცალკე მდგომად აზიიდან ეგეოსისა და შავი ზღვიდან, ხოლო აფრიკიდან ხმელთაშუაზღვიდან. დარწმუნდნენ რა ანტიკუ-

რი ავტორები, რომ ევროპა მხოლოდ უდიდესი კონტინენტის პატარა ნაწილია, რომელსაც ევრაზია უწოდეს, გაავლეს აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე დონზე.

მე-15 საუკუნეში როდესაც მუსულმანები გამოაძევეს თითქმის მთელი ესპანეთიდან, ბიზანტიელები კი აზიიდან, ევროპა მცირე ხნით იქცა ქრისტიანული მსოფლიოს სინონიმად. მე-19 საუკუნეში თითქმის მთელი მრეწველობა თავმოყრილი იყო ევროპაში; დღეს კი პროდუქციის დიდი ნაწილი იწარმოება ევროპის საზღვრებს გარეთ.

1720 წელს ვ.ნ ტატიშცევმა შესთავაზა ევროპის აღმოსავლეთი საზღვრის გადაწევა ურალისაკენ. თანდათანოით ახალი საზღვარი გახდა საყოველთაოდ მიღებული ჯერ რუსეთში, შემდეგ კი მის საზღვრებს მიღმა.

დღესდღეისობით ევროპის საზღვარი გადის: ჩრდილოეთით - ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეზე, დასავლეთით-ატლანტიკის ოკენეზე, სამხრეთით - ხმელთაშუაზღვის, ეგეოსის, მარმარილოს, შავსა და აზოვის ზღვებზე, აღმოსავლეთით - ყველაზე ხშირად ურალის აღმოსავლეთ ნაწილზე, მდინარე ემბაზე კასპიის ზღვამდე, მდინარეებე კუმასა და მანიჩზე დონის შესართავამდე.

ევროპას აკრავს ატლანტიკის ოკეანე და მისი ზღვები, აგრეთვე ნაწილობრივ, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე და მისი ზღვები - ნორვეგიის, ბარენციის კარის ზღვები. ევროპის შემადგენლობაში შედის დიდი ბრიტანეთის, ისლანდიის, ირლანდიის, სიცილიის, სარდინიის, კორსიკის, კრეტისა და ზელანდიის კუნძულები, შპიცბერგენის არქიპელაგი, ფრანც-იოსების მიწა, ახალი მიწა, ეგეოსის ზღვის კუნძულები, ბალეარის კუნძულები, აზორიის კუნძულები, ფარერის კუნძულები, მალტის კუნძულები და დანრჩენი წვრილი კუნძულები. კუნძულების საერთო ფართობი 730 ათასი კმ.კვ. ნახევარკუნძულებზე მოდის მთელი ევროპის ტერიტორიის

¼ (კოლის, სკანდინავიის, პირენეის, აპენინის, ბალკანეთის და სხვა).

ევროპაში განლაგებულია (ნაწილობრივ ან მთლიანად) 50 სახელმწიფო. ესენია: ავსტრია, ალბანეთი,ანდორა, ბელორუსია, ბელგია, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ვატიკანი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, ჰიბლარტარი, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, ყაზახეთის ნაწილი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მოლდავეთი, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია (ევროპის ტერიტორიის 2/3), რუმინეთი, სან-მარინო,სლოვაკია, სლოვენია, თურქეთის ნაწილი, უკრაინა, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთი, შვეიცარია, შვედეთი, ესტონეთი, სერბია, ჩერნოგორია.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ტრადიციულად ევროპისა და აზიის გეოგრაფიულ საზღვრებად ითვლება კავკასიის ქედი და შავი ზღვის სრუტე, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, კვიპროსის ჩართვა ევროპის ქვეყნებში განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოსაზრებით და არ არის ერთსახოვანი. ევროპას ჰყოფენ ჩრდილოეთ და სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ, აგრთვე ცენტრალურ ევროპად. ასეთი დაყოფა პირობითია, რადგანაც აქ მოქმედებს არა მარტო წმინდა გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური ფაქტორებიც. ზოგიერთი ქვეყანა ,,მხედველობითი წრის'' მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ სახემწიფოთა სხვადასხვა ჯგუფს.

ცივი ომის პერიოდში ასეთი დაყოფა ატარებდა წმინდა პოლიტიკურ ხასიათს - აღმოსავლეთ ევროპას მიაკუთვნებდნენ ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, რუმინეთს, ალბანეთს, ყოფილ იუგოსლავიას და ყოფილი სსრკ-ს სოციალისტურ ქვეყნებს, ან როგორც მათ ადრე უწოდებდნენ ,,სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს''. დასავლეთ

ევროპას მიეკუთვნებოდნენ ყველა დანარჩენ სახელმწიფოებს. ამასთანავე ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთის სამხრეთი, იტალია, მალტა, კვიპროსი, საბერძნეთი და თურქეთი, ასევე იწოდებოდნენ სამხრეთ ევროპად, ხოლო ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, დანია და ფინეთი - ჩრდილოეთ ევროპად.

ამგვარად, თანამედროვეობაში, სსრკ-ს, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ ცენტრალურ ევროპას მიაკუთვნებენ პოლონეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, ყოფლი იუგოსლავიის ქვეყნებს, რუმუნეთს, უნგრეთს, ავსტრიას, ზოგჯერ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. აღმოსავლეთ ევროპას - რუსეთის ფედერაციის ნაწილს, ბელორუსიას, უკრაინასა და მოლდავეთს. დასავლეთ ევროპას - დიდი ბრიტანეთს, ირანდიას, საფრანგეთს, გერმანიას და სხვა. ზოგიერთ წყაროებში შენარჩუნებულია ძველი დანაწილება.

ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

ევროპა - მეორე ყველაზე პატარა დედამიწის ნაწილია, რომელიც ქმნის ევრაზიის მატერიკის დასავლეთ ნაწილს.

სუბრეგიონები გაეროს მიხედვით: დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ევროპა, სამხრეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა. ნახევარკუნძულების მიხედვით: ბალკანეთის ნ/კ, პირინეს (იბერიის) ნ/კ, აპენინის ნ/კ, სკანდინავიის ნ/კ.

სხვა დაყოფით: ბალტიის ქვეყნები, ბენილუქსის ქვეყნები, ბრიტანეთის კუნძულები, ცენტრალური ევროპა, ჩრდილოეთის ქვეყნები (სკანდინავია, (დანია, ნორვეგია და შვედეთი), ისლანდია, ფინეთი, დანიის ტერიტორიები – გრენლანდია და ფარერის კუნძულები, ვიშეგრადის ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი) ევროპის ტერიტორიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განლაგებულია 49 სუვერენული სახელმწიფო, 2 თვითმმართველი ტერიტორია (ფარერის კუნძულები, ეკუთვნის დანიას, ალანდის კუნძულები, ეკუთვნის ფინეთს) და 1 დამოკიდებული ტერიტორია (გიბრალტარი).

1 განსაზღვრების თანახმად, რომელიც კავკასიონს აკუთვნებს ევროპას, ეს ქვეყნები ევროპაში

მოიაზრებიან.

2 ყაზახეთის ევროპული ტერიტორია მდებარეობს მდინარე ურალის დასავლეთით.

3 ურალის მთების დასავლეთით მდებარე რუსეთის ტერიტორია ევროპას მიეკუთვნება

4 ევროპული თურქეთი მოიცავს ტერიტორიას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დასავლეთით და ჩრდილოეთით.

დასავლეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. მისი შინაარსი ხშირად იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის გულისხმობდა საფრანგეთს, ბენილუქსის ქვეყნებს - ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი, დიდ ბრიტანეთს და ირლანდიას. ამ ჯგუფს, როგორც წესი, ხშირად აკუთვნებდნენ გერმანიასაც, თუმცა გეოგრაფიულად ის უფრო ცენტრალური ევროპის ნაწილია. სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების გამო დასავლეთ ევროპაში შეჰყავდათ აგრეთვე შემდეგი ქვეყნებიც: იბერიის ნახევარკუნძულის ქვეყნები - ესპანეთი, პორტუგალია, ანდორა. აპენინის ნახევარკუნძულის ქვეყნები - იტალია, სან-მარინო, ვატიკანი. ჩრდილოეთის ქვეყნები - ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ისლანდია. ალპური ქვეყნები - შვეიცარია, ლიხტენშტაინი, ავსტრია, სლოვენია. სამხრეთის ქვეყნები - საბერძნეთი, თურქეთი. ცენტრალური ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. ცენტრალური ევროპა არ არის ისეთი დამკვიდრებული ტერმინი, როგორც დასავლეთი ან აღმოსავლეთი ევროპა. ცივი ომის დასრულებისა და ევროპის გაფართოების გამო ევროპის ცენტრმაც აღმოსავლეთით გადაინაცვლა. ამჟამად მასში ქვეყნების ორი ჯგუფი მოიაზრება: ალპური ქვეყნები - გერმანია, შვეიცარია, ლიხტენშტაინი, ავსტრია, სლოვენია. ვიშეგრადის ქვეყნები - პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი. აღმოსავლეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული

რეგიონი. დასავლეთ ევროპის მსგავსად, ტერმინი აღმოსავლეთი ევროპა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ჩვეულებისამებრ, ამ ტერმინში იგულისხმება დსთ-ს ევროპული ქვეყნები: რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი. ყველაზე ხშირად მათ რიცხვს მიაკუთვნებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს - საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს, თუმცა ისინი გეოგრაფიულად აზიაში მდებარეობენ.

ცივი ომის ეპოქაში, აღმოსავლეთ ევროპაში შედიოდნენ ვარშავის პაქტის ქვეყნები (პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი), ხშირ შემთხვევაში ალბანეთი და იუგოსლავია, აგრეთვე ბალტიის საბჭოთა რესპუბლიკები (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა. ამჟამად, სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში ამ რეგიონს შეიძლება მიაკუთვნონ ე.წ. ”ვიშეგრადის ჯგუფის” (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი) და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოები (საბერძნეთის გარდა).

ჩრდილოეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. ტრადიციულად ჩრდილოეთი ევროპა გულისხმობს სკანდინავიის ქვეყნებს (ფართო გაგებით): ნორვეგია, შვეცია, ფინეთი, დანია, ისლანდია. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მათ რიცხვს მიემატა ბალტიის 3 ქვეყანა: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა. ეს არის ამ ტერმინის პოლიტიკური მნიშვნელობა.

წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩრდილოეთი ევროპა გაცილებით დიდი არეა, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ალპების ჩრდილოეთით. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ჩრდილოეთ ევროპაში, გარდა ზემოხსენებული ქვეყნებისა, შედის: ბრიტანეთის კუნძულები - დიდი ბრიტანეთი, ირლანდია. ბენილუქსის ქვეყნები - ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი. საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაწილი. გერმანია. პოლონეთი - ნაწილობრივ. რუსეთის ევროპული ნაწილის უდიდესი ნაწილი.

სამხრეთი ევროპა - ევროპის ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონი. სამხრეთ ევროპა აერთიანებს ქვეყანათა 4 დიდ ჯგუფს. ესენია: პირენეის ნახევარკუნძულის ქვეყნები - ესპანეთი, პორტუგალია, ანდორა, გიბრალტარი. აპენინის ნახევარკუნძულის ქვეყნები - იტალია, სან-მარინო, ვატიკანი.

ევროპა მოიცავს 10 180 000 კმ. კვ. ანუ დედამიწის ზედაპირის 2%-ს და ხმელეთის 6,8 %-ს. ევროპაში 50-მდე სახელმწიფოა, ამასთანავე რუსეთი არის ყველაზე მსხვილი, როგორც ფართობით, ასევე მოსახლეობით; ვატიკანი - ყველაზე პატარა. მოსახლეობა 732 მლნ.ადამიანი.

საშუალო სიმაღლე დაახლოებით 300 მეტრი, მაქსიმალური - 5642 მეტრი (ელბრუსი).მინიმალური - 28 მეტრი (კასპიის ზღვა). დასავლეთ ევროპის ყველაზე მაღალი მთა არის - მონბლანი (4807 მეტრი). მრავლადაა ვაკეებიბი (ფართო - აღმოსავლეთ ევროპის, შუაევროპის, შუა და ქვემო დუნაის, პარიზის წყალსაცავის), მთები იჭერენ ტერიტორიის 17% (ძირითადად - ალპები, კარპატები, პირენეი, აპენინი, ურალის მთები, სკანდინავიის მთები, ბალკანეთის ნახევარკუნძულის მთები). მოქმედი ვულკანებია ესპანეთს, ისლანდიასა და ხმელთაშუაზღვაში.

ძირითადი მდინარეებია: ვოლგა (ევროპის ყველაზე გრძელი მდინარე), დუნაი, ურალი, ემბა, დნეპრი, დონი, პეჩორა, კამა, ოკა, ბელაია, დნესტრი, რეინი, ელბა, ვისლა, ტახო, ლუარა, ორდერი. **მსხვილი ტბებია**: ლადოგის,ონეგის,ჩუდსკოეს, ვენერნის,ბალატონის, ჟენევის.

არქტიკის კუნძულებსა და შორს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანის სანაპიროზე - არქტიკული უდაბნოები და ტუნდრები, სამხრეთით - ტყეტუნდრები, წიწვოვანი, შრეული და ფართოფოთლოვანი ტყეები, ტყესტეპები, სტეპები, სუბტროპიკული ხმელთაშუაზღვის ტყეები და ბუჩქნარები; სამხრეთ-აღმოსავლეთში -ნახევარუდაბნოები.

უკანასკნელ დრომდე ევროპა იყო მსოფლიოს ერთადერთი ნაწილი, რომელსაც არ გააჩნდა ქვიშიანი უდაბნოები (თუ არ ჩავთვლით ტაბერნასის უდაბნოს ესპანეთში, რომელიც ფორმალური ნიშნებით მიეკუთვნება ნახევარუდაბნოებს). ეს სახელწოდება დაკარგული იქნა რუსეთში ყალმუხეთის ვრცელი ტერიტორიების დრამატული გაუდაბნოების შემდეგ, რომელიც შედეგია ადამიანის მიერ ბუნებრივი წყაროების სამრეწველო მიზნებითა და მიწების არარაციონალური გამოყენებისა.

ტერიტორიის დიდ ნაწილზე კლიმატი ზომიერია (დასავლეთში-ოკეანისმიერი, აღმოსავლეთში-კონტინენტალური, თოვლიანი და ყინვიანი ზამთრით), ჩრდილოეთის კუნძულებზე - სუბარქტიკული და არქტიკული, სამხრეთ ევროპაში - ხმელთაშუაზღვის. არქტიკისა და ისლანდიის კუნძულებზე, სკანდინავიის მთებში, ალპებში - ყინულოვანი (მოედნის სიმაღლე 116 ათასი კმ.კვ). მთავარი მდინარეებია: ვოლგა, დუნაი, ურალი, დნეპრი, დონი, პეჩორა, კამა, ოკა,ბელაია, დნესტრი,რეინი, ელბა, ვისლა, ტახო, ლუარა, დუნაი, ოდერი. მსხვილი ტბებია: ლადოგის, ონეგის, ჩუდსკის, ვენერნის, ბალატონის, ჟენევის.

კლიმატი რბილია, მსოფლიოში ამ არეალზე განლაგებულ სხვა უბნებთან მიმართებაში, გოლფსტრიმის გავლენის გამო. ამგვარად, საშუალო ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში ნეაპოლში 16* ცელსიუსით, ამავდროულად ნიუ-იორკში რომელიც ამავე სიფართეზე მდებარეობს მხოლოდ 12* ცელსიუსი. ბერლინი, გერმანია,კალგარი, კანადა,ირკუტსკი და რუსეთის აზიური ნაწილი იმყოფება იმავე სიგანეზე; ტემპერატურა იანვარში ბერლინში საშუალოდ 8* ცელსიუსით მეტია, ვიდრე კალგარიაში, 22* ცელსიუსით მაღალი ვიდრე ირკუტსკის საშუალო ტემპერატურა.

არქტიკის კუნძულებზე და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სანაპიროებზე - არქტიკული უდაბნოები და ტუნდრა, სამხრეთით - ტყეტუნდრები, წიწვოვანი, შერეული და ფართო-

ფოთლოვანი ტყეები, ტყესტეპები, სტეპები, სუბტროიკული ხმელთაშუაზღვის ტყეებისა და ბუჩქების, სამხრეთ-აღმოსავლეთით - ნახევარუდაბნოები.

ევროპაში განლაგებულია (ნაწილობრივ ან მთლიანად) 50 სახელმწიფო. ესენია: ავსტრია, ალბანეთი,ანდორა, ბელორუსია, ბელგია, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ვატიკანი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, ჰიბლარტარი, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, ყაზახეთის ნაწილი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მოლდავეთი, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია (ევროპის ტერიტორიის 2/3), რუმინეთი, სან-მარინო,სლოვაკია, სლოვენია, თურქეთის ნაწილი, უკრაინა, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთი, შვეიცარია, შვედეთი, ესტონეთი, სერბია, ჩერნოგორია.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ტრადიციულად ევროპისა და აზიის გეოგრაფიულ საზღვრებად ითვლება კავკასიის ქედი და შავი ზღვის სრუტე, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, კვიპროსის ჩართვა ევროპის ქვეყნებში განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოსაზრებით და არ არის ერთსახოვანი. ევროპას ჰყოფენ ჩრდილოეთ და სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ, აგრთვე ცენტრალურ ევროპად. ასეთი დაყოფა პირობითია, რადგანაც აქ მოქმედებს არა მარტო წმინდა გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური ფაქტორებიც. ზოგიერთი ქვეყანა ,,მხედველობითი წრის'' მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ სახემწიფოთა სხვადასხვა ჯგუფს.

საბჭოთა პერიოდში ასეთი დაყოფა ატარებდა წმინდა პოლიტიკურ ხასიათს - აღმოსავლეთ ევროპას მიაკუთვნებდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, რუმინეთს, ალბანეთს, იუგოსლავიას და სსრკ-ს სოციალისტურ ქვეყნებს, ან როგორც მათ ადრე უწოდებდნენ ,,სა-

ხალხო დემოკრატიის ქვეყნებს''. დასავლეთ ევროპას მიეკუთვნებოდნენ ყველა დანარჩენ სახელმწიფოებს. ამასთანავე ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთის სამხრეთი, იტალია, მალტა, კვიპროსი, საბერძნეთი და თურქეთი, ასევე იწოდებოდნენ სამხრეთ ევროპად, ხოლო ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, დანია და ფინეთი - ჩრდილოეთ ევროპად.

ამგვარად, თანამედროვეობაში, სსრკ-ს, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ ცენტრალურ ევროპას მიაკუთვნებენ პოლონეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, ყოფლი იუგოსლავიის ქვეყნებს, რუმუნეთს, უნგრეთს, ავსტრიას, ზოგჯერ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. აღმოსავლეთ ევროპას - რუსეთის ფედერაციის ნაწილს, ბელორუსიას, უკრაინასა და მოლდავეთს. დასავლეთ ევროპას - დიდი ბრიტანეთს, ირანდიას, საფრანგეთს, გერმანიას და სხვა. ზოგიერთ წყაროებში შენარჩუნებულია ძველი დანაწილება.

დაყოფა

ევროპას ჩვეულებრივად ყოფენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად, დასავლეთ და სამხრეთ, აგრეთვე ცენტრალურ ნაწილებად. ასეთი დაყოფა პირობითია, რადგანაც აქ მოქმედებაში მოდიან არა მარტო წმინდა გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური ფაქტორებიც. რამდენიმე სახელმწიფოც, ამოსავალ წერტილთან მიმართებაში, შეიძლება მიეკუთვნონ სახელმწიფოთა ნაირგვარ ჯგუფებს.

საბჭოთა პერიოდში ევროპის დაყოფა აღმოსავლეთად და დასავლეთად ატარებდა პოლიტიკურ სარჩულს - აღმოსავლეთ ევროპას მიაკუთვნებდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, ჩეხეთს, უნგრეთს, რუმინეთს, ბულგარეთს,ალბანეთს, იუგოსლავიას და საბჭოთა კავშირს - სოციალისტურ ქვეყნებს, ან მათ როგორც ეძახდნენ ,,სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს''. დასავლეთ ევროპას მიაკუთვნებდნენ ყველა დანარჩენ სახელმწიფოებს. ამავე დროს ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთის

სამხრეთი, იტალია, მალტა, კვიპროსი, საბერძნეთი და თურქეთი ასევე იწოდებოდნენ სამხრეთ ევროპად, ხოლო ესპანეთი, ნორვეგია, შვედეთი, დანია და ფინეთი -ჩრდილოეთ ევროპად.

ამგვარად, თანამედროვეობაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იუგოსლავიასა და ჩეხეთს მიაკუთვნებენ ცენტრალურ ევროპას, აგრეთვე პოლონეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებს, რუმინეთს, უნგრეთს, ავსტრიას, ზოგჯერ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, შვეიცარიას. აღმოსავლეთ ევროპას - რუსეთის ფედერაციის ნაწილს, უკრაინას, ბელორუსიას, და მოლდავეთს. დასავლეთ ევროპას - დიდ ბრიტანეთს, ირლანდიას, საფრანგეთს, გერმანიას და სხვა. ზოგიერთ წყაროებში შენარჩუნებულია ძველი დაყოფა.

ჩრდილოეთი ევროპა - ევროპის ნაწილია, რომელშიც მოიაზრება სკანდინავიის ნახევარკუნძულის ქვეყნები(ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი), აგრეთვე მასთან მიმდებარე დანია და კუნძულოვანი სახელმწიფო ისლანდია. ბოლო პერიოდში პოპულარულია ცნება ,,ახალი ჩრდილოეთი ევროპა'', რომელიც მოიზრებს თავის ჩაჩოებში ,,ტრადიციულ'' ხუთ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყანას, ბალტიის ქვეყნებს, რუსეთს, (უპირველესად მის ჩრდილო-დასავლურ რეგიონებს), აგრეთვე პოლონეთსა და გერმანიას (ბალტიის ზღვაში შეჭრილი რაიონები).

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების თავისებურებანი

ჩრდილოეთის ევროპის ქვეყნები ვერ იამაყებენ მდიდარი მცენარეული საფარით, რადგანაც მათი მკაცრი და ამავდროულად რომანტიკული ჩრდილოეთის ბუნება, არ არის გაფუჭებული ადამიანის უხეში ჩარევისაგან, მათი მდიდარი ქალაქები, რომლებიც ცივილზაციის ყველა მონაპოვარს ატარებენ, მათი მჩქეფარე ისტორია, აგრეთვე ცხოვრების მაღალი დონე მრავალი ქვეყნის ტურისტს იზიდავს.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ღირშესანიშნაობები

ნორვეგია - ქვეყნის მთავარი განძი მისი ბუნებაა. ათასობით მოხერხებული ყურეები და დახურულ ნავმისადგომები მიუყვებიან სანაპიროს, საშუალო სიმაღლის გორაკები, რომლებიც ტყეებითა და მდელოებითაა დაფარული, ქმნიან განუმეორებელ კოლორიტს. ათასობით სუფთა ტბები და მდინარეები იძლევიან მეთევზეობისა და წყლის სპორტით სარგებლობის საშუალებებს. კლდოვანი ყურეები აღმართულნი არინ ათობით მეტრს სიმაღლეზე, წყალი კი ისეთი წყნარია, რომ ზურმუხტის დამუშავებულ ზედაპირს მოგვაგონებს.

შვედეთი - კონტრასტების ქვეყანა. თოვლი და მზე, მთები და არქიპელაგები, ცივი კლიმატი და სულიერი სითბო, ათასწლოვანი ტრადიციები და თანამედროვე ტექნოლოგიები... ფანტასტიური შქერები და ბრწყინვალე სანაპიროები, რომლებიც გადაჭიმულია 2700 კილომეტრზე აზვირთებულ სივრცეებში, ყრუ ტყეებსა და ათასობით ტყეებს შორის.

ფინეთი - განთქმულია თავისი ტბებით, ჩრდილოეთი ნათებით, მაგიური ლაპლანდიის სან-კლაუსით, ნათელი ვარსკვლავიანი ცითა და თეთრი თოვლით.

დანია - ეს არის ყურეები და ჩანჩქერები, ქვიშიანი დიუნები და ულამაზესი ბუნებრივი ქვის ლოდები, გრილი ტენიანი მუხის ტყეები, ლამაზი მდინარეები და ფართო ტყიანი ვაკები. ეს უძველესი საცხოვრისები, ხატოვანი სოფლები და ქალაქები, წარსული საუკუნეების კოშკები და ძეგლები. მაგრამ მთავარი ისაა, რომ არცერთი ქვეყანა მსოფლიოში არ მოგიყვებათ იმდენ ზღაპარს, რამდენსაც კოპენჰაგენი - მებუხრეების, თოვლის დედოფალისა და პრინცესების ქალაქი.

ისლანდია - ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში თქვენ განიცდით არაჩვეულებრივ ენერგიას, რომელიც მოედინება უმშვენიერესი მთებიდან და გამომაცოცხლებელი კლდოვანი ყურეებიდან, დამაბრმავებელი მზის ენერგია ზაფხულობით და ჩრდილოეთის ნათება -

ზამთარში. მიმზიდველი ძალა ცივი სილამაზის, ყინულებისა და ლავის, რომელიც მიმზიდველ ფორმებს ღებულობს ღრმა ხევებში.

სამხრეთი ევროპა - ევროპის ნაწილია, რომელიც განლაგებულია სამხრეთში, ხმელთაშუაზღვის ნაპირებზე. სამხრეთ ევროპაში შედის პირენეის ნახევარკუნძულის ქვეყნები (პორტუგალია, ესპანეთი, ანდორა), მონაკო, აპენინის ნახევარკუნძულზე განლაგებული ქვეყნები (იტალია,ვატიკანი, სან-მარინო), საბერძნეთი, აგრეთვე მალტუს და კვიპროსის კუნძულოვანი სახელმწიფოები. ზოგჯერ სამხრეთი ევროპის შემადგენლობაში შეყავთ ხორვატია, ჩერნოგორია, სერბეთი, ალბნეთი, მაკედონია და თურქეთის ევროპული ნაწილი.

სამხრეთი ევროპა ცნობილია თავისი რბილი კლიმატით, მდიდარი ისტორიითა და ხმელთაშუაზღვის თბილი წყლით. ყოველივე ეს რეგიონს აქცევს პოპულარულ რეგიონად საპლიაჟო, საექსკურსიო და სამკურნალო დასვენებისათვის. აქ ტურისტებმა შეიძლება ინებივრონ მოალერსე ზღვით, განსაცვიფრებელი ლნდშაფტით, ნაყოფების მრავალფეროვნობით, ღვინოებითა და ზეითუნის ზეთით, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლებით, ათასობით მრავალფეროვანი მინერალური, თერმული და ტალახოვანი წყაროებით.

ხმელთაშუაზღვის ქვეყნების გახსენებისას ჩვენ წარმოვიდგენთ მზით სავსე ნაპირებს, რომლებიც ლურჯი ფსკერისაკენ გარბის. ჰაერი სავსეა ფიჭვისა და სურნელოვანი ბალახის არომატით, ხოლო ასწლოვალი ზეთისხილის ხეები შეუცვლელი ყარაულები არიან, რომლებიც შეუდრეკლად იტანენ ზაფხულის მცხუნვარებას. სანაპირო სარტყლებს ცვლიან ფორთოხლის ბაღები, ვენახები, ხორბლიანი ველები, და საძოვრები. შემდეგ წარმოსდგებიან მთები, რომლებსაც თეთრი ქუდები მოუჩანთ. ეს ბუნებრივი მრავალფეროვნებით განსაცვიფრებელი ქვეყნები - დასავლური ცივილიზაციის გამოძახილია - სავსეა მოელვარე ფერებით, ადგი-

ლობრივი მოსახლეობა მხიარულებითა და ცხოვრების სიყვარულით გამოირჩევა.

დასავლეთი ევროპა - ევროპის ნაწილია, რომელიც გეოგრაფიულად მოიცავს **საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის** ტერიტორიას. ცივი ომის დროს დასავლეთ ევროპას უწოდებდნენ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ აღმოსავლეთი ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს. დღეს ეს ცნება ხშირად გამოიყენება ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების აღსანიშნავად.

ისტორიულად, დასავლეთი ევროპა ითვლება დასავლეთი ცივილიზაციის ბირთვად. ძირითადი მისი განსხვავება (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპისაგან განსხვავებით)- ეს არის რელიგიურ სფეროში კათოლოციზმისა და პროტესტანტიზმის მეფობა, პლურალისტური დემოკრატიის ჩამონათვალი პოლიტიკურ სფეროში, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ბუნებრივი გზით.

აღმოსავლეთი ევროპა - ევროპის ნაწილია, რომელიც მისი აღმოსავლეთი ტერიორიის მახასიათებელია. როგორც ტერმინს ,,აღმოსავლეთი ევროპა'' არ გააჩნია მკაცრი განსაზღვრება და კონკრეტული საზღვრები. მისი ტერიტორია იცვლებოდა ისტორიის სვლასთან ერთად. როგორ წესი, ცივი ომის პერიოდში აღმოსავლეთ ევროპას მიაკუთვნებდნენ საბჭოთა ბლოკის ყველა ქვეყანას. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ბევრი ქვეყნები სხვა რეგიონებს მიეკუთვნენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაიცის განმარტებით, აღმოსავლეთ ევროპაში შედიან შემდეგი სახელმწიფოები: ბელორუსია, ბულგარეთი, უნგრეთი,მოლდავეთი, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი,სლოვაკეთი უკრაინა და ჩეხეთი.

ისტორიულად, ძირითად თვისებად აღმოსავლეთი ევროპისათვის ითვლება აღმოსავლეთი ცივილიზაცია (ბიზანტიიდან მონღოლთა მმართველობამდე რუსეთში და ოსმალეთის ბალკანეთში). აღმოსავლეთში მეტნაკლებად გავრცელებული რელიგიაა - ქრისტიანობა.

ცენტრალური ევროპა - ეს არის ევროპის ნაწილი, რომელიც მის ცენტრში მდებარეობს. გეოგრაფიული ათვლის წერტილის მიხედვით ცნტრალური ევროპა მოიცავს შემდეგ ევროპულ ქვეყნებს: ავსტრია, უნგრეთი, გერმანია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი (პოლონეთს, სლოვაკეთსა და ჩეხეთს ასევე მიაკუთვნებენ ევროპის ქვეყნებს), ლიხტენშტეინი, სლოვენია და შვეიცარია.

დღეს ტერმინი ,,ცენტრალური ევროპა''თანდათანობით ისტორიული-გეოგრაფიული მეტაფორის სტატუსიდან გადადის გეოპოლიტიკური ცნების სტატუსამდე, რომელიც მოიაზრებს ბალტიიდან ადრიატიკამდე ქვეყნების სარტყელს, რომელიც გვიჩვენებს მათი ისტორიული ბედის გაგრძელებასა და საზოგადოების ყოფას.

ევროპა -ევროპის ცენტრი

გეოდეზიური ნიშანი **ევროპის ცენტრი** დადგმული იქნა რახოვის რაიონის სოფელ დელოვოესთან კარპატისპირეთში (უკრაინა) 1887 წელს. ის წარმოადგენს ორმეტრიან გეოდეზიურ ნიშანს, დამზადებულია მარალი ხარისხის ბეტონისაგან და გააჩნია ოთხკუთხა პირამიდის სახე. სწორ პოსტდამზე ამოკვეთილია წარწერა: მარადიული, ზუსტი ადგილი. სპეციალისტების მიერ ძალიან ზუსტი აპარატით, რომელიც დამზადებულია ავსტრიასა და უნგრეთში, მერიდიანებისა და პარალელების სკალით, ეს ადგილი 1887 წელს დამტკიცდა ევროპის ცენტრად: 47* 56’3'' ჩრდილოეთ სიფართეზე და 24* 11’ 30'' აღმოსავლეთის სიფართეზე.

1885-1887 წლებში ვერხნეტისანსკის ღრმულში (კარპატისპირეთი მაშინ იმყოფებოდა ავსტრია- უნგრეთის შემადგენლობა-

ში), წარმოებდა ადგილის შესწავლა სარკინიგზო გზის ,,რახოვ- სიგეტის'' აშენების მიზნითი. გაზომვის პროცესში ინჟინრებმა გამოარკვიეს, რომ სადღაც ამ მიდამოებში უნდა ყოფილიყო ევროპის გეოგრაფიული ცენტრი. სიზუსტისათვის მოიწვიეს ვენიდან მეცნიერები, რომელთაც ხანგრძლივი გასინჯვის შემდეგ განსაზღვრეს ევროპის ცენტრის ადგილსამყოფელი.

ამ ნიშანმა გამოიარა ორი მსოფლიო ომი და მოაღწია ჩვენს დრომდე პირველადი სახით. ის გამოიყურება ძალიან მოკრძალებულად, გადაწყვიტეს მისი სრულყოფა კიდევ ერთი ნიშნით. 1977 წლის 27 მაისს, ძველი ნიშნის გვერდით აშენებული იქნა 7,2 მეტრი სიმაღლის სტელა. პარალელური ხაზები განასახიერებენ მსოფლიოს ოთხ ქვეყანას. ხაზებს შორის სიცარილე ქმნის მთლიანი ერთობისა და ცენტრალურობის შთაბეჭდილებას. ღერძი, რომელიც გადის შუაში აძლიერებს კომპოზიციის ცენტრს. 6 მერტრსა და 60 სანტიმეტრის სიმაღლეზე აღმართულია სფერო, რომელიც სიმბოლურად დედამიწას განასახიერებს და ამავე დროს აქვს ტექნიკური დატვირთვა - აერთებს ფირფიტებს და სტელას აქცევს გამძლედ.

ამ უკანასკნელ პერიოდში ისევ გაცხარდა დისკუსია ევროპის ცენტრის ადგილსამყოფელის თაობაზე. საფრანგეთის გეოგრაფიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა განახორციელეს ახალი გაზომვები და განაცხადეს, რომ კონტინენტის გეოგრაფიული ცენტრი განლაგებულია ვილნიუსის სიახლოვეს. საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ გადასცა კიდეც ლიტვის მთავრობას შესაბამისი სერთიფიკატი.

სამეცნიერო დისკუსიების ნაკადი ევროპის გეოგრაფიული ცენტრის გარშემო, კარპატების იქითა მთავრობამ გამოიყენა პრაგმატულად: მათ მიმართეს ვიქტორ იანუკოვიჩსა და მთავრობას თხოვნით, რათა გაეშვათ პირდაპირი სარკინიგზო მატარებელი კიევიდან რახოვისაკენ. მოსკოვის სამეცნიერო-პოპლარულმა ჟურნალმა ,,ასტროლოგმა'' გამოაქვეყნა ელენე კოპილოვას

სტატია ,,კარპატები -ევროპის ცენტრი. გეოგრაფიული ადგილის ასტროლოგიური კვლევა კოორდინატებით 24 გრადუს აღმოსავ-ლეთ სიშორეზე და 48 გრადუს ჩრდილოეთ სიფართეზე, როგორც გადაკვეთა ევროპული გზებისა მერწყულის ერაში.''

ლექცია 9

ევროპის ისტორიული განვითარების ეტაპები

ევროპა ძველ პერიოდში

ევროპა თავდაპირველად არ იყო დასახლებული. პირველი ადამიანები ევროპის ტერიტორიაზე მოვიდნენ აფრიკიდან, წინა აზიის გავლით, 1 მილ. 800 ათასი წლის წინათ.

ევროპაში პირველად დასახლდნენ ჰეიდელბერგელი ადამიანები და მათი პირველი შთამომავალი ნეადერტალელი ადამიანი (სახელწოდება წარმოსდგება Neander-ის ადგილიდან, რომელიც გერმანიაში მდებარეობს). დაახლოებით 40 000 წლის წინათ ნეადერტალელები იქცნენ თანამედროვე ადამიანად(Cro-Magnons).

იმ დროის ადამიანის განვითარების ყველა ეტაპი შედეგობრივად დაკავშირებული იყო წარმოების ძალების, მიმოცვლის გაზრდასთან, რომელიც აუცილებელი პირობა იყო სამეურნეო დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის. კერძო საკუთრების კონცეფცია ყველაზე ხშირად, დაკავშირებული იყო გვაროვნული ტომის მთავრებთან. პირველყოფილ კოლექტივებს შორის საკუთრების დიფერენციაცია იყო უმთავრესი შედეგი კერძო საკუთრების გაზრდისა.

ყოველივე ეს საფუძველს უყრიდა ეკონომიკურ და სოციალურ წინაპირობებს ადამიანების მიერ ადამიანთა ექსპლუატაციისა. ექსპლუატაციის ყველაზე ადრეული და პრიმიტიული ფორმები გახდნენ კლასობრიობის ერთ-ერთ უმთავრესი ბუნებრივი ფორმის - სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზეზები.

ევროპაში სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო ხალხების სოციალურ-ეკონომიკური პროცე-

სების განვითარებით, თუმცა განმსაზღვრელი როლი ითამაშეს ახლო აღმოსავლეთთან კონტაქტებმაც, სადაც სახელმწიფო და საზოგადოება უფრო ადრე აღმოცენდა. ადრინდელმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და კუნძულ კრეტაზე იარსებეს მეორე ათასწლეული ბოლომდე. სახელმწიფო, რომელიც აღმოცენდა საბერძნეთის ტერიტორიაზე, ჩვენს წ.აღ-მდე პირველ ათასწლეულში ბევრად განსხვავდებოდა ჩვენს წ.აღ-მდე მეორე ათასწლეულში არსებულისაგან და ეს დაკავშირებული იყო რკინის ათვისებასთან.

ევროპის იმ ნაწილის პოლიტიკურ სტრუქტურას, სადაც ხდებოდა საზოგადოების და სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება, გააჩნდა თავისი გავრცელების შედეგები, უმეტესად პოლისების არსებობა იმ ტერიტორიაზეც კი, სადაც პირველად აღმოცენდნენ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის აღნიშნული ფორმები. რომაული დაპყრობები და რომანიზაცია ბაზირებდა მუნიციპიებში - პოლისის გვიანდელ ვარიანტში, რომელიც რომის იმპერიის პირობებში არსებობდა. ანტიკური სამყაროს დაცემა გამოიხატებოდა პოლისების დაცემაშიც, რაც პოულობდა გამოხატულობას არა მარტო მათი თვითმართველობის დაცემაში, რომელიც გამოწვეული იყო ბიუროკრატიის განვითარებითა და გაძლიერებით, იმპერიის მართვის სიტემით, არამედ იმ ტერიტორიების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობით, რომლებიც არ იმყოფებოდნენ პოლისების კონტროლის ქვეშ და რომლებიც უცილობლად ექვემდებარებოდნენ იმპერიულ მმართველობას. ანტიკური სამყაროს სიკვდილი იყო პოლისების სიკვდილიც.

კლასიკური მონობის ჩამოყალიბების პროცესი ყველაზე კარგად ცნობილია რომისა და ათენის მაგალითზე. არქაულ ეპოქაში ათენში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში იკვეთებოდა არისტოკრატებსა და რიგით მოქალაქეებს შორის განსხვავების გაძლიერება, რომელიც საბოლოოდ კალსობრივ დაპირისპირებამდე მივიდა. არისტოკრატების წნეხის მომატების მთავარი მიზე-

ზი იყო ის, რომ ამ ეპოქაში დაიწყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლის პროცესი, განვითარდა გარეგანი კავშირები და ა.შ. ვაჭრობის განვითარებამ, მონეტების გამოჩენამ მიიყვანა იქამდე, რომ ანტიკური გლეხობის მონად ქცევის მთავარი მიზეზი იყო ვალების გამო მონობა, მევალეობითი მონობა.

კლასიკური მონობის შემოსვლამ მოითხოვა სახელმწიფოებრივი ფორმების ცვლილებები. რომის იმპერიის შექმნის მთავარი მიზეზი, რომელმაც რესპუბლიკა შეცვალა იყო მონობის ტარნსფორმაცია. იმპერიის ადრეულ პერიოდში გავრცელებული მუნიციპალიები, ძალიან ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით, როგორც ჩანს ამ პერიოდში ძალიან ძლიერ ,,სახელმწიფო მანქანას'' წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფდა მონათმფლობელური კლასის კონტროლს მონებზე.

ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების დაცემის მიზეზები იფარება თვით მონათმფლობელური წარმოებითი საშუალებების ბუნებაში. მის საფუძველში იდო შიდა ეკონომიკური მიზეზები. მონათმფლობელური სამრეწველო საშუალების ნორმალური ზრდა უზრუნველყოფილი იყო მონათმფლობელების მიერ ექსპლოატირებული ზონების გაფართოებით. ამ დროს რომის იმპერიის გაფართოების შესაძლებლობა გადახაზული იქნა, ამასთან დაიწყო მონათმფლობელური საზოგადოების დაცემა და კრიზისიც.

მსხვილი მიწათმოქმედების სამფლობელოები ღებულობენ ჩაკეტილი მეურნეობების თვისებებს, ავითარებენ რა თავიანთ საზღვრებში არა მარტო მიწათმოქმედებას, არამედ ხელოსნობასაც. მიმდინერეობს ადგილობრივი ბაზრებისა და იმპერიის ფარგლებში არსებული მსხვილი ვაჭრობის დაცემაც. მიმდინარეობს ქალაქების თანდათანობითი ,,აქტიურობის დაკარგვა''. მუნიციპალიებიც კარგავენ პოლისის თვისებებს, მოქალაქეები დიფერენცირდებიან, ხოლო მოქალაქეთა კოლექტივები კარგავენ თავიანთ უფლებებსა და პრივილეგიებს. იმპერატორული ხელისუფლება

ხდება პრივილეგიების გარანტი მხოლოდ ამ კლასიის ზემდგომე-ბისათვის. რომის იმპერია სუსტდება. მის ფარგლებში თანდათანობით ხდება ფეოდალური ურთიერთობების მომწიფება, რომლის განვითარების სივრცეს წარმოადგენს იმპერიის სიკვდილი და ბარბაროსული დაპყრობები. ევროპის შემდგომი ისტორიული პროგრესი მიღწეული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ახალი საზოგადოებრივ- ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში.

ევროპის შუა საუკუნეების პერიოდი

ევროპის შუა საუკუნეების პერიოდი იყოფა:

- ადრეული პერიოდი (მე-5- მე-11 საუკუნეები), როცა მოხდა ფეოდალური სისტემის ჩამოყალიბება.

- მე-11 მე-15 საუკუნეები - ფეოდალური ფერიოდის აყვავება.

- გვიან შუასაუკუნეები (მე-16 ს. მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი) ხდება ფეოდალური სისტემის დანგრევა.

შუა საუკუნეების ევროპა არ წარმოადგენდა სოციალურ-კულტურულ ერთობას. გეოგრაფიული ცნება ,,ევროპა'', რომელიც ფინიკიელებიდან მოდის, ძველად აღნიშნავდა ხმელთაშუაზღვის ჩრდილოეთ ნაპირებსა და მის მიმდებარე კუნძულებს. თვით ფინიკიელებმა, შემდეგ კი ბერძნებმა და რომაელებმა თანდათანობით გააფართოვეს ეს გეოგრაფიული ცნება, გახსნეს რა ზღვისპირა, შემდეგ კი შიდა რაიონები, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კუნძულები, მოგვიანებით - ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა. თუმცა ანტიკური სამყაროს ბოლომდე ეს ხელმეორედ აღმოჩენილი რაიონები განიხილებოდა ბერძნულ-რომაულ სამყაროში, როგორც შორეული ბარბაროსების პერიფერია, არა სუბიექტი, არამედ ისტორიის ობიექტი.

ევროპული სივრცე სულ უფრო ხშირად ,,მონახულებადი'' გახდა ძველ დროსთან შედარებით: იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობა, გამოჩნდნენ ახალი სახელმწიფო საგანმანათლებლო და-

წესებულებები, მრავალმხრივი გახდა მათ შორის ურთიერთობები. და ევროპა გადაიქცა სრულიად ახალ ცივილიზაციად.

ევროპული კულტურული ერთიანობის ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად იქცა - ქრისტიანობა, მისი მსოფლმხედველობა, სამართალი. ტრადიციები, ეთიკა, მორალი. ზუსტად შუა საუკუნეებში ქრისტიანობა გამეფდა ევროპაში და გადაიქცა ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიად. ქრისტიანობამ მნიშვნელოვან წილად განსაზღვრა ევროპული ცივილიზაციის განუმეორებლობა, მისი განსხვავება ამავე ეპოქის სხვა კონტინენტების ცივილიზაციისაგან.

შუასაუკუნეების ევროპის დამახასიათებელ თვისებად იქცა სულ უფრო ინტენსიური კავშირები მეზობელ კონტინენტებთან, უპირველესად ახლო აღმოსავლეთის არაბებთან და ჩრდილოეთ აფრიკასთან, აგრეთვე ამიერკავკასიასა და აზიის სხვა ქვეყნებთან ეთნიკურ, სავაჭრო, საბრძოლო, კოლონიზაციურ, დიპლომატიურ და კულტურულ კონტაქტებში ევროპა, ევროპული ცივილიზაცია შუა საუკუნეებში ითრევდა არა მარტო თვით ევროპის ანტიკურ და ბარბაროსულ მოსახლეობას, არამედ აღმოსავლეთის უმდიდრეს კულტურულ გამოცდილებასაც. ეს სინთეზი იქცა შუასაუკუნეების ევროპის თვითმყოფადოების ორგანულ წყაროდ.

შუა საუკუნეებში შეიქმნა თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობა, განისაზღვრა უმთავრესად მათი საზღვრები, საფუძველი ჩაეყარა მომავალი ნაციებისა და ნაციონალური ენების ეთნოკულტურულ საფუძვლებს. აღმოცენდა პარლამენტი, სასამართლოები და პირველი კონსტიტუციები. გამოგონილი იქნა პირველი მაკრატელი, საათი, წიგნის ბეჭდვა, ფანჯრის მინა, ცეცხლსასროლი იარაღი და უმრავლოსობა მსგავსი სიახლეებისა. დაიწერა თეორიული შრომები ქიმიაში, მათემატიკაში, მექანიკაში, მედიცინაში, შეიქმნა პირველი ენციკლოპედია. შეიქმნა საზოგადოების ,,პროექტები'' შეწყალებასა და ადამიანთა საზოგადო თანასწორობაზე. მე-15 საუკუნის ბოლოს ევროპელებმა აღმოაჩინეს ამერიკა, შეასრულეს პირველი მსოფლიოს გარშემო მოგაზაურო-

ბები. უდიდესი ძვრები წარმოების სფეროში, სოციალურ ურთიერთობებში, სულიერ ცხოვრებაში მოუტანა შუასაუკუნეებმა ევროპას.

ფეოდალური განვითარების ასინქრონულობასთან მიმართებაში კატეგორია ,,რეგიონი'' განსხვავდება წინსვლით: ტიპოლოგიური თავისებურებანი სხვადასხვა რეგიონებისა იცვლის თავის თვისებებს განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში, განსხვავებით ადრეული ფეოდალიზმისაგან.

ამგვარად, ადრეულ შუასაუკუნეებში გამოიყოფა შემდეგი რეგიონები:

- სამხრეთ-დასავლეთი (იტალია, ესპანეთი, სამხრეთი გალეა);

- ბიზანტიის იმპერია;

- ფრანკების სახელმწიფო (ჩრდილოეთი და არმოსავლეთი გალეა და მომავალი გერმანიის ჩრდილოეთ დასავლეთი რაიონები);

- რეინსა და ელბას შორის გერმანია;

- ცენტრალურ-ევროპული რეგიონი (ბალტიისპირეთის სლავები, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი);

- სლავურ-ბულგარული რეგიონი (ბულგარეთი, სერბია-ხორვატიისა და სლოვენიის მიწები, აგრეთვე დალმანტიის სანაპირო);

- ჩრდილოეთ-დასავლეთი ევროპა (სკანდინავიის და ბრიტანეთის ქვეყნები);

- ძველი რუსეთის ქვეყნები;

- სტეპების მომთაბარე მოსახლეობა და მათ მიერ შექმნილი ადრეფეოდალური სახელმწიფოები აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში.

შუასაუკუნეების მეორე ეტაპზე რეგიონთა შემადგენლობაში მოხდა რამდენიმე ცვლილება. გამოყყო ახალი ფართო დასავლეთ-ევროპული რეგიონი. მათში გაერთიანდა ჩრდილოეთი და მე-

13 საუკუნის დასაწყისში სამხრეთი საფრანგეთი, ინგლისი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ირლანდია, შოტლანდია, გერმანიის მიწები, მათთან ერთად ჰოლანდია, ზელანდია, გენეგაუ და შვეიცარია.

მე-12 საუკუნის ბოლოდან და მე-13 დასაწყისში გერმანული მიწების შემადგენლობაში შევიდნენ ელბასთან სიახლოვეს დაპყრობილი მიწები, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ დასავლელი სლავებითა და ბალტებით. შექმნენ რა მათი პოლიტიკური გაერთიანებები სლავურ-ბალკანურ რეგიონში დასახლედნენ კარპატებდუნაის სუბრეგიონის სამხრეთრომანული ტომები - მოლდავეთის და ვალახეთის სამთავროდან. ჩრდილოეთ ევროპის განცალკევებულ რეგიონად დარჩა სკანდინავიის ქვეყნები და ფინეთი. აღმოსავლეთ ევროპაში რუსულ სახელმწიფოს გვერდით, სადაც უდიდესი იყო ველიკორუსული ეროვნება, აღმოცენდა დამოუკიდებელი ლიტვის სახელმწიფო. ჩამოყალიბება დაიწყეს უკრაინულმა და ბელორუსულმა ეროვნებებმა, რომელთაც არ გააჩნდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, იმგვარად, როგორაც მე-13 საუკუნესა და მე-14 საუკუნის დასაწყისში შემდგარი ესტოვებისა და ლივოვების ხალხებს.

ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მთავარი კლასების ფორმირება, ხალხის მასობრივი ზრდა, აგრეთვე საეკლესიო-ფეოდალური იდეოლოგიის მასობრივი გავრცელება - ყოველივე ეს არის ნიშანი ფეოდალიზაციის პროცესიის დასრულებისა, ევროპის შესვლისა განვითარებულ, ჩამოყალიბებულ ფეოდალიზმში. მთლიანად კონტინენტის მიხედვით ის მოიცავს მე-10 საუკუნეს, მე-12 დასაწყისს და მე-15 საუკუნის უკანასკნელ მესამედს. რუსეთში მონღოლ-თათრების დაპყრობები განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი დასრულდა მე-16 საუკუნის ბოლოს. ეს პერიოდი გაგრძელდა ასევე ჩრდილოეთ ევროპაში, ირლანდიასა და რამდენიმე სხვა რაიონში.

მე-11-13 სს. საუკუნეები ევროპაში ყოველ ადგილას გამოირჩეოდა ეკონომიკური წინსვლით. გაიზარდა ათასობით ქალაქი, მრავალრიცხოვანი სახელოსნო და სავაჭრო დასახლებებით. ბევრმა ქალაქმა მიაღწია დამოუკიდებლობას, იქ დაიდეს ბინა საამქროებმა და გილდებმა, მუშაობდნენ ასეულობით სპეციალობის ხელოსნები და ვაჭრები. გაფართოვდა სხვადასხვა მიმართულებები, განსაკუთრებით სამთო-მეტალურგიული, სატყეო, საზღვაო. სოფლის მეურნეობაში აღმოცენდა მნიშვნელოვანი იარაღები, მიმდინარეობდა ფართო შიდა კოლონიზაცია: ტყეების გაჩეხვა, ცარიელი მიწების დახვნა, ჭაობების დაშრობა. მე-11-მე13 საუკუნეების ეკონომიკურ ამაღლებას თან სდევდა მოსახლეობის ზრდა (განსაკუთრებით ინტენსიური 2-3- ჯერ ის იყო დასავლეთ ევროპაში).

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შემდგომმა გავრცელებამ დასავლეთი და სამხრეთ -დასავლეთ ევროპა მე-15 საუკუნის ბოლოს მიიყვანა დომენიალური მეურნეობის დაცემისაკენ, მოგვიანებით კი პირად-სენორიალურ ექსპლუატაციამდე, რამაც გამოიწვია რეგიონის სოფლის ცხოვრების ცნობილი დეპრესია და მოითხოვა სენორიალური ურთიერთობების შცვლა. ამან დააჩქარა გლეხების გათავისუფლება პირადი დამოკიდებულებიდან. გამყარდა უფლებები მათ მიერ დაჭერილ მიწებზე, განვითარდა არენდა.

მე-15 საუკუნეში ევროპაში ბობოქრობდნენ მსხვილი გლეხური და საქალაქო წინააღმდეგობები, ისინი ჩნდებოდნენ მოგვიანებითაც. ამ დაპირისპირებებში პირველად კონტინენტის ისტორიაში გაისმა სამოქალაქო თანასწორობის იდეები, ფორმირდებოდა უღარიბესი ფენის თვითშეგნება.

პოლიტიკური სტრუქტურები და სახელმწიფოს ფორმები განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში ბევრ ქვეყანაში იყო თანხვედრი. ეს იყო გარდამავალი პერიოდი ფეოდალური დაქუც-

მაცებულობიდან სახელმწიფო ცენტრალიზაციისაკენ. ფეოდალური საზოგადოების უმთავრესი ფენები - სასულიერო პირები, მთავრები, ბიურგერობა, ზოგიერთ ქვეყანაში გლეხების ნაწილიც მივიდა ფენური მონარქიისა და ფენათა- წარმომადგენლობითი კრების შექმნამდე. უფრო მეტად ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფარგლებში ყალიბდებოდა უფრო მყარი, ვიდრე ადრე შუასაუკუნეებში არსებული ევროპული ეროვნებები, რომელთაც დღეს აკავშირებდათ, არა მარტო საერთო ტერიტორია, არამედ უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა, ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა, ენა და კულტურული ტრადიციები. ენები, რომლებზეც საუბრობდნენ ეს ეროვნებები მე-13 - მე-15 საუკუნეებში ლიტერატურაში ლათინურ ენასთან ერთად გამოიყენებოდა.

ევროპა ახალ პერიოდის გარიჟრაჟზე

მე-14 საუკუნე და მე-17 საუკუნის უკანასკნელი მესამედი მსოფლიო მეურნეობის ისტორიაში შევიდა, როგორც პერიოდი ფეოდალური ურთიერთობების რღვევისა და ფეოდალური საზოგადოების საძირკველში კაპიტალისტური წარმოების დაბადებისა. ამ პროცესის დასაწყის საფუძველი დაუდო მე-15 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნების შემდეგ სფეროებში ცვლილებებმა: 1. მატერიალური წარმოება, სამრეწველო ძალების მდგომარეობა და ხასიათი, 2. შიდა და გარე ბაზრის გაფართოვება. ამგვარად, მე-14 საუკუნის დასაწყისში სამრეწველო წარმოების ყველა დარგში მნიშვნელოვნად იყო ათვისებული შრომის იარაღები და წარმოების ტექნოლოგია.

ტექნიკისა და ტექნოლოგიის პროგრესი, თუმცა არა ისე სწრაფად, როგორც მრეწველობაში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობაშიც. ჭაობების დაშრობამ და ტყეების გაჩეხვამ გაზარდა სახნავი მიწები ფართობი. მე- 16 საუკუნეში დაიწყო გადასვლა

უფრო სრულყოფილ მიწათმოქმედების სისტემაზე. ამ პერიოდში დაიწყო უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდი.

უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები მე-15 საუკუნესა და მე-17 საუკუნის შუაწლებში დაკავშირებულნი იყვნენ ევროპაში კაპიტალის პირველდასაწყის დაგროვებაზე. ახალი სავაჭრო გზებისა და ქვეყნების ათვისება, აღმოჩენილი ქვეყნების კვლავ გაძარცვა, თან ახლდა ამ პროცესის განვითარებას, რამაც სათავე დაუდო კაპიტალიზმის კოლონიალურ სისტემას, მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებას. ამ პერიოდში ხდება მეტალურგიის მიზანსწრაფული განვითარება. ანუ მეტალი ხდება უკეთესი ხარისხის, რაც მოიაზრებს მანქანათმშენებლობის განვითარებას. გემთმშენებლობაში გამოჩნდნენ ხომალდები, რომელთაც შეძლოთ შორს მანძილზე ცურვა. მე-15 საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად სრულყოფილი იყო ნავიგაციის საშუალებები (კომპა და ასტროლაბია), რომელიც საშუალებას იძლეოდა უფრო ზუსტად, ვიდრე წინათ, განესაზღვრათ გემის მდგომარეობა გაშლილ ზღვაში. გამოჩნდა გემის ახალი ტიპი -კარაველა, რომელსაც იალქნების სისტემის წყალობით შეეძლო ეცურა როგორც ქარის მიმართულებით, ასევე მის საწინააღმდეგო მიმართულებითაც, სიჩქარით 22კმ/ საათში. ამასთანავე ჩნდება ინფორმაცია ზღვის დინებების შესახებაც, მოქცევებისა და მიქცევების, ქარის მიმართულების შესახებ. რუქაზე ახალი მიწების დატანებამ გამოიწვია კარტოგრაფიის განვითარება. ამას გარდა ევროპელებმა აქამდე ტრადიციულად იცოდნენ ინდოეთისაკენ მიმავალი ერთი გზა - ინდოეთის ოკეანის გავლით, აგრეთვე - სახმელეთო. ამ პერიოდში ხმელთაშუაზღვა დაპყრობილი ჰქონდათ თურქ-სელჩეკებს, მე-14 - მე-15 საუკუნეებში ისინი ბატონობდნენ ზღვაზე, ღებულობდნენ დიდძალ ხარკს ევროპელი ვაჭრებისაგან და მეკობრეობდნენ. ამის გამო ხმელთაშუაზღვის გავლითი გზა იყო ძალიან ძვირი და გამოუსადეგარი, ამის გამო

დღის წესრიგში დადგა საკითხი ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი გზების ძიების შესახებ.

უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების უმთავრეს სოციალურ- ეკონომიკურ შედეგებად იქცა შემდეგი გარემოება:

1.დაიწყო ჩამოყალიბება კოლონიალურმა სისტემამ, რომელმაც დააჩქარა დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური წარმოება და ხელი შეუწყო ბურჟუაზიის ხელში დიდი ფულადი სახსრების დაგროვებას, რომელიც აუცილებელი იყო მსხვილი კაპიტალისტური საწარმოს ორგანიზებისათვის.

2.მეზღვაურების თამამი ექსპედიციების წყალობით მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ევროპა, აფრიკა, და ავსტრალია ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სავაჭრო გზებით და დაიწყო ჩამოყალიბება მსოფლიო ბაზარმა. მისი გამოჩენა იქცა ერთ ძლიერ ბიძგად კაპიტალისტური ურთიერთობების დაბადებისა და განვითარებისა დასავლეთ ევროპაში. ახალი მსოფლიო გახდა ევროპის მანუფაქტურის გასაღების ბაზარი და მათი მონოპოლიური ფლობა უზრუნველყოფდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კაპიტალის სწრაფ დაგროვებას.

3.მოხდა ე.წ. ფასების რევოლუცია, რომელიც განპირობებული იყო ამერიკიდან ევროპაში დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის შემოტანაზე. მე-16 საუკუნის მანძილზე, მჟღერი მონეტების რიცხვი, რომელიც ბრუნავდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიზარდა 4- ჯერ. იაფი ოქროსი და ვერცხლის ასეთმა ძლიერმა ტალღამ მიიყვანა მათი ღირებულების დაცემამდე და ძლიერ (2-3 და მეტჯერაც) მომატებამ ფასების სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და და მრეწველობის საქონელზე.

4.,,ფასების რევოლუციამ'' გაამყარა ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზია, გაზარდა მათი შემოსავლები. გაკოტრდნენ მსხვილი მიწათმფლობელები - ფეოდალები, დაზარალდნენ უღარიბესი გლეხები და დაქირავებული მუშები.

5. უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ეკონომიკური ცხოვრების ცენტრამა ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკის ოკეანეში გადაინაცვლა. დაეცნენ იტალიური ქალაქი-რესპუბლიკები, აღმოცენდა მსოფლიო ვაჭრობის ახალი ცენტრები - ლისაბონი, სევილი და განსაკუთრებით ანტვერპენი. ეს უკანასკნელი გახდა ყველაზე მდიდარი ქალაქი ევროპაში, მსოფლიო ვაჭრობისა და ფინანსების ცენტრი.

ამგვარად, უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, დასავლეთი ევროპის კონკრეტული ქვეყნები აღმოჩნდნენ მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისათვის.

მე-15 საუკუნეში დასავლეთ ევროპაში არსებობდა მსხვილი სახელმწიფო - ბურგუნდიის საჰერცოგო. ის ვითარდებოდა ფართო ხაზად ევროპის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ამ სახელმწიფოს ყველაზე ჩრდილოეთ ნაწილს ქმნიდნენ ნიდერლანდები. ეს იყო ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია ბენილუქსისა და საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები. ნიდერლანდების 12 პროვინციიდან ეკონომიკურ ურთიერთობებში მეტნაკლებად განვითარებული იყო შვიდი ჩრდილოეთის ქვეყანა, რომელთა შორის უმსხვილესი იყო ჰოლანდია.

მე-15 საუკუნის დასასრულიდან იწყება ჰოლანდიის ამაღლება და გრძელდება მე-17 საუკუნეშიც.

უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, როცა სავაჭრო გზები ხმელთაშუა ზღვიდან გადავიდა ატლანტიკის ოკეანეში, ჰოლანდია აღმოჩნდა მსოფლიო ვაჭრობის გზების შესაყარზე და იქცა სავაჭრო შუამავლად დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ევროპაში პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკის ეკონომიკური ჩამორჩენილობა არ ატარებდა ღრმა ჩავარდნის ხასიათს,

იმ ეკონომიკური კატასტროფისა და სიღარიბისა, რაც გადაიტანეს თავის დროზე იტალიამ და ესპანეთმა.

ამგვარად, კაპიტალის საწყისი დაგროვების ეპოქაში ჰოლანდიის ეკონომიკური აღმავლობა ეყრდნობოდა საშუამავლო ვაჭრობის არცთუ უბრალო ფუნდამენტს. იმასთან მიმართებაში, თუ სხვა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში როგორ მყარდებოდა კაპიტალისტური წარმოება, ჰოლანდიის ბურჟუაზიის ორიენტაციამ უმეტესწილად ვაჭრობის განვითარებაში განაპირობა მე-18 საუკუნეში ეკონომიკური ჩამორჩენილობა და განუვითარებლობა სახალხო მეურნეობისა ,,ნიდერლანდების შეერთებულ პროვინციებში''.

ჰოლანდიისაგან განსხვავებით, დიდი მნიშვნელობა ევროპისა და მსოფლიოს სხვა კონტინენტებისათვის ჰქონდა ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციას 1640-1660 წლებში. ის იყო ,,ევროპის მასშტაბის'' პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც მიაყენა გამანადგურებელი დარტყმა ფეოდალიზმს, დაუდო საფუძველი კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას. ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ღიად გამოაცხადა ბურჟუაზიული წესები, რომლებიც იქცნენ შემდგომ ცვლადად ფეოდალიზმისა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

მიუხედავად კაპიტალისტური ურთიერთობების ფართო საძირკვლისა სოფლად თუ ქალაქად, მე-17 საუკუნის შუა წლებში ინგლისი რჩებოდა აგრალურ ქვეყანად და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ჰოლანდიას მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის განვითარებით.

ინგლისისი ბურჟუაზიულმა რევოლუციამ 1642 -1660 წლები მისცა მძლავრი ბიძგი კაპიტალის პირველსაწყის დაბანდებას, ანუ ინგლისური სოფლის ,,განგლეხიანობას'', გლეხების გადაქცევას დაქირავებულ მუშებად, ძალის გამოყენებით კუთვნილი მიწების ჩამორთმევამ (გლეხების მასიური უმიწობა), დააჩქარა გლეხების სადგომი მიწების მსხვილი კაპიტალისტური ტიპის ფერმებით

შეცვლა, უზრუნველყო ბურჟუაზიის მოქმედების მთლიანი თავისუფლება და შეცვალა ბურჟუაზიით ფეოდალური მონარქია. ამგვარად, მე-18 საუკუნის შუაწლებში ინგლისური კაპიტალიზმი განვითარების ახალ სტადიაში შევიდა.

მე-15 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში დაიწყო ფეოდალური წყობის გადასვლა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მაგრამ კაპიტალიზმის დაბადება ფეოდალური საზოგადოების საძირკველში საფრანგეთში ჰოლანდიასა და ინგლისისაგან განსხვავებით ატარებდა დამახასიათებელ თვისებებს, რომლებიც განპირობებული იყო ფრანგული ფეოდალიზმის ეკონომიკური თავისებურებებით.

ამგვარად, ფეოდალური წესები, რომლებიც რომლბიც არსებობდნენ საფრანგეთში მე-16-მე-17 საუკუნეებში ეწინაღმდეგებოდნენ კაპიტალისტური წარმოების საშუალებებს. ინგლისისაგან განსხვავებით, საფრანგეთში, ერთი მხრივ არ შეინიშნებოდა თავისუფალი სამუშაო ძალის ბაზარი, მეორე მხრივ, ესა თუ ის დაგროვება კაპიტალისა ხდებოდა არა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, არამედ იმ დარგებში, სადაც კაპიტალს ნაკლებად უწევდა კონფისკაცია. მხოლოდ მე-18 საუკუნის 30-იანი წლებიდან კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება საფრანგეთში ხდება უფრო სწარაფად, ვიდრე წინა მე-15-მე-17 საუკუნეში.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მკვეთრად გამწვავდა წინააღმდეგობა ფეოდალურ სამრეწველო ურთიერთობებსა და სამრწველო ძალებს შორის, რამაც მიიყვანა საფრანგეთი დიდ რევოლუციამდე.

ჰოლანდიისა და ინგლისისაგან განსხვავებით, რომლებიც უკვე მე-17- მე-18 საუკუნეებში იყვნენ თაცისი დროისათვის მოწინავე კაიტალისტური ქვეყნები, საფრანგეთი მე-18 საუკუნის ბოლოსაც რჩებოდა აბსოლუტურ ფეოდალურ მონარქიად. ფეოდალიზმის თავისებურებამ განაპირობა კაპიტალის პირველადი და-

ბანდების შეჩერება და კაპიტალისტური წარმოების მეთოდების დანერგვა საფრანგეთის სახალხო მეურნეობაში.

მე-16- მე-18 საუკუნეში გერმანია ცენტრალიზებული სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო. არსებობდა 300-მდე სუვენერული სამთავრო, საჰერცოგო და საეპისკოპოსო, რომლებიც ,,გერმანიის ერის რომის საღვთო იმპერიაში'' შედიოდნენ და რომლებიც ერთმანეთთან არაფრით იყვნენ დაკავშირებული, იურიდიულად იყვნენ იმპერატორის ვასალები, მაგრამ რალურად არავისზე არ იყვნენ დამოკიდებული. ოცდაათწლიანმა ომმა (1618-1648) დიდხანს შეაჩერა გერმანული სამთავროებისა და მიწების განვითარება და იქცა მათთვის ნაციონალურ კატასტროფად.ომმა დააჩქარა და გააღრმავა გერმანიის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაცემა, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან, მსოფლიო გზების გადანაცვლებასთან ატლანტიკის ოკეანეში და იგრძნობოდა მე-18 საუკუნის ბოლომდე.

მეტნაკლებად მსხვილი სამთავროები იყვნენ ბრანდერბურგი, საქსონია, მეკლენბურგი, ჰესენი, ჰანოვერი, ბრაუნშვეიგი, ბავარია, ავსტრია, ვიურტემბერგი. საშუალოდ ყოველ ამგვარ თავისუფალ და სუვერენულ სამთავროზე, საჰერცოგოზე, ან საეპისკოპოსოზე მოდიოდა 20-25 კმ. გერმანულმა მიწებმა ოცდაათწლიან ომში განიცადეს დიდი ეკონომიკური დანაკარგი. რამდენიმე მათგანმა სამხედრო მოქმედებების, შიმშილის, ეპიდემიისა და მასობრივი ემიგრაციის შედეგად დაკარგა მოსახლეობის 5/6.

მძიმე სიტუაციიდან გამოსავალს მმართველი კლასები ხედავდნენ გლეხების ფეოდალურ ექსპლოატაციაში. ჩრდილოეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ სამთავროებში დასრულდა გლეხების ყრმებად გადაქცევის პროცესი, როგორც უწოდებდნენ ბატონყმობის მეორე გამოცემას, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ გერმანიაში გლეხების მიწების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილი სათავადო მეურნეობები, რომელმაც გამოიტანეს სოფლის მეურნეობის

პროდუქცია შიდა ბაზარზე. გლეხები კანონმდებლობითი გზით მუდმივად ხდებოდნენ ამათუიმ მიწათმფლობელის მფლობელობაში, რომელთაც ისინი ვალდებულების მიხედვით უხდიდნენ სხვადასხვა გადასახადებს. ასეთი მეუნეობების მფობელებს ბრანდერბურგში, პომერანსა და პრუსიაში უწოდებდნენ იუნკერებს.

ოცდაათწლიანი ომი - პირველი საერთოევროპული ომი იყო სახემწიფოთა ორ დიდ დაჯგუფებას შორის. ერთი მხრივ - ესპნთის, ავსტრიის, გერმანიის კათოლიკური სამთავროს და რეჩ პოსპოლიტაიას შორის, რომლებიც ისწრაფოდნენ თავიანთი ბატონობისათვის ევროპაში და არსებული ფეოდალური წესების შენარჩუნებისათვის. მეორე მხრივ -საფრანგეთი, შვედეთი, ჰოლანდია, დანია, რუსეთი და ზოგიერთ ასპექტში ინგლისი, რომელთაც არსებითად მოიპოვეს გამარჯვება ამ ბრძოლაში.

თუკი აღმოსავლეთი გერმანია იყო კლასიკური მაგალითი ბატონყმური დამოკიდებული მეურნეობისა, მაშინ როცა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე შეინიშნებოდა სხვა აგრალური ურთიერთობები, რომლებიც ჰგავდა მეზობელ საფრანგეთში არსებულს. მიწათმფლობელები დასავლეთ გერმანიაში, ისევე როგორც საფრანგეთში, არ უძღვებოდა საკუთარ მეურნეობას, არამედ ღებულობდა გლეხისაგან ფულადი და ნატურალური სახის სარგებელს. ნელი ტემპით დანერგვამ კაპიტალისტური წარმოების საშუალებებისა გერმანიის ტერიტორიაზე განაპირობა გერმანული ბურჟუაზიის ნელი ტემპით ფორმირება.

ევროპა ახალ პერიოდში

ახალი დრო ევროპისათვის შედგა რიგი სერიოზული მოვლენებით, როგორც ეკონომიკური ასევე გეოპოლიტიკური ცვლილებებით. მოვიყვანთ რიგ ცვლილებებს, რომლებმაც შცვალეს ევროპის ისტორია: მათ შორის მნიშვნელოვანია საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის ომები.

ამ პერიოდში საფრანგეთი აბსოლუტური მონარქიიდან პირველად გადაიქცა თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეების რეს-

პუბლიკად. ფრანგული რევოლუციის მოვლენებმა მოახდინეს მნიშვნელოვანი გავლენა როგორც თვით საფრანგეთზე, ასევე მის მეზობლებზე და მრავალი ისტორიკოსი ამ რევოლუციას თვლის უმთავრეს მოვლენად ევროპის ისტორიაში.

1799 წელს რევოლუციურმა საფრანგეთმა განიცადა რიგი მარცხი, მისი მდგომარეობა იყო საკმაოდ რთული, თუმცა მისი მოწინააღმდეგეების რიცხვიდან ფაქტიურად ამოვარდა საფრანგეთი. ნაპოლეონის წინაშე, რომელიც იწოდებოდა რესპუბლიკის პირველ კონსულად, დადგა ამოცანა ომში ძირფესვიანი გარდატეხის მიღწევისა. მან გადაწყვიტა მთავარი დარტყმა მიეყენებინა ავსტრიაზე, იტალიისა და გერმანიის ფრონტზე.

1912 წელს დაიწყო ნაპოლეონის სამხედრო ძლიერების დაცემა, რომლის საფუძველსაც პორტუგალიასა და ესპანეთში ფრანგული იარაღის მარცხი წარმოადგენდა. სამამულო ომი, რასაც მოჰყვა გერმანიისა და ევროპის გამათავისუფლებელი ომი გახდა ,,დასასრულის დასაწყისი''. რუსეთსა (1812) და გერმანიაში (1813) გამარჯვებულმა ნაპოლეონმა მარცხი განიცადა საფრანგრთში (1814).

ნაპოლეონის ომების დამამთავრებელი ეპიზოდი იყო ,,სტანდეის'' ეპოქის გასვლა, საყოველთაოდ ცნობილი ბრძოლით ვატერლოსთან.

ვენის კონგრესი

კონგრესმა სანქცირება გაუკეთა ნიდერლანდების ახალი სამეფოს შემადგენლობაში ავსტრიის ნიდერლანდების (თანამედროვე ბელგია) ჩართვას, ასევე ავსტრიის დანარჩენი მფლობელობა დაბრუნდა ჰასბურგების კონტროლის ქვეშ, მათ შორის ლიმბარდია ვენციის რაიონი, ტოსკანა, პარმა, ტიროლი და პრუსია, საქსონიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ვესტფალიის მნიშვნელოვანი ტერიტორია და რეინის მხარე. საფრანგეთის ყოფილი მოკავშირე - დანია კარგავს ნორვეგიას, რომელიც შვედეთს გადაეცა. იტალია-

ში აღდგენილი იყო რომის პაპის მმართველობა ვატიკანსა და პაპის მხარეზე, ბურბონებს კი დაუბრუნეს ორთავე სიცილიის სამეფო. ასევე წარმოიქმნა გერმანიის კავშირი. ნაპოლეონის მიერ შექმნილი ვარშავის სათავადოს ნაწილი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში პოლონეთის სამეფოს სახელით, რუსეთის იმპერატორი იქცა პოლონეთის მეფედ.

ევროპა ვენის კონგრესის შემდეგ

რევოლუციური საფრანგეთის დაცემის შემდეგ, სხვა უდიდესი სახელმწიფოები ცდილობდნენ სიტუაციის აღდგენას, რომელიც არსებობდა 1789 წლამდე. მაგრამ მათი ძალისხმევა ამაო იყო რევოლუციური მოქმედებების შესაჩერებლად: საშუალო კლასები იყვნენ ღრმა გავლენის ქვეშ ფრანგული რევოლუციის დემოკრატიისა, სამრეწველო რევოლუციამ მოიტანა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები.

საფრანგეთ-პრუსიის ომი

ავსტრია-პრუსიის ომში გამარჯვების შემდეგ 1866 პრუსია მიიღწვოდა გაეერთიანებინა ყველა გერმანული მიწა თავისი ეგიდით, აგრეთვე დაესუსტებინა საფრანგეთი. საფრანგეთი თავის მხრივ ცდილობდა გამოერიცხა ერთიანი და ძლიერი გერმანიის შექმნის შესაძლებლობა. ომის ფორმალურ მიზეზად იქცა ესპანეთის ტახტზე პრეტენზები, რომელიც წამოაყენა ვილჰემ პრუსიელის ნათესავმა ლეოპოლდ ჰოგენცოლერნმა. ამ პრეტენზიებს ფარულად მხარს უჭერდა ოტტო ფონ ბისმარკი. პარიზში აღშოფოთებულნი იყვნენ ლეოპოლდის პრეტენზიებით. ნაპოლეონ მესამემ აიძულა ჰოგენცოლერი უარი ეთქვა ესპანეთის ტახტზე, ამს შემდგომ ეს უარი გაამართლა თვით ვილჰელმაც.

1871 წლის 18 იანვარს ვერსალში ბისმარკმა და ველჰემ პირველმა გამოაცხადეს გერმანიის იმპერიის შექმნის შესახებ.

პირველი მსოფლო ომი

პირველ მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე ევროპაში მომწიფდა წინააღმდეგობა უდიდეს სახელმიფოებს შორის - გერ-

მანიას, ავსტრია-უნგრეთს, საფრანგეთს, დიდ ბიტანეთსა და რუსეთს შორის. დიდ ბრიტანეთი ვერ პატიობდა გერმანიას ბურების მხარდაჭერას ანგლო-ბურების ომში 1899-1902 წლებში. საფანგეთი იღწვოდა აეღო რევანში გერმანელების მიერ მიყენებული ფრანკო-პრუსიის ომში 1870 წელს, აგრეთვე ისწრაფვოდა ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნებაზე, რომელიც გამოეყო საფრანგეთს 1871 წელს, რუსეთის იმპერია პრეტენზიას აცხადებდა თავისი ფლოტის თავისუფალ გასვლაზე ხმელთაშუა ზღვაში, აძალებდა კონტროლის მოშლას, ან გადახედვას დარდანელის სრუტეზე, გერმანიის იმპერია, როგორც ახალი დინამიური იმპერია ისწრაფვოდა კონტინენტზე სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ლიდერობისაკენ, ასევე მხოლოდ 1871 წლიდან ჩართული კოლონიებისათვის ბრძოლაში, პრეტენზიას აცხადებდა თანაბარ უფლებებზე ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდებისა და პორტუგალიის კოლონიურ მფლობელობაზე. განსაკუთრებულ აქტიურობას ავლენდა ბაზრების მიღებაზე. ახლო აღმოსავლეთში ეჯახებოდნენ პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ინტერესები, რომლებიც ისწრაფვოდნენ დაშლილი ოსმალეთის იმპერიის (თურქეთის) დაუფლებისათვის.

ფრანკო-პრუსიის ომის შემდეგ 1870 და 1914 წლამდე ევროპაში ფეთქდებოდა ლოკალური კონფლიქტები (ბალკანეთის ომი, იტალია-თურქეთის ომი), მაგრამ დიდ ომში ის არ გადადიოდა. 1905 წელს გერმანია ცდილობდა შეეკრა მოკავშირე მოლაპარაკება რუსეთთან (ბერის მოლაპარაკება), მაგრამ ის არ შევიდა ძალაში.

საბჭოთა რუსეთის ჩამოყალიბება

პირველმა მსოფლიო ომმა ფორსირება გაუწია რუსეთის თვითმპყრობელურ წყობას. დროებითი მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, უძლური აღმოჩნდა არსებული ქაოსისა და ნგრევის წინაშე და ხელისუფლება აიღეს ბოლშევიკებმა ტროცკისა და ლენინის მეთაურობით.

ფაშიზმის აღმოცენება

ეს სიტყვა მომდინარეობს ლათინური FASCEC -,,ბორჯღალო, სვასტიკა, რომლითაც ძირითადად აღინიშნებოდ ფაცების მაგისტრატული ხელისუფლების სიმბოლოები -ფასცია როზგითა და ცულით ამის წყალობით, ფასცების გამოსახულება გახდა მუსოლინის მოძრაობის სიმბოლო, რომელიც აპელირებას უკეთებდა ძველი რომის იმპერიულ ტრადიციებს.

ბენიტო მუსოლინის ფაშიზმი, პირველ პალანზე აყენებდა კორპორაციული სახელმწიფოს იდეას, ე.ი.სახელმწიფოს იდეას, როგორც კორპორაციის ხელისუფლებას, რომელიც წარმოადგენდა და ჰარმოზირებას უკეთებდა მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს(პარლამენტის დემოკრატიის საწინააღმდეგო, როგორც პარტიის ხელისუფლება). ფაშისტური იდეოლოგია დაიბადა იტალიაში 1910 წლის მიწურულს, იტალიის ფაშისტური პარტია მოვიდა ხელისუფლებაში და დაამყარა მუსოლინის დიქტატურა 1922 წელს.

ესპანეთის სამოქალაქო ომი

ეს იყო ბრძოლის ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის. 1936 წლის 17 ივლისს, სიტყვებიდან ამინდის შეტყობინების შესახებ ,,მთელი ესპანეთის თავზე უღრუბლო ცაა'', დაიწყო სამოქალაქო ომი. მებრძოლებმა დაიწყეს გამოსვლა ყველა მსხვილ ქალაქებში. რის შედეგადაც ვერ მოხერხდა სწრაფი გამარჯვება. ორივე მხარემ დაიწყო მასობრივი დახვრეტები პოლიტიკური მოწინააღმდეგებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ ,,არასწორ მხარეს''. ამ დროს რესპუბლიკელებმა მიმართეს საბჭოთა კავშირს, ნაციონალისტებს კი დახმარება აღმოუჩინა იტალიამ და გერმანიამ. ფუნქციონირებდა ნაციის ლიგის ჩაურევლობის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ფაქტიურად ომში მონაწილე ყველა საზღვარგარეთული სახელმწიფო

მეორე მსოფლიო ომი

ვერსალის შეთანხმებამ ძალზე შეავიწროვა გერმანიის სამხედრო შესაძლებლობები. 1933 წელს ხელისუფლების სათავეში ნაციონალურ-სოციალური პარტიის მოსვლის შემდეგ, რომლის სათავეშიც ადოლფ ჰიტლერი იდგა, გერმანიამ იგნორირება გაუკეთა ვერსალის მოლაპარაკების ყველა შეზღუდვებს - კერძოდ, აღადგინა არმიაში გაწვევა და სწრაფად დაიწყო შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის წარმოება. 1934 წლის 14 ოქტომბერს გერმანია გამოვიდა ნაციის ლიგიდან და უარი თქვა განიარაღებასთან მიმართებაში გამართულ კონფერენციაზე. 1934 წლის 24 ივლისს გერმანია შეეცადა განეხორციელებინა ავსტრიის მიერთებას, ინსპირაცია გაუკეთა ვენაში ანტისახელისუფლო პუტჩს, მაგრამ იძულებული იყო უარყოფა გაეკეთებინა თავისი გეგმებისათვის, იტალიის დიქტატორის ბენიტო მუსოლინის მკვეთრად ნეგატიური პოზიციის გამო, რომელმაც ავსტრიის საზღვრისკენ გადაიყვანა ოთხი დივიზია.

30-იან წლებში იატალია ახორციელებდა არცთუ ნაკლებად აგრესიულ საგარეო პოლიტიკას. 1935 წლის 3 ოქტომბერს ის შეიჭრა ეთიოპიაში და 1936 წელს დაიპყრო ის. 1936 წელს მას ეწოდა იტალიის იმპერია.

ამოუხსნელი აგრესიის აქტმა გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოებისა და ნაციის ლიგის უკმაყოფილება. დასავლეთის სახელმწიფოებთან მდგომარეობის გამწვავებამ უბიძგა იტალიას გერმანიასთან დაახლოებისაკენ. 1936 წლის იანვარში მუსოლინმა მისცა პრინციპული თანხმობა გერმანელების მიერ ავსტრიის ანექსიაზე, იმ პირობით, რომ არ მოხდებოდა ადრიატიკის ექსპანსია. 1936 წლის 7 მარტს გერმანულმა ჯარებმა დაიჭირეს რეინის დემილიტარიზირებული ზონა. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ამ მოქმედებას არ უწევენ წინააღმდეგობას და შემოიფარგლებიან მხოლოდ ფორმალური პროტესტით. 1936 წლის 25 ნომბერს გერმანია და იაპონია ქმნიან ანტიკომინტერნულ პაქტს კომუ-

ნიზმთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ. 1937 წლის 6 ნოემბერს პაქტს უერთდება იტალიაც.

ფორმალურად მეორე მსოფლიო ომი დაიწყო გერმნიის შეჭრიდან პოლონეთში. საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების გმირული ძალისხმევით გერმანული სამხედრო მანქანა დამარცხებული იქნა. ომის შემდეგ ევროპა გაყოფილი იქნა ორ ბანაკად: დასავლეთ (კაპიტალისტურ) და აღმოსავლეთ (სოციალისტურ) ბანაკად.

1939-1945 წლებში ვროპაში დაიღუპა 40 მილიონი ადამიანი - 2 მილიონი დასავლეთ ევროპელი, 7 მილიონი გერმანელი და 30 მილიონზე მეტი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქე.

ევროპა თანამედროვე ეტაპზე

ცივი ომი

ცივი ომის დასაწყისად ფორმალურად ითვლება 1946 წლის 5 მარტი, როდესაც უინსტონ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული იყო ღირშესანიშნავი სიტყვა ფუტლონში (აშშ).

ცივ ომს თან ახლდა ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღის ჟღარუნი, რომელიც მესამე მსოფლიო ომის დაწყებით იმუქრებოდა. ასეთი მეტნაკლებად ცნობილი სიტუაცია, როცა მსოფლიო კატასტროფის პირას იდგა იყო 1962 წლის კარიბის კრიზისი. ამასთან დაკავშირებით 1970-იან წლებში ორივე მხარის მიერ მიღებული იქნა ძალისხმევა, რათა ,,განიარაღება'' მომხდარიყო საერთაშორისო დაძაბულობისა და მომხდარიყო შეირაღების შეზღუდვა. საბჭოთა კავშირის მზარდმა ტექნოლოგიურმა ჩამორჩენამ, საბჭოთა ეკონომიკის სტაგნაციამ და 1970 წლის ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში დიდი სამხედრო გასავლებით, აიძულა საბჭოთა ხელისუფლება წასულიყო პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებზე. მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მიერ 1985 წელს გამოცხადებულმა გარდაქმნისა და საჯაროობის კურსმა პრაქტიკულად მიიყვანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მმართვე-

ლი როლის დაკარგვისაკენ, მძიმე ეკონომიკური და სოციალური კრიზისისაკენ, საბოლოო ჯამში კი - 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისაკენ.

ევროკავშირი

პირველი ნაბიჯი თანამედროვე ევროკავშირის შექმნისაკენ გადადგმული იქნა 1951 წელს: გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა, იტალიამ ხელი მოაწერეს მოლაპარაკებას ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებას დაფუძნების შესახებ, რომლის მიზანიც გახდა ევროპული რესურსების გაერთიანება ფოლადისა და ქვანახშირის წარმოებაზე, მოცემული მოლაპარაკება ძალაში შევიდა 1952 წლის ივნისიდან.

ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით ამავე ექვსმა სახელმწიფომ 1957 წელს დაარსა ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოება და ატომური ენერგიის ევროპული თანასაზოგადოება. ამ სამი ევროპული საზოგადოების უმთავრესი კომპეტენციის სფეროს წარმოადგენდა ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოება, ასე რომ 1993 წელს მას ოფიციალურად შეეცვალა სახელი და იქცა ევროპის თანასაზოგადოებად.

ლექცია 10

ევროპის პოლიტიკური გეოგრაფია

პოლიტიკური გეოგრაფია — გეოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის პოლიტიკური ძალების ტერიტორიულ განაწილებას და შეფარდებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ცალკეულ ქვეყნებსა და ქვეყნების ჯგუფებს შორის მათ სოციალულ-ეკონომიკურ სტრუქტურასთან დაკავშირებით; ქვეყნებისა და სახელმწიფოების ტერიტორიული ფორმირების, მათი სახელმწიფო საზღვრების, ისტორიული ოლქების, ადმინისტრაციული წყობის საკითხებს.

გასულ საუკუნეში ზოგი მეცნიერი მას ეკონომიკური გეოგრაფიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა, ზოგიც კი მას ეკონომიკურ გეოგრაფისთან დაკავშირებულ ცალკე გეოგრაფიულ დისციპლინად თვლიდა. პოლიტიკური გეოგრაფია პირველ რიგში იყენებს გეოგრაფიულ მეთოდებს, მ.შ. კარტოგრაფიულს. მისი თეორიული საფუძვლების ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა გერმანელმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა, რომელმაც საბოლოოდ მიიღო პოლიტიკურ-გეოგრაფიული აზრის პრინციპი. შემდგომში, ეს იდეა გახდა ანთროპოგეოგრაფიის საფუძველი, რომლის დიდი წამომადგენელი იყო ფრიდრიხ რაცელი. ამ უკანასკნელმა არაერთი საფუძვლიანი თეორიული ნაშრომი შექმნა, რომლებმაც კიდევ უფრო განამტკიცეს ამ დარგის იდეური პრინციპები. პოლიტიკურ-გეოგრაფიული კვლევების გაგრძელებისათვის დიდი მნიშვენლობა ჰქონდა ასევე ფრანგი გეოგრაფისა და სოციოლოგის ა. ზიგფრიდის შრომებს.

რუსეთში პირველად ტერმინი პოლიტიკური გეოგრაფია გამოიყენა ვასილი ტატიშჩევმა. 1758-1772 წწ. გამოიცა ი. გრეჩისა და ს. ნაკოვალნინის მიერ შედგენილი პოლიტიკური გეოგრაფიის პირველი რუსული სახელმძღვანელო.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები აისახა ა. რადიჩშევის, კ. არსენიევის, პ. სემიონოვ ტიან-შანსკისა და სხვ. თხზულებებში.

პოლიტიკურ გეოგრაფიის საკითხებს ეხება ასევე ნ. ბარანსკის, ი. ვიტვერის, ი. მაერგოიზის, ბ. სემევსკისა და სხვა გეოგრაფების ნაშრომებში. უცხოეთში ამ დარგს დიდი ყურადრებას უთმობდენენ: შ. რადო (უნგრეთი), ი. ბარბაგა (პოლონეთი), ა. ნუნიეს ხიმენესი (კუბა) პ. ჟორჟი (საფრანგეთი) და სხვ.

ევროპის პოლიტიკური გეოგრაფია საინტერესოდ ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში. კერძოდ, კონტინეტის ქვეყნების და სახელმწიფოების ტერიტორიული ფორმირების, მათი სახელმწიფო საზღვრების, ისტორიული ოლქების, ადმინისტრაციული წყობის და სხვა საკითხები.

ანტიკურ და ელინისტურ პერიოდში ხმელთაშუაზღვის რეგიონის პოლიტიკურ რუკას არაერთხელ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება. მხოლოდ მისმა მნიშვნელოვანმა საყრდენებმა - საბერძნეთმა, ბიბლიური სამყაროს ქვეყნებმა, ეგვიპტემ, რომმა - შეინარჩუნეს საერთო ხასიათი. მიმდინარეობდა მხოლოდ მათი ,,გადმოქვემდებარება''.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ხმელთაშუაზღვის პოლიტიკურ რუქაზე სახელმწიფოები არც თუ ისე დიდი ზომის იყვნენ, მათი საზღვრები კი განისაზღვრებოდა ბუნებრივი (ფიზიკურ-გეოგრაფიული) საზღვრებით.

ალექსანდრე მაკედონელის უზარმაზარი იმპერია, რომელსაც არ გააჩნდა ერთიანი ეკონომიკური ბაზა, წარმოადგენდა სერიოზულ სამხედრო გაერთიანებას. ალექსანდრეს ჯარები იკავებდნენ დიდ ქალაქებს, სამხედრო დასაყრდენ პუნქტებს, გზებს, იშვიათად სიღრმეში მდებარე ადგილებს, რომელთაც გააჩნდათ საკმაოდ დიდი განსხვავება: ერთი მხრივ, ნილას შორეთისა და შუამდინარეთის ათასწლოვანი კულტურა, მეორე მხრივ - ირანის

მთაგორების ნახევრად მომთაბარე ტომები. არ არის გასაკვირი, რომ ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისი იმპერია იმწამსვე დაიშალა რამდენიმე ელინისტურ სახელმწიფოდ, რომლისთვისაც სისხლისმღვრელი ომი გასწიეს ალექსანდრეს მხედართმთავრებმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა, რომლებმაც მიიღეს დიადოხების სახელწოდება.

მათ შორის ყველაზე დიდი იყო სირიის სამეფო, რომელშიც სელევკ პირველის მმართველობის დროს სელევკიდების დინასტიამ მოიკიდა ფეხი. სელევკ პირველისა და შემდგომში ანტიოქ მესამის მმართველობის დროს ამ სამეფოს საზღვრები გადაჭიმული იყო მცირე აზიიდან შუა აზიასა და ინდოეთამდე. მაგრამ ეს იყო კონგლომერატი მრავალი ტომისა და გვარისა, რომელიც შემდეგ დაეცა უცხო მიწელებისა და შიდა დაპირისპირებების გამო.

მეორე მსხვილი ელინისტური სახელმწიფო იყო ეგვიპტე, რომელიც ალექსანდრეს მხედართმთავარს - პტოლემეოსს ერგო შთამომავლობით. პირველი პტოლემეოსების დროს ეგვიპტეს მიკუთვნებოდა კირენა და აფრიკა, კვიპროსი და რიგი კუნძულებისა, ფინიკია, პალესტინა, სამხრეთი სირია. სელევკიდებისა და პტოლემეოსების სამეფოს გვერდით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკურ რუქაზე გამოჩნდა კაპადოკია, პონტო, ვიფინია, პერგამი, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე კი - მაკედონიის სამეფო.

რომის იმპერია იყო კიდევ უფრო დიდი. მაქსიმალური ძლევამოსილების დროს, მეორე საუკუნის დასაწყისში მისმა ტერიტორიებმა ფართო სარტყლით მოიცვა ხმელთაშუაზღვისპირეთის მთელი რეგიონი და მიმდებარე რაიონები. ამასთანავე, რომის გარე სამფლობელოები ექვსჯერ აღემატებოდა იტალიის ტერიტორიის მოედანს და არსებობდა მსოფლიოს სამ ნაწილში - ევროპაში, აზიასა და აფრიკაში.

შუასაუკუნებში ევროპის პოლიტიკური რუქის არამდგრადობა, ცვლილებები შეიძლება ჩაითვალოს მის განმასხვავებელ

ნიშნად. სახელმწიფო საზღვრების ცვლა, მსხვილი სახელმწიფოების აღმოცენება და დაცემა იმ დროისათვის მნიშვნელოვან ტიპიურ მოვლენას წარმოადგენდა. მათი არსებობა შეიძლება აიხსნას როგორც ამ სახელმწიფოთა უმრავლესობის ფორმირება ძალადობრივი მეთოდებით, ასევე ეკონომიკური ურთიერთობების სისუსტე განცალკევებით მდგომ ნაწილებს შორის, რომლებიც ნატურალური მეურნეობის პირობებში იმყოფებიან. შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ პერიოდის პოლიტიკური რუკის სიმყიფე განისაზღვრებოდა სამი ძირითადი მიზეზით: ევროპული ტომებისა და ხალხის გადმოსახლებით, ევროპული სახელწიფოების დაპყრობითი ომებით და აზიელი ხალხების დაპყრობითი ბრძოლებით.

პოლიტიკური რუკის სიმყიფის მკვეთრ მაგალითს, რომელიც დაკავშირებულია დაპყრობებთან და ფართო სახელმწიფოებრივი გაერთიანების შემდგომ დაშლასთან წარმოადგენს მერვე-მეცხრე საუკუნეებში კარლ დიდის იმპერია. კარლის დაპყრობითმა ომებმა მიიყვანა ფრანკების სახელმწიფოს გადაჭიმვა ებრძოდან ელბამდე და ლამანშიდან ადრიატიკის ზღვამდე, რომელიც მოიცავდა მიწების უდიდეს ნაწილს, რომელიც ადრე დასავლეთ რომის იმპერიაში შედიოდა. კარლ დიდი იქცა ევროპის ყველაზე ძლევამოსილ მმართველად. 800 წელს იგი აკურთხეს იმპერატორად.

ანალოგიური მაგალითია დანიური ტომების დანიის სახელმწიფო. ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში დათები, ანგლოსაქსების შთამომავლები იჭრებოდნენ ბრიტანეთში და ორი საუკუნის მანძილზე გამოიწვიეს ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების დაცარიელება. განსაკუთრებულ სიძლიერეს დათების სამეფომ მიაღწია მე-9 საუკუნის დასაწყისში ხელმწიფის კანუტ ძლევამოსილის დროს, როცა მის შემადგენლობაში შედიოდა დანია, ნორვეგია, შვედეთის ნაწილი,ინგლისი და შოტლანდია. მაგრამ ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ ის სწრაფად დაიშალა.

ევროპის პოლიტიკურ რუქაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ამ დროის სხვა დაპყრობითმა ომებმაც.

ასე მაგალითად, ნორმანების მიერ ჩრდილოეთ საფრანგეთის დაპყრობა, რომელმაც მიიყვანა ნორმანდიის საჰერცოგოს შექმნამდე. მთავარია ისიც, რომ 1066 წელს ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰემმა წარმოადგინა თავისი უფლებები ინგლისის ტახტზე, გადავიდა ჯარებთან ერთად ინგლისში, გაიმარჯვა მეფე ჰეროლდთან ბრძოლაში და გახდა ინგლისის მეფე. კიდევ ერთი ძლიერი ნორმანდიული სამეფო - სიცილიის (ნეაპოლიტანიის) -აღმოცენდა სამხრეთ იტალიაში.

ეს არის მაგალითად, გერმანელების გადაადგილება მე-12-მე-15 საუკუნეებში სახელწოდებით ,,დრანგ ნახ ოსტენ''-,,ძლიერი ჭავლით აღმოსავლეთისაკენ''. ამ გადაადგილების დაწყებამდე გერმანიის სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვარი გადიოდა ელბაზე, მის დასასრულზე კი ბალტიისპირეთის ზღვის სანაპიროს სარტყელზე ოდერის დაბლობისაკენ,ვისლაზე, ნემანაზე, დასავლეთ დვინაზე. ამ მიწების დაპყრობა ხდებოდა ჯვაროსნებისა და ხმლოსნების რაინდთა ორდენების მიერ, იმ მიზეზით, რომ წარმართებში -პრუსებში, ლივებში, ჟმუდებსა და ჩუდებში გაევრცელებინათ ქრისტიანული რელიგია. ცნობილია, რომ აღმოსავლეთი პრუსია ამის შემდეგ შედიოდა გერმანიის შემადგენლობაში მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე.

კიდევ ერთი ნაკადი გერმანული კოლონიზაციისა გადიოდა სამხრეთით, პოლაბიული სლავების მიწებზე და შორს ჩეხეთსა და სილეზიაში. მან დატოვა ძლიერი რეზონანსი უახლეს ისტორიაში: ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანელები შეადგენდნენ მთლიანი ჩეხეთის მოხლეობის 1/4. ომის შემდეგ პოსტდამის კონფერენციის დასკვნის საფუძველზე მხოლოდ ამ ქვეყნიდან გამოსახლებული იყო 2,5 მილიონი გერმანელი. ისინი სამშობლოში გადასახლებულნი იქნენ უნგრეთიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, სადაც აგრეთვე დასახლდნენ საუკუნის შუა წლებში.

აღმოსავლეთ ევროპის რუკაზე დაპყრობითი ომების შედეგად ძალიან გაფართოვდა ლიტვის დიდი სამთავროს საზღვრები. მე-13 მე-14 საუკუნეებში მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ბალტიისპირეთიდან შავ ზღვამდე, დასავლეთი ბუგიდან და დნეპრიდან ვოლგის და ოკის სიმაღლეემდე და ოკიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ უზარმაზარი სახელმწიფოს წარმოქმნა, სადაც თვით ლიტვის მიწები შეადგენდნენ ტერიტორიის მხოლოდ 1/10, დაკავშირებული იყო ბელორუსული, რუსული და უკრაინული მიწების ძალადობრივ შეერთებასთან. მისი საზღვრები გაუთავებელი ომების გამო ყოველთვის იცვლებოდა.

ევროპის ქვეყნების დაპყრობითი ომების გარდა, ევროპის პოლიტიკურ რუქაზე გავლენა მოახდინეს აზიიდან დაპყრობებმაც. ამის შედეგი იყო ერთი სახელმწიფოს დაცემა და მეორის აღმოცენება.

პირველი ამგვარი მაგალითი იყო - მომთაბარე ჰუნების სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელმაც დამანგრეველი დარტყმა მიაყენა რომის იმპერიას. მაგრამ ჰუნების ბელადის - ატილას სიკვდილის შემდეგ ის მალევე დაიშალა. მეორე მაგალითი - მე-7 საუკუნის ბოლოს თურქული მოდგმის ბულგარელების გადასახლება აღმოსავლეთიდან ევროპაში, დუნაის ქვემო დინების მიწებზე. მან მისცა თავისი სახელი ახალ ბალკანეთის სახელმწიფოს - ბულგარეთის სამეფოს, რომელიც მიუხედავად დიდი წინაღმდეგობისა, დაპყრობილი იქნა ბიზანტიელების მიერ, მაგრამ შემდეგ ისევ აღორძინდა.

მე-9 საუკუნის ბოლოს თურქულ ტომთა გაერთიანებული მოდგმის ხალხი - უნგრული ტომები (მადიარები) მომთაბარეობდნენ თავიანთი სამშობლოდან - ურალისპირეთიდან შავიზღვისპირეთის სტეპების გავლით ევროპის ცენტრისაკენ ძლიერი ინტენსივობით; ნაწარმოებში ,,დროის წლების თხზულება'' შემონახულია

ჟამთააღმწერელის შენიშვნა, მათ მერ 895 წელს კიევის გასწვრივ სვლის შესახებ. მომდევნო წელს, როდესაც ამ ტომებმა მიაღწიეს შუა დინაის დაბლობებს, ყოფილ რომაულ პროვინციას პანონიას უნგრულ ისტოგრაფიაში იწოდება ,,სამშობლოს აღმოჩენის'' წელად. ევროპის რუქაზე გამოჩნდა უნგრეთის სამეფო.

მე-13 საუკუნეში მთავარი მოვლენა, რომელიც აისახა ევროპის რუქაზე, იყო მონღოლების შემოსევა. ეს იყო არა მარტო ჩინგიზხანის, რომელმაც რუსეთის მიწების დასასრულს მიაღწია და პირველი გამარჯვება მოიპოვა რუს მთავრებთან მდინარე კალკაზე, არამედ მისი შვილიშვილის ხანის - ბატიას გამარჯვებები. ბატიასა და მისი მხედართმთავრების სვლა აღწერილია მრავალ წყაროში. რამდენიმე მათგანში განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ ბულგარელებისა და უნგრელებისაგან განსხვავებით, მონღოლების მიზანი არ ყოფილა ახალი სამშობლოს აღმოჩენა. საუბარი იყო სიმდიდრის ერთობლივ მოპოვებაზე და დამორჩილებული ქვეყნებისაგან ხარკის მოპოვებაზე. ამ სვლის დამანგრეველი ძალა იყო ძალიან დიდი. ეს ეხებოდა პოლონეთსა და უნგრეთსაც, სადაც ძლიერი წინააღმდეგობის გამო ბატია დიდხანს არ გაჩერებულა. რაც შეეხება რუსულ სახელმწიფოებრიობას, შეიძლება ითქვას, რომ ეს დამანგრეველი ძალა მან განიცადა ბოლომდე.

ასეთივე აზრია გატარებული მოწმეების ნაამბობებში რუს ჟამთააღმწერლებთან. ასევე რევოლუციამდელ რუს ისტორიოგრაფებთან ნ.მ კარამზინის, ს.მ. სოლოვიევის, ვ.ო. კლუჩევსკის და სხვა გამოჩენილ ისტორიკოსთა შრომებში. ასევე შეიძლება შეინიშნოს საბჭოურ და პოსტსაბჭოური პერიოდის ისტორიულ ნაშრომებში. მაგალითად, ბ.ა. რიბაკოვი წერდა, რომ თათარ -მონღოლთა შემოსევებმა ,,მნიშვნელოვნად შეაფერხა რუსული ისტორიული პროცესის სვლაო''. იმაზე, რომ ,,ბატიას ყოფნამ'' გამოუსწორებელი ზღვარი დასვა რუსეთის ისტორიაში, რუსეთის მიწები გადაისროლა წარსულში, განვითარების პერიოდში, ასევე გაყო მთელი

ისტორია მონღოლთა დრომდე და მონღოლთა მმართველობის ეპოქამდეო, წერენ ა.ნ. სახაროვი და ნ. ი. ბუგანოვი, ასევე ჩვენი დროის სხვა გამოჩენილი ისტორიკოსები.

საბოლოოდ, მე-14 საუკუნეში თურქ-ოსმალთა დაპყრობების ფონზე დაიწყო ცვლილება სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკურმა რუქამ. ძალიან მცირე დროის მანძილზე თურქებმა შეძლეს არა მარტო ბალკანეთის ნახევრკუნძულის დაპყრობა, არამედ ჩრდილოეთისაკენ დუნაისთან მდებარე მიწების დაქვემდებარებაც. ოსმალეთის იმპერიაში ამა თუ იმ ხარისხის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა სერბია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ჩერნოგორია, ბულგართი, საბერძნეთი, ალბანეთი, ვალახეთი, მოლდოვა, უნგრეთის დიდი ნაწილი.

ევროპის პოლიტიკური რუქის მეორე მნიშვნელოვან თვისებად შუასაუკუნების ეპოქაში არის მისი დაქუცმაცებულობა. საერთოდ საუბრობენ ევროპული რუქის ,,ფეოდალურ დაქუცმაცებულობაზე'', ეს გამოთქმა ზუსტად ასახვს საქმის არსს, რადგანაც ტერიტორიის პოლიტიკური დაქუცმაცება დაკავშირებულია ფეოდალურ ეკონომიკასთან, ეკონომიკურ დაქუვმაცებულობასთან, ერთიანი ბაზრის არარსებობასთან. პოლიტიკური რუქის დაქუცმაცებულობა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ადრეული შუასაუკუნეებისათვის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი შემონახულია, გვიან შუასაუკუნეებშიც.

ორ უმთავრეს მაგალითად ასეთი დაქუცმაცებულობისა წარმოადგენდა იტალია და გერმანია.

იტალია - ევროპის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო შუასაუკუნეების 1000 წლიანი პერიოდის მანძილზე. მის პოლიტიკურ გაერთიანებას ხელს უშლიდა როგორც შიდა, ასევე გარეგანი მიზეზები. შიდა მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის ბრძოლა, რომელსაც შეუწყვეტლად აწარმოებდნენ ერთმანეთს შორის მრავალრიცხოვანი იტალიური საჰერცოგოები, რესპუბლიკები, ქალაქი-სახელმწიფოები და სხვა პოლი-

ტიკური წარმონაქმნები. გარეგან მიზეზებში მთავარია - იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილების დაქვემდებარება უცხომიწელ ძალებთან. ამგვარად, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში (ლომბარდიაში) ბატონობდნენ თავიდან ლანგობარდები, შემდეგ კი ხელისუფლება გადავიდა გერმანიის ხელში. სამხრეთი იტალია ეკუთვნოდა ნორმანდიიდან წამოსულ არაბებს, ხოლო მოგვიანებით აქ წარმოიქმნა ორთავე სიცილიის სახელმწიფო. ნახევარკუნძულის შუა ნაწილში ჩამოყალბდა პაპის მხარე. თანდათანობით იტალიის ჩრდილოეთ ნახევარზე წარმოიქმნა საგანგებოდ სხვადასხვა ნაწილებში გაბნეული ქალაქ-სახელმწიფოები, ამასთანავე პაპის ტახტისა და გერმანიის იმპერატორის პოლიტიკას თან ახლდა დაქუცმაცებულობის გადალახვის მცდელობა.

გერმანია ფორმალური ნიშნებით განსხვავდებოდა იტალიისაგან ძალიან ძლიერად. ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ ფრანკების სამეფოს ადგილას წარმოიშვა გერმანიის სამეფო. იმავე ასწლეულის შუაში გერმანიის მეფე ოტტონ პირველი შეიჭრა აპენინის ნახევრკუნძულზე და გახდა იტალიის მეფე. მალე კი რომის პაპმა, ისევე როგორც ნახევარი საუკუნით დრე კარლ დიდს, ახლაც იმპერატორის გვირგვინი მას დაადგა. ასე აღმოცენდა ახალი დიდი იმპერია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ არა მარტო გერმანული მიწები, არამედ ჩრდილოეთი და შუა იტალია, ჩეხეთი, ბურგუნდია და რიგი სხვა ტერიტორიიებისა. ახალმა სახელმწიფო მიიღო სახელწოდება წმინდა რომის იმპერია (მე-15 საუკუნიდან - გერმანული ნაციის წმინდა რომის იმპერია), რადგანაც გერმანელი იმპერატორები პრეტენზიას აცხადებენ უძველესი რომის იმპერატორების ნათესავებად, შთამომავლებად. იმპერატორმა ოტტონ მესამემ გადაიტანა თავისი რეზიდენციაც გერმანიიდან რომში. მაგრამ გერმანელი იმპერატორების ხელისუფლება ბევრ რამეში იყო ნომინალური. რეალურად მართვის სადავეები ადგილობრივი ფეოდალების - ჰერცოგების, კურფიურსტების, გრაფების, მარკგრაფების და ა.შ. ხელში იყო.

ხშირად ხდებოდა ისეც, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, ამა თუ იმ ქვეყანაში დადგა მათი პოლიტიკური კონსოლიდაციის შემდეგ. ამგვარ მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ მე-11- მე-12 საუკუნეების პოლონეთი, მე-13 საუკუნის უნგრეთი, ასევე მე-11-მე-13 საუკუნეების რუსეთი.

რუსი მეცნიერი ბ.ა. რიბაკოვი გამოყოფს კიევის რუსეთის, როგორც სახელმწიფოს განვითარების ორ ეტაპს. პირველი მიეკუთვნება მე-6 საუკუნეს, როდესაც დნეპრისპირეთში აღმოცენდა სლავური ტომების კავშირი, მეორე კი მე-8- მე-9 საუკუნეებში, როდესაც რამდენიმე ათეული ცალკე მდგომი არცთუ დიდი ტომი, გაერთიანებული ოთხ დიდ კავშირში დაექვემდებარნენ კიევის მთავრის ხელისუფლებას. მე-10-მე-11 საუკუნეებში რუსეთს ეჭირა ვრცელი ტერიტორია. მე-12-მე-13 საუკუნეებში ეს ტერიტორია კიდევ უფრო გაიზარდა, მიიღო ბიზანტიის იმპერიისა და კარლ დიდის იმპერიის საზღვრები. აღმოსავლეთით მისი მიწები კამასა და პეჩორამდე იყო გადაჭიმული, ჩრდილოეთით კი თეთრ ზღვამდე. მისი საზღვრების სიგრძე შეადგენდა 7 ათას კილომეტრს.

ამავე დროს ერთდროულად დაიწყო რუსეთის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, რომლის შედეგადაც, ჟამთააღმწერელის აზრით ,,დაიჩეხა მთელი რუსული მიწა''. ეს დაქუცმაცება განსაკუთრებით გაძლიერდა მე-11 საუკუნის შუაწლებში, იაროსლავ ბრძენის სიკვდილის შემდეგ და დაიწყო ბრძოლა სამთავროს ტახტისათვის მის მემკვიდრეებს შორის, რომელიც გრძელდებოდა მისი შვილიშვილის ვლადიმერ მონომახის ტახტზე ასვლის შემდეგაც.

ზემოთქმულის შედეგად, ოდესღაც ერთიანი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა თხუთმეტამდე დამოუკიდებელი სამთავრო, რომლებიც არ იყვნენ გაერთიანებული არანაირ სახელმწიფო წარმონაქმნად და ამასთანავე გამუდმებით ეომებოდნენ ერთმანეთს. სამთავროს სათავეში მდგომები ატარებდნენ თავიანთ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობდა ადგილობრივი ფეოდა-

ლური წარჩინებულების ინტერესებიდან. ისინი ისწრაფვოდნენ გაეფართოვებინათ თავიანთი სამფლობელოები მეზობელი მიწების დაპყრობის გზით და ამ მიზნით აწარმოებდნენ დაუსრულებელ ომებს. მე-13 საუკუნის დასაწყისში ასეთი სამთავრო იყო უკვე 50 -მდე, ასე რომ რუსეთის პოლიტიკური სტრუქტურა მოგაგონებდათ სხვადსხვა ნაჭრებით ნაკერ ჭრელაჭრულა საბანს.

მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ შუასაუკუნეების ევროპის ისტორიაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდი უმრავლეს შემთხვევაში საკმაოდ უარყოფითად მოქმედებდა მისი სახელმწიფოების განვითარებაზე.

პირობების გარკვეული წილით შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიული სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის პროცესი ევროპაში განვითარდა ორ ეტაპად.

პირველი მათგანი მოიცავს ადრინდელი შუასაუკუნეების ბოლოსა და განვითარებულის დასაწყისს. რეალურად, მე-9-მე-10 საუკუნეები არის - თუნდაც ,,ჭრელაჭრულა", თუმცა სავსებით ცენტრალიზებული კარლ დიდის იმპერიის არსებობა ევროპის დასავლეთში. ევროპის შუა ნაწილში არსებობდა დასავლეთი სლავების დიდი მორავიის სახელმწიფო. შემდეგ მნიშვნელოვან წილად, მას შეენაცვლა მსხვილი უნგრეთის სამეფო, რომელიც აღმოცენდა მას შემდეგ რაც არპადების ტომის მთავარმა იშტვანმა გააერთიანა მადიარების ყველა ტომი და 1000 წელს იკურთხა ხელმწიფედ ქრისტიანული სახელით სტეფანე პირველით; მალევე სიკვდილის შემდეგ ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა. ეს გზა მთავარია მეზობელი პოლონეთისთვისაც, სადაც აღმოცენდა პიასტების ადრეფეოფალური სამეფო დედაქალაქით, რომელსაც გნეზნოს უწოდებდნენ. ამავე დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არსებობდა პირველი ბულგარეთის სამეფო, სიმონ მეფის მმართველობით, რომელსაც ხშირად უწოდებდნენ დიდ ბულგარეთს: მისი საზღვრები გადიოდა შავი ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე და ქვემო დუნაიდან ფრაკიისა და მაკედონიის სიღმემდე.

ევროპის აღმოსავლეთში ეს იყო აღმოსავლეთი სლავების ადრეფეოდალური სახელმწიფოს - კიევის რუსეთის გაფურჩქვნის ხანა. მიუხედავად მისი სიდიდისა, ამ სახელმწიფოს ბირთვი იყო შუა და ზემო დნეპრისპირეთი. ვ.ო. კლუჩევსკი ამტკიცებს, რომ ძველი კიევი რუსეთი შედგებოდა ერთი მდინარის - დნეპრის აუზისაგან, რომელიც თამაშობდა სახელმწიფოს ღერძული გზის როლს, ხოლო მისი მარცხენა და მარჯვენა შენაკადები მისკენ მიმავალ მიწისქვეშა გზას წარმოადგენდა.

აქტიური სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის მეორე ეტაპი დადგა უკვე მე-15- მე-16 საუკუნეებში, ე.ი. განვითარებული შუასაუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის გადაკვეთისას. მას გაჩნდა უფრო მოქნილი ეკონომიკური საფუძველი ამ დროს ჩამოყალიბებული ნაციონალური ბაზრისა და ნაციის კონსოლიდაციის პროცესის დამაჩქარებელი სახით. ამგვარად, ინგლისსა და საფრანგეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობა მოხდა ძირითადად მე-15 საუკუნეში.

ევროპის შუაში განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდში ყველაზე მსხვილი სახელმწიფო იყო ავსტრია. ავსტრიის ისტორიულ ბირთვზე - ქვემო ავსტრიასთან, ბაბენბერგებისა და მოგვიანებით ჰასბურგების არისტოკრატიული დინასტიების დროს მიერთებული იყო ჯერ ზემო ავსტრია, შტირიისა და კარინტიის სლავური რაიონები, შემდგომში კი ტიროლი და ფორარლბერგი. ჰასბურგები აგრეთვე აწარმოებდნენ ხანგრძლივ ომს შვეიცარიის შემოერთებაზე, რომლის წინააღმდეგობამაც ასახვა ჰპოვა ვილჰემ ტელლეს ცნობილ ლეგენდაში.

ევროპის ჩრდილოეთა ნაწილმა საერთოდ ან თითქმის არ იცოდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის შესახებ. მე-12- მე-13 საუკუნეებში დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში ჩამოყალიბდა ფეოდალური სამეფოები, რომლებიც 1397 წლიდან დაკავშირებულნი იყვნენ კალმარიის უნიით. ყველაზე ძლიერი მათ შორის იყო დანიის სამეფო.

აღმოსავლეთ ევროპაში კი მე-14-მე-15 საუკუნეები არის დრო ფეოდალური დაქსაქსულობის გადალახვისა და რუსული მიწების გაერთიანებისა მოსკოვის - ვლადიმირ-სუზდალის რუსეთის ერთერთი ძველი ქალაქის ირგვლივ. ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი, ვ.ო. კლუჩევსკის ,,მოსკოვის დიდი რუსეთის ირგვლივ'', საფუძველს წარმოადგენდა იგივე კანონზომიერებანი, როგორიც ევროპის სხვა ნაწილებში. რახან რუსეთის საერთო განვითარება შეჩერებული იყო თათარ - მონღოლების შემოსევებით, ეკონომიკური და პოლიტიკური დაქსაქსულობა აქ ძალიან ნელა გადაილახებოდა, რამდენიმე ეტაპის გავლის შემდეგ.

რუსული მიწები შემოკრება მოსკოვის ირგვლივ დაიწყო მე-14 საუკუნის პირველ ათწლეულში ივანე კალიტას დროს, რომელიც მოსკოვის დიდი მთავარი გახდა. შემდგომში მოსკოვის აღზევებას თან ახლდა მამაიას ჯარების გაფანტვა კულიკოვოს ველზე 1380 წელს, მოსკოვის დიდი მთავრის დიმიტრის მეთაურობით, რომელსაც ამისთვის დონელი უწოდეს. მე-15საუკუნის 60-იანი წლებისათვის უკვე ბევრი რუსული მიწა გაერთიანდა მოსკოვის გარშემო. მოსკოვის სამთავროს საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, ივანე მესამის დროს, რომელმაც რუსეთის მთავრის ტახტზე დაჰყო 43 წელი. მან მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან ვასილი ტემნოსაგან დიდი საერისთავო, რომლის მოედანი შეადგენდა 400 ათას კმ.კვ2,მაგრამ თავის მემკვიდრეს უფლისწულ ვასილს დაუტოვა უზარმაზარი სახელმწიფო, რომლის ტერიტორია გაიზარდა ხუთჯერ - 2მლ.კვ.კმ2! ივანე მესამეს მმართველობის დროს მოსკოვის დიდი მთავრის ხელში გადავიდა იაროსლავის,როსტოვის, ტვერის სამთავროები, ნოვგოროდი და მისი მიწები, რომლებიც მოიცავდა ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთს, პერმის, ვიატიის მიწებს, აგრეთვე (ლიტვასთან გამარჯვების შემდეგ) სამხრეთ-დასავლეთის ფართო მიწებს. 1480 წელს გაძლიერებული რუსეთი ამარცხებს ორდის ძალებს ღირშესანიშნავ

,,აზვირთება უგრაზე'' და საბოლოოდ იცილებს ორდის უღელს. ამრიგად, მე-15 საუკუნის ბოლოსა და მე-16 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა რუსეთის ცენტრალიზირებული სახელმწიფო - რუსეთი.

ყველა ცვლილებების ჯამში მე-16 საუკუნის შუაწლებში ევროპის პოლიტიკური რუქა ამგვარი სახით ჩამოყალიბდა.

მის დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ ნაწილში არსებობდა სამი მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფო - ინგლისი, საფრანგეთი და ესპანეთი. ამ ჩამონათვალს შეიძლება დავუმატოთ აგრეთვე შოტლანდიის, პორტუგალიის (აღმოცენებული ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში) და ირლანდიის სამეფოები. ევროპის შუა სარტყელს წარმოადგენდა ტერიტორიულად ძლიერ დაქუცმაცებული წმინდა რომის იმპერია და იტალია, რომელთა შორისაც განლაგებული იყო შვეიცარიის კავშირი. აღმოსავლეთისაკენ განლაგებული იყო პოლონეთის სამეფო, ლიტვის დიდი სამთავრო და უნგრეთი. მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი იყო ოსმალეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ. ევროპის ჩრდილოეთში ევროპის პოლიტიკურ რუქას განსაზღვრავდნენ დანია (ნორვეგიასა და ისლანდიასთან ერთად) და შვედეთი (ფინეთთან ერთად). შორს აღმოსავლეთისაკენ განლაგებული იყო ვრცელი რუსული სახელმწიფო. მაგრამ მის გასვლას შავ და აზოვის ზღვაზე ხელს უშლიდა ყირიმის სახანო, რომელიც ოსმალეთის დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდა, ბალტიისაკენ მიმავალ გზაზე კი ლივონიის ორდენის მიწები იყო განლაგებული.

პოლიტიკური რუქის სიმყიფე რომელიც დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეების ეპოქისათვის, შენარჩუნდა ახალი დროის ადრეულ წლებშიც, თუმცა ნაკლები ხარისხით. ამრიგად, წარსულში დარჩნენ აზიელი მომთაბარეების შემოსევები. თუმცა ევროპის ქვეყნებს შორის ,,ურთიერთობების გარკვევა'' ინარჩუნებდა ისეთივე მძაფრ ხასიათს. პოლიტიკურ და სამხედრო კონფლიქტებს შორის შეიძლება დავასახელოთ სასზღვრო კამათები, რომლებიც

დაკავშირებული იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის პროცესთან, მათი საზღვრების გარკვევასთან, ყოველმხრივ შესაძლებელ დინასტიურ მიკერძოებასთან - მონარქიულ ქორწინებებსა და მემკვიდრეობის შედეგთან, სახელმწიფო და პირადი უნიისა და აგრეთვე სავაჭრო ომებთან. როგორც წესი ამგვარ კონფლიქტებში მთავარ როლს თამაშობდნენ მსხვილი სახელმწიფოები, მაშინ როცა წვრილი სახელმწიფოები ემხრობოდნენ მეომარი ქვეყნებიდან ერთ-ერთს. ამგვარად, ევროპაში ჩამოყალიბდა საერთაშორისო დაპირისპირების რამდენიმე კვანძი, რომელიც აისახა მის პოლიტიკურ რუქაზე.

ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში ძირითადი ბრძოლა მიდიოდა ბალტიის ზღვაზე ბატონობისათვის, მდინარეებისა და ტბების დაუფლებისათვის, მნიშვნელოვანი სანაპიროებისა სრუტეებისათვის. ამ ომმა მიიყვანა მრავალრიცხოვან საომარ შეტაკებებთან როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაში, სუბრეგიონის პოლიტიკური რუქის მრავალჯრად ცვლილებებთან. მთავარი მოქმედი პირები ამ ბრძოლებში იყვნენ დანია და შვედეთი.

კიდევ უფრო დიდი სიმყიფე დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკური რუქისათვის, სადაც ძირითადი დაპირისპირება ხდბოდა პოლონეთ-ლიტვისა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის.

უკვე მე-16 საუკუნის დასაწყისში მთელი ბელორუსია და უკრაინის დიდი ნაწილი იმყოფებოდა დიდი ლიტვის სამთავროს, ხოლო უკრაინის დასავლეთი ნაწილი - პოლონეთის მმართველობის ქვეშ. 1569 წელს დასრულდა ლიუბლინის უნიის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც პოლონეთი და ლიტვა გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ - რეჩ პოსპოლიტად. ამასთანავე ლიტვის შემადგენლობაში დარჩა ბელორუსია, მაშინ როცა ადრე მასზე დაქვემდებარებული უკრაინის მიწები ჩართულნი იქნენ ძირეულ, ე.ი. პოლონურ მიწებში. რეჩ პოსპოლიტია ცდილობდა რუსეთის სახელმწიფოს კრიზისი მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დასაწ-

ყისში გამოეყენებინა იმისათვის, რათა საკუთარი საზღვრები გადაეადგილებინა უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ და რუსეთი გადაექცია დამოკიდებულ ქვეყანად. პოლონელმა მაგნატებმა მხარი დაუჭირეს თვითმარქვია ცრუ დიმიტრი პირველსა და ცრუ დიმიტრი მეორეს, ხოლო 1609 წელს მეფე სიგიზმუნდ მესამემ დაიწყო ღია შეიარაღებული ინტერვენცია რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. მიუხდავად იმისა, რომ 1612 წელს პოლონელები განდევნილნი იქნენ მოსკოვიდან, რეჩ პოსპოლიტის აღმოსავლეთი საზღვარი გადიოდა მისგან არცთუ ისე შორს.

მთავარი ცვლილებები ევროპის პოლიტიკური რუქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილისა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის იმპერიამ მოახერხა აქ ახალი ტერიტორიების დაპყრობა. მაგრამ ამ ასწლეულის მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა სულთანთა მცდელობები თავიანთი ტერიტორიების გაფართოებისათვის. ვენეციასთან დაუდგრომელი ბრძოლის შედეგად პორტის დაქვემდებარების ქვეშ გადავიდა თითქმის ყველა კუნძული და ადრიატიკის ზღვის სანაპიროს დიდი ნაწილი. გამოიყენებოდა აგრეთვე ახალი ხერხები, თუმცა უშედეგო, ჩერნოგორიის სრულად დამორჩილებისათვის.

განსაკუთრებით შეიძლება ითქვას იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ევროპის პოლიტიკურ რუქაზე ოცდაათწლიანი ომი 1618-1648 წლების. ის თავიდან დაიწყო როგორც შიდა გერმანული, შემდეგ კი გადაიქცა ისტორიაში პირველ საერთოევროპულ ომად. ამის შედეგად გერმანიამ განიცადა ტერიტორიული დანაკარგები, ხოლო საფრანგეთმა და განსაკუთრებით შვედეთმა მიიღეს მიწების გაფართოება. ამ ომის ეგრეთ წოდებული შვედეთის პერიოდი დაიწყო იმ დღიდან, როცა მეფე გუსტავ მესამე ადოლფი თავის არმიასთან ერთად დაბანაკდა ოდერის შენაკადთან, სადაც დაიწყო სამხედრო ქმედებები. მან შეძლო გამარჯვება მოეპოვებინა ლიუტცენთან, იმპერიის მხედრთმთავართან ალბრეხტ ვალეინშტეინთან. ვესტფალიის მშვიდობის 1648 წელს მიხედვით შვედეთმა მიი-

ღო პომერანიის მთლიანი დასავლეთი და აღმოსავლეთის ნაწილი, შტეტინის, ვისმარის და სხვა პორტების ერთად, კურლანდია, ლიფ-ლანდია, ლიტვის ნაწილი, აღმოსავლეთი პრუსია და ბრემენის საარქიეპისკოპოსოც. შვედეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა ყველა გემთმავალი მდინარეების კალაპოტი, ბალტიის ზღვის მთლიანი სანაპირო, რომელიც გადაიქცა „შვედეთის ტბად''. ამგვარად, ევროპის ერთ დიდ სახელმწიფოდ გადაქცევის შემდეგ შვედეთი მე-17 საუკუნის შუაწლებში იჭერდა 900 ათას კმ2 სიფართის მოედანს.

იმ ქვეყნების მაგალითებად, რომელთა საზღვრებიც ადრეულ ახალ პერიოდში არ შეცვლილა შეიძლება ჩაითვალოს შვეიცარია და პორტუგალია. თუმცა პორტუგალიაც 1581-1640 წლებში შედიოდა ესპანეთის შემადგენლობაში.

ისევე როგორც შუასაუკუნეებში, პოლიტიკური რუქის დაქუცმაცებულობა დამახასიათებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს. ისევე როგორც ადრე, ეხლაც ეს ეხებოდა იტალიასა და გერმანიას.

იმპერიის სახელმწიფოთაგან ყველაზე ძლიერი და დიდი იყო ავსტრია, სადაც მმართველობდა ჰაბსბურგების სახლი; ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის შუაწლებში მას შეუცვლელად ეკუთვნოდა საიმპერატორო გვირგვინი. ავსტრიის გარდა ჰაბსბურგების მფლობელობაში შედიოდა ტიროლი, შტირია, კარინტია, ბურგუნდია, მიწები რეინზე, ნიდერლანდები. მათ მიერ იყო დაპყრობილი აგრეთვე ჩეხეთი, სლოვაკეთისა და უნგრეთის ნაწილი. ჰაბსბურგების მთავარი მეტოქეები იყვნენ ბავარიის ჰერცოგები, საქსონიისა და ბრანდერბურგის კურფიურსტები.

ევროპის სხვა სახელმწიფოში სახელმწიფებრივი კონსოლიდაციის პროცესი მნიშვნელოვან სიღრმეში შევიდა. თუმცა არსებობდნენ ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც ითვლებოდნენ ცენტრალიზებულად, მაგრამ ფაქტიურად წარმოადგენდნენ საკმაოდ დანა-

წევრებული ტერიტორიების კონგლომერატს. მსგავს მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ესანეთი, რომელიც იქცა ერთიან სახელმწიფოდ ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის ბოლოს, ხოლო მე-16 საუკუნეში მიაღწია პოლიტიკური ძლევამოსილების მწვერვალს. ამავე დროს კასტილია და არაგონი დაკავშირებული იყო უპირველესად დინასტიური უნიით, რეალურად კი შეინარჩუნეს მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა და იმართებოდნენ ნაირგვარი საბჭოებით. დიდხანს ესპანეთს არ გააჩნდა ოფიციაური დედაქალაქიც კი.

მსგავსი მოვლენის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს პოლონეთი, სადაც შუასაუკუნეებში დაწყებული ცენტრალიზაციის პროცესი ადრეულ ახალ დროში შენელდა, დაუთმო რა ადგილი ფეოდალურ ანარქიას. მიუხდავად მეფის ხელისუფლებისა მსხვილი მაგნატები გადაიქცეოდნენ თითქმის დამოუკიდებელ მმართველებად, რომელთაც გააჩნდათ თავიანთი არმია, სამსჯავრო, კარის მსახურები, მხოლოდ მასზე დამორჩილებული ქალაქებით.

ეს ეხება რუსეთსაც, სადაც მიმდინარეობდა გაფორმება და გამაგრება ცენტრალიზებული სახელწიფოს. ამ ხანგრძლივი პროცესის მთავარი პირობა რუსული მიწების შემდგომი განვითარება: ,,მიწების შემოკრება'' და ,,ხელისუფლების შემოკრება''ერთმანეთის გვერდიგვერგ ხდებოდა. ამასთანავე რუსული სახელმწიფოს ტერიტორიის გაზრდა მიმდინარეობდა როგორც დასავლეთ, ასვე აღმოსავლეთ და სამხრეთი მიმართულებით.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში რუსული საზღვრები გაზრდა მიმდინარეობად ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით შორს ის აღმოსავლეთისაკენ გადაადგილდებოდა. ციმბირის დაპყრობა ხდებოდა მსოფლიოში არნახული ტემპებით. უზარმაზარი სივრცე, თითქმის მთელი კონტინენტის ტოლი (ასეთად, დაეჭვების გარეშე შეიძლება ჩაითვალოს ციმბირი) გადალახული იქნა რუსი პირველგადამსვლელების მიერ 60 წელზე ნაკლებ დროში.

უკვე 1639 წელს ივანე მოსკვიტინის გუნდი გავიდა წყნარი ოკეანის ნაპირზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსეთის საზღვრები გადიოდა იაიკზე (ურალზე). ხოლო სამხრეთ-დასავლეთში მას ავტონომიის უფლებით მიუერთდა მარცხენასანაპიროიანი უკრაინა. ჩამოთვლილი ტერიტორიების მითვისების ხარჯზე რუსეთი ხდებოდა მრავალნაციონალური სახელმწიფო.

ყველა გარდაქმნების ჯამში მე-17 საუკუნის შუაწლებში ევროპის პოლიტიკური რუქა შენარჩუნდა საერთო თვისებებით, თუმცა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც.

ევროპის შუა ნაწილს ისევ იჭერდა გერმანული ნაციის წმინდა რომის იმპერია, რომელიც ესაზღვრებოდა აღმოსავლეთით პოლონეთისა და უნგრეთის სამეფოებს, ჩრდილოეთით სკანდინავიის ქვეყნებს, დასავლეთით - საფრანგეთს; სამხრეთში მისი მიწები აღწევდა ხმელთაშუაზღვასა და ადრიატიკას. იმპერია რჩებოდა პოლიტიკურად დაქუცმაცებულ სახელმწიფოდ. ეს შეეხება იტალიასაც, რომლის პოლიტიკური რუქაც ამ პერიოდში არაერთხელ შეიცვალა. მე-16 საუკუნის დასაწყისში დასრულდა შვეიცარიის ტერიტორიის ფორმირება, რომელმაც პირველად მიაღწია იმპერიისაგან ავტონომიას, ვესტფალიის მშვიდობის მიხედვით სუვერენულ სახელმწიფოდ იქნა ცნობილი.

ევროპის ჩრდილოეთი ნაწილი მთლიანად, ფაქტიურად იყო გაყოფილი დანიასა (ნორვეგიასთან) და შვედეთს (ფინეთსა და ბალტიკის სამხრეთი სანაპიროს ტერიტორიებს) შორის. ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ძველებურად იმყოფებოდა პირდაპირ, ან ვასალურ დამოკიდებულებაში ოსმალეთის იმერიასთან. ხოლო აღმოსავლეთში განლაგებული იყო ფართოდ გაშლილი რეჩ-პოსპოლიტია და კიდევ უფრო ვრცელი რუსეთის სახელმწიფო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ევროპის პოლიტიკური რუქის ძლიერი დაქსაქულობა და გაბნეული ტერიტორიების სიჭარბე, რომელიც დაკავშირებული იყო ძირითადად დინასტიური

ქორწინებებთან და მემკვიდრეობით მიღებულ მიწებთან. პირველ ყოვლისა ეს მიეკუთვნება ესპანელი ჰაბსბურგების სამფლობელოებს, რომლებიც ესპანეთის გვერდით ფლობდნენ სამხრეთი იტალიის მნიშვნელოვან ნაწილს, სამხრეთ ნიდრლანდებს და რამდენიმე შედარებით მცირე სამფლობელო-ანკლავებს (სხვა სახელმწიფოს ტერიტორიით შემოსაზღვრულ სამფლობელოს). ძალიან მიმზიდველი ფორმებით გამოირჩეოდა ავსტრიის ჰასბურგების სამფლობელოებიც, რომლებსაც მოხვეჭილი ჰქონდათ იმპერიის საზღვრებს გარეთ არსებული მიწები (სლოვაკეთი, დასავლეთი უნგრეთი). განსაკუთრებული ანკლავური ხასიათი გააჩნდათ შვედეთის რამდენიმე სამფლობელოსაც.

უძლიერეს მატერიკულ სახელმწიფოდ ითვლებოდა ამ დროში საფრანგეთი, რომელიც ლუდოვიკო მე-14 დროს აწარმოებდა შეუწყვეტელ ომს, პირველ ყოვლისა ავსტრიელებთან და ესპანეთის ჰაბსბურგებთან, თავისი საზღვრების ,,დაწესებისა'' და ,,დამრგვალებისათვის''. ამ ომების შედეგად საფრანგეთმა მოახერხა ელზასისა და სტრასბურგის შემოერთება, ფლანდრიის სამხრეთი ნაწილის და რამდენიმე წვრილი ტერიტორიისაც - ერთი სიტყვით, თითქმის ყველა ევროპული მიწების, რომლებიც იყვნენ ფრანგებით დასახლებულნი, ზოგჯერ კი (ელზასიც)და გერმანულენოვანი მოსახლეობის მიწებისაც. დასუსტებული და ზოგ რამეში მხოლოდ ფორმალურად ცენტრალიზებული ესპანეთი იძულებული იყო მიეცა საფრანგეთისათვის თავისი სამფლობელოების ნაწილი. მას მოუხდა აგრეთვე ოფიციალურად ეცნო პორტუგალიის დამოუკიდებლობა, რომელზეც გასასვლელი გააჩნდათ ინგლისსა და საფრანგეთს.

ცენტრალური ევროპის პოლიტიკურ რუქაზე მე-18 საუკუნის ბოლოს არ მომხდარა მნიშვნელოვნად დიდი ცვლილებები. ძველებურად მას განსაზღვრავდა პოლიტიკურად ძალიან დაქუცმაცებული გერმანია და იტალია. ყოველი ქვეყნის ფარგლებში ძალთა შეთანხმება ხდებოდა თავისებურად.

300 გერმანული სამთავრო-სახელმწიფოდან ყველაზე დიდი და ძლიერი იყო ავსტრია. ავსტრიელი ჰაბსბურგების სამფლობელო, გარდა საკუთრივ გერმანული მიწების დიდი ნაწილისა, მოიცავდა სლავური მიწების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს: ჩეხეთს, მორავიას, სილეზიას და ასევე უნგრეთის დასავლეთ ნაწილს. ამ დროისათვის ავსტრიას გამოუჩნდა ძლიერი მეტოქე ბრანდერბურგ-პრუსიის სახით, რომელიც სწრაფად აფართოებდა საკუთარ საზღვრებს და ჩამოაყლიბდა ძლიერ სახელმწიფოდ, რომელსაც სათავეში ედგა ჰოჰენცოლერების დინასტია და დედაქალაქი გახდა ბერლინი. გერმანული მიწების მსგავსად, პოლიტიკურად დახლეჩილი, ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგების გავლენის ქვეშ მოქცეული იყო იტალიაც. ყველა სხვა სამეფო-სამთავროზე ძლიერი იყო სარდინიის სამეფო, რომელიც მოიცავდა პიემონტს, სავოიას და საკუთრივ კუნძულს სარდინიას.

ამ პერიოდისათვის ჩრდილოეთ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე დიდი ცვლილებები არ მომხდარა. დანიას ეკუთვნოდა ნორვეგია, რომელთან ერთადაც ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო და ისლანდია. რამდენიმე სამხრეთული და დასავლური ტერიტორიის შემოერთების შემდგომ შვედეთი მოექცა იმ საზღვრებში, რომელშიც იგი დღემდე არსებობს. გარდა ამისა შვედეთს ეკუთვნოდა ესტლანდია, ლაფლანდია და მნიშვნელოვანი თვითმმართველობის მქონე ფინეთი.

რეგიონის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკურ რუკას ქმნიდნენ რეჩ-პოსპოლიტა (პოლონეთი) და ოსმალეთის იმპერია. რეჩ-პოსპოლიტას ტერიტორიაზე მიმდინარეობდა თითქმის უწყვეტი ომები, რამაც გამოიწვია მისი ზოგიერთი ნაწილის დაკარგვა. რაც შეეხება ოსმალეთის იმპერიას, XVII ს.-ის მეორე ნახევრიასთვისაც კი ვერ მოხერხდა შიდა ფეოდალური დაქსაქსულობის აღმოფხვრა, რამაც გამოიწვია მისი ერთიან, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გადაქცევა. მიუხედავად იმისა,

რომ თურქებს ისევ ეკუთვნოდათ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნ-ძული, დაიწყო პოზიციების დაკარგვა იმპერიის ევროპულ ნაწილ-ში: ვენეციამ გამოდევნა თურქები დალმაციის ნაწილიდან და ზღვიდან, პოლონეთმა - პოდოლიიდან, ავსტრიამ - უნგრეთიდან და ტრანსილვანიიდან. თურქების წინსვლას ევროპაში წერტილი დაუსვა, იმპერიის არმიის დამარცხებამ ვენასთან ბრძოლაში 1683 წელს.

XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე დიდი გავლენა მოახდინა სამხედრო-პოლიტიკურმა და დინასტი-ურმა წინააღმდეგობებმა ქვეყნებს შორის. იმ პერიოდის საერთა-შორისო ურთიერთობებში ძირითადი ადგილი დაიკავა ანგლო-ფრანგულმა აგრესიამ. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა უთანხმოება საფრანგეთსა და ავსტრიას, ბრიტანეთსა და ეპა-ნეთს, შვედეთსა და რუსეთს, ავსტრიასა და თურქეთს, რუსეთსა და თურქეთს შორის. ამ დაპირისპირებების შედეგად მოხდა ომე-ბის მთელი სერიები, რომელთაგან მთავარი იყო ომები ესპანური, პოლონური და ავსტრიული მემკვიდრეობისათვის და შვიდწლიანი ომი. XVIII საუკუნეში ამ მოვლენების შედეგან ძალთა თანაფარ-დობა ევროპაში კვლავ შეიცვალა. ევროპული ზესახელმწიფების შემადგენლობიდან გამოვიდა ეპანეთი, სამაგიეროდ შევიდა პრუ-სია. რეგიონის დასავლეთ ნაწილის პოლიტიკურ რუკაზე ძირითადი ცვლილებების დაკავშირებული იყო ესპანური(1702-1714) და პო-ლონური (1733-1735) მემკვიდრეობისთვის ომებმა, სადაც პირველ რიგში ერთმანეთს დაეჯახა საფრანგეთის, ინგლისის, ეპანეთისა და ავსტრიის ინტერესები. ესპანური მემკვიდრებისთვის ბრძოლის შედეგად, რომელიც გაიშალა რამდენიმე ფრონტზე, ავსტრიას ერ-გო ესპანური სამხრეთ ნიდერლანდები, ხოლო ინგლისს ციხე-სი-მაგრე გიბრალტარი, რომელსაც იგი დღემდე ინარჩუნებს, ხოლო პოლონური მემკვიდრეობისთვის ბროლაში, საფრანგეთმა მიიერ-თა ლოტარინგია და კორსიკა.

დასავლეთ ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რუსეთმა და ავსტრიამ შეძლეს ოსმალეთის კიდევ უფრო შევიწროვება. თურქებს წაართვეს უნგრეთი და რამდენიმე სლავური მიწა, რასაც ასევე უწყობდა ხელს ოსმალების წინააღმდეგ გაჩაღებული ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობები.

XVIII საუკუნის ბოლო მესამედის უმნიშვნელოვანესი მოვლენა დიდი ფრანგული რევოლუციაა (1789-1794), რომლის მეორე ეტაპზე საფრანგეთს მოუწია რევოლუციური ომების წარმოება შიდა და გარე კონტრრევოლუციურ ძალებთან, თუმცა ამას მისი პოლიტიკური საზღვრების ცვლილება არ გამოუწვევია.

ამ პერიოდში, ძირეული ტერიტორიული ცვლილებები მოხდა რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში. ის დაკავშირებული იყო ზედიზედ სამჯერ რეჩ-პოსპოლიტას ტერიტორიის გადანაწილეაბასთან პრუსიას, ავსტრიასა და რუსეთს შორის. პირველი განაწილების შემდგომ, 1772 წელს პრუსიას ერგო ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიწები, ავსტრიას - გალიცია ლვოვით, რუსეთს - ბელორუსიის ნაწილი და ლატგალია. მესამე განაწილების შედეგად: პრუსიას - დასავლური და ცენტრალური მიწები, ავსტრიას - დასავლეთ გალიცია კრაკოვით, რუსეთს - უკრაინული, ბელორუსიული და ლიტვური მიწები.

ნაპოლეონის ომების პერიოდში გაგრძელდა მცირე ხნით (1796-1815). ისინი დაიწყო როგორც რევოლუციური ომები, თუმცა ნაპოლეონის იმპერიის შექმნით იგი გადაიქცა დამპყრობლურად, რომელმაც გამოიწვია საპასუხო ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი ომები. მან მთლიანად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. ნაპოლეონის ომებმა გამოიწვია ერთის მხრივ ფეოდალური სისიტემის რღვევა და საფრანგეთის „შვილობილი“ რესპუბლიკების გაჩენა, მეორეს მხრივ ქვეყნებისა და ხალხების დამორჩილება იმპერიისადმი.

ნაპოლეონთან დამარცხების შემდეგ, დიდი ტრიტორიული დანაკარგები განიცადა ავსტრიამაც, წართმეული ტრიესტი და ხორვატია ნაპოლეონმა მიუერთა საფრანგეთს ილირიის პროვინციის სახით, ზალცბურგი გადაეცა ბავარიას, პოლონეთის მიწაზე კი ტილზიტის ზავის შესაბამისად (1807) ჩამოყალიბდა ვასალური ვარშავის საჰერცოგო. (მასში ავსტრიისა და პრუსიის პოლონური მიწები შევიდა).

დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე დიდი გაველნა იქონია ბურუაზიულ დემოკრატიულმა რევოლუციებმა (1830, 1848 წწ), საფრანგეთ-გერმანიის 1870-71 წწ. ომმა და მთელი პერიოდის მანძილზე მიმიდინარე ავსტრო-თურქულმა და რუსულ-თურქულმა ომებმა. რეგიონის დასავლეთ ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ბელგიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, რომელზეც გავლენა მოახდინა 1830 წლის ფრანგულმა რევოლუციამ, ჰოლანდიას მოუწია ლუქსემბურგის დამოუკიდებლობის აღიარებაც.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა XIX საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც ჯერ კიდევ ოსმალეთის შემადგენობაში იყო. ცვლილებებზე იმოქმედა ორმა ფაქტორმა: განმანთავისუფლებელი მოძრაობების გაძლიერებამ და რუსეთ-თურქეთის ომებმა. პირველ ეტაპზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესომაბ მოიპოვა ფართო ავტონომიები, ხოლო შემდეგ კი სრული დამოუკიდებლობა. 20-იან წლებში გათავისუფლდა საბერძნეთი, თუმცა ეპირი, თესალია და კუნძული კრეტა დარჩა თურქეთის შემადგენლობაში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმდა რამოდენიმე შეთანხმება, რომელიც აფართოებდა მოლდავეთისა და ვალახეთის სამთავროების ავტონომიას, რომლის გაერთიენების შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა რუმინეთი. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში სერბები აწაროებდნენ განმანთავისულებელ ომს ოსმალების წინააღმდეგ, რომლებმაც მიაღ-

ნიეს ჯერ ფართო ავტონომიას, ხოლო შემდგომ სრულ დამოუკიდებლობას.

ბალკანური ხალხების გათავისუფლებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთ-თურქეთს 1877-78 წლების ომმა, რომელსაც განმანთავისუფლებელ ომსაც ეძახიან. სან-სტეფანოს ზავის პირობით სერბეთი და ჩერნოგორია გაზრდილი მასშტაბებით გამოცხადნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ბულგარეთი, დუნაიდან ეგეოსის ზღვამდე - ვასალურ სამთავროდ, ბოსნია-ჰერცგოვინა კი დარჩა თურქეთის შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით. 1878 წლის ბერლინის კონგრესზე კი შეიცვალა ზემოთ აღნიშნული შედეგები შემდეგნაერად: ბულგარეთი გახლიჩეს სამ ნაწილად, ბოსნია-ჰერცოგოვინა გადაეცა ავსტრიას დროებით მფლობელობაში. შედეგად ბალკანეთი გახდა არასტაბილური რეგიონი, მალე იფეთქა ძმათამკვლელმა ომმა ბულგარეთსა და სერბეთს შორის.

მხოლოდ პოლონეთი რჩებოდა განაწილებული რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის, მიუხედავად უამრავი აჯანყებებისა და განმანთავისუფლებელი ომებისა ეს სიტუაცია შენარჩუნდა მთელი ასწლეულის მანძილზე. აქედან გაჩნდა ცნობილი პოლონური გამოთქმა „ პოლონეთს არ ჰქონია XIX საუკუნე“.

რამდენიმე ტერიტორიული ცვლილება მოხდა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე. 1905 წელს რეფერენდუმის შედეგად შვედეთს გამოეყო ნორვეგია. სამხრეთ-აღმოსავლეთში კი პირველი და მეორე ბალკანური ომების შედეგად თურქეთმა დაკარგა თითქმის ყველა ევროპული სამფლობელო, ხოლო გათავისუფლებული მიწები გადაეცა საბერძნეთს, სერბეთს, ბულგარეთსა და ახალ შექმნილ ალბანეთს. ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსია მოახდინა ავსტრია-უნგრეთმა.

რუსეთის დასავლეთ საზღვარი მუდმივად იწევდა დასავლეთით ბალტიის ზღვის სანაპიროსა და უკრაინული მიწების ათვისების ხარჯზე.

რუსეთის სამხრეთ საზღვარიც გადაადგილდა სახრეთით, შავი ზღვის სანაპიროსა და კავკასიის ათვისების შედეგად. რუსეთის იმპრიამ დაამრცხა ოსმალეთი და მის შიდა ზღვებად ქცეული შავი და აზოვის ზღვების სანაპიროები გაათავისუფლა, ასევე რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად გათავისუფლდა სამხრეთ კავკასია.

შემდეგი ცვლილებები მოხდა პირველი მსოფლიო ომის შედეგად. ევროპაში ჩამოყალიბდა ორი ბლოკი: „სამთა კავშირი“ შემდგომში „ოთხთა კავშირი“ (გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი) და ანტანტა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი (1914-1917), პორტუგალია, იტალია (1915-18), რუმინეთი, სერბეთი, ბელგია, საბერძნეთი, აშშ (1917-18)). ომში დამარცხდა გერმანიის ბლოკი, რის შედეგადაც განხორციელდა შემდეგი ერიტორიული ცვლილებები:

ვერსალის ზავის შედეგად გერმანიამ გადასცა:

- საფრანგეთს - ელზასი და ლოტარინგია 1870 წლის საზღვრების მდგომარეობით.
- ბელგიას - მალმედი და ეიპენი.
- პოლონეთს - პოზნანი, აღმოსავლეთ პრუსიის გარკვეული ტერიტორიები, ზედა სილეზიის სამხრეთ ნაწილი,
- ქ. დანციგი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად.
- ქ. მემელი გადაეცა გამარჯვებულ ქვეყნებს სამართავად. (1923 წელს იგი გადასცეს ლიტვას)
- დანიას - შლეზვიგის ჩრდილოეთ ნაწილი.
- ჩეხოსლოვაკიას - ზედა სილეზიის მცირე ნაწილი.
- საარის მიწა გადაეცა ერთა ლიგას 15 წლით საამართავად.
- მდინარე რეინის მარცხენა სანაპირო და 50 კილომეტრიანი ზონა გამოცხადდა დემილიტარიზებულ ზონად.

გამარჯვებულ ქვეყნებსა და ავსტრო-უნგრეთს შორის, სენ-ჟერმენისა (1919) და ტრიანონის (1920) მოლაპარაკებების შედეგად დაიშალა ავსტრო-უნგრეთი: ავსტრიად, უნგრეთად, ჩეხოსლოვაკიად, სერბთა, ხორვატთა და სლოვენიელთა სამეფოდ. ტერიტორიების ნაწილი გადაეცა: პოლონეთს-გალიცია, რუმინეთს - ტრანსილვანია და აღმოსავლეთ ბანატა, იუგოსლავიას - ხორვატია.

1919 წლის შეთანხმებით ბულგარეთს ჩამოეჭრა ტერიტორიები, რომლებიც გადაეცა იუგოსლავიასა და გამარჯვებულ სახელმწიფოებს.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა პირველი სოციალისტური სახელმწიფო - რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ) (1922 წლიდან - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი -სსრკ). დამოუკიდებლობა მიიღეს: ფინეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა, პოლონეთმა. შპიცბერგერის კუნძულები გადაეცა ნორვეგიას, ხოლო ფრან-იოსების კუნძულები რსფსრ-ს.

ევროპის ახალი პოლიტიკური რუკის ფორმირებაში უდიდესი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომმა (1939-1945). იგი გაჩაღდა: ნაცისტური გერმანიის, ფაშისტური იტალიისა და მილიტარისტული იაპონიის მოქმედებებით და დაუპირისპირდა დანარჩენ იმპერიალისტურ ზესახელმწიფოებს.

პირველი გადანაწილება მოხდა ევროპაში გერმანიისა და საბჭოთა კავშირის საიდუმლო პაქტის (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) საშუალებით. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია შეიჭრა პოლონეთში და დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც ჩაერთო 72 სახელმწიფო. 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირი შეიჭრა პოლონეთის კუთნილ დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში, რომელიც დაკარგული ქონდა 1921 წლი პოლონეთ-რუსეთის ომის დროს. ასევე ომი გაჩაღდა ფინეთსა და სსრკ-ს შორის, რომელის შედეგად დადგინდა 1809 წლის მდგომარეების საზღვრები. ფი-

ნეთმა დათმო კარელიის ყელი, კანდალაკშის რაიონი და მურმანსკის მიმდებარე ტერიტორიები. 30 წლით დათმო ბაზა ხანკოც.

გერმანია და მისი მოკავშირეები დამარცხნენ. იალტის, თეირანისა და პოსტდამის კონფერენციებზე მიმდინარეობდა ახალი პოლიტიკური რუკის ფორმირება, რაც დამარცხებული ქვეყნების ტერიტორიული ცვლილებების შედეგად უნდა მომხდარიყო.

პოლონეთსა და გერმანიას შორის საზღვარი გაივლო მდინარე ოდერსა და ნისაზე. ხოლო აღმოსავლეთ საზღვარი კერზონის ხაზზე. კენინგსბერგი და მისი მიმდებარე ტერიტორბი გადაეცა სსრკ-ს.

იტალიამ ცნო ალბანეთისა და ეთიოპიის სუვერენიტეტი. დაუბრუნა საბერძნეთს დოდეკანეზის კუძულები. ტრიესტი გამოცხადდა თავისუფალ ტერიტორიად ხოლო მისი მიმდებარე აღმოსავლეთ ტერიტორტიები გადაეცა იუგოსლავიას. (1954 წელს იტალიასა და იუგოსლავიას შორის დადებული ხელშეკრულებით ტრიესტი დაუბრუნდა იტალიას, მისი აღმოსავლეთ ნაწილი კი გადაეცა იუგოსლავიას).

რუმინეთსა და უნგრეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებით ტრანსილვანიის ნაწილი გადაეცა რუმინეთს.

სსრკ-მ ფინეთიდან მიიღო პეჩენგის მხარე, ხოლო პორკკალა-უდის ტერიტორია 50 წლიანი იჯარით სამხედრო პორტისთვის (1955 წელს ვადამდე გააქმა სსრკ-მ ხელშეკრულება). გერმანია და ავსტრია გამოცხადდა ოკუპირებულ ზონებად და გაიყო გარჯვებულ სახელმწიფოებს შორის. თუმცა ბრიტანეთის, აშშ-სა და საფრანგეთის პოლიტიკა შეიცვალა, ისინი გაერთიანდნენ სსრკ-ს წინააღმდეგ და დაიწყეს გერმანიის მათი ნაწილს გაერთიანება სახელმწიფოს შექმნის მიზნით. 1949 წლის აგვისტოში შეიქმნა გერმენიის ფედერაციული რესპუბლიკა. სსრკ-მ საპირისპიროდ თავის საოკუპაციო ზონაში შექმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანულ მიწაზე გაჩნდა ორი სახელმწიფო. სსრკ-ს განსაკუთრებულმა როლმა ომში გამარჯვებაში შექმნა ნიადაგი აღმოსავლეთ

ევროპაში კომუნიტური რეჟიმების ჩამოყალიბებისა: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, იუგოსლავიის სოციალისტურ, ფედერაციული რესპუბლიკა და ა.შ.)

1990-იან წლებში იწყება ახალი ეტაპი ევროპის პოლიტიკური რუკის ფორმირებისა. იშლება საბჭოთა კავშირი.

- 1991 წელს სსრკ დაიშალა 15 რესპუბლიკად, ევროპაში გაჩნა ახალი სახელმწიფოები: რუსეთის ფედერაცია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი.

- 1990 წელს ერთიანდება ორი გერმანია.

- 1989-1990- წწ. მშვიდობიანი რევოლუციების შედეგად ემხობა სოცილაისტური რეჟიმები. იშლება ჩეხოსლოვაკია: ჩეხეთად და სლოვაკიად.

- დაიშლება იუგოსლავია: სლოვენია, ხორვატია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მაკედონია, მოგვიანებით იშლება იუგოსლავიაც - სერებეთი, მონტენეგრო, კოსოვო.

ევროპის ტერიტორიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განლაგებულია 49 სუვერენული სახელმწიფო, 2 თვითმმართველი ტერიტორია (ფარერის კუნძულები, ეკუთვნის დანიას, ალანდის კუნძულები, ეკუთვნის ფინეთს) და 1 კოლონია (გიბრალტარი). ეს სახელმწიფოებია:ავსტრია, აზერბაიჯანი*, ალბანეთი, ანდორა, ბელარუსი, ბელგია, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, ვატიკანი, თურქეთი[1], ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მალტა, მაკედონია, მოლდოვა, მონაკო, ნიდერლანდები,

* განსაზღვრების თანახმად, რომელიც კავკასიონს აკუთვნებს ევროპას, ეს ქვეყნები ევროპაში მოიაზრებიან.

[1] ევროპული თურქეთი მოიცავს ტერიტორიას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დასავლეთით და ჩრდილოეთით.

ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი[2], რუმინეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, საქართველო[3*], სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი[*], უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი[4], შვეიცარია, შვედეთი, ჩერნოგორია, ჩეხეთი, ხორვატია.

პოლიტიკური რუკის შემდგომი გარდაქმნა დამოკიდებული იქნება მრავალეროვნულ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებზე. ცალკეული ეთნიკური და კულტურული ჯგუფები ცდილობენ და ისწრაფვიან შექმნან თავიანთი სახელმწიფოები. ევროპაში არის უმარავი ერი, რომელიც არის გაერთიენებული მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში, რომელთაც უნდათ გამოყოფა, თუმცა ასე თუ ისე ისეთი გაერთიანებები როგორიცაა ევროკავშირი ანელებს ამ პროცესებს. ჯერ კიდევ აურკვევლია ევროპა ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება თუ კიდევ უფრო დანაწევრდება. არის ახალი სახელმწიფოების პერსპექტივებიც: ბაკები და კატალონიელები - ესპანეთი, ბრეტანი -საფრანგეთი, ფლანდრია და ვალონია - ბელგია, საამი - ნორვეგია, შვეცია, ფინეთი. ასევე პერსპექტივაში რუსეთის და კანადის ხარჯზე - არქტიკული პულარული წრის კონფედერაცია.

[2] ურალის მთების დასავლეთით მდებარე რუსეთის ტერიტორია ევროპას მიეკუთვნება

[3] ყაზახეთის ევროპული ტერიტორია მდებარეობს მდინარე ურალის დასავლეთით.

ლექცია 11

ევროპის ეკონომიკა

ევროპის მოქნილობის საფუძველს მისი ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს. მასში შეიძლება გამოიყოს კვლავწარმოებითი, დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურები. ყოველი მათგანი ხასიათდება კომპონენტების ნაკრებით, რომლებიც იმყოფებიან გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში და შედარებით მყარ პროპორციულ ურთიერთობებში.

კვლავწარმოების ტრუქტურა ასახავს რეგიონის საერთო ეკონომიკური განვითარების დინამიკას. ევროპა იყო და რჩება მსოფლიო დონის წამყვან ცენტრად. მისი სუმორული საერთო შემოსავალი შეადგენს 10 ტრილიონ დოლარზე მეტს. ევროპის რეგიონი იჭერს პირველ ადგილს მსოფლიო ვაჭრობაში. იგი ლიდერია აგრეთვე ოქროსა და ვალუტის რეზერვებისა და საზღვარგარეთული ინვესტიციების მიხედვით.

რთული და დინამიკურია ევროპული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. რეგიონის საერთო სამეურნეო განვითარებაში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი. სოფლის მეურნეობის ბობოქარი აღორძინება ევროპაში დაიწყო მე-10 საუკუნეში. მისი მიზეზები შეიძლება აიხსნას სხვადასხვაგვარად, მაგრამ ამ პროცესის საერთო გაგება ასე თუ ისე თვალნათელია: წარსულში დარჩნენ ,,შავი საუკუნეები'', რომლებიც მოყვნენ რომის დაცემას. ამავდროულად, განვითარების ექსტენსიურმა გზამ აგრარული წარმოება მიიყვანა ღრმა კრიზისამდე, რომელმაც მოიცვა მთელი ევროპა. ამ სიტუაციის პასუხი (,,გამოძახილი'')გახდა სამრეწველო რევოლუცია. იგი გარდაქმნა ძილისაგან გამოფხიზლებულმა, მოუსვენერმა ევროპულმა გონმა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო

მსოფლიოსთან ურთიერთობის ანტიკური ტრადიცია. ტექნიკურ-მა აზრმა აკრიფა სიჩქარეები.

ახალი დრო ხდება სამრეწველო განვითარების ეპოქად. მე-18 საუკუნის ბოლო და მე-19 საუკუნის დასაწყისი იქცა მრეწველობის მექანიზაციის ადრეულ ეტაპად. მეურნეობაში ჩართულ ინდიკატორებად მაშინ ითვლებოდა ბამბა, მატყლი, აბრეშუმი და თუჯი. წარმოების ლიდერ დარგად გამოდიოდა ტექსტილების მრეწველობა, ტექსტილების ქიმიკატების წარმოება, ტექსტილების მანქანების, მეტალის ნაწარმის, თუჯის გამოდნობის, ჩამოსხმის, საიუველირო, კერამიკული და მინის ნაკეთობების წარმოება. განვითარება დაიწყეს შეტყობინების საშუალებებმაც. სწრაფად ვითარდებოდა მდინარეთა არხების ქსელიც, რომლებიც ერთმანეთთან აერთებდა როგორც ბუნებრივი წყლის გზებს, ასევე სამრეწველო რაიონებს სოფლის მეურნეობის რაიონებთან და პორტებთან. დასახელებული დარგების განვითარებაში დომინირებდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები.

მე-19 საუკუნეში მრეწველობაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ორთქლის მანქანა, როგორც უნივერსალური გადამაადგილებელი. იხსნება მანქანათმშენებლობის ერა. იზრდება მეტალის წარმოება. სამრეწველო ტექნოლოგიში გადატრიალება მჭიდროდაა დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალებების გადატრიალებასთან. შემობრუნება დაიწყო კომუნიკაციების მშენებლობამ. მოწინავე ქვეყნებს მიეკუთვნენ იტალია, გერმანია, შვეიცარია, ავსტრია-უნგრეთი.

მე-19 ს ბოლოდან იწყება ელექტროობისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგების ფართო გამოყენება, მიმდინარეობს გადამწყვეტი ცლილებები კავშირგაბმულობის ტექნიკაში. ერთ-ერთი წამყვანი დარგი ხდება ქიმიური მრეწველობა. ამ პერიოდში გამოიგონეს შიგა წვის ძრავა, ჩნდება ავტომობილი და აეროპლანი.

მეოცე საუკუნე და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური ნიშნის ქვეშ. წამყვანი ხდება ის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესს.

ევროპული ეკონომიკის თანამედროვე თავისებურებას განაპირობებს გადასვლა ინდუსტრიული ხასიათიდან პოსტინდუსტრიალიზმისკენ. ეს პერიოდი განისაზღვრება რიგი ფაქტებით:საქონელწარმოებიდან გადაადგილება მომსახურეობის ეკონომიკისაკენ, რასაც მივყავართ მომსახურების სფეროს დომინირებიდან წარმოების სფეროზე; საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილება (პროფესიონალიზმის როლის გაზრდა, განათლებისა და ცოდნის დონის ამაღლება); ინტელექტუალური დარგების ფეთქებადი ზრდა; საზოგადოების განვითარების სტრატეგიასა და ტაქტიკაში დაგეგმარების შეტანა.

თანამედროვეობაში ევროპის ეკონომიკას შეიძლება ვუწოდოთ ინფორმაციული. ახალი ტექნოლოგიები მიმართულია პორტატული საქონლის წარმოებაზე, რომელიც პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ადრე კმაყოფილდებოდა მომსახურებით. ეს ახალი ,,მომთაბარე'' საგნები ცვლიან ევროპელთა ცხოვრების სტილსა და რიტმს, მათ დამოკიდებულებას კულტურისადმი, ცოდნისადმი, ოჯახისადმი, სამყაროსადმი და საკუთარი თავის მიმართ. ახალი საგნები ხდებიან თავისუფლების გაფართოებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოხატულების საშუალებები.

ევროპის მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურა ატარებს გასული ასწლეულების ნათელ ანაბეჭდს, როცა რეგიონი გახდა სამრეწველო რევოლუციის კერა. სამრეწველო ძალთა განლაგება მემკვიდრეა იმ დროისა, როცა ქვანახშირის, რკინის საბადოების და მდინარეზე მოძრავი გემების ახლო მეზობლობა აუცილებელი პირობა იყო მაღალი სამეურნეო მირწევებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ მეტნაკლები განვითარება პოვეს რაიონებმა, რომლებიც იწევდნენ ,,განვითარების ცენტრალური ღერ-

ძისადმი'', სამრეწველო რეგიონებიდან რეინის დაბლობის გავ-ლით ცენტრალურ იტალიამდე. უკვე ორი საუკუნეა, რაც ეს რეგი-ონები თამაშობენ ევროპის ინდუსტრიული ბირთვის როლს.

საერთოდ ევროპისათვის დამახასიათებელია ფორმების მრავალფეროვნება მრეწველობის სივრცითი ორგანიზაციისათ-ვის. ამავე დროს მკვეთრად გამოხატული ხდება ტერიტორიული პრობლემების ერთობლიობა ევროპულ ქვეყნებში. ყველა სახელ-მწიფოში არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც დაკავ-შირებულია სამრეწველო ძალების მაღალ კონცენტრაციასთან დედაქალაქებსა და სხვა მსხვილ ქალაქებში და სოფლებისა სოფ-ლის მეურნეობის რეგიონების დეპრესიულ დაცარიელებასთან. კონკრეტულ ნაციონალურ პირობებში ეს პრობლემები ვლინდები-ან ნაირგვარ შეთანხმებასა და სხვადასხვა ხარისხში.

სამეურნეო სახე ვლინდება პირველ ყოვლისა მრეწველობა-ში. ყოველ მის დარგს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებანი. მაგალითად: რეგიონი ლიდერობს მსოფლიოში ატომური ენერგიის განვითარებით, ხოლო სამხრეთი და ჩრდილოეთი ევროპის ზო-გიერთ ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგური ლიდერობს ელექ-ტროენერგიის წყაროებს შორის; შავი მეტალურგია - ფოლადის გამოდნობის მოცულობის მიხედვით ევროპას არ გააჩნია მსოფლი-ოში ტოლი; მანქანათმშენებლობა: რეგიონი არის მსოფლიოს მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორი დარგებისა, სამჭედლო-საპრესი მოწყობილობის, ოპტიკის და ა.შ ფირმების ,,ფოლკსვაგე-ნის'', ,,რენოს'', ,,ფიატის'', ,,ბრიტიშ ლეიდენდი'', ,,ვოლვოს'', ,,სი-მენსის'' სახელებს იცნობენ მთელს მსოფლიოში (მათი სპეციალი-ზაცია და სახელმწიფოებრივი დაქვემდებარება თქვენ თვითონ უნ-და განსაზღვროთ).

საერთო ჯამში დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმოების ის გეოგრაფია, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუ-ნეში შენარჩუნებულია დღესაც. მათში მნიშვნელოვანი ძვრები და-კავშირებულია მსხვილი საპორტო-სამრეწველო კომპლექსების

ფორმირებით (როტერდამი ნიდერლანდებში, მარსელი საფრანგეთში და სხვა), ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობისა და გაზის ადგილების ათვისებით, მრეწველობის მოდერნიზაციით რეგიონის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, მრეწველობის დეცენტრალიზაციით (ე.ი. თავმოყრით სხვადასხვა ადგილზე). ამასთანავე, ყველა ქვეყანას გააჩნია თავისი ინდუსტრიული ,,სახე''. დანიას აქვს ვიწროსპეციალიზირებული ეკონომიკა, გერმანიას - დივერსიფიცირებული (ე. ი. მრავალდარგობრივი, დატოტვილი); დიდ ბრიტანეთი და ბელგია - ,,ნახშიროვანი'' ქვეყნებია, ამავდროულად პირველი იღებს რა ნავთობს ჩრილოეთის ზღვაში, პრეტენზიას აცხადებს წამყვან ,,მენავთობე''ქვეყნის სტატუსზე. საფრანგეთი განიხილება როგორც საბრძელი, საძოვარი და რძის ფერმა'' ევროკავშირის და ა.შ.

დასავლეთ ევროპის მაღალეფექტური სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად მთლიანად ამარაგებს რეგიონის მოსახლეობას კვების ძირითადი პროდუქტებით, შემოდის მხოლოდ ტროპიკული მიწათმოქმედების პროდუქტები და საფურაჟო ხორბალი. ჭარბადაა მაღალსაქონლიანი ფერმები, მხოლოდ სამხრეთის ქვეყნებისა და ევროკავშირში (პორტუალია, საბერძნეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი და ა.შ) ახლად მიღებული ქვეყნების მეურნეობების გამოკლებით. დასავლეთ ევროპაში კრეფენ მსოფლიოში ყველაზე მაღალ ხორბლის მოსავალს (60 – 70 ც/ ჰა დანიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და სხვა) ზომიერი სარტყელის ტრადიციული კულტურების გარდა, სამხრეთ ევროპაში სუბტროპიკული კლიმატის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობას, ზეთის, ნუშის, ფინიკის პალმის წარმოებას და ა.შ. ყურძნის მოსავლის აღებისა და მეღვინეობის მოხედვით იტალია - პირველი ქვეყანა მსოფლიოში, ზეთის ხილის მოსავლის მიხედვით - ესპანეთი. მეცხოველეობას გააჩნია ძირითადად მერძეულ-მეხორცეული მიმართულება. ხდება რეწვა 10 მლნ ტონამდე ზღვის თევზისა, ამას-

თანავე მთავარი ,,მეთევზე ქვეყნებია'' - ნორვეგია, დანია, ესპანეთი და ისლანდია.

დასავლეთი ევროპა - მაღალგანვითარებული ტრანსპორტისა და მისი ყველა დარგის რეგიონია. აქვს ხშირი ქსელი პირველი კლასის საავტომობლო გზებისა. საზღვაო ტრანსპორტის წილი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ირლანდია მოდის ტვირთბრუნვის 80%-მდე, ხოლო როტერდამის (ნიდერლანდები), მარსელისა და ჰავრის (საფრანგეთი), ანტვერპენის (ბელგია), ჰამბურგის (გერმანია) საზღვაო პორტები მიეკუთვნება მსოფლიოს უმსხვილეს პორტებს.

თანამედროვე ევროპის ეკონომიკური სივრცე მოიცავს სტრუქტურულ კომპონენტებს: ინდუსტრიულ ,,ოსს'' აგლომერაციებისა და მეგაპოლისებისა (ამსტერდამი, ბარსელონა, ვალენსია, ვენეია, ჰაგა, ჰამბურგი, ლიონი, ლონდონი, მადრიდი, მანჩესტერი,მარსელი, მილანი, ნეაპოლი, ნიურნბერგი,პარიზი, ტუუზა, ტურინი, ფრანკფურტი, ციურიხი, შტუტგარტი), პერიფერიებს (ირლანდია, ოლსტერი, შოტლანდია, უელსი, საფრანგეთის ატლანტიკისპირა სანაპირო, ესპანეთი და პორტუგალია) და დეპრესიული რაიონები.

,,ოსს'' გააჩნია გაწელილი ოთხკუთხედის ფორმა, რომლის მწვერვალად შეიძლება ჩავთვალოთ მანჩესტერი და ჰამბურგი ჩრდილოეთში, ხოლო მარსელი და ვენეცია სამხრეთში. გეოგრაფიული ევროპის ეკონომიკური სივრცე წარმოდგენილია ორი ნახევრადოვალის - დასავლეთი და აღმოსავლეთი სახით. დასავლეთის ნახევაროვალი ცენტრით ქალაქ კასსელში (გერმანია) გრძელდება ბარსელონადან ჰელსინკამდე და მოიცავს დასავლეთევროპული ქვეყნების მოედნის ნახევარს, სადაც ცხოვრობს მათი მოსახლეობის სამი მეოთხედი. აღმოსავლეთი ნახევაროვალის ცენტრი გადის უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის საზღვართან. დასრულებული ოვალის ფორმის მქონე დასავლეთი და აღ-

მოსავლეთი წარმონაქმნები გადასერავენ ტალინიდან ზაგრებამდე ზონას.

ტერიტორიული პროპორციების ოპტიმიზაცია უკვე კარგა ხანია ევროპაში ხორციელდება გადადებული რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში. პერიფერიებსა და დეპრესიულ რაიონებში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებისათვის მუშაობს სპეციალური ორგანო - ატლანტიკური დუგა. აღნიშნული პოლიტიკის მთავარ მატერიალურ ბაზას წარმოადგენს რეგიონალური რეგულირების ევროპული ფონდი (ეფრრ).

ევროპული მრეწველობის ახალი და უახლესი დარგები, ორიენტირებულნი ექსპორტზე, მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას. ამიტომაც ისინი მიიწევენ ინდუსტრიული ,,ოსის'' ზონისაკენ, მსხვილი და უმსხვილესი ქალაქებისაკენ. პირიქით, ძველი, ტრადიციული დარგებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სიახლოვის შენარჩუნება ნედლეულის წყაროებთან და სატრანსპორტო გზებთან. აქდანაა ტენდენცია ამ წარმოებების განლაგებისა ზღვის სანაპიროებთან, პორტებთან, პერიფერიფერიებთან, სადაც იაფი მუშახელია.

აღნიშნული მოვლენების პარალელურად განიხილება ახალი ტენდენცია ევროპული მეურნეობის განლაგებისა, რომელიც დაკავშირება მომსახურების სფეროს გაძლიერებით ეკონომიკურ სტრუქტურაში. ეს ტენდენცია მრეწველობისა და განსახლების დეკონცენტრაცია, უკიდურესად და აგრეთვე აბსოლუტური შემცირებით ,,სამრეწველო წონისა'' მსხვილი საქალაქო აგლომერაციებისა გაფართოებული მომსახურების სფეროს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების სასიკეთოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპის ეკონომიკაში აღარ მოქმედებს აგლომრაციის ეფექტი. ცენტრალურმისწრაფებიანი ძალების შემცლელებად წარმოების განლაგებაში მოდიან ცენტრალური სამოძრაო ძალები. ამის შედეგად, ევროპაში ფორმირდება მეურნეობის ახალი სივრცითი სისტემა.

ეკონომიკური რეგიონები და რეგიონული პოლიტიკა

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ-გეოგრაფიული დიფერენციაცია შეიძლება წავიყვანოთ სხვადასხვანაირად, ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალის სიდიდიდან გამომდინარე, საშუალო წლიური შემოსავლით, წარმოების დივერსიფიკაციის დონით, ან მისი სპეციალიზაციით, საშუალო წლიური შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე და ა.შ.

ევროკავშირის წევრთა რიგებში არანაირ ნიველირებაზე საუბარი ჯერ არ დაწყებულა. არსებითად განსხვავდება მათი სამეურნეო სტრუქტურები. მაგალითად, დანიას გააჩნია ვიწროსპეციალიზირებული ეკონომიკა, გერმანიას დივერსიფიცირებული (ე.ი. მრავალდარგობრივი, დატოტვილი); დიდი ბრიტანეთი და ბელგია - ,,ნახშიროვანი'' ქვეყნებია, ამავდროულად პირველი ინტენსიფიცირებულია ნავთობის მოპოვებაზე ჩრდილოეთის ზღვაში, პრეტენზიას აცხადებენ წამყვანი ,,მენავთობეს'' როლზე; საფრანგეთი ხშირად განიხილება როგორც საბრძელი, საძოვარი და რძის ფერმა'' ევროკავშირის და ა.შ.

ევროკავშირში მიღებამდე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს კავშირის ფარგლებში გამოყოფდნენ ,, უწარმატებულესი ჩრდილოეთი'' (ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, შვედეთი და ნაწილობრივ იტალია), ,,ჩამორჩენილი ან ღატაკი სამხრეთი" (საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი) და ,,მარგინალური ფენა'' (ირლანდია, ფინეთი). ასეთი რეგიონალიზაციის საფუძველი თვალნათელია: პირველ ყოვლისა, თანამეგობრობისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები წარმოადგენენ ,,აყვავებულ ნაციას'', მეორე მხრივ, მიმდინარეობს მეტნაკლებად მჭიდრო ,,ურთიერთმიკვრა''დასავლეთევროპული ქვეყნების ეკონომიკისა, ფორმირდება ერებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობის ახალი კულტურა. აღმოსავლეთ ევრო-

პის ქვეყნების შესვლით ევროკავშირში, ,,ჩამორჩენილი სამხრეთის'' ნაცვლად შეიცვალა ,,ჩამორჩენილი აღმოსავლეთით''.

დასავლეთი ევროპა წარმოადგენს თავისებურ შემოქმედებით ლაბორატორიას ,,აპრობაციისათვის'', არა მარტო ინტეგრაციული პროცესებისას (ევროკავშირის ფარგლებში), არამედ რეგიონული პოლიტიკისაც, რომელიც მიმართულია სივრცითი სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციების შერბილებისაკენ და სოციალურ ეკოლოგიური შრის გაუმჯობესებისაკენ. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც წამყვანი დასავლეთ ევროპული ქვეყნები განვითარებული ბაზრის პირობებში, წარმატების სხვადასხვა ხარისხით ექსპერიმენტირებენ რეგიონებზე, მისდევენ რა ორ მთავარ მიზანს: განამწესონ მეურნეობის ტერიტორიული სტუქტურა და უზრუნველყონ საზოგადოების სოციალურ-პლიტიკური სტაბილურობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ მთლიანი ჰარმონია ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს შორის, ისევე როგორც საერთონაციონალურ და რეგიონულს შორის პრინციპში არ არსებობს. რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მცდელობისას, რომ გაენიველირებინათ რეგიონული სხვაობა მიდიოდა ნაციონალირი შემოსავლების შემცირება (,,ეფექტურობის თუ თანასწორობის'' ფორმულა), ხოლო ,,ნაციონალური ორცხობილას'' გადაკეთება უუფლებოთა და მიუსაფართა სასიკეთოთ (როგორც ეს მოხდა, მაგალითად გაერთიანებულ გერმანიაში) გამოიწვია იმათი უკმაყოფილება, ვისი ინტერესებიც არ იქნა გათვალისწინებული.

დასავლეთისდ რეგიონალური პოლიტიკის ერთერთი დიდი ხნის ფესვგადგმული ტრადიცია - სახელმწიფოების მისწრაფება საწარმოო ძალების ბევრად უფრო დაბალანსებული განლაგება. ამ იდეის რეალიზაციის პროსცესში მთავარ ასპექტად გამოიყენება შემდეგი მახასიათებლები: 1) კონტროლი კერძო ინვესტიციის გან-

თავსებაზე; 2) ხელსაყრელი პირობების შექმნა კერძო კაპიტალისათვის; 3) სახელმწიფო დაწესებულებების განკარგვა. სწაფად შეიძლება ითქვას - პირდაპირი კონტროლი, როგორც მეტნაკლებად მწვავე, ზოგჯერ კი უკიდურესი ზომა, გამოიყენება შედარებით იშვიათად (მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში პარიზის დეცენტრალიზაციის დროს). უფრო გავრცელებული ფინანსური სტიმულები (მათ შორის ანტისტიმულები): სუბსიდიები(მაგალითად დეცენტრალიზაციის დროს), გადასახადები და ა.შ

სახელმწიფოს ზემოქმედების კვალდაკვალ წარმოების განლაგებაზე შეინიშნება მისი ჩარევის გაძლიერება განლაგებასა და სამუშაო რესურსების გამოყენების საკითხებშიც. დეპოპულაციური პროცესები, რომლებიც აგრძელებენ დასავლეთი ევროპის მოსახლეობის დაბერების პროცესს, ემიგრანტთა ნაკადი აღმოსავლეთი ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან, უმუშევრობა - ყოველივე ეს აიძულებს ხელისუფლებას ადმინისტრაციული და ეკონომიკური ზომების მიღებას, რომელთაც ,,გადაჰკრავს“ რეგიონალური ელფერი. სასურველი შრომითი რესურსების ,,გეოგრაფიის'' შექმნის მიზნით სახელმწიფოები იყენებენ მრავალრიცხოვან ზომებს: გადასახადების შემცირება, სახელმწიფოს ხარჯზე სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა, სოციალური, საყოფაცხოვრებო დახმარების გაცემა მოქალაქეებისათვის, კადრების სწავლება და გადამზადება ხაზინის ხარჯზე და სხვა. მაგრამ დასავლეთის მაღალი ინდუსტრიული ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ჭავლს წარმოადგენს ღონისძიებების გატარება დეპრესიული და სუსტად განვითარებული ტერიტორიების განვითარებისათვის, აგრეთვე მსხვილი საწარმოო აგლომერაციების დეცენტრალიზაცია.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დეპრესიულ რეგიონებს.როგორც ცნობილია, დეპრესიული რეგიონები ისინია, რომელთაც წარსულში ჰქონდათ განვითარების საკმაოდ მაღალი ტემპი, მაგრამ რიგი მიზეზების გამო

ჩამორჩენ განვითარებით. ტრადიციულად ისინი ასოცირდებიან ნახშირ-მეტალურგიული კერებით, რომლებიც აღმოჩნდენ მასობრივი უმუშევრობის პირობებში 1929-1933 წლებში, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში. (მეოცე საუკუნის ბოლოს ,,დეპრესიულობის''სიმპტომები გახდა დამახასიათებელი რეგიონებისათვის, რომელთაც გააჩნდათ შემდეგი სპეციალიზაცია: ქიმიური, ხეტყის გადამამუშავებელი და სხვა). უარეს დღეში არმოჩნდნენ მათ შორის ისინი, რომელთაც გააჩნდათ პერიფერიული მდგომარეობა და გააჩნდათ მეტნაკლებად დივერსიფიცირებული მეურნეობა.

წარსულში ინდუსტრიული დასავლეთ ევროპის დეპრესიული რეგიონები (რური და საარი გერმანიაში, ელზასი საფრანგეთში, ვალონია ბელგიაში, უელსი დიდ ბრიტანეთში და სხვა) დღეს იშვიათად მოგვაგონებს წარსულში კრიზისულ ტერიტორიებს, მაგრამ ,,იმიჯის ინერცია“ თავს ისევ გვახსენებს. ამასთანავე ინდუსტრიული კერები ასეთი რეგიონის ფარგლებში იჭერენ ტერიტორიის 10-20%-ს. დეპრესირებული, ძველადწარმოებითი რეგიონების რესტრუქტურიზაციის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მისი სტაბილურობის საფუძველი უმრავლეს შემთხვევაში მათში სამეცნიერო დარგების, საქმიანი ურთიერთობების სფეროების, რეკრეაციის განვითარების შედეგი იყო. ერთდროულად მიმდინარეობად ,,პასიური სანაცია'', ე.ი. ემიგრაციისგამოთავისუფლებული სამუშაო ძალების გადაადგილება სხვა რაიონებში.

სუსტად განვითარებული რეგიონების განსვავება დეპრესიული რეგიონებისაგან მდგომარეობს შემდეგში, რომ ისინი არასოდეს არ წარმოადგენდნენ საწარმოო ძალთა კონცენტრაციის ადგილს. ისინი როგორც წესი, პერიფერიული აგრარული,უკეთეს შემთხვევაში -მინერალურ-სანედლეულო რეგიონია, რომელიც ხასიათდება სოციალური ინფრასტრუქტურის, მეცნიერებისა და კულტურის მსუბუქი განვითარებით. დასავლეთ ევროპის ფარგლებში მსგავს რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება ევროპული ჩრდი-

ლოეთი (ნორვეგია,, შვედეთი, ფინეთი), ხმელთაშუაზრვის ზოგიერთი ადგილი(პორტუგალია, ესპანეთი,იტალია,საბერძნეთი), ირლანდია და სხვა. სუსტადგანვითარებული ზოგიერთი რეგიონი რჩება პრაქტიკულად ,,ნეიტრალური'' ეკონომიკურ ურთიერთობებში (განსაკუთრებით ექსტრემალური ბუნებრივი პირობების მქონე რეგიონები), რადგანაც მეჩხრად არიან დასახლებულნი და ვერ უძლებენ ბაზრის გამოწვევებს. მეორენი (მაგალითად, იტალიის სამხრეთი)- გახდნენ აქტიური რეგიონელური პოლიტიკის ობიექტები და შესამჩნევად გამოასწორეს თავიანთი საქმეები.

დასავლეთევროპული რეგიონული პოლიტიკის კიდევ ერთი მიმართულება - მეგაპოლისების, აგლომერაციების განვითარების რეგულირება. მოცემული მიმართულება, არსიდან გამომდინარე - უძველესია, მაგრამ არც ისე ეფექტური. შემთხვევითიარ არის, რომ მარქსისტულ ლიტერატურაში არსებობდა ბევრი წყევლა იმის შესახებ, რომ ,,კაპიტალისტური საზოგადოების უუნარობა იმისაკენ, რათა შეჩერებული იქნას მახინჯი ზრდადობა საქალაქო აგლომერაციების'' და გესლიანი დაცინვები ,,ულტრაურბანიზმის ბურჟუაზიული თეორიების მისამართით, რომლებიც ამართლებდნენ ქალაქების შეუკავებელ ზრდას და მას თვლიდნენ სპონტანურად და უმართავად". პირველ ყოვლისა, არც ერთი დასავლელი ავტორიტეტული ურბანისტი არ ამართლებდა სამრეწველო აგლომერაციების უმართავ ზრდას. მეორე მხრივ, მოსკოვის დეცენტრალიზაციის პრობლემა ნბაკლებად იყო (მთავარია, ისევ რჩება) ნაკლებად მწვავედ, პარიზთან მიმართებაში ანალოგიურ პრობლემასთან. მესამე - სამწუხაროდ, კაცობრიობამ დღემდე ვერ იპოვა ეფექტური ზომები ქალაქებსა და მეგაპოლისებში სამრეწველო სიმძლავრეებისა და მოსახლეობის ზეკონცენტრაციასთან ბრძოლისათვის. ამასთანავე, მიღებული ეკონომიკური ზომები ქალაქების ზრდის შეჩერებასთან მიმართებაში, ვერ აღწევს შესაბამის ეფექტს, დღეს ნაკლებად აღქმულია შუძლებლობისა და სურვილის უქონლობის გამო, რომ შეფასდეს ჰიპოთზური, მთლია-

ნად უმართავის სიტუაცია. საფრანგეთში - ეს არის ,,სუბსიდიები დეცენტრალიზაციაზე", რომელიც ვრცელდება ფირმებზე, რომ-ლებსაც გადააქვთ დაწესებულებები და კანტორები პარიზიდან; იტალიაში მილანისა და ტურინის აგლომერაციებთან მიმართება-ში არსებობს ანტისტიმულების პრაქტიკა, რაც გულისხმობს იმ ფირმებში გადასახადების მატებას, რომელთა პროექტებსაც გა-აჩნიათ განლაგების თვალსაზრისით გააჩნიათ ნეგატიური შედეგე-ბი.\

ლექცია 12

ევროპის პოლიტიკური სისტემები

პოლიტიკური სისტემა ეს არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც მუდმივი და დინამიკური ურთიერთგავლენა აკავშირებს მშობელ საზოგადოებასა და გარე სამყაროსთან. მასში უშუალოდაა ინტეგრირებული ძირითადი, სახალხო ლეგიტიმიზმით აღჭურვილი სახელისუფლებო სტრუქტურები, მაგრამ პოლიტიკურ სისტემასთან ასევე შეიძლება ასოცირდებოდეს როგორც პარტიები, ისე სხვადასხვაგვარი ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ხიდი თუ ურთიერთობის არხია საზოგადოებრივ გარემოსა და ხელისუფლებას შორის.

რა არის სახელმწიფო

მაქს შტირნერი ამბობს ,,სახელმწიფოს მიზანი მუდამ ერთია: მოათვინიეროს, დაიმორჩილოს და დათრგუნოს პიროვნება“.

სახელმწიფო პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც დამოუკიდებლ იურისდიქციას ავრცელებს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში და ხელისუფლებას მუდმივ მოქმედი ინსტიტუციების მეშვეობით ახორციელებს. ეს ის დაწესებულებაა, რომელიც ,,საჯაროა“ იმდენად, რამდენადაც სწორედ ისინი აგებენ პასუხს საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიურ ორგანიზებაზე და საზოგადოების მიერვე ფინანსდებიან.

სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ინსტიტუტს მოიცავს, თუმცა ის ასევე გულისხმობს სასამართლო სისტემას, ნაციონალიზირებულ ინდუსტრიას, საზოგადოებრივი უსაფრტხოების სისტემებს და ა.შ. შესაძლებელია ასევე მისი გაიგივება მთელს ,,სახელისუფლებო პოლიტიკასტან“, გერმანელი სოციოლოგის მაქს ვებერის ტანახმად სახელმწიფო ,,კანონიერი ძალადობის“ საშუალებებზე მონოპოლიით განისაზრვრება. დავა-კამათი სახელ-

წმიფოს ძალაუფლების რაობისა და თავად სახელწიფოს როლზე არა და არ წყდება.

ვიწრო გაგებით სახელმწიფო ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.

ფართო გაგებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესებს და განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს კანონიერებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და მთლიანობას. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაა. ამ ხელისუფლებას საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ მოქმედებს ხალხის სახელით. იგი სახელმწიფო ხელისუფლებაა, რადგანაც ხორციელდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით, საჭირო შემთხვევაში იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, ვრცელდება ამ სახელმწიფოს მოქალაქეებზე და მის ტერიტორიაზე მუდმივად თუ დროებით მყოფ ყველა სხვა ადამიანზე. სახელმწიფო ხელისუფლება იქმნება და ხორციელდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და ფარგლებში. მხოლოდ საჯარო ხელისუფლებაა უფლებამოსილი, განახორციელოს სამართალშემოქმედება, დაადგინოს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესები, უზრუნველყოს მათი დაცვა და შესრულება, გამოიყენოს იძულებითი ხასიათის ღონისძიებები. სახელმწიფო ხელისუფლება სუვერენულია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ,

ხორციელდება თავისუფლად, ყველა სხვა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად.

რა არის მართვა/მმართველობა

ფართო გაგებით მმართველობა ხელმძღვანელობას დან სხვა კონტროლს გულისხმობს. ამდენად იგი იმ მექანიზმებს მოიცავს, რომელთა მეშვეობითაც მისი შენარჩუნება ხდება. მისი მთავარი ფუნქცია კოლექტიური გადაწყვეტილების მირღება და აღსრულებაა. ამდენად მმართველობის ესა თუ ის ფორმა შეიძლება ყველა საზოგადოებრივ დონეზე გამოვლინდეს: იქნება ეს ოჯახი, სკოლა, ბიზნესკომპანია, პროფესიული გაერთიანება და ა.შ. ოღონდ მმართველობა მართვისგან იმით განსხვავდება, რომ უმეტესად ფორმალურ და ინსტიტუციონალურ პროცესებს ეხება, რომლებიც უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და კოლექტიური საქმიანობის ხელშესაწყობად მოქმედებს. ამგვარად მმართველობას სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია: კანონთა შექმნა (საკანონმდებლო), მათი აღსრულება (აღმასრულებელი) და ინტერპრეტაცია (სასამართლო). ზოგიერთ შემთხვევაში აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი მთავრობადაც იხსენიება, ან ადმინისტრაციად - საპრეზიდენტო სისტემაში.

მართველობასთან დაკავშირებულია ისეთი ძირითადი კატეგორიები როგორიცაა- „სახელმწიფო ადმინისტრირება“, „სახელმწიფო ადმინისტრაციული მართვა“, „ბიუროკრატია“. სოციალურ მეცნიერებაში ადმინისტრაციად და ბიუროკრატიად იწოდება პროფესიულ მუშაკთა ერთობლიობა დიდმასშტაბიან ორგანიზაციაში, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მმართველობითი ფუნქციების განხორციელება.

სახელმწიფო ადმინისტრაციად იწოდება ის მმართველობითი აპარატი ანუ ის რაციონალურად აგებული ორგანიზაციული

სტრუქტურა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებრივი პოლიტიკის ეფექტური განხორციელება. მას გააჩნია საკმაოდ მკაცრი სახელისუფლებო იერარქია მართვის დონეების შესატყვისად ანუ ფედერალური რეგიონული და ადგილობრივი დონე. იერარქია მოქმედებს აგრეთვე მართვის დონის შიგნით, რომელიც სუბორდინაციით ანუ ურთიერთდაქვემდებარებით განისაზღვრება (მაგ. უფროსი და ხელქვეითი).

დასავლეთის ქვეყნების პოლიტოლოგიაში სახელნწიფო–ადმინისტრაციული მართვა და სახელმწიფო ადმინისტრირება ერთი მნიშვნელობით მოიხსენიება – "Public administration", რაც პირდაპირი მნიშვნელობით სახელმწიფო მოხელეთა (ჩინოვნიკების) პროფესიული საქმიანობას (მოღვაწეობას) საჯარო ხელისუფლებას აღნიშნავს.

ამერიკული ენციკლოპედიით სახელმწიფო ადმინისტრირება განმარტებულია როგორც– „სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილებათა განხორციელებაზე მიმართული ყველა სახის მოღვაწეობა". უფრო ფართო გაგებით "Public administration" ნიშნავს არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა (ჩინოვნიკების) პროფესიულ საქმიანობას, არამედ მთელი სახელმწიფო–ინსტიტუციურ სისტემას, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მართვის ფუნქციებს.

ფრანგი პოლიტოლოგი რ. გრეგორი თავის მონოგრაფიულ ნაშრომში „ფრანგული სახელმწიფო სამსახური" სახელმწიფო–ადმინისტრაციულ მართვას განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ სოციალურ ფუნქციას, რომელიც მიმართულია მთელი საზოგადოების ინტერესების უზრუნველყოფაზე, ჩინოვნიკი კი ამ პროცესში გვევლინება ხელისუფლების სპეცალურ აგენტად.

თანამედროვე პოლიტოლოგები თვლიან, რომ სახელმწიფო – ადმინისტრაციული მართვა და სახელმწიფო ადმინისტრირება უკავშირდება ხელისუფლების სამ ძირითად სფეროს ანუ სამ შტოს, კერძოდ: საკონონმდებლოს, აღმასრულებელს და სასამართლოს. ამ შეხედულებას იზიარებენ: დ. ვილსონი, დ. გრინვუდი, უ. ჯონი, რ.

ვორდი და სხვები. აღსანიშნავია ამერიკელი პოლიტოლოგების ფ. ნიგროსა და ლ. ნიგროს შეხედულებანი მათ ნაშრომებში „თანამედროვე სახელმწიფო ადმინისტრირება“, ისინი ფართოდ აღწერენ სახელმწიფო ადმინისტრირება“, ისინი ფართოდ აღწერენ სახელმწიფო ადმინისტრაციულ მოღვაწეობას. ავტორთა აზრით სახელმიფო ადმინისტრირება წარმოადგენს კოორდინერებულ საქმიანობას სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემათა გადაწყვეტაში: 1. ეს საქმიანობა უკავშირდება ხელისუფლების სამივე სფეროს–საკანონმდებლოს, აღმასრულებელს, სასამართლოსა და მათ ურთიერთქმედებებს; 2. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში, ამავე დროს იგი წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილს; 3. სახელმწიფო ადმინისტრირება ძირეულად განსხვავდება კერძო სექტორის ადმინისტრირებისაგან; 4. იგი იკავშირდება მრავალ კერძო ჯგუფებსა და ინდივიდებს, რომლებიც მუშაობს სხვადასხვა კომპანიებში და პირველად სათემო ორგანიზაციებში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო–ადმინისტრაციული მართვა წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესს, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს ადმინისტრაციული დაწესებულებების ან სახელმწიფო ინსტიტუციონალური სისტემის მეშვეობით. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო გადაწყვეტილებათა რეალიზაცია ხორციელდება მართვის ზედა ეშელონებიდან ქვემოთ ადგილობრივი მართვის დონემდე.

სახელმწიფო ადმინისტრირება წარმოადგენს პროფესიონალ სახელმწიფო მოხელეთა მოღვაწეობას საზოგადოებრივი პოლიტიკის განსახორციელებლად.

სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოები უნდა ემორჩილებოდნენ სახელმწიფოში მოქმედ კანონებს, კანონქვემდებარე აქტებს და ანგარიშკალდებულნი უნდა იყვნენ წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე. ადმინისტრირების ორგანოთა მიერ მიღებული აქტები (განკარგულებები, გადაწყვეტილებები და სხვა მმარ-

თველობითი ქმედებები) უნდა შეეთანხმებოდნენ სახელმწიფოში მოქმედ კანონებს და უნდა ემსახურებოდნენ მათ აღსრულებას.

ყველა ჩამოთვლილ კატეგორიას და განმარტებას ობიექ-ტური ბუნება ახასიათებთ და ისინი დაკავშირებულნი არიან სა-ხელმწიფო–ადმინისტრაციულ მართვასთან და სახელმწიფო ადმი-ნისტრირებასთან, უფრო მეტიც, მათ შორის არსებობს ლოგიკური კავშირი ვინაიდან სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ემორჩილებო-დეს საზოგადოების მიერ აღიარებულ კნონებს და უნდა იყოს ანგა-რიშვალდებული წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე. ამავე დროს ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ყველა სახელისუფლებო გადაწყვეტილებათა მიღებას ახორციელებენ ადამიანები. გადაწ-ყვეტილებათა განხორციელება კი დაკავშირებულია სათანადო ნე-ბასთან, გონებრივ, ემოციურ მომენტებთან, რაც განაპირობებს კა-ნონზომიერ, რაციონალურ, რიგ შემთხვევაში კი ვოლუნტარისტულ და ირაციონალურ ქმედებებს. გამომდინარე აღნიშნულიდან სა-ხელმწიფო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ატარებენ სუ-ბიექტურ ნიშნებს რის გამოც რაციონალური სინამდვილე შეიძლე-ბა წარმოდგენილი იყოს როგორც დადებითი მახასიათებლების უპირატესი წარმოჩენით, აქვე შესაძლოა აისახოს უარყოფითი მხა-რეებით. რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს მმართველობითი გადაწყვეტილებებით მიღებულ შედეგებზე. სახელმწიფო-ადმინის-ტრაციული მართვის პროცესში სუბიექტური ფაქტორი იძენს გან-საკუთრებულ მნიშვნელობას, ვინაიდან იგი შეიძლება მოგვევლი-ნოს როგორც გამაერთიანებულ და მაკონსოლიდირებელ ძალად, ასევე დამანგრეველ ფაქტორად.

სახელმწიფო მართვის/მმართველობის ფორმები

სახელმწიფო მმართველობის ფართოდ გავრცელებული ფორმებია: მონარქია (იყოფა აბსოლიტურ და კონსტიტუციურ მონარქიებად; კონსტიტუციური მონარქია კი დუალისტურ და საპარლამენტო მონარქიებად) და რესპუბლიკა (იყოფა საპრეზი-

დენტო, საპარლამენტო და შერეულ (ზოგი მეცნიერი ამ ტიპსაც ორად ყოფს: საპრეზიდენტო-საპარლამენტო და საპარლამენტო-საპრეზიდენტო ფორმებად, იმის მიხედვით საპრეზიდენტოს ნიშნები ჭარბობს თუ საპარლამენტოსი რესპუბლიკებად) რესპუბლიკა – წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ფორმას.

მონარქია – სახელმწიფო მმართველობის ფორმა. მონარქია არის მმართველობის ისეთი ფორმა, როდესაც ძალაუფლება არის ერთი ადამიანის, მეფის ხელშია. (ქრ.შ-მდე 2000-800 წწ. საბერძნეთის უმეტეს ქალაქ-სახელმწიფოებს მართავდა მონარქი ანუ მეფე, ბერძნულ დასახლებებს არ მართავენ დედოფლები) თავდაპირველად, მეფეს ირჩევდა ხალხი. მოგვიანებით, მეფეებმა თავისი ძალაუფლების გადაცემა დაიწყეს მემკვიდრეობით უფროს ვაჟზე. მეფეებს დიდი ძალაუფლება ჰქონდათ: გამოსცემდნენ კანონებს და იყვნენ მოსამართლეები, ისინი იყენებდნენ ჯარისკაცებს იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც არ ეთანხნებოდა კანონებს და არ იხდიდა გადასახადებს. არსებობს მონარქიის ორი ტიპი: კონსტიტუციური მონარქია - რომლის დროს მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით და აბსოლუტური მონარქია - რომლის დროს მონარქი შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობს.

დღევანდელი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობა რესპუბლიკური/დემოკრატიული მმართველობის მიმდევარია. იგი სახელმწიფო მართვის ის ფორმაა, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით. დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნებია – არჩევითობა და მოკლევადიანობა. გარდა ამისა ცნება დემოკრატია მოიცავს მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთაც ბუნება ანიჭებს ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი რასული, ეთნიკური, კონფესიური, რელიგიური, სოციალური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილებისა.

რესპუბლიკური მმართველობის დროს სახელმწიფოს მეთაურს ირჩევენ გარკვეული ვადით. რესპუბლიკური მმართველობის კლასიკური ქვეყნებია: აშშ, საფრანგეთი, ფინეთი, იტალია, ბრაზილია და ა. შ.

ასევე გამოყოფენ შემდეგ ფორმებსაც:

1) ავტოკრატია – არის სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომლის დროს მთელი ძალაუფლება მხოლოდ ერთ ადამიანს უჭირავს.

2) არისტოკრატია – არის მმართველობის ფორმა, რომლის დროს ძალაუფლება უჭირავთ არისტოკრატებს.

3) თეოკრატია – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება არის სამღვდელოება ან ითვლება ღმერთის მიერ ლეგიტიმირებულად ან ხელდასმულად, ხოლო მმართველობა ხორციელდება რელიგიური პრინციპების მიხედვით.

4) მერიტოკრატია – არის მმართველობის ფორმა ან სხვა სტრუქტურა, სადაც თანამდებობები გადაიცემა და პასუხისმგებლობა მიენიჭებათ ადამიანებს, მათ დემონსტრირებულ ტალანტზე და შესაძლებლობებზე (დამსახურებაზე) დაყრდნობით. მერიტოკრატიის დროს, საზოგადოება აჯილდოვებს (სიმდიდრით, პოზიციით ან სოციალური სტატუსით) მათ, ვინც საკუთარ ტალანტსა და კომპეტენციას წარმოაჩენს თავისი წარსული ცხოვრებისეული გამოცდილებით ან რაიმე შეჯიბრში გამარჯვებით. შეფასების სისტემები, როგორიცაა, მაგალითად, ფორმალური განათლება პირდაპირ კავშირშია მერიტოკრატიულ შეხედულებებთან.

5) პლუტოკრატია – პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც სახელმწიფოს მართავს გაბატონებული კლასის ყველაზე მდიდარ წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, ხოლო ხალხი სრულიად უუფლებოა.

6) ტექნოკრატია – საზოგადოება, რომელშიც ადამიანები მმართველ თანამდებობებს იკავებენ მათი კვალიფიკაციის მიხედვით (და არა მაგალითად არჩევნების გზით).

7) ოლიგარქია – არის მმართველობის ფორმა, რომლის დროს ძალაუფლება უჭირავს ადამიანების ვიწრო, ელიტურ წრეს (ოლიგარქებს), რომლებიც ძალაუფლებას იყენებენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

ტერმინი პირველად გამოიყენეს ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა პლატონმა და არისტოტელემ.

8) ტოტალიტარიზმი – ანტიდემოკრატიული პოლიტიკური წყობა, რეჟიმი, რომლის დროსაც სახელმწიფო სრულად არის გაბატონებული საზოგადოებასა და პიროვნებაზე. იგი მიისწრაფის საზოგადოების ყველა სფეროზე კონტროლის დამყარებისაკენ.

სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის თვალსაზრისით მსოფლიოს ქვეყნები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოებად.

უნიტარულ ქვეყნებში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ ქვეყნებში არც ერთ მის ნაწილს თითქმის არავითარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი არ აქვს. აქ არსებობს ერთიანი კონსტიტუცია, მოქალაქეობა და უმაღლესი ორგანოების ერთიანი სისტემა. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფი, რომელიც ძირითადად იმართება ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე.

უნიტარული ქვეყნებია: ფინეთი, საბერძნეთი, ისლანდია, შვედეთი, ჩეხეთი, ირლანდია, ირანი, სამხრეთ კორეა, სომხეთი და ა.შ. უნიტარულ სახელმწიფოთა შორის აღსანიშნავია ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ხელისუფლების მმართველობის მაღალი დეცენტრალიზაციით ხასიათდება. მაგ. ესპანეთი, საქართვე-

ლო, უკრაინა, ფილიპინები, პალაუ და ა.შ. 12) ფედერალიზმი – ფედერალიზმი (ლათ. foedus — შეთანხმება, ხელშეკრულება) — სახელმწიფოს მოწყობის ფორმა, რომლის დროს ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს მინიჭებული აქვთ შესამჩნევი თვითმმართველობა. ფედერალიზმის საწინააღმდეგო ცნებაა უნიტარიზმი.

უფრო ფართო გაგებით ფედერალიზმი ნიშნავს რაიმე ერთიანი სისტემის ისეთნაირად ორგანიზებას, რომ ამ სისტემის ცალკეულ ნაწილებს შესამჩნევი თავისუფლება უნარჩუნდებათ.

ფედერაციული სახელმწიფო შედგება რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვითმართველობით სარგებლობენ. მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოები და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. თავიანთ შემადგენლობაში არსებულ წარმონაქმნებს მოიხსენიებენ როგორც ფედერაციის ობიექტებს. მაგ. შტატები, მიწები, პროვინციები. ფედერაციული ქვეყნებია: აშშ, კანადა, გერმანია, ბელგია, მალაიზია, ინდოეთი, სუდანი და ა.შ

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი ბუნებით ისწრაფვის დამოუკიდებლობისა და უკონტროლობისაკენ. ამას ხელს უწყობს რიგი ფაქტორები, კერძოდ: დაყრდნობა მის მიერვე შექმნილ „ ერთგულ“ ბიუროკრატიულ აპარატზე, რომელიც მოწოდებულია ძალაუფლების შენარჩუნებისათვის დაუპირისპირდეს წარმომადგენლობით ორგანოებს, გამოიყენოს ძალმომრეობის ხელთარსებული ხერხები და მეთოდები, სასურველო მიზნის მისაღწევად გააყალბოს ინფორმაცია და ბევრი სხვა.

ადმინისტრაციის სწრაფვა ყოვლისშემძლეობის, დაუსჯელობისა და უკონტროლობისაკენ განპირობებულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ:

პირველი და მნიშნელობანი ფაქტორი დევს აღმასრულებელი ხელისუფლების გენეზისში ანუ იგი ცდილობს გაემიჯნოს და განცალკევდეს ორი სახელისუფლებო შტოსაგან ე.ი. საკანონმდებ-

ლო და სასამართლო ხელისუფლებისაგან რითაც ხელს უწყობს სახელმწიფოებრივი ერთობის რღვევას. იგი არ ერიდება გამოიყენოს მანკიერი ტრადიციები, შეხედულებები, სტრუქტურები რათა შეინარჩუნოს მძლავრი პოზიციები.

მეორე ფაქტორი არანაკლებ მნიშნელოვანია ადმინისტრირების აპარატი თავისი გავლენებისა და პოზიციების გასაძლიერებლად იყენებს საზოგადოებაში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციებს, განსაკუთრებით როდესაც ქვეყანაში იქმნება საგანგებო ვითარება, კერძოდ: ომი, ეპიდემია, სტიქიური უბედურებები, ტექნიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკური კატასტროფები, რომელთა პირობებშიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ქვეყანაში საგანგებო ვითარების გამო ექმნება უსაზღვრო და ნაკლებ კონტროლირებადი უფლებები. რიგ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები თვითონ ქმნიან ექსტრემალური სიტუაციის პროვოცირებას, რათა შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება და მიაღწიონ საწადელ მიზნებს.

მესამე ფაქტორი წარმოადგენს ხელისუფლების სხვა შტოების (საკანონმდებლო, სასამართლო) დამოკიდებულებას ადმინისტრაციაზე, რომელიც უქმნის მათ შორის საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების კადრებით დაკომპლექტებაში. ახორციელებს მათ გადაბირებას და თავის სამსახურში ჩახენებას სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით. “კარგად” იყენებს მათ ხელთარსებულ მატერიალურ რესურსებს “ერთგულ მსახურთა” პრივილეგიებისათვის (თანამდებობრივ დაწინაურებებს, უცხოეთში მივლინებებს, ბინებით, ავტომანქანებით, აგარაკებით უზრუნველყოფას და სხვა.)

მეოთხე ფაქტორი. ადმინისტრაციის ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების თავისებურებები, კერძოდ: მისი უნივერსალურობა, ანუ საზოგადოების ყველა სფეროსთან მჭიდრო ურთიერთობა; საკმაოდ დიდი და განშტოებული აპარატი (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების სახით); ეკონომიკური ბერკეტების ფლობა; ინფორმაციით შეუზღუდავი სარგებლობა და იძუ-

ლების დიდი არსენალის გამოყენების შესაძლებლობები. აღნიშ-ნულს შეიძლება დაემატოს ე.წ. თავისუფალი არჩევანისა და დამო-უკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უფლება, განსაკუთრებით დაძაბულ და ექსტრემალურ პირობებში.

აღმასრულებელი ხელისუფლების დემონია განსაკუთრე-ბულ მნიშვნელობას იძენს ტოტალიტარულ საზოგადოებაში, სა-დაც სახეზეა ადმინისტრაციულ ბრძანებლური სისტემა. ამ პირო-ბებში ადმინისტრაცია შთანთქავს სამოქალაქო თავისუფლებებს, სახელმწიფო მართვის მთელ იერარქიაში (ცენტრიდან პერიფერი-ამდე) რითაც მნიშვნელოვნად იზღუდება ადგილობრივი მართვისა და თვითმმართველობის დემოკრატიული განვითარება.

რა ზომები შეიძლება გატარდეს ადმინისტრაციის დემონი-ის შეზღუდვისათვის? მკვლევართა აზრით უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების შტომა შორის (საკანონ-მდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ეფექტური დამაბალან-სებელი მექანიზმების შემოღება ანუ მათ უფლებათა, მოვალეობა-თა და პასუხისმგებლობათა რელიეფერი გამოკვეთა და გამიჯვნა სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე. არანაკლებმნიშვნელოვანია მწყობრი ინსტიტუციონალური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოემსაყურება სახელმწიფო და საზოგადო-ებრივ ინტერესებს, ანგარიშვალდებული იქნება მოსახლეობის (ხალხის) წინაშე.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება დამოკიდებუ-ლია არა მხოლოდ სახელისუფლებო შტოების გამიჯვნასა და მათი ფუნქციების გამოკვეთაზე, არამედ რეალური და სამართლიანი სა-მართლებრივი ბაზის შექმნაზე, რომელიც საფუძვლად დაედება სა-მართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ძლიერი საკანონ-მდებლო და სასამართლო ხელისუფლების ფორმირება გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევს აღმასრულებელ ხელისუფლებას ანუ ადმი-ნისტრაციას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების დემოკრატიზა-ციის პროცესებს, მათ გეგმაზომიერ განვითარებას, საზოგადოე-

ბის მხრიდან პროცესების რეგულირებისა და ობიექტური კონ-ტროლის განხორციელებას.

საზოგადოების მართვის დემოკრატიზაციის ერთ-ერთ უმ-თავრეს ფაქტორს წარმოადგენს ობიექტური საკანონმდებლო ბა-ზა. სახელმწიფოში მოქმედი კანონი არ უნდა საჭიროებდეს სუბი-ექტურ ჩარევებს მის ასამოქმედებლად და ცხოვრებაში გასატა-რებლად. თუ კანონი ითვალისწინებს რეალურ ვითარებას და მისა-ღებია საზოგადოების წევრთა უმრავლესობისათვის მას არ დას-ჭირდება ძალოვანი ზემმოქმედა და იგი იქცევა საზოგადოების ცხოვრების წესად. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც რომელი-მე კანონი "სინთეზირებულია" და მორგებულია ადამიანთა ცალკე-ული ჯგუფის ინტერესებს იგი არ არის მისაღები საზოგადოების უმეტესობისათვის და ხელს უწყობს სხვადასხვა ნეგატიური მოვ-ლენების განვითარებას (კორუფციას, ჩრდილოვან ეკონომიკას, მექრთამეობას, კრიმინალური სიტუაციის გამძაფრებას და კლანე-ბის წარმოქმნას).

ადმინისტრაციის დემონიზმის განვითარების საწინააღ-მდეგო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მკვლევარები მიიჩ-ნევენ სახემწიფო მოხელეთა და მოსამსახურეთა პროფესიონა-ლიზმს და მაღალ პოლიტიკურ კულტურას. საჯარო სამსახურის მუშაკს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების უნარი, საზოგადოების (ხალხის) წარმო-მადგენელთა მიმართ პატივისცემის, მათ წინაშე პასუხისმგებლო-ბისა და ანგარიშვალდებულების გრძნობა. სახელმწიფო მოხელეს უნდა ახსოვდეს ის, რომ იგი დაქირავებულია საზოგადოების ნების აღსრულებისათვის და არა საკუთარი ოჯახისა და პიროვნული მოთხოვნილებების ეგოისტური დაკმაყოფილებისათვის.

სახელმწიფო მართვის სისტემები

სახელმწიფო სისტემის მართვის ბუნება და შინაარსი.

სისტემა – ეს არის გარკვეული ქმედებების ურთიერთდა-მოკიდებულების წესრიგი, გაერთიანებული ორგანიზაციების ერ-

თგვარი ამოცანებით. მასში გაერთიანებულია მრავალი ელემენტი, რომელიც ქმნის ერთგვარ მთლიანობას, ეს მთლიანობა აღჭურვილია უფრო განვითარებული თვისებებით ვიდრე ეს ახასიათებდა თითოეულ მაერთიანებელ კომპონენტს.

სისტემის არსებითი მახასიათებლებია:

1. გარე ფაქტორებთან ურთიერთობა. სისტემის უნარი მოერგოს გარე ფაქროტების ზეგავლენას და წარმატებულად იარსებოს მათთან ერთად, აგრეთვე შეინარჩუნოს შინაგანი პარამეტრები და უზრუნველყოს მათი ეფექტური ფუნქციონირება.

2. ელემენტური შემადგენლობა. სისტემა როგორც უკვე ნახსენებია სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთკავშირს წარმოადგენს. ხშირად, თავად სისტემა შედგება სხვა ქვესისტემებისგან, რომლებსაც გამოყოფის ან დაშლის შედეგად შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა. რომელიმე მათგანის შეცვლით კი შეიცვლება მთლიანად სისტემა.

3. ინტეგრირებულობა. თავად სისტემის ხარისხი დამოკიდებულია იმ ურთიეერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობაზე რაც ანსხვავებს მას სხვა მარტივი კომპონენტების ერრთობლიობებიდან რომლებიც არ წარმოადგენენ რაიმე სახის სისტემას.

4. ცვალებადობა. შინაგანი წინააგმდეგობა აძლევს სისტემას შანსს განვითარდეს. თავის მხრივ სისტემა მოიცავს პერიოდებს–ჩამოყალიბებიდან დამხობამდე. მარადიული სისტემები როგოც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს.

5. ფუნქციონალურობა. ყოველ სისტემას გააჩნია ფუნქცია,რომლითაც ასრულებს განუწყვეტელ მოქმედებებს.

6. სტრუქტურულობა. ყოველ სისტემას გააჩნია სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მის ძირითად თვისებებს და წარმოადგენს სისტემის თვითორგანიზების ცენტრს.

7. მიზანი გარემოში. ყოველი სისტემის ჩამოყალიბება ხდება რაიმესახის მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ცდილობს სისტემა მისი ფუნქციონირების პროცესში.

მაშასადამე სისტემა წარმოადგენს ელემენტების ურთიერთკავშირის ერთობლიობას, რომლებიც ურთიერთქმედებენ შინაგან და გარეგან ფაქტორებთან. არსებობს ისეთი სისტემები რომლებიც თავად ქვესისტემებისგან შდგება, რაც აძლევს უპირატესობას სხვა სისტემების წინაშე.

სახელმწიფო მართვა იქნება ეფექტური მხოლოდ მაშინ როდესაც სისტემა იქნება ჩამოყალიბებული და ძლიერი. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ სისტემაში უნდა იყოს ჩართული, მილიონობით ელემენტი. სახელმწიფო მართვის სისტემური მახასიათებელია: ბრძანებით–ადმინისტრატიული და სოციალურ–კონსოლიდაციური მახასიათებლების ერთობას.

სახელმწიფო მართვის სისტემაში შემდეგი ქვესისტემებია შესული:

1. ინსტიტუციონური
2. ნორმატიულ–სამართლებრივი
3. მიზანდასახული
4. იდეოლოგიური
5. ფუნქციონალური
6. საკადრო
7. ინფორმაციულ–კომუნიკაციური
8. სოციოკულტურული

ეფექტური მოქმედი სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბებას ესაჭიროება ქვესისტემების სათადარიგოდ ორგანიზება. პირველ რიგში ინსტიტუციონალური, ნორმატიულ–სამართლებრივი, ფუნქციონალური და სოციოკულტურულის.

სახელმწიფო მართვის ძლიერი სისტემის შემაგდენელი ნაწილებია: ძალაუფლება, მმართველობა, ტერიტორია და ეკონომიკური სისტემა.

ძალაუფლება განსაზღვრავს წესრიგს და ხასიათს რომელიც ხორრციელდება სახელმწიფო მართვაში.

ძალაუფლების შემადგენელი ნაწილია მართვა, რომელიც ძირითადად მიმართულია მიმდინარე სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების რეგულირებისაკენ.

განსაკუთრებულ ზეგავლენას სახელმწიფო პოლიტიკასა და მის მართვაზე განახორციელებს ტერიტორიები. თუ სახელმწიფოს გააჩნია სავსებად“ დამაჯერებელი“ მაშტაბის ტერიტორია მაშინ ამ ყოველივეს ესაჭიროება მრავალრიცხოვანი მართველობითი ეტაპების შექმნა ტერიტორიული განატლების სფეროში, რასაც ვერ ვიტყვით შედარებით პატარა ქვეყნებზე.

სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემა. ის ემსახურება ქვეყანას როგორც ფუნქციონალური ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რაციონალურ ბიზნეს მმართველობის ფორმას, აგრეთვე მისი მოქალაქეების მოთხოვნების ეფექტურ დაკმაყოფილებას.

სოციალური სისტემა – ერთობლივი განათლება, რომელიც დაფუძვნებულია ელემენტებით ანუ ადამიანებით, აგრეთვე მათი კავშირებით,ურთიერთზემოქმედებით და ურთიერთობით. ეს კავშირები,ურთიერთზემოქმედებები და ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს ვიდრე ჩვენ გვგონია. ისინი ბრუნავენ და ღორძინდებიან ისტორიული პროცესების მეშვეობით და გადაეცემიან თაობიდან თაობებს. სოციალური სისტემები იქმნებიან ადამიანების ერთობლივი საქმიანობით,რომლებიც პირველ რიგში იმართებიან უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ელემენტებით.

სოციალური სისტემის განმასხვავებელი მახასიათებლებია

1. სტატუსების იერარქია;

2. თვითმართველობის მექანიზმების ხელმისაწვდომობა;

3. სუბიექტებისა და ობიექტების მართვის ცნობიერება;

4. მორალურ–ეთიკური ფონდების ქონა;

5. ცხოვრების აქტიურობის ორგნიზება;

არსებობს აგრეთვე ასეთი თვისებები რომლებიც არიან დამახასიათებელნი სახელმმწიფო მართველობისთვის:

1. მაქსიმალური ინდეტერმინიზმი
2. მიზანდასახულობა
3. ორგანიზებულობა
4. თვითგადარჩენისადმი სწრაფვა

სუბიექტის და ობიექტის არსებობა სახელმწიფო მმართველობაში აგრეთვე მათ შორის ურთიერთქმედება გვადზლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სახელმწიფოს აქვს უნარი შექმნას თავისებური ჰიპერსისტემა,რომელიც მოქმედებსსხვადასხვა სოციალური სისტემების წარმოშობა განვითარებაზე. ეს უზრუნველყოფს სასტიკ დეტერმინიზმს რომელიც მოცემულია სქემაში.

ბუნება —–> მიზნები —–> პრინციპები —–> ფუნქციები —–> მეთოდები ——> პროცესები ——> რეზულტატი

მოცემულ სქემაზე ყოველი ელემენტი განსაზღვრავს მომავალ ელემენტს, რომელიც მას ექვემდებარება. ერთობლივად ისინი ქმნიან სახელმწიფო სისტემას რომელიც ემსახურება საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ეს სქემა განასახიერებს არა მარტო იმ სქემას, რომელიც სახელმწიფო სისტემაში გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს, არამედ იმ მიმდევრობას როგორაც უნდა აიწყოს სისტემა.

ყველაზე ხშირად სახელმწიფო მართვის სისტემების გაუმჯობესებისას ყურადღებას აქცევენ კიბერნეტიკული მმართველობის ფორმას.

კიბერნეტიკა ეს არის მეცნიერება საერთო კანონზომიერი პროცესების მართცასა და ორგანიზებული სისტემების ურთიერთობაზე(მანქანებზე, ცოცხალ ორგანიზმებზე,საზოგადოებაზე) კიბერნეტიკის მიხედვით , წარმატებული მართვისათვის საჭიროა მმართველი სისტემა ფლობდეს არანაკლებ მრავალფეროვნებით ვიდრე მმართავი. მაგრამ იმის გამო რო ხელოვნურ სისტემებს ახასიათებთ ერთფეროვნება, საჭირო ხდება მათი მოქმედი რეალობის გამარტივება იმის გამო რომ მოხდეს მათი მართვა.

აქედან გამომდინარე, ნათელია რომ მართვაში მოქმედებს „მრავალფეროვნების აუცილებლობის პრინციპი“, რომელიც ძალიან აქტუალური ხდება.

თანამედროვე სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ პირობითად ითვლება დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად, რადგანაც ის დამოკიდებულია სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და მას არ შეუძლია დააიგნოროს საერთაშორისოურთიერთობების სისტემების მოთხოვნები. აგრეთვე სახელმწიფო დამოკიდებულია საკუთარ მოქალაქეებზეც. ტუ ის ვერ მიაღწევს მოქალაქეების ნდობის მოპოვებას , იმის შესაძლებლობა ,რომ მათი მიზანი მიღწეული იქნება, საკმაოდ ფატალურად დამთავრდება.

როდესაც სახელმწიფო მართვის სისტემაში ტიპიური იღებს უპირატესობას უნიკალურზე ,ანუ პირდაპირი ვერტიკალური კავშირები – ჰორიზონტალურ ურთიერთ მიმართების და უკუ კავშირებზე ვითარდება ცენტრიზმი , ფორმალიზმი, სუსტდება პირველ პირთა საქმიანობის კონტროლის მექანიზმი, უმაღლესი მართველობა წყდება საზოგადოებას რის შედეგადაც ხდება სახელმწიფოს დესტაბილიზაცია.

აქედან გამომდინარე სახელმწიფო მართვის სისტემა არის შეზღუდული, მისი ელემენტები არიან მრავალგანზომილებიანი, მრავალფეროვანი და მატ აქვთ განვითარების უნარი.

„გერმანიკული“ ქვეყნების ადმინისტრაციული სისტემები

გერმანიკული მოდელის ქვეყნებს მიეკუთვნება გერმანია, ავსტრია და ნაწილობრივ შვეიცარია.

ეს მოდელი აერთიანებს ქვეყნებს, რომელთა ენები და კულტურა ერთმანეთთან ახლოსაა. გარდა ამისა მათი ადმინისტრაციული სისტემებიც მსგავსია პოლიტიკური ნიშნებით თუ დომინირებადი მმართველობითი ტრადიციით.

მხედველობაში განიხილება შემდეგი მახასიათებლები:

● პროპორციული პარტიული წარმომადგენლობა

● გერმანული ბიუროკრატიის ღრმა ტრადიციები, რომელიც შეესაბამება ვებერის კლასიკურ მოდელს: „ბონელ ბიუროკრატებს რომაული წესის პედანტურად შესრულების ტენდენცია აქვთ, რის გამოც სამოქალაქო მოსამსახურეები დოგმატური აზროვნებით გამოირჩევიან.“

● ადმინისტრაციული ქცევის განსაკუთრებული წესი, რომელიც ხასიათდება, როგორც „სიმკაცრის და მოქნილობის კომბინაცია საზოგადოებრივი წესრიგის შესრულებისას“

● ტრადიციულად ძლიერი სახელმწიფო ბიუროკრატია, რომლის პრესტიჟი და სტატუსი საკმაოდ ძლიერია.

● ტერიტორიული მოწყობის ფედერაციული ტიპი და დამოუკიდებელი და კარგად განვითარებული რეგიონალური და ადგილობრივი მმართველობითი სისტემა.

ფედერალური მოწყობის გერმანულ მოდელს აქვს საკმაოდ ღრმა ფესვები. გერმანია საუკუნეების მანძილზე იყო დაყოფილი ცალკეულ ტერიტორიებად, რამაც 1871 წელს პრუსიის ქვეშ გაერთიანების შედეგად მიიღო ფედერალური მოწყობის სახე.

ავსტრიის ფედერალური რესპუბლიკის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა ფორმალურად ჩამოყალიბდა 1955 წლის

სახელმწიფო დადგენილებით. ავსტრიის ფედერაციაში შედის 9 ადმინისტრაციული ერთეული.

შვეიცარია თავდაპირველად ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნების სამხედრო კავშირი. მისი წევრები იყო უნტერვალდის, შვიცისა და ურის კანტონები, რამაც შემდეგ მე-19 საუკუნის შუა ხანებში მიიღო ფედერაციული ხასიათი. შვეიცარიას დღესდღეობით ოფიციალურად უწოდებენ კონფედერაციას.

გერმანიის ფედერაციული სისტემის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენენ: პრეზიდენტი, კანცლერი და მინისტრები.

ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევს ფედერალური საბჭო. მის კომპეტენციაში შედის:

● კანცლერის, ფედერალური მინისტრების, მოსამართლეების, ჩინოვნიკების, ოფიცრების დანიშვნაზე ხელმოწერა;

●საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება;

● ელჩების აკრედიტაცია და ა.შ.

პრეზიდენტს ძირითადად აქვს წარმომადგენლობითი ფუნქცია, რადგან მის მიერ ხელმოწერილ აქტებს აუცილებლად უნდა მოაწეროს ხელი და დაადასტუროს კანცლერმა ან კომპეტენტურმა მინისტრმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს მმართველ ძალას წარმოადგენენ კანცლერი და ფედერაციის მინისტრები. კანცლერი არის ხელისუფლების სათავეში და მას ამტკიცებს გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა, ბუნდესტაგი. კანცლერის კანდიდატურას წარადგენს პრეზიდენტი და გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც ღებულობს ხმების უმრავლესობას. კანცლერი აყალიბებს მინისტრთა კაბინეტს. კანცლერი თავმჯდომარეობს მთავრობის შეხვედრებს. მისი გადადგომის შემთხვევაში მინისტრებიც ტოვებენ პოსტს.

გერმანიაში ისევე, როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, კონსტიტუციის მოთხოვნის თანახმად პრეზიდენტს, კანცლერ-

სა და ხელისუფლების სხვა წევრებს არ აქვთ უფლება ჩართული იყვნენ რაიმე კომერციულ ან სხვა საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებსაც კონსტიტუციის 66-ე მუხლი ითვალისწინებს.

კონსტიტუციის მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს მე-20 მუხლი

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის დემოკრატიული და სოციალური ფედერაციული სახელმწიფო.

2. ხელისუფლებას ირჩევს ხალხი. ხალხის ძალაუფლება ვლინდება არჩევნების სახით.

3. სასამართლო ხელისუფლებას არ აქვს უფლება გასცდეს კონსტიტუციის ნორმებს.

კანცლერი და მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და პარლამენტს აქვს უფლება უნდობლობა გამოუცხადოს კანცლერს. ამ შემთხვევაში პარლამენტი წარადგენს ახალ კანდიდატურას, რომელიც პრეზიდენტმა 48 საათის განმავლობაში უნდა დაამტკიცოს. გერმანიის თანამედროვე ისტორიაში ასეთი ფაქტი ორჯერ დაფიქსირდა, 1972 წელს და 1982 წელს. 1982 წელს კანცლერ შმიდტს დაატოვებინეს პოსტი.

ადგილობრივი მმართველობა გერმანიაში გამოირჩევა მაღალი ავტონომიურობით. ადგილობრივ მმართველობით ორგანოში შედიან მინისტრი-პრეზიდენტი და ადმინისტრაციული ერთეულის 17-მდე მინისტრი. მინისტრი-პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია ადგილობრივი პარლამენტის, ლანდტაგის წინაშე და მისი თანხმობით ნიშნავს მინისტრებს.

ავსტრიაში ფედერალურ დონეზე თითქმის იგივე ადმინისტრაციული სისტემაა, როგორც გერმანიაში, თუმცა არის განსხვავება ზოგიერთი ხელისუფლების პირის არჩევის დროს და კომპეტენციების განაწილებისას. ასე მაგალითად, ავსტრიის ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევს ხალხი და არა პარლამენტი. გამარჯვებისთვის კანდიდატმა უნდა მიიღოს ხმების ნახევარზე მეტი. საჭი-

როების შემთხვევაში კი ტარდება მეორე ტური. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა არის 6 წელი.

ავსტრიის მთავრობის ხელმძღვანელს ასევე წარმოადგენს კანცლერი, თუმცა გერმანიისგან განსხვავებით ავსტრიის კონსტიტუცია არ აძლევს კანცლერს უფლებას ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები. ის ვიცე-კანცლერთან, მინისტრებთან და სახელმწიფო მდივნებთან ერთად ღებულობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

ავსტრიის საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ორპალატიანი პარლამენტი. გერმანიის მსგავსად პარლამენტის ზედა პალატას ეწოდება ბუნდესრატი. ის შედგება 64 წევრისგან, რომლებიც 9 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები არიან და ადგილობრივი პარლამენტების, ე.წ. ლანდტაგების მიერ არიან არჩეული. ქვედა პალატას ეწოდება ნაციონალრატი. მასში შედის 183 დეპუტატი, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა პროპორციული სისტემით.

რაც შეეხება შვეიცარიულ სისტემას, ის კიდევ უფრო ნაკლებად გავს გერმანულ მოდელს. შვეიცარიის მოდელი მოიცავს პირდაპირი დემოკრატიის ელემენტებს. კონსტიტუციის თანახმად შვეიცარიის პარლამენტი წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს ორგანოს. ორპალატიანი პარლამენტის გარდა ქვეყანაში მოქმედებს უმაღლესი ფედერალური აღმასრულებელი ორგანო-ფედერალური საბჭო.

ფედერალურ საბჭოში შედის 7 წევრი, რომლებსაც ყოველი ახალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ირჩევს ნაციონალური საბჭო. ფედერალური საბჭოს კომპეტენციაში შედის: ბიუჯეტის შემუშავება და კონტროლი, უსაფრთხოება, საგარეო საქმეები და ასე შემდეგ. 2001-2002 წლებში ფედერალურ საბჭოში პროპორციულად წარმოდგენილი იყო ქვეყანაში 4 უმსხვილესი პარტია: ლიბერალური პარტიიდან 2 წევრი, სოციალ-დემოკრატიულიდან 2

წევრი, ქრისტიან-დემოკრატიულიდან 2 და სახალხო პარტიიდან 1 წევრი.

თანამედროვე ადმინისტრაციული სისტემები განიცდიან ცვლილებებს, რომლებიც 1980-90-იან წლებში დაწყებულ რეფორმებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში არც გერმანიკული ქვეყნები არის გამონაკლისი. რეფორმა განსაკუთრებით შეეხო რეგიონალურ და მუნიციპალურ მმართველობას.

გერმანიაში აქტიური რეფორმები დაიწყო 1990 წელს, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის უმსხვილესმა ასოციაციამ წამოაყენა ლოზუნგი: „გადასვლა ბიუროკრატიული რეგულაციიდან სერვისული ორგანიზაციისაკენ რეგულირების ახალი მოდელის გამოყენებით“.

რეგულირების ახალი მოდელი ითვალისწინებდა ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების რადიკალურ რეორგანიზაციას მათი პოტენციალის გაზრდის მიზნით. ამ მოდელისთვის დამახასიათებელი იყო:

- ადმინისტრაციული ერთეულების დეცენტრალიზაცია;
- ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- მონიტორინგი

1998 წელს გერმანული ქალაქების ლიგამ, რომელიც აერთიანებდა გერმანიის ყველა მუნიციპალიტეტს, გამოაქვეყნა მონაცემები, რომლის მიხედვითაც გერმანული ქალაქების დაახლოებით 90% აქტიურად იყო ჩართული რეფორმის პროცესში რეგულირების ახალი მოდელის გამოყენებით. იმავე 1998 წელს რეფორმის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ბერტელსმანისა და განს-ბეკლერის ფონდმა დააარსა კავშირი „ხვალინდელი დღის გერმანული ქალაქები“. ადმინისტრაციულ-სამოქალაქო მმართველობის წამყვანი გერმანული სკოლები ასევე აქტიურად მონაწილეობენ რეფორმის პოპულარიზაციაში.

ასე რომ, გერმანიაში მმართველობითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები და ამ

პროცესში ჩართულია სხვადასხვა სტრუქტურები და ასოციაციები, რაც გერმანული რეფორმების ევოლუციურ ხასიათს წარმოადგენს.

„ნაპოლეონური“ ქვეყნების ადმინისტრაციული სისტემები

„ნაპოლეონურ“ ქვეყნებს მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის შემდეგი ქვეყნები: ბელგია, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია და საფრანგეთი.

ამ ქვეყნების ადმინისტრაციული სისტემების დახასიათებისას შემთხვევით არ გამოიყენება ტერმინი „ნაპოლეონური“. ნაპოლეონ ბონაპარტმა საფუძველი ჩაუყარა ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატისა და ძლიერი ბიუროკრატიული კორპუსის შექმნას. საუბარი ეხება სამოქალაქო კოდექსის შექმნას, პრეფექტების ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, ეკლესიაზე კონტროლის გაზრდას და საფრანგეთში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას, სადაც მომავალ სახელმწიფო მოხელეებს ზრდიდნენ.

ზემოთ ხსენებული სახელმწიფოების ადმინისტრაციული სისტემები მსგავსია პოლიტიკური თუ სოციო-კულტურული ნიშნებით და დომინირებადი მმართველობითი ტრადიციით.

მხედველობაში მიიღება შემდეგი მახასიათებლები:

- ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური კულტურა, რომელიც მიმართულია ერთი მხრივ პლებისციტური და მეორე მხრივ წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოდელისკენ;
- სახელმწიფოს ფართო ჩარევა პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში;
- ცენტრალური მმართველობა, რომელიც დომინირებს რეგიონებსა და ცალკეულ ტერიტორიებზე;
- სახელმწიფო მოქალაქეების თვალში წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის სიმბოლოს;

● ტრადიციულად ძლიერი სახელმწიფო ბიუროკრატია, რომლის პრესტიჟი და სტატუსი „ნაპოლეონურ“ სახელმწიფოებში საკმაოდ მაღალია;

● უმაღლესი ჩინოვნიკების კორპუსი ასეთ ქვეყნებში უფრო დახურული და ელიტარულია;

„ნაპოლეონური “ ტიპის ქვეყნებში არსებობს გარკვეული განსხვავებები პოლიტიკური წყობის მიხედვით. საფრანგეთი, 1958 წლის კონსტიტუციის თანახმად, წარმოადგენს შერეული ტიპის საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკას. იტალია კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკაა. ესპანეთი 1978 წლიდან საპარლამენტო მონარქიას წარმოადგენს. ამავე ტიპს მიეკუთვნება ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები.

მიუხედავად იმისა, რომ „ნაპოლეონური“ ქვეყნები, ბელგიის გამოკლებით, უნიტარულ სახელმწიფოებს მიეკუთვნება, ამ სახელმწიფოებში არსებობს ავტონომიური ერთეულები:

● იტალიის 5 ოლქი, რომლებსაც აქვთ ადგილობრივი კანონმდებლობა;

● 4 ტერიტორიული ერთეული ესპანეთში, რომლებიც განსაკუთრებული ავტონომიით სარგებლობენ (განსაკუთრებით ცნობილია ე.წ. ბასკების ქვეყანა);

● პორტუგალიაში განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობენ აზორის კუნძულები.

საფრანგეთის ადმინისტრაციული სისტემა ხასიათდება ცენტრალიზაციის მაღალი დონით. პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს და მას აქვს ისეთი უფლებები, რაც საპარლამენტო რესპუბლიკებში ჩვეულებრივ პრემიერ- მინისტრს ენიჭება. პრეზიდენტს აქვს შემდეგი უფლებამოსილებები:

● ის ნიშნავს პრემიერ-მინისტრს;

● პრემიერ-მინისტრის წარდგენით ნიშნავს ხელისუფლების სხვა წევრებს და შეუძლია მათი გადაყენება (კონსტიტუციის მე-8 მუხლი);

● თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს სხდომებს, ხელს აწერს დეკრეტებს და მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებს;

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, ის:

● ხელმძღვანელობს მთავრობის მუშაობის პროცესს;

● შეუძლია რეგლამენტური აქტების წარდგენა;

● უფლება აქვს დაესწროს და გამოვიდეს საპარლამენტო პალატის სხდომებზე;

● აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

საფრანგეთში განსხვავებაა მინისტრთა საბჭოსა და კაბინეტს შორის. მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, ხოლო კაბინეტს-პრემიერ-მინისტრი.

საფრანგეთის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, რომელსაც უნდობლობის შემთხვევაში აქვს მთავრობის გადაყენების უფლება.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს აქვს საკუთარი ადმინისტრაციული აპარატი. მასში შედის კაბინეტი, თავდაცვის გენერალური სამდივნო და მთავრობის გენერალური სამდივნო.

სფეროების მიხედვით საფრანგეთში არის შემდეგი სამინისტროები:

1) საგარეო პოლიტიკური და სამხედრო (საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო);

2) ეკონომიკური და მარეგულირებელი (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სამინისტრო, ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

3) შიდა და სოციალური პოლიტიკის (შინაგან საქმეთა სამინისტრო, დასაქმების სამინისტრო, ჯანდაცვის სამინის-

ტრო, განათლების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო).

4) კულტურა (კულტურის სამინისტრო, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამინისტრო).

რაც შეეხება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, საფრანგეთში გამოიყოფა ასეთი ერთეულების 3 ტიპი:

- რეგიონები
- დეპარტამენტები
- კომუნები

საფრანგეთის მსგავსი ადმინისტრაციული სისტემა და სახელმწიფო მართვის ორგანიზაცია დამახასიათებელია „ნაპოლეონური“ ქვეყნების უმრავლესობისთვის, ამიტომაც ყურადღებას მხოლოდ განმასხვავებელ ნიშნებზე გავამახვილებთ.

იტალია

იტალიის ადმინისტრაციული სისტემის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ არსებობს დამხმარე ორგანოები, რომელთა სპეციალურ სტატუსს განსაზღვრავს იტალიის კონსტიტუცია. ასეთი ორგანოებია: ეკონომიკისა და შრომის ნაციონალური საბჭო, სახელმწიფო საბჭო და აუდიტორთა სასამართლო.

ეკონომიკისა და შრომის ნაციონალურ საბჭოში შედიან პროფესიული კავშირების, საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლები და ექსპერტები. საბჭოს შეუძლია საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენა.

სახელმწიფო საბჭო კონსტიტუციის თანახმად წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს ადმინისტრაციული და იურიდიული კუთხით.

აუდიტორთა სასამართლო ასეთი ორგანოსთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, აკონტროლებს მთავრობის ფინანსურ საქმიანობას.

იტალიაში ასევე მოქმედებს სახელმწიფო დასაქმების დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებში შედის:

● საკადრო საკითხები,

● სახელმწიფო ორგანიზაციების რეესტრის წარმოება,

● სახელმწიფო სამსახურის რეფორმაციის კოორდინაცია და ა.შ.

სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად განიხილება ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების დონეზე, რისთვისაც იქმნება სპეციალური ადმინისტრაციული საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრი ან მისი შემცვლელი. ეს კოლეგიალური ორგანო კადრებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს კონკურსებზე დაყრდნობით იღებს.

ბელგია

ბელგია არის ერთადერთი ფედერაცია „ნაპოლეონურ“ ქვეყნებში, რაც განაპირობებს მისი ადმინისტრაციული სისტემის განსხვავებას. ფედერაციაში შემავალ სუბიექტებს, ფლანდრიას, ვალონიას და ბრიუსელს აქვთ მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ეკონომიკის, სოციალურ და რეგიონალურ პოლიტიკაში და ასევე კულტურისა და განათლების სფეროში. თითოეულ რეგიონში მოქალაქეები ირჩევენ ადგილობრივ პარლამენტს, რომელიც აყალიბებს რეგიონის მთავრობას.

თანამედროვე ადმინისტრაციული სისტემების განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში ინიცირებულ რეფორმებს. ამ შემთხვევაში არც „ნაპოლეონური“ ქვეყნებია გამონაკლისი. ამ რეფორმების მიმართულებას შემდეგი გარემოებები განსაზღვრავდა:

● სახელისუფლებო მმართველობის ცენტრალიზაციის მაღალი დონე;

● შედარებით დიდი სამოქალაქო სექტორი;

● ხელისუფლების დიდი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე

ამიტომაც „ნაპოლეონურ“ ქვეყნებში ადმინისტრაციული რეფორმები ითვალისწინებდა დეცენტრალიზაციის დაწყებას. 1982 წელს საფრანგეთში დაიწყო დეცენტრალიზაციის პროგრამა. შემოღებული იქნა მმართველობის ახალი დონე, რეგიონი, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე დეპარტამენტს. სულ შეიქმნა 22 რეგიონი. 1982 წელს მათ ეწოდა „დეცენტრალიზებული ტერიტორიები“.

ამავდროულად მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი მმართველი ორგანოების როლი. 1992 წელს მიღებული იქნა „დეკონცენტრაციის ქარტია“. სახელმწიფო მმართველობის სისტემის დეკონცენტრაციას საფრანგეთში ახლდა ფართომასშტაბიაბი სტრუქტურული რეფორმა. მოხდა ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურების რაციონალიზაცია.

1980-იანი წლების დასაწყისში ნიდერლანდებში ჩამოყალიბდა ახალი რეგიონული ადმინისტრაციული ერთეულები მსხვილ ქალაქებში (ამსტერდამი, ჰააგა, როტერდამი და ა.შ.), რომელთაც ჰქონდათ ფართო კომპეტენცია და უფლებამოსილება ადმინისტრაციული და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების კუთხით.

ესპანეთში ფინანსური მართვის დეცენტრალიზაციამ ის შედეგი გამოიღო, რომ 1990 წელს ცენტრალური ბიუჯეტი აკონტროლებდა ერთობლივი შიდა პროდუქტის მხოლოდ 65.5%-ს. 1982 წლიდან ცენტრალურმა მთავრობამ რეგიონებს გადასცა უფლება გარკვეული გადასახადების აკრეფისა. პარალელურად ადგილობრივი მეურნეობების სტრუქტურული მოდერნიზაციის მიზნით დაიწყო პროგრამები. 1990 წლიდან ესპანეთის 17 ავტონომიურ რეგიონში შეინიშნება ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდა.

საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, იტალიასა და საბერძნეთში დაწყებული ადმინისტრაციული რეფორმები პირველ რიგში ითვალისწინებდა სახელმწიფო დემოკრატიზაციას. ამ რეფორმების მიზანი იყო:

- სოციალური სამართლიანობა,

● საზოგადოებრივი ინტერესის რეალიზაცია,

● ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა,

● ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება,

● საკანონმდებლო ბარიერების გაუქმება და ე.წ. „ერთი ფანჯრის“ პრინციპის შემოღება.

ადმინისტრაციული რეფორმების ფრანგული პროგრამა ორიენტირებულია ადამიანური რესურსების მართვის კომპლექსურ მიდგომაზე, პერსონალის ინტერესთა თანხვედრასა და ზოგადად სისტემის ეფექტურობის ამაღლებაზე.

საბოლოოდ დასკვნის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი ფრანგი სოციოლოგის, მ. კროზეს სიტყვები: „ჩვენ უნდა გარდავქმნათ სახელმწიფო ისე, რომ ის ემსახურებოდეს საზოგადოებას და არა ბრძანებლობდეს მას“. ამ თეზისით გამოიხატება „ნაპოლეონურ“ ქვეყნებში მიმდინარე ადმინისტრაციული რეფორმების არსი.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ადმინისტრაციული სისტემები

საუბარი ეხება ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ადმინისტრაციულ სისტემებს, კერძოდ, დანიას, ისლანდიას, ნორვეგიას, ფინეთს და შვედეთს.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუცია განსაზღვრავს მათი ადმინისტრაციული სისტემების ძირითად მახასიათებლებს. დანიის კონსტიტუცია მიღებული იქნა 1953 წელს, ისლანდიის-1944 წელს, ნორვეგიის-1814 წელს, ფინეთის-1999 წელს და შვედეთის-1974 წელს.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მოდელი განსხვავებულია და მას შეიძლება ვუწოდოთ „სკანდინავიური“.

სკანდინავიური ქვეყნების განმასხვავებელი ნიშნებია:

● სახელმწიფოს საზოგადოებრივი მმართველობის განვითარებული დემოკრატიული ფორმები და მეთოდები;

● ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა;

● მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონე.

ადმინისტრაციული სისტემების ფუნქციონირების მხრივ 3 მნიშვნელოვანი რამ შეიძლება გამოვყოთ:

1) სკანდინავიური პარლამენტარიზმი, როგორც ადმინისტრაციული სისტემის ფუნქციონირების პირობა;

2) სკანდინავიური კორპორატივიზმის გავლენა ადმინისტრაციულ სისტემაზე;

3) ადმინისტრაციული სისტემის პოლიტიკურ-კულტურული მხარე.

1. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მახასიათებლები

დანია-უნიტარული სახელმწიფო. მოსახლეობა-5.3 მილიონი (1998წ). ქვეყნის ტერიტორია დაყოფილია 14 ადმინიტრაციულ ერთეულად, რომელთა მმართველსაც ნიშნავს მეფე. დანია კონსტიტუციურ საპარლამენტო მონარქიას წარმოადგენს.

სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე. მეფე ნიშნავს და შეუძლია გადააყენოს მთავრობის წევრები და უმაღლესი პირები. ის ხსნის საპარლამენტო სესიებს და აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება.

დანიის საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი წარმოადგენს ერთპალატიან ორგანოს. მის შემადგენლობაში შედის 179 დეპუტატი, რომელთაგან 2 არის ფარერის კუნძულების და გრენლან-

დიის წარმომადგენელი. დეპუტატებს ირჩევენ 4 წლით პირდაპირი, პროპორციული არჩევნების გზით.

მთავრობა, მინისტრთა საბჭო, ასრულებს მნიშვნელოვან სამეფო ფუნქციებს. მის შემადგენლობაში შედის პრემიერ-მინისტრი და მინისტრები. კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, მთავრობის წევრებს ნიშნავს მეფე. პრემიერ-მინისტრი ამავე დროს საპარლამენტო უმრავლესობის პარტიის ლიდერიცაა, რომელიც აყალიბებს მთავრობას.

მინისტრთა საბჭოს აქვს საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებები. ის მუშაობს კანონპროექტებზე და აქვს რა საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერა, გააქვს ისინი პარლამენტში. სესიებს შორის პერიოდში „განსაკუთრებული შემთხვევების“ დროს მინისტრთა საბჭოს შეუძლია დროებითი კანონების მიღება, რომლებიც მოგვიანებით უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა.

მინისტრებს შეუძლიათ საპარლამენტო სხდომებზე დასწრება და სიტყვით გამოსვლა. პრემიერ-მინისტრს შეუძლია პარლამენტის თავმჯდომარეს მოსთხოვოს საგანგებო სესიის მოწვევა.

მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სამინისტროებს და უწყებებს. მას შეუძლია გააუქმოს ძველი უწყებები და შექმნას ახალი. ასევე მინისტრთა საბჭო მეფეს წარუდგენს კანდიდატურებს მმართველ პოზიციებზე აპარატში. მთავრობა ასევე დებს ხელშეკრულებებს სხვა ქვეყნებთან და მეფის თანხმობით ნიშნავს დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

პარლამენტს შეუძლია უნდობლობის შემთხვევაში გადააყენოს მთელი მთავრობა თუ ცალკეული მინისტრი.

ისლანდია-უნიტარული სახელმწიფო, დაყოფილი 23 ადმინისტრაციულ ერთეულად. მოსახლეობა-271 ათასი ადამიანი (1996წ).

ისლანდიის დედაქალაქსა და რამდენიმე ქალაქს აქვს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული მმართველობა. ქალაქებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ მუნიციპა-

ლიტეტები, რომლებსაც ირჩევს მოსახლეობა. ადმინისტრაციულ ერთეულებს ხელმძღვანელობს ცენტრალური ხელისუფლებიდან დანიშნული მმართველები.

1944 წლის კონსტიტუციის თანახმად, ისლანდია საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენს. პარლამენტის წევრებს ირჩევენ პროპორციული სააერჩევნო წესით 4 წლის ვადით.

აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ. პრეზიდენტს ირჩევენ პირდაპირი, საყოველთაო არჩევნების გზით 4 წლის ვადით. პრეზიდენტი ნიშნავს უმაღლეს აღმასრულებელ პირებს. პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, რის შემდეგაც არაუგვიანეს 2 თვისა უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები. კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად, სესიებს შორის პერიოდში „განსაკუთრებული შემთხვევების“ დროს პრეზიდენტს აქვს უფლება გამოსცეს ნორმატიული აქტები, რომლებიც შემდეგ უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. პარლამენტს აქვს პრეზიდენტის გადაყენების უფლება თუ ამას მხარს უჭერს დეპუტატთა 2/3 და ასევე ჩატარებული რეფერენდუმი. თუ პრეზიდენტის გადაყენებას რეფერენდუმში ხალხმა მხარი არ დაუჭირა, მაშინ ითვლება რომ ხალხი უნდობლობას უცხადებს პარლამენტს და ეს ხდება პარლამენტის დათხოვნის მიზეზი.

კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად, პრეზიდენტი აღმასრულებელ უფლებამოსილებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტთან ერთად. კაბინეტი შედგება პრემიერ-მინისტრისგან და მინისტრებისგან, რომლებსაც ირჩევს პრეზიდენტი. კაბინეტი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და უნდობლობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია მისი დათხოვნა.

ნორვეგია - უნიტარული სახელმწიფო, დაყოფილი 19 ადმინისტრაციულ ერთეულად (ფიულკე). მოსახლეობა-4.4 მილიონი ადამიანი (1998წ.) თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის სა-

თავეში დგას მეფის მიერ დანიშნული გუბერნატორი (ფიულკესმანი). ადმინისტრაციულ ერთეულებში (გარდა ოსლოსი და ბერგენის) მოქმედებს არჩევითი საბჭოები. მმართველობის ფორმის მიხედვით ნორვეგია არის კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქია.

ქვეყნის უმაღლესი პირი არის მეფე. მას აქვს საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებები, ასევე ვეტოს უფლება. პარლამენტის სესიებს ხსნის მეფე და პირველ საპარლამენტო სხდომაზე გამოდის სამეფო სიტყვით. მეფე წყვეტს საგარეო პოლიტიკურ საკითხებს: დებს ან აუქმებს ხელშეკრულებებს სხვა სახელმწიფოებთან, ხვდება დიპლომატიურ წარმომადგენლებს, აქვს ომის დაწყების თუ სამშვიდობო შეთანხმების დადების უფლება.

საკანონმდებლო უფლებამოსილებას ახორციელებს ნორვეგიის პარლამენტი, სტორტინგი. მის შემადგენლობაში შედის 165 დეპუტატი, რომლებიც საყოველთაო, პროპორციული არჩევნების წესით ირჩევიან 4 წლის ვადით.

ხელისუფლება (მეფის მეთაურობით) შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისრებისგან, რომლებსაც ნიშნავს მეფე. პრემიერ-მინისტრი საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით მოსული პარტიის ლიდერია. 1884 წელს კონსტიტუციური მონარქიის დამყარების შემდეგ ნორვეგიაში მეფის ძალაუფლების დიდი ნაწილი გადავიდა სახელმწიფო საბჭოს ხელში. პრემიერ-მინისტრს შეუძლია რომელიმე მინისტრის დათხოვნა, მას გადამწყვეტი როლი აქვს სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით. ის მონაწილეობს უმაღლესი პირების დანიშვნის პროცესში. მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

ფინეთი- უნიტარული სახელმწიფო. მოსახლეობა-5.14 მილიონი (1998წ.) ქვეყანა დაყოფილია 12 გუბერნიად, რომლებსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორი.

მოქმედი კონსტიტუცია მიღებული იქნა 1999 წლის 11 ივნისს და შევიდა ძალაში 2000 წლის 1 მარტს. ფინეთი ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არის ერთპალატიანი პარლამენტი. მასში შედის 200 დეპუტატი, რომლებიც ირჩევიან 4 წლის ვადით პირდაპირი, პროპორციული არჩევნების გზით. ყოველწლიურად მთავრობა დეპუტატებს წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. უნდობლობის შემთხვევაში პარლამენტს აქვს მთავრობის დათხოვნის უფლება.

ქვეყნის სათავეში არის პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 6 წლის ვადით პირდაპირ არჩევნებში. ერთი და იგივე პიროვნებას მხოლოდ 2-ჯერ შეუძლია არჩეულ იქნას პრეზიდენტად. კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფო საბჭოსთან ერთად პრეზიდენტი ახორციელებს აღმასრულებელ უფლებამოსილებას. პრეზიდენტს შეუძლია საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა ან საგანგებო სესიის მოწვევა. ის ნიშნავს არჩევნების დღეს, ასევე ნიშნავს უმაღლეს პირებს ხელისუფლებაში და აქვს შეწყალების უფლება. პრეზიდენტი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად პასუხისმგებელია ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და წარმოადგენს შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს.

სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შედის პრემიერ-მინისტრი და მინისტრები. პრემიერ-მინისტრს ირჩევს პარლამენტი და ფორმალურად ნიშნავს პრეზიდენტი. სხვა მინისტრებს კი პრემიერ-მინისტრის შეთავაზებით ნიშნავს პრეზიდენტი. პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე პარლამენტის პარტიული წარმომადგენლები ეცნობიან მთავრობის პროგრამას.

სახელმწიფო საბჭო და ცალკეული მინისტრები პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იღებენ პარლამენტის წინაშე. თუ პარლამენტი უნდობლობას უცხადებს სახელმწიფო საბჭოს ან ცალკეულ მინისტრს, პრეზიდენტი ვალდებულია გადააყენოს ის. პრეზი-

დენტს ასევე შეუძლია რომელიმე მინისტრის დათხოვნა თუ ამის ინიციატივა პრემიერ-მინისტრისგან მოდის.

შვედეთი- უნიტარული სახელმწიფო, რომელიც დაყოფილია 24 ოკრუგად. მოსახლეობა-8.5 მილიონი (1997წ.). ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქმედებს თვითმმართველობის ორგანოები, რომლებსაც ხალხი ირჩევს 3 წლის ვადით.

მმართველობის ფორმის მიხედვით შვედეთი არის კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქია. სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, თუმცა მისი უფლებები ფორმალური ხასიათისაა. ის ძირითადად ასრულებს ცერემონიალურ მოვალეობებს. მეფე არ მონაწილეობს მთავრობის სხდომებზე, მას არა აქვს უფლება დანიშნოს ან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები, მოსამართლეები თუ უმაღლესი პირები.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანი პარლამენტია, რომელშიც შედის 349 დეპუტატი, რომლებსაც პროპორციული საარჩევნო წესით ირჩევენ 3 წლის ვადით.

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის მინისტრთა კაბინეტი. პრემიერ-მინისტრს ირჩევს პარლამენტი. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს უჭერს დეპუტატთა არანაკლებ ნახევარი. პრემიერ-მინისტრი აყალიბებს კაბინეტს. მინისტრთა კაბინეტი წყვეტს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

2. სკანდინავიური პარლამენტარიზმი, როგორც ადმინისტრაციული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ადმინისტრაციული სისტემების ძირითადი განმასხვავებელი არის მათი ფუნქციონირება პარლამენტარიზმის პირობებში.

არენდ ლაიპხარტმა ჩაატარა დემოკრატიული სისტემების შედარებითი ანალიზი და დაასკვნა, რომ საპარლამენტო სისტემე-

ბი, რომლებიც დამყარებულია პროპორციულ წარმომადგენლობა-ზე უფრო ქმედითუნარიანია.

ჩრდილოეთ ევროპაში არის 5 ერთპალატიანი პარლამენ-ტი. (ფოლკეტინგი-დანიაში, ალტინგი-ისლანდიაში, სტორტინგი-ნორვეგიაში, რიკსდაგი-შვედეთში და ასევე ფინეთის პარლამენ-ტი). პარლამენტარიზმი ადგენს მთავრობის ან ცალკეული მინის-ტრის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე.

თანამედროვე პოლიტოლოგები და სახელმწიფო მართვის სპეციალისტები სკანდინავიური ქვეყნების პარლამენტსა და ხე-ლისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრი-სას, გამოყოფენ 5 უფლებამოსილებას.

მთავრობის ჩამოყალიბება საპარლამენტო უმრავლე-სობის სურვილის გათვალისწინებით. ამის კარგი მაგალითია, შვედეთი, სადაც პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე პარლამენტის თავმჯდომარესა და პარტიების ლიდერებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები და ასევე პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილ მთავრობის კანდიდატებს ამტკიცებს პარლამენტი.

მთავრობის გადაყენება უნდობლობის შემთხვევაში. პარლამენტს შეუძლია მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს, მაგრამ თუ ამას უმრავლესობა არ ეთანხმება, მიმდინარეობს სა-პარლამენტო ფრაქციებს შორის მოლაპარაკებები სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით. კაბინეტის შეცვლა ყოველთვის არ ნიშ-ნავს სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მხრივ ცვლილებებს.

იმპიჩმენტის პროცედურა მთავრობის ცალკეული წევ-რის მიმართ. დანიის კონსტიტუცია ითვალისწინებს მთავრობის იურიდიულ პასუხისმგებლობას (იმპიჩმენტის ფორმით) პარლამენ-ტის წინაშე, თუკი ადგილი აქვს არასწორ მართვას. სკანდინავიური ქვეყნების ახლანდელი კონსტიტუცია განსაზღვრავს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე.

მთავრობის საქმიანობის კონტროლი: ნორვეგიის პარლამენტი საკონსტიტუციო და კონტროლის კომიტეტს ავალებს სამთავრობო პროტოკოლებსა და სხვა დოკუმენტებს გაეცნოს, ასევე პარლამენტის რევიზორთა შენიშვნებს მთავრობის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით, პარლამენტში ცალკეული პირების მიერ შეტანილ განცხადებებს უკანონო ადმინისტრაციულ ქმედებებთან დაკავშირებით და ა.შ.

მთავრობის განსაზღვრულ მოქმედებებზე თანხმობის მიცემა. როგორც წესი, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში მთავრობას არ შეუძლია დამოუკიდებლად, პარლამენტთან კონსულტაციისა და თანხმობის გარეშე გადაწყვეტილება მიიღოს საგარეო საქმეთა სფეროში, თავდაცვის მხრივ, ასევე საბიუჯეტო სახსრების განაწილების დროს.

მე-20 საუკუნის შუა ხანებში ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ცნობილი მკვლევარის, მ.ა. მოგუნოვას აზრით ჩამოყალიბდა პარლამენტარიზმის ყველა აუცილებელი პრინციპი: სახელმწიფო მართვის მექანიზმებში პარლამენტის წამყვანი როლი, მთავრობის ჩამოყალიბება პარლამენტის თანხმობით, მისი ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე, სახელმწიფოს ძირითადი პრეროგატივების საკანონმდებლო ორგანოსთვის გადაცემა და მხოლოდ აღმასრულებელი უფლებამოსილების დატოვება მთავრობისთვის.

3. სკანდინავიური კორპორატივიზმი და ადმინისტრაციული სისტემა.

სკანდინავიური კორპორატივიზმი წარმოადგენს დაინტერესებული ჯგუფებისგან შემდგარ კორპორაციებს, რომლებიც თავიანთ ინტერესებს გამოხატავენ აღმასრულებელი ორგანოების ინსტიტუციონალური სისტემის გზით. ფორმალურად კორპორაციებს არ აქვთ ძალაუფლება, რადგანაც ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა, თუმცა ნებისმიერი კორპორაციის მიზანია სახელმწიფომ მისი ინტერესები გაითვალისწინოს, რასაც კორპორაციები ერთობლივი ძალისხმევით ახერხებენ.

კორპორაციულ ორგანიზაციებს მიეკუთვნება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული კავშირები, ხელოვნებისა და ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენელთა ასოციაციები და კლუბები, როგორებიც არიან: იურისტები, ეკონომისტები, ჟურნალისტები, ექიმები, ფერმერული ორგანიზაციები, სპორტული კლუბები, ეკოლოგიური, ქალთა გაერთიანებები. კორპორაციების ადმინისტრაციული რესურსები განსაზღვრავს სახელმწიფო აპარატზე მათ გავლენას.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შედეგად ადმინისტრაციულ სისტემაში შეიქმნა განყოფილებები, რომლებიც მოქალაქეთა ინტერესებს გამოხატავენ. (მაგალითად მომხსენებელთა ინსტიტუტი).

საკანონმდებლო დონეზე საზოგადოებრივ გაერთიანებებს მიეცა გარკვეული უფლებები. ასე მაგალითად, 1967 წლის 10 თებერვალს ნორვეგიაში ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც სახელმწიფომ გადაწყვეტილებების მიღებამდე უნდა გამართოს საკონსულატაციო შეხვედრები დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით.

კორპორაციების სახელმწიფოზე გავლენის მნიშვნელოვანი ფორმებია: საზოგადოებრივი გამოძიებები, მოხსენებები, კორპორაციების თავმჯდომარეებისა და სახელმწიფო მოხელეების შეხვედრები. ექსპერტები ამზადებენ მოხსენებებს კორპორაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, რომელთა შესახებაც ინფორმაცია წინასწარ ვრცელდება. მთავრობამ პარლამენტისგან შეიძლება მიიღოს უნდობლობა თუ საზოგადოებრივი კვლევები აჩვენებს უკმაყოფილებას მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

4. ადმინისტრაციული სისტემის პოლიტიკურ-კულტურული მხარე

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში საერთო ინტერესი განიხილება, როგორც სხვადასხვა სუბიექტების ინტერესთა ბალანსი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ ინტერესთა რეალიზაცია. ა.

ლინდბეკმა, ეკონომისტმა და ეკონომიკის სფეროში ნობელის პრემიის კომისიის თავმჯდომარემ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოებრივ სტრუქტურებში შემდეგნაირად დაახასიათა:

1) ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარება;

2) შემოსავლების გადანაწილება;

3) ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება;

4) საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს შექმნის მიზნით შესაბამისი ზომების გატარება.

სკანდინავიური კორპორატივიზმის პოლიტიკური კულტურის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს:

- რაციონალიზმი და პრაგმატიზმი;
- ნორმებისადმი ერთგულება;
- სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის კომპრომისული გზების ძიება;
- სოციალურ-დემოკრატიული ფასეულობებისადმი ტრადიციული ორიენტირება.

5. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ადმინისტრაციული სისტემების სტრუქტურა.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ადმინისტრაციულ სისტემებში არსებობს ადმინისტრაციული მართვის 3 დონე:

1-ცენტრალური (ნაციონალური) სახელმწიფო მართვა;

2-რეგიონალური მმართველობა;

3-მუნიციპალური მართვა

ფორმალურად დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, თუმცა აღმასრულებელ უფლებამოსილებას ძირითადად ახორციელებს მთავრობა.

მთავრობის სხდომებზე დაინტერესებულ პირებთან ერთად კონსულტაციების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების ფორმალური მიღება ხდება. სხდომებს ხელმძღვანელობს პრემი-

ერ-მინისტრი. ფინეთი და ისლანდია ნახევრადსაპრეზიდენტო რეს-პუბლიკებია, სადაც პრეზიდენტები მინისტრებთან ერთად ახორ-ციელებენ აღმასრულებელ უფლებამოსილებას და ანგარიშვალდე-ბული არიან პარლამენტის წინაშე.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია უნიტარული ადმინისტრაციული სისტემა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებული დეცენტრა-ლიზაციის შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო-ებმა მიიღეს უფრო ფართო უფლებამოსილება. კანონმდებლობის თანახმად, კომუნებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საკითხები, რომლებიც უშუალოდ მათ კომპეტენციაში შედის. (და-ნიაში ეს კანონი მიიღეს 1984 წელს, ნორვეგიაში-1992წ., შვედეთში-1977წ., ფინეთში კი-1995წ.). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლს ასევე ამყარებს მათი ეკონომიკური დამოუკი-დებლობა, რომლებსაც სახელმწიფო სუბსიდიებით ეხმარება.

6. სკანდინავიური ბიუროკრატიის განმასხვავებელი ნიშნები.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ბიუროკრატია წარმოად-გენს სხვადასხვა ორგანოების იერარქიას, რომლებიც ასრულებენ ხალხის ნება-სურვილს. ბიუროკრატია არის ინსტიტუტი, რომლის გარეშე არ ხდება გადაწყვეტილების მიღება. არსებული პრინციპე-ბის თანახმად ბიუროკრატი ნეიტრალური უნდა იყოს თავისი მო-ვალეობების შესრულებისას, თუმცა ბოლო ხანებში ბიუროკრატე-ბი სულ უფრო ცდილობენ ჩაერთონ აქტიურ პოლიტიკაში.

დანიასა და შვედეთში სამინისრტოს ხელმძღვანელის შეცვლა აუცილებლად არ მოასწავებს საკადრო ცვლილებებს, რადგანაც პროფესიონალი ბიუროკრატები შეუცვლელები არიან და პოლიტიკური პროცესი ლოიალურობის გამო ჩვეულებრივად გრძელდება.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ად-მინისტრაციული სისტემები

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ადმინისტრაციული მართვის სისტემებზე გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა. მანამდე ყველა ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური და სახელმწიფო მართვის ერთგვაროვანი საბჭოური მოდელი, რომელიც დამყარებული იყო შემდეგ პრინციპებზე:

- სახელმწიფო მართვის სისტემის ერთიანობა;
- ცენტრალური მმართველობა;
- მმართველი კომუნისტური პარტიის წამყვანი როლი;

ამიტომაც, მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური და ადმინისტრაციული მართვის მხრივ რეფორმებს საერთო პრინციპები და მიმართულებები ჰქონდა.

აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს და აქვს უნიტარული მართვის სისტემისთვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა ცალკეულ სახელმწიფოებს შორის არსებობს გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც უკავშირდება, როგორც ისტორიულ, ისე პოლიტიკურ მოვლენებს.

1989-1990 წლებში ინტენსიური ცვლილებები დაიწყო სახელმწიფო ორგანოებში. ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში პოსტსოციალურ სახელმწიფოებში დაიწყო ადმინისტრაციული სისტემების რეფორმაციის მხრივ პირველი ნაბიჯები. 1990-1992 წლებში მიღებული იქნა კანონები, რომლებიც გამოხატავდა სახელმწიფო მართვის ახალ დემოკრატიულ კონცეფციას, ამყარებდა პოლიტიკურ სისტემაში ცვლილებებს და ადმინისტრაციული რეფორმებისთვის ქმნიდა საკანონმდებლო ბაზას.

რეფორმების შედეგად დაინგრა კომუნისტური სახელმწიფოს 3 მთავარი მონოპოლია:

- ერთი პარტიის პოლიტიკური მონოპოლია;

- სახელმწიფო ძალაუფლების უნიტარობის პრინციპი;
- საერთო სახელმწიფო საკუთრების პრინციპი

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აღმასრულებელი ძალაუფლების გადანაწილება

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დღეისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს ძალაუფლების გადანაწილების პრინციპი წარმოადგენს. ეს პრინციპი მოიცავს ფუნქციონალურ და ორგანიზაციულ ასპექტებს.

ფუნქციონალური ასპექტი ნიშნავს ძალაუფლების ჰორიზონტალურ გადანაწილებას ანუ მართვის ერთ დონეზე თითოეული ორგანოს კომპეტენციების მკაცრი განსაზღვრა და ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ორგანიზაციული ასპექტი კი ნიშნავს ძალაუფლების ვერტიკალურ გადანაწილებას ანუ სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებზე ანალოგიურ ორგანოებს შორის ურთიერთქმედების ნორმებს.

ფუნქციონალური ასპექტი გამოიხატება სახელმწიფო ძალაუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ძალებად დაყოფაში.

ორგანიზაციული ასპექტი კი გამოიხატება ერთი მხრივ ეროვნულ, ლოკალურ და ადგილობრივ დონეზე ფუნქციების დიფერენციაციით, ხოლო მეორე მხრივ, თუ ვის აქვს მთავარი პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყანაში. მთავარი სუბიექტი შეიძლება იყოს პარლამენტი ან პრეზიდენტი. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საპარლამენტო რესპუბლიკასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში-საპრეზიდენტო რესპუბლიკასთან. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ძირითადად ჩამოყალიბდა საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო სისტემები.

ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის თანახმად, პრეზიდენტი არის ხალხის მიერ არჩეული მეთაური და აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები. მთავრობის ხელმძღვანელი არის პრემიერ-მინისტრი, თუმცა პრეზიდენტს შეუძლია მნიშვნელოვანი

გავლენა მოახდინოს მთავრობის მუშაობაზე. პრეზიდენტს აქვს შემდეგი უფლებამოსილებები:

● მთავრობის სხდომებს გაუწიოს თავმჯდომარეობა (პოლონეთი);

● მისცეს მთავრობას რეკომენდაცია გადახედოს ამა თუ იმ საკითხს (ჩეხეთი);

● ვეტოს გამოყენების უფლება პარლამენტის მიღებული კანონების წინააღმდეგ, რომლებსაც მთავრობაც უჭერს მხარს;

● განსაზღვრულ სიტუაციაში პარლამენტის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის უფლება.

პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის და არა პრეზიდენტის წინაშე. მთავრობის გადაყენება შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში პრეზიდენტს შეუძლია პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, რომელიც აყალიბებს მთავრობას.

საპარლამენტო სისტემაში პრეზიდენტის უფლებამოსილება კიდევ უფრო შეზღუდულია:

● პრეზიდენტს ირჩევს ან პარლამენტი ან ირჩევენ საყოველთაო არჩევნებზე;

● იგი წარმოადგენს სახელმწიფოსა და კონსტიტუციის გარანტს.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის უმეტეს ქვეყნებში მთავრობის ჩამოყალიბებაზე საპარლამენტო ფაქტორები მოქმედებს, რაც ბევრი მკვლევარის აზრით, სახელმწიფო მართვის სისტემის დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტია. პარლამენტი აკონტროლებს მთავრობის მოქმედებას.

1991 წელს მიღებული კანონის თანახმად, ბულგარეთში პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის და დროებითი მთავრობის დანიშვნის უფლება თუ დეპუტატები 3-ჯერ უშედეგო

მცდელობის შემდეგ ვერ დაასახელებენ მთავრობის მეთაურს. უნგრეთში კი ეს უფლება პრეზიდენტმა შეიძლება გამოიყენოს თუ 40 დღის განმავლობაში დეპუტატები ვერ შეთანხმდებიან მთავრობის მეთაურის პოსტზე კანდიდატურასთან დაკავშირებით.

ჩეხეთსა და სლოვაკეთში კი სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა თუ ის ზედიზედ 3-ჯერ არ დაუჭერს მხარს სამთავრობო პროგრამას.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საკანონმდებლო ორგანოს როლის ზრდა მნიშვნელოვანია დემოკრატიზაციის პროცესში. რეფორმების შედეგად პარლამენტს შეუძლია მეტი კონტროლი განახორციელოს აღმასრულებელ ორგანოებზე. დემოკრატიზაციის პროცესი ასევე აისახება ცალკეული სამინისტროების როლის და დამოუკიდებლობის ზრდაზე.

- ცალკეულ სამინისტროს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი სტრუქტურა;
- ფუნქციების ნაწილი სამინისტროს შეუძლია გადასცეს მართვის ქვედა დონეს, კერძოდ, ტერიტორიული, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

მთავრობის სტრუქტურა და ფუნქციები

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა და ფუნქციები ხშირად მსგავსია. ყველა ამ ქვეყანას აქვს ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მართვის საერთო, უნიტარული მოდელი. თუმცა ასევე არსებობს განსხვავებები, რომლებიც უკავშირდება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის უფლებამოსილების გადანაწილებას.

მთავრობა უძღვება საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პოლონეთში, სადაც პოლიტიკური მმართველობის შერეული ტიპია, მინისტრთა საბჭო 1997 წლის კონსტიტუციის თანახმად, თავის კომპეტენციაში ახორციელებს შემდეგს:

1) უზრუნველყოფს კანონების შესრულებას;
2) გამოსცემს განკარგულებებს;

3) კოორდინირებას და კონტროლს უწევს მთავრობის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას;

4) იცავს სახელმწიფო ხაზინის ინტერესებს;

5) ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;

6) ხელმძღვანელობს ბიუჯეტის შესრულებას, ასევე იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ანგარიშების დახურვის შესახებ და რეზოლუციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

7) უზრუნველყოფს სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს;

8) უზრუნველყოფს სახელმწიფოს გარე უსაფრთხოებას;

9) სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან უძღვება ურთიერთობებს;

10) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთაც სჭირდებათ რატიფიცირება და შეუძლია ხელშეკრულებების გაუქმება;

11) ხელმძღვანელობს თავდაცვის სტრუქტურას და ადგენს ჯარში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობას;

12) ადგენს სამუშაო განრიგს.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში შედის მთავრობის მეთაური, მისი მოადგილე და მინისტრები. ცალკეულ მინისტრებს ასევე ეხმარებიან მოადგილეები, რომელთა რაოდენობას მინისტრები ადგენენ.

პოლონეთში, კონსტიტუციის 147-ე მუხლის თანახმად: „მინისტრთა საბჭოში შედის საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრები. მინისტრთა საბჭოში ასევე შეიძლება შედიოდნენ ვიცე-თავმჯდომარეები და კომიტეტების თავმჯდომარეები. ”

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, გამოსცემს განკარგულებებს, უზრუნველყოფს

საბჭოს პოლიტიკის გატარებას, ზედამხედველობას უწევს თვითმმართველობის ორგანოების მუშაობას.

მინისტრთა საბჭოს წევრები პასუხისმგებელი არიან სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში. პასუხისმგებლობის საკითხი შეუძლია დააყენოს პრეზიდენტმა ან პარლამენტის დეპუტატთა 3/5-მა.

სლოვაკეთში კონსტიტუციის 109-ე მუხლის თანახმად: „მთავრობა შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მინისტრებისგან. მთავრობის წევრს იმავდროულად არ შეუძლია დაიკავოს დეპუტატის ან მოსამართლის პოსტი. ასევე ის არ შეიძლება სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდეს.“

მთავრობის თავმჯდომარეს სლოვაკეთში ნიშნავს პრეზიდენტი და შეუძლია მისი გადაყენება. მთავრობა პასუხისმგებელია სლოვაკეთის ნაციონალური საბჭოს წინაშე. ნაციონალურ საბჭოს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

ბულგარეთში მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და ორგანიზაციის შესახებ 1993 წლის 5 მარტს მიღებული კანონის თანახმად, მინისტრთა საბჭო ასრულებს აღმასრულებელ ფუნქციას. ამ ორგანოს მუშაობის ძირითადი პრინციპებია: კანონიერების დაცვა, კოლეგიალობა, იერარქიულობა და დეცენტრალიზაცია.

სამინისტროები სახელმწიფო მართვის კონკრეტულ სფეროში სპეციალიზებულ ორგანოებს წარმოადგენენ. სამინისტრო დაყოფილია უწყებებად.

სამინისტროების გარდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ცენტრალური მართვის ორგანოებში შედის: ნაციონალური კომიტეტები, სააგენტოები, ზედამხედველობის ორგანოები, კომისიები და სხვა სამსახურები.

მიუხედავად დეცენტრალიზაციისა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ადგილობრივ ორგანოებს ნაკლები ავტონომია აქვთ. ჩეხეთში ადმინისტრაციული ერთეული, ოკრუგი მოიცავს 1000 კვ. კილომეტრს და დაახლოებით 120 ათას მოსახლეს. ასევე მოქმე-

დებს 6196 სასოფლო და ქალაქის მუნიციპალიტეტი. 1997 წელს ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული დისკუსიის შედეგად, ჩეხეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება შემოეღო ადგილობრივი თვითმმართველობის 14 ოლქი. ოლქების გარდა არსებობს რაიონები. ჩეხეთი დაყოფილია 75 რაიონად. რაიონის დონეზე მოქმედებს ასამბლეა. სულ საერთო ჯამში ქვეყნის ტერიტორიაზე 4000-ზე მეტი ადგილობრივი მართვის ორგანოა, ძველად მათი რიცხვი 5800 იყო.

ჩეხეთის ხელისუფლება ცდილობს გაზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურობა, რაც თანამედროვე მსოფლიოში საერთო ტენდენციაა.

ასე რომ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები წარმოადგენს ან თვითმმართველ ორგანოებს ან დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე. უნგრეთსა და რუმინეთში ყველა ადგილობრივი ტერიტორიული ერთეული წარმოადგენს თვითმმართველ ორგანოს. ბულგარეთსა და პოლონეთში კი მხოლოდ ცალკეულ ერთეულებს აქვთ ავტონომია. ადმინისტრაციული ერთეულები უზრუნველყოფს რეგიონალური პოლიტიკის გატარებას და ნაციონალურ და ადგილობრივ დონეზე ინტერესთა თანხვედრას.

ლექცია 13

ევროპის ეთნიკური და რელიგიური რუკა

ევროპის მოსახლეობის ნაციონალური და კონფესიური შემადგენლობა.

ევროპის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მნიშვნელოვნად ერთსახაა, რადგანაც რეგიონის ხალების უმრავლესობა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. მიუხედავად ამისა, ევროპის ეთნიკური რუქა არაერთგვაროვანია. ევროპაში არსებობს მულტინაციონალური და მონონაციონალური შემაგდენლობის ქვეყნები. თუმცა აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი კრიტერიუმები ყოველთვის არ არიან სრულყოფილები, ამიტომაც მასზე დაყრდნობა რამდენადმე ფორმალურია; მონონაციონალურ ჯგუფს მართებულად აკუთვნებენ იმ ქვეყნებს, სადაც ნაციონალურ უმცირესობათა წილი არ აჭარბებს 5%-ს, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება იყოს ბევრიც (იხ. ტაბულა 1).

ტაბულა 1 ევროპის ქვეყნები მოსახლეობის შემადგენლობა

ქვეყანა	ძირითადი ნაციონალობა	მთლიანი მოსახლეობის %	სხვა ნაციონალობა,%
ავსტრია	ავსტრიელები	98,0	სლოვენელები(0,7), სხვები (1,3)
ალბანეთი	ალბანელები	98,1	
უნგრეთი	უნგრელები	93,9	ბერძნები (1,9)
გერმანია	გერმანელები	98,3	ბოშები(2,9),გერმანელები (2,1),სლოვაკები (1,1)
საბერძნეთი	ბერძნები	95,0	
დანია	დანიელები	98,3	ლუჟიჩანები (0,7), სხვა (0,9)
ირლანდია	ირლანდიელები	97,7	თურქები (0,7), სხვა (4,3)
ისლანდია	ისლანდიელები	99,0	გერმანელები (1,7)
იტალია	იტალიები	94,0	ინგლისელები (1,4), სხვა (0,9)
ნიდერლანდები	ჰოლანდიელები	94,7	სხვები (1)
ნორვეგია	ნორვეგიელები	95,0	რეტორომანელები (0,7), სხვები (5,3)
პოლონეთი	პოლონელები	94,1	
პორტუგალია	პორტუგალიელები	99,0	ფრიზები (3,4), სხვები (1,9)
სლოვენია	სლოვენელები	93,4	საამები (2,1),სხვები (2,9)
ფინეთი	ფინელები	94,0	გერმანელები (2,8), უკრაინელები (2,1), ბელორუსები (1)
ჩეხეთი	ჩეხები	94,6	
შვედეთი	შვედები	95,5	ესპანელები (0,7),სხვები (0,3)
			ხორვატები (2,8), სერბები (2,4), ეთნიკური მუსულმანები (1,4)
			შვედები (6)
			სლოვაკები (3,6), სხვები (1,8)
			ფინელები (1,5),სხვები (3)

ტაბულიდან ჩანს, რომ მონონაციონალურ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ 17 სახელმწიფო, თუ არ ჩავთვლით მიკროსახელმწიფოებს. ისლანდია და პორტუგალიც შეიძლება მატ რიცხვში შევიყვანოთ.

რეგიონის კიდევ 10 ქვეყანა შეიძლება მივაკუთვნოთ არ-ცთუ მრავალნაციონალურ სახელმწიფოტა ჯგუფს, მაგრამ ნაციონალური უმცირესობების მნიშვნელოვანი წილით არის მათში წარმოდგენილი (ნახეთ ტაბულა 2).

ამასთან ერთად ევროპაში არის ქვეყნები, რომელბშიც ორი დომინატე ნაციაა წარმოდგენილი. მაგალითად ბელგია (ფლამანდიელები - 58%, ვალლონები - 31%, დანარჩენი - 11%). პირობითობის რამდენიმე ხარისხით ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ მაკედონიაც, რომლის ძირითადი მოსახლეობაც მაკედონიელები (64%) და ალბანელებია (25%), სხვა ნაციები - თურქები (4%), ბოშები (3%), სერბები (2%), სხვა დანარჩენი (2%). აგრეთვე ორნაციონალურ ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩერნოგორია (ჩერნოგორიელები 43%, სერბები 32%, ბოსნიელები 8%, ალბანელები 5%, სხვები 12%). საბოლოოდ, მრავალნაციონალური ქვეყნების რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ შვეიცარია (გერმანოშვეიცარიელები 65%, ფრანკოშვეიცარიელები 18%, იტალიელშვეიცარიელები 10%, რეტო - რომანელები 1%, სხვები 6%), ბოსნია და ჰერცოგოვინელები (ბოსნია 48%, სერბები 37,1%, ხორვატები 14,3%, სხვები 0,6 %).

ტაბულა 2 ევროპის ქვეყნები ნაციონალური უმცირესობების მნიშვნელოვანი წილით

ქვეყანა	ძირითადი ნაციონალობა	მთლიანი მოსახლეობის %	სხვა ნაციონალობა,%

ბულგარეთი დიდი ბრიტანე- თი ესპანეთი ლატვია ლიტვა რუმინეთი სლოვაკეთი საფრანგეთი ხორვატი ესტონეთი	ბულგარელები ინგლისელები ესპანელები ლატვიელები ლიტველები რუმინელები სლოვაკები ფრანგები ხორვატები ესტონელები	86,2 80,0 74,5 54,7 84,3 90,8 86,5 85,8 86,0 63,7	თურქები (8,5), მაკედონიელები (2,7),ბოშები (2,6) შოტლანდიელები (9,6), სხვები (10,4) კატალონიელები (18), გალისი-ელები (6), ბასკები (1,5) რუსები (3,4), ბელორუსები (4,4), უკრაინელები (3,4), პო-ლონელები (2,2), ლიტველები (1,3) პოლონელები (7), რუსები (6), ბელორუსები (1,6), უკრაინელე-ბი (1,1) უნგრელები (7,8), გერმანელები (1,4) უნგრელები (10,9), ბოშები (1,4), ჩეხები (1,2) ელზასები (2,7), სხვები (11,5) სერბები (6), სხვები (8) რუსები (30,3), უკრაინელები (3,1), ბელორუსები (1,8), ფინე-ლები (1,1)

ქრისტიანული რელიგია ევროპაში შეიჭრა აღმოცენებისთა-ნავე. თუმცა პირველ ხანებში ამ რელიგიის გავლენა არ იყო დი-დი მასშტაბის, მისი გავრცელების არეალი იყო ხმელთაშუაზღვის რაიონი. ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ქრისტიანობა მოგვია-ნებით გავრცელდა, ევროპის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში კი მხოლოდ - მე-8-მე-12 საუკუნეებში. მე-11 საუკუნეში ქრისტიანო-ბის გაიყო ორ დასავლეთის/კათოლიკური და აღმოსავლე-თის/მართლმადიდებელი ნაწილად. მათგან სამხრეთ-დასავლე-თის, დასავლეთის, ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპა მოექცა რომის, ხოლო ევროპის აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლე-თი კონსტანტინეპოლის ეკლესიის გავლენაში.

მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაში გატარებულმა რეფორმატორულმა მოძრაობამ კიდევ უფრო გამოკვეთა მსოფლიოს ამ ნაწილის რელიგიური სურათი:კათოლიკებთან და მართლმადიდებლებთან ერთად გამოჩნდნენ პროტესტანტებიც. პროტესტანტიზმი განმტკიცდა ცენტრალური და დასავლეთი ევროპის რიგ რაიონებში, აგრეთვე სრულად ევროპის ჩრდილოეთში.

ამ პერიოდიდან ევროპის ნაირგვარი რელიგიური მიმართულებების გეოგრაფიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. პროტესტანტები მრავლად არიან ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების (ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ფარერის კუნძულები, ისლანდია) მორწმუნეთა შორის, აგრეთვე დასავლეთი და ცენტრალური ევროპის (დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთი ილანდია, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა)კონკრეტულ ქვეყნებში. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა დასავლეთი და ცენტალური ევროპის ქვეყნები - ნიდერლანდები, გერმანია, შვეიცარია პროტესტანტიზმს სხვადასხვა ფორმით აღიარებს მორწმუნეთა ნახევარი.

სამხრეთ- აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, მალტა), აგრეთვე დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში (ირლანდია, საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი), ცენტალური (ავსტრია) და აღმოსავლეთი ევროპის (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი) მორწმუნეთა უმრავლესობა - კათოლიკეები არიან. კათოლიკეები ქმნიან მორწმუნე მოსახლეობის ნახევარს აგრეთვე გერმანიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში.

მართლმადიდებლები მრავლად არიან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მორწმუნეთა შორის (რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი). იუგოსლავიაში მართლმადიდებელთა შორის მრავლად არიან კათოლიკეები და მუსულმანები.

ისლამი ევროპაში შედარებით ვიწროდაა განვითარებული. მხოლოდ ალბანეთში ამ რელიგიას აღიარებს მორწმუნეთა დიდი ნაწილი.

უკვე დიდი ხანია ევროპა ერთერთი მსოფლიო ცენტრია თავისუფალი აზრისა და ათეიზმისა. ათეისტური იდეები ფართოდ გავრცელდა დიდი ფრანგული რევოლუციის დროიდან. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ძირეული სოციალური გარდაქმნების შემდეგ მნიშვნელოვნად შეირყა რელიგიის საწყისები. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც ემიჯნება რელიგიას. ათეიზმის ზრდას შეიძლება დავაკვირდეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიყოფა თავისუფალი აზრის ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ქვეყნები - საფრანგეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი (ნახეთ დანართი).

დაუდასტურებლად შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ნაციონალური ურთიერთწინააღმდეგობა ერთნაციონალურ ქვეყნებში არ უნდა გამოიხატოს მწვავედ. ძირითადად ასეცაა, თუმცა სეპარატიზმის ცალკეული გამოვლინებები (ნაწილობრივ ნაციონალურ საფუძველზეც) შესაძლებელია მათშიც.

ამგვარ მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ფარერის კუნძულების არაერთი მცდელობა, რომლებიც სარგებლობენ ფართო ავტონომიით გამოყოფოდნენ დანიას, ან პადანიის რესპუბლიკის შექმნის იდეა ჩრდილოეთ იტალიაში.

ნაციონალური უმცირესობების დიდი წილის მქონე ქვეყნების ჯგუფში ნაციონალური ურთიერთობები გამოირჩევა, როგორც წესი დიდი სირთულით. ეს შეიძლება ვაჩვენოთ ისეთი ქვეყნების მაგალითებზე, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და საფრანგეთი.

დიდ ბრიტანეთში უმთავრესი ნაციონალური პრობლემები დაკავშირებულია შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიასთან (ოლსტერთან).

ინგლისსა და შოტლანდიას შორის დავა გრძელდება უკვე არა ერთ ასწლეულს. მე-18 საუკუნის დასაწყისში ინგლისის სამხედრო და ეკონომიკური ზეწოლით შოტლანდიის პარლამენტი

დათანხმდა უნიის დადებაზე მასთან, რაც პრაქტიკულად აღნიშნავდა ამ ისტორიული ოლქის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას: პარლამენტი იქნა დათხოვნილი და დარჩა ავტონომიის მხოლოდ მცირე ელემენტები. ამის შემდეგ შოტლანდიაში არსებობს დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა, რომელსაც უკანასკნელ პერიოდში არნახული წარმატებები ხვდა წილად. 1997 წელს შოტლანდიაში ჩატარებული იქნა რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის 3/4 გამოთქვა სურვილი პარლამენტის აღდგენისა. ამგვარად, 300 წლის შემდეგ ის იქნა აღორძინებული. სამართალს, ეკონომიკურ საქმეებს, საგარეო პოლიტიკას, თავდაცვას, მთლიანად დიდი ბრიტანეთის პარლამენტი აკანონებს, ასე რომ შოტლანდიის პარლამენტს რჩება მხოლოდ სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა, პოლიცია, ტურიზმი და სპორტი; მაგრამ ამანაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პოლიტიკური სიტუაცია. შეიძლება დავამატოთ, რომ რეფორმა შოტლანდიაში გატარებული იქნა ინგლისის ხელისუფლების სათავეში მყოფი ლეიბორისტების პოლიტიკასთან შეთავსებით, რომელსაც უწოდებენ პოლიტიკურ დევოლუციას, ე.ი. ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციის გადაცემას ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე. (სხვათა შორის საკუთარი პარლამენტი დაფუძნებული იქნა ნაციონალური თავისებურებების მქონე ქვეყნის სხვა ისტორიულ ოლქშიც - უელსში). თუმცა მეტნაკლებად რადიკალური შოტლანდიელი ნაციონალისტები ძველებურად გამოდიან ინგლისიდან მთლიან გამოყოფაზე და დამოუკუდებელ სახელმწიფოს შექმნაზე.

ჩრიდილოეთ ირლანდიაში არსებული სიტუაცია გამოირჩევაკიდევ უფრო დიდი სიმწვავითა და კონფლიქტურობით. ამ კონფლიქტის წინა ისტორია თავისი საფუძვლებით მიდის ადრეული ახალი დროის ეპოქაში.

ოლსტერის (ჩრდილოეთი ირლანდია) ძირეული მოსახლეობა - ირლანდიელებია. მაგრამ მე-17-მე-18 საუკუნეებში ამ რეგიონის ინგლისური ხელისუფლების კოლონიზაციისას აქ გადმოსახლე-

ბულნი იყვნენ ინგლისელი და შოტლანდიელი მოქალაქეები, რომ-ლებმაც დაიჭირეს არა მარტო საუკეთესო მიწები, არამედ წამყვა-ნი პოზიციებიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ადგი-ლობრივი მოსახლეობა მოხვდა არენდატორებისა და უმიწაწყლო ღატაკების პოზიციაში, მათ აღარ ჰქონდათ პოლიტიკური უფლე-ბები. ასეთი ნაციონალური და სოციალური ფენების გაჩენა გაღ-რმავდა რელიგიური განსხვავებულობითაც. ძირეული ირლანდიე-ლი მოსახლეობა მისდევდა კათოლიციზმს, მაშინ როდესაც ინ-გლისიდან და შოტლანდიიდან გადმოსულები მიჯაჭვულები იყ-ვნენ ინგლისურ და პრესვიტერიანისტულ (პროტესრტანტული) ეკ-ლესიებზე. რელიგიური სიჭრელე კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუა-ციას, აქცევს რა ოლსტერს სოციალურ-ეკონომიკური, ნაციონა-ლური და რელიგიური დაპირისპირებების რთულ კვანძად.

მას შემდეგ, რაც 1949 წელს ირლანდიის ძირითადი ნაწილი გამოვიდა საბოლოოდ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან, გახ-და არა დომინიონი, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფო ირ-ლანდიელი კათოლიკეების ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ჩრდილოეთ ირლანდიის მიერთებაზე ირლანდიის რესპუბლიკას-თან. ამასთანავე ბრძოლა მიდიოდა არა მარტო პოლიტიკური მე-თოდებით, არამედ შეიარაღებული დაპირისპირების ფორმით ინ-გლისელებთან, რომელსაც ახორციელებს სამხედრო დაჯგუფება სახელწოდებით ირლანდიის რესპუბლიკური არმია (ირა). მისი ტე-რორისტული აქტების შედეგად დაიღუპა ათასობით ადამიანი, ხო-ლო ინგლისის ხელისუფლება იძულებული იყო შეეყვანა ოლსტე-რის ტერიტორიაზე თავისი ჯარები. მხოლოდ 1998 წელს მთავრო-ბამ მოახერხა შეთანხმების მიღწევა ოლსტერელ ნაციონალებთან, რომელიც მისაღები გახდა ოლსტერში გამართული რეფერენდუ-მის შედეგად. ამის შემდეგ ლონდონის პირდაპირი მმართველობა ირლანდიაში, რომელიც მეოთხედი საუკინის წინათ იქნა შემოღე-ბული საბოლოოდ გაუქმებული იქნა. აგრეთვე აღდგენილი იქნა ოლსტერის ხელისუფლება. ირლანდიის რესპუბლიკამ ამოიღო კა-

ნონთა კრებულიდან სტატია, სადაც ჩრდილოეთი საგრაფო განხილული იყო როგორც ამ ქვეყნის განუყოფელი ნაწილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოლსტერში აღსდგა ავტონომია, მაგრამ ,,ირას'' ყველა ბოევიკის განიარაღება დღეს არ დასრულებულა და ახალი ნაციონალური წინააღმდეგობის გამძაფრება სრულიად არ ამოწურულა.

ესპანეთში ნაციონალური პრობლემა მას შემდეგ წარმოიშვა, როცა კატალონიელებმა, გალისიელებმა და ბასკებმა დაკარგეს რამდენიმე ადმინისტრაციული, ფინანსური და სამართლებლივი უფლებები, რომლებითაც ისინი ადრე სარგებლობდნენ, ძალისმიერად ემორჩილებოდნენ მადრიდის ხელისფუფლებას. ფრანკოს მმართველობისას მთელი 40 წლის განმავლობაში მათ მიერ ნაციონალური გრძნობების ნებისმიერი გამოვლენა მკაცრად იდევნებოდა. აკრძალული იყო კატალონიისა და ბასკეთის დროშის გამოფენა, ნაციონალურ ენაზე საუბარი და ნაციონალური ცეკვების შესრულებაც კი. ნაციონალური პრობლემა გამოაცხადეს არაარსებულად. მაგრამ ის არსებობდა და ფრანკოს რეჟიმის დასრულების შემდეგ ესპანეთმა განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მის გადასაჭრელად. 1978 წელს მიღებული იქნა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ნაციონალურ საკითხს დიდი ყურადღება ენიჭებოდა. აჟღერებდა რა ერთიანობასა და განუყოფლობას ესპანური ნაციის, ამასთანავე აღიარებდა ნაციონალურ ავტონომიებისა და რეგიონების სამართლებრივ უფლებებსაც. ამ პრინციპების შეთანხმების შედეგად 1983 წელს ქვეყანაში შეიქმნა 17 ავტონომიური რაიონი კატალონიასთან, გალიციასთან და ბასკეთის ქვეყანასთან ერთად. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა არსებული დაპირისპირება საერთონაციონალურ ურთიერთობებში. თუმცა კატალონიასა და ბასკების ქვეყანაში იგი ისევ რჩება.

კატალონიაში, როგორც ქვეყნის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ნაწილში, რომელშიც შემონახულია თავიანთი ნა-

ციონალური ენაც კი, სეპარატისტულ ტენდენციებს ძველებურად გააჩნიათ დიდი ძალა. ამასთანავე ზოგიერთი პარტია მზად არის შემოიფარგლოს უფრო ფართო ავტონომიით, ხოლო სხვები კი მოითხოვენ ესპანეთისაგან მთლიან გამოყოფას.

ესპანეთის საერთონაციონალურ ურთიერთობებში მტკივნეულ წერტილად რჩება ბასკების ქვეყანა, რომელსაც უჭირავს 17,5 ათასი კმ2, 2,5 მილიონი მოსახლე ადამიანით, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. აქ ნაციონალისტური პარტიების უმრავლესობა მოითხოვს ხელისუფლებისაგან უფრო ფართო ავტონომიას და თუკი აღწევენ მთლიან დამოუკიდებლობას, ამას ახერხებენ პარლამენტში ბრძოლის მეთოდებით. მაგრამ უკიდურესი ნაციონალისტები და სეპარატისტები მოითხოვენ საკუთარი სახელმწიფოს შექმნას ეუსკადის სახელწოდებით (ეუსკადი - ბასკების თვითშერქმეული სახელია), ამავდროულად, არა მარტო ესპანეთის ჩრდილოეთი პროვინციის შემადგენლობაში, არამედ საფრანგეთის საზღვრისპირა ტერიტორიებზეც, რომელთა გამოყოფაც მოხდა ადრეულ შუასაუკუნეებში. მთავარ შეიარაღებულ ძალად ბასკეთის სეპარატისტებში გამოდის ორგანიზაცია სახელწოდებით ეტა (ეუსკადი ანუ ასკატა-სუნა, რაც ნიშნავს ,,ეუსკადი და თავისუფლება''), რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ ფრანკოს მმართველობისაც და წარმოადგენს ბასკეთის ერთერთი მეტნაკლებად რადიკალური ნაციონალისტური პარტიის შეიარაღებულ ფრთას. ,,ეტა'' ბევრჯერ აცხადებდა ტერორისტული აქტის შეწყვეტის შესახებ და ბევრჯერ ნახულობდა მისი განახლების მიზეზებსაც. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ დღეს ბასკების ქვეყანაში სუფევს პოლიტიკური სიჩუმე, ის ისევ რჩება საზღვარგარეთის ევროპის ერთერთ მთავარ ,,ცხელ წერტილად''.

საფრანგეთიც ასევე მიეკუთვნება ნაციონალური უმცირესობების მქონე ქვეყანათა ჯგუფს. ფრანგები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის 86%-ს, მაშინ როდესაც დანარჩენი მოდის სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე. ისინი ძირეული ფრანგებისაგან განსხვავდები-

ან კულტურულ-ენობრივი ურთიერთობებით და განსახლებულნი არიან ქვეყნის შემოგარენში. ესენი არიან ელზასები ჩრდილო-დასავლეთში და მოსაუბრენი ზემოგერმანულ დიალექტზე, ბრეტონები ჩრდილო-დასავლეთში, რომელთა ენაც მიეკუთვნება კელტურ ჯგუფს და ენათესავება უელსებსა და ირლანდიელებს, კორსიკელები კუნძულ კორსიკაზე, მოსაუბრენი იტალიური ენის დიალექტზე, ფლამანდიელები ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში, რომლებიც იყენებენ ჰოლანდიურთან ახლოს მდგომ - ფლამანდიურ ენას. გარდა ამისა პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები კატალონიელები და ბასკები. ყველა ეს ხალხები ფაქტიურად ორენოვანია. მშობლიური ენის შენარჩუნებასთან ერთად ისინი ფართოდ გამოიყენებენ ფრანგულსაც, რომელზეც ხდება სწავლება და საქმიანი და კულტურული ურთიერთობა. საფრანგეთშიც, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ბოლო ხანებში გამწვავდა ნაციონალური თვითშეგნება ეთნიკური უმცირესობების, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ტრადიციული კულტურის შენარჩუნებისათვის. სეპარატისტული მოძრაობა მეტნაკლებად ძლიერია კორსიკაზე, რომელსაც საფრანგეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით 2001 წელს მიეცა ვიწრო ავტონომია.

ამ ჯგუფის სხვა ქვეყნებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ რუმინეთი, სადაც ავტონომიის აღდგენას უკვე აღწევენ უნგრელები, რომლებიც კომპქტურად ცხოვრობენ ტრანსილვანიაში, ხორვატიაში, სადაც მნიშვნელოვანი დაპირისპირება ჰყოფს ხორვატებსა და სერბებს. განყენებულად დგანან ბალტიის ქვეყნები, სადაც მეტნაკლებად მწვავე პრობლემაა რუსულენოვანი მოსახლეობის პოლიტიკური და სხვა უფლებების შენარჩუნება.

ევროპის ორენოვანი ქვეყნის მაგალითია ბელგია, სადაც ნაციონალური ურთიერთობები რთულ პრობლემად იქცა ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის 1830 წლიდან. ბელგიის სახელმწიფო დროშაზე ამოტვიფრულია დევიზი: ,,ძალების ერთიანობა“. მაგრამ ამ ერთიანობის მიღწევა არ მოხერხდა მრავალი ათწლეუ-

ლების მანძილზე. საქმე იმაშია, რომ ბელგია ორენოვანი და ორნაციონალური ქვეყანაა, ფლამანდიელებითა და ვალლონებით დასახლებული; გარდა ამისა ქვეყნის აღმოსავლეთით მოსახლეობის ნაწილი საუბრობს ინგლისურად. ფლამანდიელები ცხოვრობენ ქვეყნის ჩრდილოეთში, ფლანდრიაში. მათი ენა ახლოსაა იმ ენასთან, რომელზეც საუბრობენ მეზობელ ნიდერლანდებში. ვალონები ცხოვრობენ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ვალონიაში, მათი მშობლიური ენაა ფრანგული. მაგრამ ბელგიაში დიდი ხნის მანძილზე არსებობდა ენობრივი უთანასწორობა, რომელიც აისახა მის ორ ნაწილს შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვაობაში.

მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე და მე - 20 საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის ეკონომიკურ ბირთვს ვალონია წარმოადგენდა. აქ მოიპოვებდნენ ნახშირს, ადნობდნენ მეტალს, ჰყვაოდა ვარობა და ხელოსნობა, მდიდრდებოდა და იზრდებოდა ბურჟუაზია, კონცენტრირდებოდა არისტოკრატია და ჩინოვნიკები. არა მარტო სახელმწიფო, არამედ ლიტერატურულ ენად ითვლებოდა ვალონიური, რომელზეც წერდნენ ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტები და მწერლები, როგორებიც იყვნენ:შარლ დე კოსტერი, მორის მეტერლინკი, ემილ ვერხარნი. ფლანდრია ასრულებდა სოფლის მეურნეობის გამაგრძელებელი დანამატის როლს სწრაფად განვითარებული მრეწველობითი სამხრეთისათვის. მისი მოსახლეობა აღმოჩნდა კულტურული და ნაციონალური დისკრიმინაციის პირობებში. საკმარისია ითქვას, რომ ფლამანდიური ენა მიღებული იქნა მეორე სახელმწიფო ენად მხოლოდ 1898 წელს.

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნის ორივე ნაწილებმა თითქოს შეცვალეს როლები. ვალონიაში, სადაც წარმოდგენილი იყო ძირითადად ნახშირის, მეტალურგიული და მრეწველობის ძველი დარგები, დაიწყო ეკონომიკური დაცემა, რომელშც ჩათრეული იქნა ლეჟი და სხვა მსხვილი ქალაქები. ამავე დროს

ფლნდრიის პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდუსტრიის ახალი და უახლესი დარგების გზით. გაიზარდა ანტვერპენის, გენტისა და სხვა ქალაქების მნიშვნელობა. შეიძლება დავამატოთ, რომ მაღალი შობადობის წყალობით ფლამანდრიან გააუმჯობესა თავისი მოსახლეობის რაოდენობა ვალონიასთან მიმართებაში. დღეს მასში ცხოვრობს 58% მთელი მოსახლეობის, მაშინ როდესაც ვალონიაში მხოლოდ - 33%, დანარჩენი მოდის ბრაბანტის პროვინციაში ბრიუსელის დედაქალაქის შემოგარენზე. ყოველივე ამან მკვეთრად გაამწვავა წინააღმდეგობა ვალონებსა და ფლამანდიელებს შორის.

კრიზისიდან გამოსასვლელად გადაწყვეტილი იქნა გადასვლა ფედერაციულ სახელმწიფო წყობაზე, რომელიც რამდენიმე ეტაპად ჩატარდა და დასრულებული იქნა 1993 წლის დასაწყისში, როცა ბელგიის პარლამენტმა სცნო კონსტიტუციური რეფორმა. ამიერიდან ცენტრალური ხელისუფლება ინარჩუნებს კონტროლს საერთაშორისო ურთიერთობებზე, თავდაცვაზე, უსაფრთხოებაზე, საფინანსო-სავალუტო პოლიტიკაზე, მაშინ როცა ეკონომიკის, სამეცნიერო კვლევების, გარემო მყოფი ბუნებრივი შრის, განათლების, კულტურის, ჯანდაცვის, სპორტისა და ტურიზმის საკითხები გადავიდა ფლანდრიისა და ვალონიის მართვაში. ერთდროულად ფლანდრიის ოფიციალურ ენად იქცა ფლამანდიური, ვალონიაში კი -ფრანგული. რაც შეეხება ვაჭრობას, მომსახურების სფეროებს, ტრანსპორტს და ა.შ. აქ არ არის არავითარი რეგლამენტაცია და შეიძლება ვისარგებლოთ ორთავე ენით.

განსაკუთრებული სტატუსია შემოღებული ბრიუსელის რაიონისათვის, სადაც მოსახლეობის 80% საუბრობს ფრანგულად, 20% კი ფლამანდიურად. იმისათვის რომ არ მოხდეს ფლამანდიელი უმცირესობების უფლებათა შელახვა ყველა სასწავლო დაწესებულებაში გარანტირებულია ორი ენის გამოყენება. ქუჩების დასახელება, საგზაო ნიშნები, ფირნიშები კეთდება ორ ენაზე. ისინი გამოიყენება ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში.

გარდა ამისა, ქვეყნის აღმოსავლეთში გამოყოფილია პატარა რაიონი გერმანულენოვანი მოსახლეობით, რომელიც აგრეთვე მოიხმარს თანაბარ უფლებებს ფლამანდიელებისა და ფრანკოფონების (აქ ასე ეძახიან ფრანგულად მოსაუბრეებს) მსგავსად.

ბელგიაში ორშემადგენლობიანი ფედერაციის შექმნით ნაცვლად ადრინდელი უნიტარული სახელმწიფოსი, წარმოიშვა საფუძველი ურთიერთობების ნორმალიზებისათვის ფლამანდიელებსა და ფრანკოფონებს შორის. მაგრამ ამან ვერ გადაწყვიტა ამ დაძველებული კონფლიქტის ყველა პრობლემა. ამ ,,ვიწრო ადგილების'' რიგს ძველებურად მიეკუთვნება ფლამანდიელთა პოზიცია, რომელიც ეხება ბრიუსელს და ფრანკოფონების პოზიცია, რომელიც ბრიუსელის გარშემო რაიონებს (ე.წ. მოსაზღვრე) და ენობრივ საზღვარს ფედერაციის ორ ნაწილს შორის შეეხება. ზოგიერთი ფლამანდიელი პოლიტიკოსი ისევ მოითხოვს თვითგამორკვევასა და უკიდურეს შემთხვევაში ფედერაციიდან კონფედერაციაზე გადასვლას. 2008 წელს ეს კონფლიქტი ისე გამწვავდა, რომ საფრთხე შეუქმნა ბელგიის გაყოფას სამ ნაწილად.

ევროპაში **მრავალნაციონალური ქვეყნები**, როგორც უკვე აღინიშნა, არც ისე ბევრია და მათში ნაციონალური კონფლიქტებიც არაერთგვაროვანია.

ისეთი ქვეყნის მაგალითად, რომელმაც შეძლო კონფლიქტის გარეშე საკუთარი ნაციონალური პრობლემის გადაჭრა შეიძლება დასახელდეს შვეიცარია. ამ ქვეყანაში ოთხი ძირეული ერია:გერმანო-შვეიცარები (მთელი მოსახლეობის 65%), ფრანკო-შვეიცარები (18%), იტალიელ-შვეიცარიელები (10%) და რეტორომანელები (1%-მდე), კომპაქტურ ჯგუფებად მცხოვრებნი ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნაციონალურ ოლქებში. გერმანელ-შვეიცარიელები საუბრობენ ზემო გერმანულ ერთერთ დიალექტზე, ფრანკო-შვეიცარიელები -საფრანგეთის მიმდებარე რაიონების დიალექტზე, იტალიელ-შვეიცარიელები - იტალიური ენის ჩრდილოეთ დიალექტზე. რეტორომანელები -რომაელი ლეგიონერების

შთამომავლები, რომლებიც დასახლდნენ გრაუბიუნდენში კანტონის რაიონში ჯერ კიდევ ჩვენი ერის დასაწყისამდე, საუბრობენ რეტორომანულ ენებზე.

შვეიცარიის კონფედერაციის ოთხივე ენა სახელმწიფო ენადაა აღიარებული. ამ ენებზე მიმდინარეობს ყველა შვეიცარიელისათვის საერთო სახელმწიფო კანონმდებლობა და საქმისწარმოება. ქვეყნის ამ ოთხი ეთნიკური არეალისათვის ოფიციალურ - სასაუბროდ შესაბამისად მიღებულია გერმანულ-შვეიცარიული,ფრანკო-შვეიცარული, იტალიურ-შვეიცარიული და რეტორმანული ენები და დიალექტები. ისინი გამოიყენებიან აგრეთვე პრესაში, ტელერადიო მაუწყებლობაში, სასკოლო სწავლებაში. ამასთანავე ქვეყანაში განვითარება ჰპოვა ორენოვნობამ და სამენოვნობამაც. ასეთ პირობებში შვეიცარიისათვის რაიმე მწვავე საერთონაციონალური კონფლიქტი არ არის დამახასიათებელი. თუმცა ამ ქვეყანაში გამძაფრდა მოძრაობა კანტონის ფრანკოენოვანი ნაწილის ბერნის (მოსახლეობით დაახლოებით 60 ათასი ადამიანი) ავტონომიისათვის, რომელიც დასრულდა 1979 წელს რეფერენდუმის შემდეგ, ახალი იურას კანტონის შექმნით.

სულ სხვა მაგალითს წარმოადგენენ ის მრავალნაციონალური ქვეყნები, რომელიც აღმოცენდნენ ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკაში. სამხრეთსლავების ხალხების დამოუკიდებელი სახელმწიფო ევროპაში აღმოცენდა 1918 წელს. 1929 წლიდან მას ეწოდა იუგოსლავია, 1945 წლიდან ფაშისტური ოკუპაციისაგან ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ მას უწოდეს იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო 1963 წელს დასახელება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა (სფრიუ). მის შემადგენლობაში შევიდნენ მოკავშირე რესპუბლიკები სერბია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, მაკედონია და ჩერნოგორია). გარდა ამისა სერბიის შემადგენლობაში გამოყოფილი იქნა ორი ავტონომიური

ოლქი - ვოევოდინა (უნგრული მოსახლეობის სიჭარბით) და კოსოვო და მეხტონია (ალბანელი მოსახლეობის სიჭარბით).

მიუხედავად სამხრეთსლავური ხალხების ნათესაობისა, მათ შორის შენარჩუნდა მნიშვნელოვანი რელიგიური და ეთნოლინგვისტური განსხვავებები. ამგვარად, სერბები, ჩერნოგორიელები და მაკედონიელები მართლმადიდებლობას აღიარებენ, ხორვატები და სლოვენები -კათოლიკობას, ალბანელები და მუსულმანი სლავები - ისლამს. სერბები, ხორვატები, ჩერნოგორიელები და მუსულმანი სლავები საუბრობენ სერბოხორვატულ ენაზე, სლოვენელები - სლოვენურზე, ხოლო მაკედონიელები - მაკედონიურ ენაზე. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოიყენებოდა ორი დამწერლობა - კირილიცაზე დაფუძნებული (სერბია, ჩერნოგორია და მაკედონია) და ლათინურზე დაფუძნებული (ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჰერცოგოვინა). მთავარია ხაზი გაესვას იმას, რომ ამ ეთნოლოგიურ თავისებურებებს ემატებოდა ძალიან მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მქონე განსხვავებებიც, უპირველესად უფრო განვითარებულ ხორვატიასა და სლოვენიას და იუგოსლავიის სხვა ნაკლებად განვითარებულ ნაწილებს შორის, რომელმაც გაამძაფრა მრავალი სოციალური წინააღმდეგობა. მაგალითად, მართლმადიდებლები და კათოლიკეები თვლიდნენ, რომ ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე დაკავშირებული იყო მუსულმანურ რაიონებში მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ბუნებრივი მატებით.

კარგა ხნის მანძილზე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობდა არ დაეშვა ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის უკიდურესი გამოვლინება. თუმცა 1991 -1992 წლებში ეთნიკური გაუტანლობა გაღრმავებული იმით, რომ ბევრი საზღვარი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის თავიდანვე გავლებული იქნა მოსახლეობის ნაციონალურ-ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინების გარეშე, მიიღო დიდი გამოხმაურება და ბევრი პოლიტიკური პარტია გამოდიოდა უკიდურესად

ნაციონალისტური ლოზუნგებით. შედეგადაც ამ პერიოდში მოხდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა: 1991 წელს მას გამოეყო სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, მაკედონია, ხოლო 1992 წელს ფორმირებული იქნა ახალი იუგოსლავიის ფედერაცია - იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკა (სრიუ), რომელშიც შევიდნენ სერბია და ჩერნოგორია. ეს სწრაფადმოქმედი დაშლა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკისა მიმდინარეობდა სხვადასხვა - როგორც მშვიდობიან (სლოვენია, მაკედონია), ასევე უკიდურესად გამძაფრებულ (ხორვატია, ბოსნია და ჰერცოგოვინა) ფორმაში.

მეტნაკლებად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონად სლოვენიის გამოყოფას, რომლის მშველობის დროს ვერ მოხერხდა მცირე შეიარაღებული კონფლიქტის აცილებაც, მაგრამ ის გახდა მხოლოდ ეპიზოდი წყნარად მიმდინარე ,,განქორწინების'' პროცესში. შემდგომშიც რაიმე სერიოზულ პოლიტიკურ და უფრო მეტიც სამხედრო-პოლიტიკურ გართულებებს აქ ადგილი არ ჰქონიათ. მაკედონიის გამოყოფას იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკიდან თან ახლდა არა სამხედრო, არამედ დიპლომატიური კონფლიქტი. ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, მეზობელმა საბერძნეთმა უარი თქვა მის ოფიციალურ ცნობაზე. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 1912 წლამდე მაკედონია შედიოდა ოსმალეთის იმპერიაში, ხოლო თურქი დამპყრობლებისაგან გათავისუფლების შემდეგ მისი ტერიტორია განაწილებული იქნა საბერძნეთს, სერბეთს,ბულგარეთსა და ალბანეთს შორის. დამოუკიდბელი მაკედონია, რომელიც გამოყოფილი იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან, მოიცავდა მხოლოდ ისტორიული ოლქის ერთ მეოთხედს, საბერძნეთი შიშობდა, რომ რომ ახალი სახელმწიფო თავის უფლებებს წამოაყენებდა მის ბერძნულ ნაწილზე. ამიტომ საბოლოოდ მაკედონია მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ

ფორმულირებით ,,ადრინდელი იუგოსლავიური რესპუბლიკა მაკედონია''.

უფრო დიდი სამხედრო-პოლიტიკური გართულებები ახასიათებდა ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან ხორვატიის გამოყოფას, რომლის მოსახლეობაში 1990 წლების დასაწყისში სერბების წილი აჭარბებდა 12%-ს, ამასთანავე რამდენიმე მისი ოლქი თავიდანვე ითვლებოდა სერბულ ნაწილად. პირველ რიგში ეს ეხება ე.წ. სამხედრო დასახლებას - სასაზღვრო ოლქს, რომელიც შექმნილი იყო მე-16-მე-18 საუკუნეში ავსტრიის მიერ და შენარჩუნებული იქნა მე-19 საუკუნეში, ავსტრია-უნგრეთის წარმოქმნის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის საზღვრებთან. ზუსტად აქ დასახლდა ბევრი მართლმადიდებელი სერბი, რომლებიც თურქებისაგან იყვნენ დევნილნი. რიცხობრიობის გადამეტების შემდეგ სერბებმა ჯერ კიდევ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, ხორვატიის საკავშირო რესპუბლიკის ფარგლებში გამოაცხადეს თავიან ავტონომიურ ოლქად კრაინა, ხოლო ხორვატიის გამოსვლის შემდეგ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან, 1991 წელს გამოაცხადეს დამოუკიდებელი სერბეთის რესპუბლიკის კრაინას შექმნის შესახებ ცენტრით ქალაქ კნინში, გამოაცხადეს რა მისი გამოყოფა ხორვატიიდან. თუმცა ეს თვითგამოცხადებული რესპუბლიკა არ სცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც აგზავნიდა ხორვატიაში სამშვიდობო კონტინგენტს, რათა შეეწყვიტათ კონფლიქტის სამხედრო გართულება. ხოლო 1995 წელს ხორვატიამ შეარჩია მომენტი, როცა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა იყო ეკონომიკურად ძლიერად დასუსტებული დასავლეთის ქვეყნების მიერ ძლიერი ემბარგოთი, შეიყვანა კრაინაში თავისი ჯარები და რამდენიმე დღის შემდეგ ხორვატიელი სერბების რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა. 1998 წელს ხორვატიამ დაიბრუნა აღმოსავლეთი სლავონიის ტერიტორია, სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ სერბების

მიერ დაპყრობილი ჯერ კიდევ 1991 წელს. მოვლენების ასეთმა განვითარებამ სერბელ რადიკალებს მისცა ბიძგი დაედანაშაულებინათ იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი ,,კრაინის ღალატში''.

კიდევ უფრო დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური და ეთნო-რელიგიური დაპირისპირების არენად იქცა ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცოგოვინა, რომლებიც გამოირჩეოდნენ ყველაზე მრავალნაციონალური მოსახლეობის შემადგენლობით, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე იყო პირველი მიზეზი მრავალი სახის თნიკური კონფლიქტებისა. 1991 წლის აღწერის მიხედვით სერბები შეადგენდნენ მოსახლეობის 31%-ს, მუსულმანები - 44, ხორვატები - 17%-ს, ხოლო დანარჩენი მოდიოდა სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე. ბოსნია ჰერცოგოვინას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სერბები შეადგენდნენ უმრავლესობას მის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში, მუსულმანები - ცენტრალურ, ხოლო ხორვატები - დასავლეთ რაიონებში.

სერბებისა ხორვატების უნდობლობა ეცხოვრათ მუსულმანურ სახელმწიფოში, ხოლო მუსულმანებისა - ქრისტიანულში, ბოსნიისა და ჰერცოგოვინას დამოუკიდებლობის დასწყისშივე მიიყვანა მათ შორის კონფრონტაციამდე, რომელიც 1992 წლის გაზაფხულში გადავიდა სამოქალაქო ომში. პირველ ეტაპზე გამარჯვება მოიპოვეს ბოსნილმა სერბებმა, რომლებიც ემყარებოდნენ რესპუბლიკაში დისლოცირებულ იუგოსლავიის არმიის ძალებს, დაიჭირეს მისი ტერიტორიის 3/4,დაიწყეს ,,ეთნიკური წმენდა'' მუსულმანურ რაიონებში და ფაქტიურად მუსულმანური რაიონები გადააქციეს დახურულ სივრცედ, ყველა მხრიდან გარშემორტყმული სერბების არმიისაგან. მკვეთრი მაგალითი ამგვარი მოქმედებისა იყო ბოსნიისადა ჰერცოგოვინას დედაქალაქი -სარაევო, რომლის ბლოკადა სერბების არმიის მიერ გრძელდებოდა სამ წელიწადს და წაიღო ათეულობით ათასი მცხოვრების სიცოცხლე. ნა-

ციონალურ-რელიგიური წმენდის შემდეგ ტერიტორიაზე, რომელ-ზეც უმრავლესობას სერბელი მოსახლეობა შეადგენდა გამოცხადდა ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკა. ხორვატებმა და მუსულმანებმაც ასევე დასაწყისში შექმნეს თავიანთი რესპუბლიკა, ხოლო 1994 წელს, ანტისერბული კავშირის საფუზველზე შექმნეს ერთიანი ბოსნიის მუსულმანურ- ხორვატიული ფედერაცია.

ამ დროს ომის მსვლელობაში მოხდა გარდატეხა სერბების სასიკეთოთ, რომელიც აიხსნება რამდენიმე მიზეზით. პირველყოვლისა იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედებოდა მეზობელი სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა და შეიარაღებული მხარდაჭერა ბოსნიელი სერბების ბრძოლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭომ გაატარა საერთაშორისო სანქციები. მეორე მხრივ - არცნობილი ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკის ლიდერმა რადოვან კარადჟიჩი დამნაშავეთ იქნა ცნობილი ,,ეთნიკური წმენდის'' ორგანიზაციაში და გამოცხადდა სამხედრო დამნაშავედ. მესამე-დასავლეთის მოკავშირეებმა და ბევრმა მუსულმანურმა სახელმწიფომ დაიწყო ბოსნიელი მუსულმანების არმიის შეიარაღება, რომლიც ბრძოლისუნარიანობა ამის წყალობით გაიზარდა. დაბოლოს მეოთხე - ამერიკულმა, ბრიტანულმა და ფრანგულმა თვითმფრინავებმა დაიწყეს დაბომბვა ბოსნიელი სერბების პოზიციებისაკენ.

ბოსნიის ომი დასრულდა 1995 წლის გვიან შემოდგომაზე. სამშვიდობო შეთანხმების თანახმად ბოსნია-ჰერცოგოვინამ ფრმალურად შეინარჩუნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი ერთი პრეზიდენტით, პარლამენტით, ცენტრალური ხელისუფლებით და მმართველობის სხვა ორგანოებით. მაგრამ ფაქტიურად ის იყო გაყოფილი ორ ნაწილად. ერთ-ერთმა მათგანმა წარმოქმნა მუსულმანურ- ხორვატიული ფედერაცია 26 ათასი კმ2 ტერიტორიით, მოსახლეობით 2,3 მლნ ადამიანი და დედაქალაქით სარაევო, რომელსაც გააჩნია თავისი პრეზიდენტი, პარლამენტი და ხელისუფლება. მეორე ნაწილში აღმოცენდა სერბეთის რესპუბლიკა

ტერიტორიით 25 ათასი კმ2, მოსახლეობით 1მლნ ადამიანით და დედაქალაქით ბანა-ლუკა. სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიის კონფიგურაცია უჩვეულოა განსახლებაზე დაყრდნობით ის თითქოს ალიგატორის კანივით მიჰყვება ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში მუსულმანურ-ხორვატიული ფედერაციის ტერიტორიას. სერბეთის რესპუბლიკას ასევე გააჩნია თავისი პრეზიდენტი, თავისი პარლამენტი და ხელისუფლება.

მუსულმანურ-ხორვატიული ფედერაცია, ასევე სერბეთის რესპუბლიკა მიეკუთვნება თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებს, რადგანაც არცერთი არ არის აღიარებული გაერთიანებულიერების ორგანიზაციის მიერ. მათ შორის შენარჩუნებულია წინანდებური წინააღმდეგობა, განსაკუთრებით კი არც თუ ზუსტ სასაზღვრო ზოლში. ასე რომ ახალ შეიარაღებულ კონფლიქტებ აქ შეძლება გაექცნენ ძირითადად იმის წყალობით, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს ბოსნია-ჰერცოგოვინაში მშვიდობისმყოფელთა დროშით შეყვანილი იქნა ნატოს ჯარები, შემდეგ კი გაერთიანებული ერების მშვიდობის კონტიგენტი; მისი მანდატი არაერთხელ გაგრძელებულა. საერთაშორისო მშვიდობისმოყვარეთა ძალებში შედის რუსული ჯარებიც.

თუმცა ეს ყველაფერი - თვალხილული მდგომარეობის სტაბილიზაციაა, რომელიც არ წყვეტს მთავარ საკამათო საკითხებს. მაგალითად, მშვიდობისმყოფელთა ძალებმა ვერ უზრუნველყვეს ლტოლვილების დაბრუნება მათ საცხოვრებელ ადგილებში. თუმცა ეს მთავარი ამოცანაა ბოსნია-ჰერცოგოვინას დემოკრატიული ცხოვრების. გაერთიანებული ერების მონაცემებით, ლტოლვილების რიცხვი ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგენდა 2,3მლნ ადამიანს, ამასთანავე მათი უმრავლესობა მოდიოდა ზუსტად ბოსნია-ჰერცოგოვინაზე. დაბრუნდა მხოლოდ 400 ათასი მათგანი, მათ შორის ბოსნია-ჰერცოგოვინაში 200 ათასი. შეიძლება დავამატოთ, რომ სერბების მასობრივმა

გამოსვლამ სარაევოდან მიიყვანა იქითკენ, რომ ეს ერთდროს მრავალნაციონალური ქალაქი ფაქტობრივად გადაიქცა მრავალეთნიკურად, სადაც სერბების წილი შეიკვეცა რამდენიმე პროცენტით.

იუგოსლავიის დრამის შემდეგი აქტი გათამაშდა 1990-იან წლებში და დაკავშირებული იყო ისტორიული ოლქების კოსოვოსა და მეტოხიას პრობლემებთან, რომლებიც განლაგებული იყო სერბეთის სამხრეთ ნაწილში. ეს ოლქი იჭერს 11 ათას კმ2, მოსახლეობის 9/10 შეადგენს ალბანი-მუსულმანები, რაოდენობა 1,9 მლნ ადამიანი.

ისტორიულმა ოლქმა კოსოვო და მეტოხიამ (კოსოვო შეადგენს მის აღმოსავლეთ ვაკეს, ხოლო მეტოხია - დასავლეთ მთაგორიან ნაწილს) ითამაშა დიდი როლი სერბეთის სახელმწიფოებრიობის შექმნაში. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. მე- 14 საუკუნეში ადრეული გაფურჩქვნა კოსოვოსი შეჩერებული იქნა თურქ-ოსმალების მიერ. ზუსტად აქ, ცნობილ კოსოვოს ველზე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა თურქეთის სულთან მურად პირველის ჯარებსა და სერბელ რეზერვისტებს შორის, რომელიც გატეხილი იქნა თურქების მიერ. ამ დროიდან კოსოვოსა და მეტოხიის მიწები დაცარიელდა და დაიწყო მათი დასახლება ალბანელებით, რომლებმაც მიიღეს მუსულმანური რელიგია. თანდათანობით ალბანელები მომრავლდნენ და მას შემდეგ, რაც თურქეთმა დაკარგა თავისი სამფლობელოები ევროპაში 1912 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი ალბანეთი, კოსოვოელი ალბანელები იწყებენ მცდელობას გააერთიანოს თავისი მიწები მასთან. რაღაც წესით ისინი რეალიზირებული იქნა მხოლოდ 1941 წელს, როცა ფაშისტურმა გერმანიამ, იუგოსლავიის ოკუპაციის შემდეგ, შექმნა ,,დიდი ალბანეთი'' ალბანეთის, კოსოვოს და მოტოხიის დიდი ნაწილის და მაკედონიისა და ჩერნოგორიის მიწებისა ალბანეთის მოსახლეობით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოსოვოს და მეტოხიის ისტორიულმა ოლქმა ჯერ იოგოსლავიის სახალხო, შემდეგ კი სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში მიიღო ფართო ავტონომია, ხოლო 1974 წლის კონსტიტუციით ავტონომიური ოლქი ფაქტიურად იქცა ფედერაციის დამოუკიდებელ სუბიექტად ფართო უფლებებით (სერბიის შემადგენლობიდან ამოსვლის უფლების გარდა). თუმცა 1980-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ხელმძღვანელის მარშალ ტიტოს გარდაცვალების შემდეგ ალბანური ნაციონალიზმი და სეპარატიზმი კიდევ უფრო გამძაფრდა, კოსოვოში დაიწყო ანტისერბული გამოსვლები. ამის საპასუხოდ 1989 წელს სერბეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ფაქტიურად გააუქმა კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომია. ამ აქციამ კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია ოლქში.

როცა დაიწყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა, კოსოვოელმა ალბანელებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და შექმნეს კოსოვოს რესპუბლიკა. რადგანაც სერბეთის ხელისუფლებამ ეს რესპუბლიკა არ სცნო, ოლქში შეიქმნა ორხელისუფლება. ომისათვის მზადებისას, კოსოვოელმა ალბანელებმა შექმნეს თავიანთი სამხედრო ორგანიზაცია - კოსოვოს გამანთავისუფლებელი არმია (ოაკ). დაიწყო ალბანეთიდან კოსოვოში იარაღის არალეგალური გადაზიდვა, აქედან მოდიოდნენ ბოევიკებიც.

მდგომარეობა განსაკუთრებით გამძაფრდა 1998 წელს, როცა იუგოსლავის ხელისუფლება შეეცადა ოაკ-ს ბაზის განადგურებას. დასავლეთის ქვეყნებმა ფაქტიურად მხარი დაუჭირეს ალბანელ სეპარატისტებს, ღიად გამჟღერებლებს თავიანთი მიზნებისა იუგოსლავიის რესპუბლიკათა კავშირისაგან გასვლის თაობაზე. დაიწყო მოლაპარაკებები დესპანების მონაწილეობით, რომელმაც არაფერთან არ მიიყვანა მდგომარეობა. შედეგად სერბები აღმოჩნდნენ არჩევანის წინაშე: ან გადაეცათ კოსოვო, ან დაეწყოთ უთანასწორო ბრძოლა ნატოს წინააღმდეგ. მათ აირჩიეს მე-

ორე გზა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციის გარეშე ნატომ დაიწყო იუგოსლავიის მასირებული დაბომბვა, ამ ბლოკის სამხედრო კონტიგენტებმა კი ფაქტიურად მოახდინეს სკოსოვოს ოკუპირება, გაყვეს რა ოლქის ტერიტორია ვალდებულების სფეროებად. ამგვარად კოსოვო გადაიქცა დასავლეთის ქვეყნების პროტექტორატად, რომელიც იმყოფებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის მმართველობაში (უნმიკ) და ნატოს კონტროლის ქვეშ. მაგრამ ალბანელი ნაციონალები აგრძელებდნენ ოლქის მთლიან დამოუკიდებლობისათვის სწრაფვას, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციისა სერბეთის ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნებაზე. ამასთანავე ისინი ეყრდნობოდნენ აშშ-სა და ევროკავშირის მხარდაჭერას, რომლებიც ჩათრეულნი იყვნენ არსებითად შიდასერბულ კონფლიქტში, დამადასტურებლად იმისა, რომ კოსოვო წარმოადგეს უნიკალურ შემთხვევას და არ მიიყვანს სხვა თვითგამოცხადებული სახლმწიფოების ჯაჭვურ რეაქციასთან. 2008 წლის თებერვალში კოსოვოს პარლამენტმა ერთმხარიანი წესით მიიღო დეკლარაცია სუვერენიტეტზე. მაგრამ ის არ მიიღო სერბიამ, რომელსაც არ სურდა დაეკარგა ტავისი ტერიტორიის 15%, რუსეთმა, ჩინეთმა და ათობით მსოფლიოს ქვეყნებმა. რუსეთისა და ჩინეთის პოზიციის გამო კოსოვოს არა აქვს შანსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლისა.

2000-2002 წლებში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოხდა ახალი გამძაფრება შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის. ამჯერად ის დაკავშირებული იყო მაკედონიასა და ჩერნოგორიასთან. მაკედონიაში მდგომარეობის გართულება პირდაპირ კავშირშია კოსოვოსთან. დაახლოებით მაკედონიის მოსახლეობის მესამედს შეადგენს ალბანელი-მუსულმანები, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულნი რაიონებში, რომლებიც შეჭრილია ალბანეთისა და კოსოვოს ტერიტორიაზე. ამასთანავე ალბანელების რიცხვი და წილი ქვეყნის მოსახლეობაში

მუდმივად მატულობს ბუნებრივი მატების ტემპის წყალობით, რომელიც დამახასიათებელია ამ ეთნიკური გაერთიანებისათვის და ამ ბოლო დროს გაზრდილი მიგრაციული ნაკადის გამო. მოვლენები, რომლებიც აქ 2001 წლის გაზაფხულზე განვითარდა, როცა ალბანელების ბოევიკების დიდი ჯგუფი კოსოვოდან მაკედონიის ფარგლებში შეიჭრა, წარმოადგენს მცდელობას ძველი იდეის ხორცშესხმისა ,,დიდი ალბანეთის'' შექმნაზე. ამ მოქმედებებმა შეიტანეს ბზარი მაკედონელი ალბანებისა და ეთნიკური ალბანების ურთიერთობებში, რომლებიც მანამდე იყო მშვიდობიანი. ადგილობრივი ალბანები მოითხოვდნენ თვითგამორკვევას. ალბანელებსა და მაკედონელებს შორის შერიგება ბევრჯერ მომხდარა და ბევრჯერ დაირღვა. რის შედეგადაც ნატომ შეიყვანა მაკედონიაში საკუთარი შვიდობისმყოფელი კონტინგენტი. ურთიერთობის გამწვავება მოკავშირე რესპუბლიკის იუგოსლავიის ნაწილებს შორის - სერბიასა და ჩერნოგორიას შორის - დიდ ხნის მანძილზე მწიფდებოდა. ჩერნოგორიის ხელისუფლება მოითხოვდა არა ფედერაციის გარდაქმნას კონფედერაიად, არამედ იუგოსლავიის შემადგენლობიდან გამოსვლას და მთლიანი დამოუკიდებლობის მოპოვებას. მხოლოდ 2002 წლის დასაწყისში მოხდა უფრო მეტნაკლებად კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება - იუგოსლავიის რესპუბლიკათა კავშირის გარდაქმნა ახალ სახელმწიფოდ სერბიად და ჩერნოგორიად. საბოლოო გაფორმება კონფედერაციისა სერბია-ჩერმოგორიის მოხდა 2002 წლის ბოლოს, ხოლო 2003 წლის დასაწყისში იგი გახდა ევროპის კავშირის წევრი 45-ე ქვეყანა. თუმცა ახალმა სახელმწიფომ იარსება მხოლოდ 2008 წლის მაისამდე, ჩერნოგორიის ახალმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი მთლიანი სუვერენიტეტის თაობაზე, რომელსაც ხმა მისცა მოსახლეობის 55%. ამრიგად, ევროპის რუქაზე გამოჩნდა ახალი სახელმწიფო , ხოლო იუგოსლავიის დაშლა საბოლოოდ დასრულდა.

ევროპის მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურის აღწერა

რელიგია	**მორწმუნეთა რაოდენობა**		**გრადუსები დიაგრამაზე**
კათოლიკები	**310550253**	**59,02%**	**212°**
მართლმადიდებლები	**69822411**	**13,27%**	**48°**
პროტესტანტები	**69556597**	**13,22%**	**48°**
მუსულმანები	**24684410**	**4,69%**	**17°**
ათეისტები	**5819691**	**1,11%**	**4°**
იუდეისტები	**2883492**	**0,55%**	**2°**
სხვები	**42878572**	**8,15%**	**29°**
სულ	**526195426**	**100,00%**	**360°**

*დანართი:*ევროპის ქვეყნების რელიგიური შემადგენლობა

ქვეყანა ან ტერიტორია	მოსახლეობის შემადგენლობა სარწმუნოების მიხედვით
ავსტრია	კათოლიკები 78%, პროტესტანტები 5%, მუსულმანები და სხვები 17%
ბელგია	კათოლიკები75%, პროტესტანტები და სხვები 25%
ბულგარეთი	მართლმადიდებლები83,8%, მუსულმანები 12,1%, კათოლიკები 1,7%, იუდეისტები 0,8%, პროტესტანტები, სომეხ-გრიგორიანელები და სხვები 1,6%
ბოსნია და ჰერცოგოვინა	მუსულმანები 40%, მართლმადიდებლები 31%, კათოლიკები 15%, პროტესტანტები 4%, სხვები 10%
ვატიკანი	კათოლიკები
დიდი ბრიტანეთი	ქრისტიანები (ანგლიკანები, კათოლიკები, პრესვიტერიანელები, მეტოდისტები)71.6 %, მუსულმანები 2.7 %, ინდუსები 1 %, სხვები 1.6 %, აღუნიშნავი ან არცერთი 23.1 %
უნგრეთი	კათოლიკები 67,5%, როტესტანტი-კალვინისტები 20%, პროტესტანტი-ლუთერანები 5%, ათეისტები და სხვები 7,5%
გერმანია	პროტესტანტები 34%, კათოლიკები 34%, მუსულმანები 3,7%, განუსაზღვრელი სარწმუნოების მაღიარებლები და

	სხვები 28,3%
საბერძნეთი	მართლმადიდებლები 98%, მუსულმანები 1,3%, სხვები 0,7%
დანია	პროტესტანტი-ლუთერანები 95%, სხვა პროტესტანტები და კათოლიკები 3%, მუსულმანები 2%
ირლანდია	კათოლიკები 91,6%, პროტესტანტები (ირლანდიის ეკლესია) 2,5%, სხვები 5,9%
ისლანდია	ლუთერანები 93%, სხვა პროტესტანტები, კათოლიკები
ესპანეთი	კათოლიკები 94%, სხვები 6%
იტალია	კათოლიკები 90 % (დაახლოებით; ერთი მესამედის დაახლოებისთ განხორციელება), სხვები 10 % (მოიცავს ჩამოყალიბებულ პროტესტანტულ და ებრაულ თანასაზოგადოებას და მზარდ მუსულმანურ იმიგრანტულ თანასაზოგადოებას),
კვიპროსი	მართლმადიდებლები 78%, მუსულმანები 18%, მარონიტები (აღმოსავლეთის ქრისტიანები, რომელთაც მიიღეს რომის პაპის მმართველობა), სომეხ-გრიგორიანელები და სხვები.
ლატვია	ლუთერანები 19.6 %, ორთოდოქსები 15.3 %, სხვა ქრისტიანები 1 %, სხვები 0.4 %, არა აღნიშნული 63.7 %
ლიტვა	კათოლიკები 79 %, რუსეთის ორთოდოქსალები 4.1 %, პროტესტანტები (მოიცავს ლუთერანულ და ევანგელისტურ და ბაბტისტების ევანგელისტურ ქრისტიანობას) 1.9 %, სხვები ან არა აღნიშნული 5.5 %, არც ერთი 9.5 %
ლიხტენშტეინი	კათოლიკები 80%, პროტესტანტები 7,4%, განუსაზღვრელი სარწმუნოება 7,7%, სხვები4,9%
ლუქსემბურგი	შენიშვნა: კანონმდებლობით 1979 წლის აკრძალულია რელიგიურ მიკერძოებაზე ინფორმაციის შეკრება.
მაკედონია	მართლმადიდებლები 67%, მუსულმანები 30%, სხვები 3%
მალტა	კათოლიკები 91%
ნიდერლანდები	კათოლიკები 31%, პროტესტანტები 21%, მუსულმანები 4,4%, სხვები 3,6%, აღუნიშნავი სარწმუნოება 40%
ნორვეგია	ნორვეგიის ეკლესია 85.7 %, მიეკუთვნებიან ორმოცდაათიანელებს 1 %, კათოლიკები 1 %, სხვა ქრისტიანები 2.4 %, მუსულმანები 1.8 %, სხვები 8.1 %
პოლონეთი	კათოლიკები 95% (დაახლოებით 75% ინარჩუნებს ჩვეულებებს), მართლმადიდებლები, პროტესტანტები და სხვები 5%
პორტუგალია	კათოლიკები 94%, პროტესტანტები
რუმინეთი	მართლმადიდებლები 70%, კათოლიკები 6%, პროტესტანტები 6%, განუსაზღვრელი სარწმუნოება 18%

სლოვაკეთი	კათოლიკები 60,3%, ათეისტები 9,7%, პროტესტანტები 8,4%, მართლმადიდებლები 4,1%, სხვები 17,5%
Словения	კათოლიკები 70,8% (მათ შორის უნიათები 2%), პროტეს-ტანტი-ლუთერანები 1%, მუსულმანები 1%, ათეისტები 4,3%, სხვები 22,9%
ფინეთი	ლუთერანები 89%, მართლმადიდებლები 1%, განუსაზ-ღვრელი სარწმუნოება 9%, სხვები 1%
საფრანგეთი	კათოლიკები 83-88%, პროტესტანტები 2%, იუდეისტები 1%, მუსულმანები 5-10%, განუსაზღვრელი სარწმუნოება 4%
ხორვატია	კათოლიკები 76,5%, მართლმადიდებლები 11,1%, მუსულ-მანები 1,2%, პროტესტანტები 0,4%, სხვები 10,8%
ჩეხეთი	ათეისტები 39,8%, კათოლიკები 39,2%, პროტესტანტები 4,6%, მართლმადიდებლები 3%, სხვები 13,4%
შვეიცარია	კათოლიკები 46,1%, პროტესტანტები 40%, სხვები 5%, გა-ნუსაზღვრელი სარწმუნოება 8,9%
შვედეთი	პროტესტანტი-ლუთერანები 87%, კათოლიკები, პროტეს-ტანტი-ბაბტისტები, მუსულმანები, იუდაისტები, ბუდის-ტები
ესტონეთი	ევანგელისტური ლუთერანები 13.6 %, ორთოდოქსალები 12.8 %, სხვა ქრისტიანები (მოიცავს მეტოდისტებს, ადვენ-ტისტებს, მეშვიდე დღეს, კათოლიკებს,მიეკუთვნება ორ-მოცდაათიანელებსაც) 1.4 %, დამოუკიდებელი 34.1 %, სხვა აღუნიშნავი 32 %, არცერთი 6.1 %
იუგოსლავია	მართლმადიდებლები 65%, მუსულმანები, 19%, კათოლიკე-ბი 4%, პროტესტანტები 1%, სხვები 11%

ლექცია 14

რეგიონალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

რეგიონალური პოლიტიკა - მთავარი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის. რეგიონალური პოლიტიკა მოიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ღონისძიებების კომპლექსს, რომელიც ხორციელდება როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ორგანოების მიერ და მიმართულია სამრეწველო ძალების განლაგების რეგულირებაზე.

სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკა - ეს არის მოღვაწეობის სფერო, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების მართვისაკენ სივრცით და რეგიონალურ ასპექტში, ანუ დაკავშირებულია სახელმწიფოსა და რაიონის და რაიონებს შორის ურთიერთობებით.

რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

—რეგიონალური განვითარების მამოძრავებელი ძალების ურთიერთთანხვედრის განსაზღვრება და მათი ურთიერთქმედების უზრუნველყოფა (ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორები, რეგიონის განვითარების გარე და შიდა ფაქტორები და საშუალებები);

-განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ასპექტების ურთიერთთანხვედრის განსაზღვრა ეკონომიკის მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ დონეებზე;

- დანარჩენი რაიონების ეკონომიკური აღმავლობა და ახალი რაიონებისა და რესურსების ათვისება;

- ნაციონალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა;

- ურბანიზაციის პრობლემების გადაწყვეტა.

რეგიონალური პოლიტიკის მიმართულებებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე დემოგრაფიული, აგრარული პოლიტიკის რეგიონალური ასპექტები და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ღონისძიებები. სახელმწიფოს დამოკიდებულება ყოველ ამ მიმართულებაზე და მათზე განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები, ქმნიან სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკის შინაარსს, რომელიც აქტიური რეგიონალური პოლიტიკის გამტარებელ ყველა ქვეყანაში პრაქტიკულად ერთნაირია.

რეგიონალური პოლიტიკა **თამაშობს მნიშვნელოვან როლს მეტნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში**, თუმცა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში რეგიონული პრობლემები უფრო მწვავეა. ეს აიხსნება იმით, რომ რეგიონალური პოლიტიკის გატარება მოითხოვს მნიშვნელოვან საშუალებებს.

განვითარებად ქვეყნებში რეგიონული პოლიკის მიმართულება შემდეგია:

-ერთიან ნაციონალურ ბაზარში ქვეყნის ყველა რაიონების ინტეგრაცია.

-რეგიონალური დისპროპორციების შერბილება და განსაკუთრებით ჩამორჩენილი აგრარული რეგიონების აღმავლობა;

-წინააღმდეგობის შერბილება ქალაქსა და სოფელს შორის, ურბანიზაციის პროცესის რეგულირება;

-შესაძლებელზე მეტად სრული ათვისება ბუნებრივი და ადამიანური რესურსების;

-ახალი სამრეწველო პროექტების რაციონალური განლაგება.

რეგიონალური ეკონომიკის მიზნები

რეგიონალური პოლიტიკის მთავარი მიზანი - ყველა დაინტრესებული რეგიონის, საწარმოსა და მოქალაქეების ბაზარში შესვლისათვის ხელსაყრელიპირობების შექმნა, მათი მიზნობრივი

საშუალებების და მიღებადობის გახსნა და განვითარება ტერიტორიალური სპეციფიკის ჩათვლით.

რეგიონალური პოლიტიკის მიზნები:

-სოციალური მიზნები - კერძო მეწარმეების ფენის ფორმირება რეგიონებში, რომელიც ეთანხმება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას,რეგიონალური ბაზრების განვითარებას; მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება არა მარტო სახელმწიფო საშუალებების ხარჯზე, არამედ პრივატიზაციიდანაც მიღებული, სამამულო და საზღვარგარეთელი ინვესტორებიდან;

-ეკონომიკური მიზნები - ტერიტორიაზე ორიენტიტრებული პრივატიზაცია, ტემპებში მიმდინარე, რომლიც ითვალისწინებს რუსეთის ყოველი რეგიონის სპეციფიკას, მთლიანობაში მყარი მდგომარეობა რეგიონალური სამეურნეო კომპლექსებისა ფინანსური არასტაბილურობის პირობებში; კონკურენტული საბაზრო შრის შექმნა რუსეთის ყველა რეგიონში; მეურნეობის დემონოპოლიზაციაზე ზემოქმედება; კომპლექსურობის ამაღლება ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სისტემის ბაზაზე; ურთიერთქმედება საექსპორტო პოტენციალის გაფართოებაზე, საზღვრისპირა ვაჭრობაზე, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე; უცხოური კაპიტალის მოზიდვა რუსეთისა და მისი რეგიონისათვის ხელსაყრელ პირობებზე;

-ეკოლოგიური მიზნები - ურთიერთქმედება ეკოლოგიურ-ეკონომიკური წონაწორობის აღდგენაზე მსუბუქად დაზიანებულ რეგიონებში ეკოლოგიურად სუფთა (ნარჩენების გარეშე) ტექნოლოგიების გავრცელების საფუძველზე; კერძო და უცხოური კაპიტალის მოზიდვა ბუნების დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის და რეალიზაციისათვის.

რეგიონული პოლიტიკის შინაარსი და მნიშვნელობა

დიდი ქვეყნებში ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა პირობებში უზარმაზარი

განსხვავების შედეგად **რეგიონების მიმართ უნიფიცირებული მიდგომა** შეუძლებელია. **საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში რეგიონალური პოლიტიკის როლი** კიდევ უფრო იზრდება.

რეგიონალური პოლიტიკა მოწოდებულია შიდა სოციალური სოციალური დაძაბულობის შერბილებისაკენ, ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებისაკენ. ქვეყნის ცვალებადი სიტუაცია იწვევს რეგიონალური პოლიტიკის შინაარსის შეცვლას.

სასტარტო პირობების ობიექტური განსხვავება, ფედერალური ხელისუფლების დიფერენციარული დამოკიდებულება სხვადასხვა რეგიონის მიმართ და რეგიონალური ხელისუფლების პოლიტიკის სხვაობა განსაზღვრავს განხორციელებული რეფორმებისა და მათ რეგიონალური მრავალფეროვნების არაკანონზომიერებას.

რუსეთში შეინიშნება **დეზინტეგრაციის ნიშნები:** რეგიონის ჩაკეტილობის გაძლიერება და შემცირება ურთიერთრეგიონალური კავშირების. ფარგლებში არსებული დეზინტეგრაცია- ეს არის რეგიონის ამოვარდნა ეკონომიკური სისტემიდან (და სახელმწიფოს), მისი განპირობება და შესვლა სხვა სისტემაში (სახელმწიფოში). დეზინტეგრაციული ტენდენციები არ არის აღმოფხვრილი დღევანდელ დღემდე (მაგალითად, ჩეჩნეთის რესპუბლიკა, თათრეთის რესპუბლიკა და სხვა). თუმცა **პოლიტიკური საშიშროება** რუსეთის დაცემაზე სუსტდება, იწყებს აქტიურ მოქმედებას ისეთი გამაერთიანებელი ფაქტორი, როგორიცაა საქონელმწარმოებელთა დაინტერესება, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გადალახვა და პროდუქციის წარმოების ბაზრის გაფართოვება. ეს ინტეგრაციული მომენტები მოითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას.

რუსეთის რეგიონების უზარმაზარი განსხვავება განვითარების ყველა გზავნილებზე და ქვეყნის ფედერაციული მოწყობა უნიფიცირებულად გატარებული რეფორმების წარუმატებლო-

ბაზე მიუთითებენ. რუსეთის რეფორმირებისათვის საჭიროა ორი მიმართულების გონებრივი შეთანხმება - რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის.

რეგიონალიზაციის არსი - რეგიონების სპეციფიკის აღწერაა საერთო რუსულ, სტრუქტურულ, საინვესტიციო, ფინანსურ პოლიტიკაში; გადატანა რიგი რეფორმების მიმართულებისა რეგიონალურ დონეზე (მაგალითად, კომუნალური სექტორის რეფორმა); სპეციალური რეფორმების პროგრამების შემუშავება განსაკუთრებული განვითარების მქონე რეგიონებისათვის.

რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის ტენდეციები, რა თქმა უნდა ურთიერთსაწინააღმდეგოა. არ აის გამორიცხული ტრანსფორმაცია რეგიონალიზაციის და რეგიონალური სეპარატიზმი, მაგრამ საზღვარსგასული მმართველობის ცენტრალიზაციაც მიუღებელია. ეკონომიკური დაინტერესება ადგილებზე წარმოშობს ბაზას რეგიონალური სეპარატიზმისათვის, რადგანაც რეგიონში ძლიერდება დარწმუნება იმაში, რომ მარტო, ან რეგიონალური კოალიციის შემადგენლობაში მოქმედებით შეიძლება მივაღწიოთ მეტს, ვიდრე ცენტრალიზებულ სახელმწიფოშიო.

დეკლარაციური პრინციპი ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების წაშლაზე არ იქნა რეალიზებული, რამაც **გამოიწვია სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ქალაქში.** მსხვილი ქალაქების უსაზღვრო ზრდის შეჩერება ხორციელდებოდა ადმინისტრაციულ-აკრძალვითი მეთოდებით - ჩაწერის უფლების გართულების გზით. ამავე დროს ქალაქებში ვითარდებოდა მრეწველობა, რაც არ იყო უზრუნველყოფილი იმ სამუშაო ძალით, რომელიც იზიდავდა სამუშაო ძალას ,,ლიმიტით". ამასთანავე მიმდინარეობდა წვრილი სასოფლო დასახლებების - ,,არაპერსპექტიული სოფლების'' ლიკვიდაციაც.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიულ ამოცანებად დღევანდელ დღეს ითვლება:

-ძველი წარმოების რეგიონების და მსხვილი საქალაქო აგ-ლომერაციების ეკონომიკის რეკონსტრუქცია სამოქალაქო და თავდაცვის დარგების კონვერსიის გზით, ინფრასტრუქტურის მო-დერნიზაცია, ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება;

არაშავმიწა აგროსამრეწველო რეგიონების რეგიონების დეპრესიული მდგომარეობის გადალახვა, სამხრეთი ურალის, ციმ-ბირის, შორეული აღმოსავლეთის; პატარა ქალაქებისა და რუსული სოფლის აღორძინება, სოფლის გარემოს გალეული სასიცოცხლო შრის აღორძინების დაჩქარება, ადგილობრივი სამრეწველო და სო-ციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მიგდებული სასოფ-ლო-სამეურნეო სახნავი მიწების ათვისება;

-რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია ექსტრემალური ბუნებრივი პირობებით, მოჭარბე-ბულად ნედლეული სპეციალიზაციით; პირობების შექმნა მცირე-რიცხოვანი ერებისათვის (უპირველესად უკიდურესი ჩრდილოე-თის და მისი მიმდებარე ტერიტორიების, მთიანი რაიონების);

ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსების და სამრეწველო კვანძების ფორმირების გაგრძელება ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში უმეტესად არაცენტრალიზირებული ინვესტიციების საფუძველზე და პრიორიტეტული განვითარება წარმოებისა მოპო-ვებითი ნედლეულის კომპლექსური გამოყენებით, მკაცრი ეკოლო-გიური სტანდარტების დაცვა;

ექსპორტული და იმპორტის შემცველი წარმოების განვი-თარების სტიმულირება რაიონებში, რომელთაც ამისათვის ხელ-საყრელი პირობები გააჩნიათ; თავისუფლი ეკონომიკური ზონის ფორმირება, აგრეთვე ტექნოპოლისებისა, როგორც რეგიონალური ცენტრისა მეცნიერების მიღწევების დანერგვაში, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარება;

ახალი საზღვრისპირა რეგიონების გადასპეციალიზირება;

რეგიონებისა და რეგიონთშორისი ინფრასტრუქტურული სისტემის განვითარება (ტრანსპორტის, კავშირის, ინფორმატი-

კის), რომლებიც უზრუნველყოფენ და სტიმულირებას უწევენ რეგიონალურ სტრუქტურულ წინსვლასა და რეგიონალური ეკონომიკის ეფექტურობას;

ჩამორჩენილობის გადალახვა დონითა და ცხოვრების ხარისხით სხვადასხვა რესპუბლიკებისა და ოლქების მოსახლეობისათვის.

ამგვარად, რეგიონალურ პოლიტიკაში **აქცენტი გადატანილია ახალი რაიონების ათვისებიდან მათი სტაბილიზაციისა და ძველი რეგიონების დეპრესიული მდგომარეობის დაძლევისაკენ,** მსხვილი ქალაქების ზრდის შეჩერებიდან - ახალი ქალაქებისა და სოფლის დასახლებების დაბადებაზე; შეიცვალა შთანხმება ცენტრალური და რეგიონალური დონის მმართველობაზე, აღმოცენდა ახალი პრობლემები: უმუშევრობა, რომელიც ზოგიერთ რეიონში კრიტიკულ ზღვარს აღწევს; გაჩნდნენ ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებულნი; ზოგიერთ რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება.

უმთავრესთა შორის შეიძლება გამოვყოთ რეგიონალური პოლიტიკის შემდეგი ამოცანები:

-ეკოლოგიური სიტუაციის ნორმალიზაცია;

-ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადაპტაცია; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და რეგიონებში სოციალური ინფრასტუქტურის განვითარების დაჩქარება;

-რეგიონებში სიტუაციის ნორმალიზება, სადაც სამუშაო ბაზარზე აღინიშნება კრიტიკული მდგომარეობა;

-ჰიპერურბანიზაციის პრობლემების გადაწყვეტა - ლიკვიდირება მსხვილი ქალაქების გადატვირთულობისა სამრეწველო ობიქტებით, მოსახლეობით, ძალიან დიდი ეკოლოგიური დატვირთვისა და მსხვილი ქალაქების სოციალური ინფრასტრუქტურის გადატვირთულობის აღმოფხვრა.

რეგიონალური პოლიტიკის გატარების მეთოდები

განასხვავებენ რეგიონალური პოლიტიკის გატარების პირ-დაპირ და ირიბ მეთოდებს.

რეგიონალური პოლიტიკის გატარების პირდაპირი მეთოდის დროს სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს კაპიტალდაბანდე-ბებში, რომელიც მიმართულია მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფისათვის (ზრდის ცენტრის შექმნა, სამ-რეწველო პარკების, ინფრასტრუქტურის დანიშნულების ადგილას და ა.შ)

რეგიონალური პოლიტიკის გატარების ირიბი მეთოდის დროს სახელმწიფო ფინანსური (საბაჟო, საგადასახადო) სისტემი-დან მიისწრაფვის შესაბამისი ეკონომიკური ,,კლიმატის'' შექმნი-საკენ ამა თუ იმ რაიონებში მიგრაციული ნაკადების სტიმულირე-ბისა და დაჩქარებული განვითარებისა და მართვისათვის.

სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის მეთოდების გა-მოყენება რეგიონალური განვითარების რეგულირებაში მჭიდრო-დაა დაკავშირებული ადმინისტრაციულთან - ეს არის განხორციე-ლებული სახელმწიფო რეგიონალური პროგრამები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული, კონკრეტული სტუქტურაში მოქმე-დი საივესტიციო პროექტები; საერთოსაზოგადოებრივი მოხმა-რების პროდუქციაზე შეკვეთების გაკეთება (მათ შორის პრობ-ლემური რეგიონების მხარდაჭერა), როგორც საკონტრაქტო სის-ტემის შედეგი.

რეგიონალური განვითარების ირიბი რეგულირების მე-თოდები მოიცავს:

-რეგიონალური განვითარების სოციალური ფონდების შექ-მნას (ფედერალური, სამხარეო და ა.შ.) რომელთაც უნდა შეძლონ ფინანსური რესურსების აკუმულირება ნაირგვარი რეგიონალური პოლიტიკის გადაწყვეტისათვის: სუბვენციის პოლიტიკის განხორ-ციელება საწარმოსათვის, რომელიც იმყოფება რთულ სოცია-ლურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებში;

-კერძო ინვესტორების მოზიდვა რეგიონალური პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტისათვის;

- შემავსებელი დანახარჯების კომპენსირება, რომელსაც ატარებენ სამეურნეო ობიექტები თავიანთი საწარმოების რთულ პირობების მქონე რეგიონებში განთავსებისას;

-საგადასახადო კლების წარმოდგენა ,,რესურსების მილევაზე'', ანუ დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების მარაგის მილევაზე , რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია ექსტრემალური პირობების მქონე რაიონებისათვის;

- საარენდო გადასახადის მისაღები ვარიანტი საწარმოს აგებისათვის აღებული ფართისათვის, რომელსაც გააჩნია დიდი მნიშვნელობა დარგობრივი და ეკონომიკის ტერიტორიალური სტრუქტურების სრულყოფისათვის; რეგიონალურ-დიფერენცირებული ამორტიზაციის შემოღებით, რომლებიც განლაგებულნი იქნენ რთული პირობების მქონე რაიონებში, საკუთარი მრეწველობის დაჩქარებული ამორტიზაციის ფინანსირება;

-ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მომატებული ფასების გამოყენება; სანქციების შემოღება საწარმოებისათვის, რომლებიც აბინძურებს გარემომცველ შრეს, განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობების მქონე რეგიონებში;

რეგიონალური ეკონომიკა. რეგიონალური პოლიტიკის შინაარსის ცვლა რეგიონული ეკონომიკის წინაშე ახალ თეორიულ ამოცანებს აყენებს. კერძოდ, აუცილებელი ავირჩიოთ მკვეთრი კრიტერიუმები იმ რეგიონების მიმართ, რომლებიც პრობლემურთა რიცხვს, ან პრიორიტეტულად განვითარებულ ტერიტორიებს მიეკუთვნებიან.

ბრძანებით-განკარგულებითიდან საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფმა გადასვლამ მიიყვანა დროებით სოციალურ-ეკონომიკურ რყევამდე, რეგიონების ნაირგვარი შესაძლებლობიდან საბაზრო პირობებთან სწრაფი ადაპტირებისაკენ.

განსაკუთრებით არასაკმარისად დაცული დარჩა რეგიონების სამი ჯგუფი:

-წარმოების მაღალი კონცენტრაციით, რომლებიც არარენტაბელურნი გახდნენ საბაზრო ფასებთან, ანდა მკვეთრად დაკარგეს მოთხოვნა თავიანთ პროდუქციაზე;

-ძირითადი ეკონომიკური ცენტრებიდან დაშორება -ტრანსპორტის ტარიფების გაძვირებასთან დაკავშირებით, რომლებიც რიგ შემთხვევაში გაიზარდა 5-10 ათას ჯერ;

-ადრე ფეოდალური ბიუჯეტიდან მიღებული მნიშვნელოვანი დოტაციები, რომლებიც უეცრად დაკარგეს.

ამავე დროს რიგ რეგიონებში, რომლებშიც საბაზრო ინფრასტრუქტურაა განლაგებული, განსაკუთრებით კი საბანკო კაპიტალით (მოსკოვი), საკმაოდ მალე გამოვიდნენ შოკიდან. ერთმანეთზე დალაგებული ისტორიულად ჩამოყალიბებული დისპროპორციები და გარდამავალი პერიოდის ფაქტორები რუსეთის ბევრი რეგიონისათვის დღევანდელობაში პრობლემურია. პრობლემური რეგიონების ძირითადი ტიპები - ეს არის სუსტად განვითარებული, დეპრესიული, ეკოლოგიურად საშიში, საზღვრისპირა.

სუსტად განვითარებულს (ტრადიციულად ჩამორჩენილს) მიეკუთვნება რეგიონები, რომლებიც რიგი მიზეზების გამო, ქრონიკულად ჩამორჩებიან საშუალო რუსულ დონეს. ამ კატაგორიაში შედიან მთელი რესპუბლიკების ნახევარზე მეტი (მარია ელი, ალტაი, ტივა, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები და სხვა), აგრეთვე ევროპული ნაწილის რიგი ოლქები. ამ სუბიექტების მოსახლეობის 80% იმყოფება სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა. დეპრესიული რეგიონები ხასიათდებიან სამრეწველო წარმოების ღრმა დაცემით (ხშირად ეს რეგიონები არიან ვპკ-სა და მანქანათმშენებლობის მაღალი კონცენტრაციით, რომელთაც დაკარგული აქვთ სახელმწიფო შეკვეთა და ინვესტიციური მოთხოვნა). აქ როგორც წესი მაღალია უმუშევრობის დონე. ამ ჯგუფში შედის ბევრი

ინდუსტრიულად განვითარებული ოლქი ჩრდილო-დასავლეთის, ცენტალური, ვოლგისპირეთის, ურალის, დასავლეთ-ციმბირის, აღმოსავლეთ ციმბირის რაიონების.

ეკოლოგიურად საშიშებს მიეკუთვნება რეგიონები, რომლებმაც განიცადეს ნაირგვარი კატასტროფის შედეგები (მურმანსკის მხარე, ვოლგისპირეთი, ურალი, კუზბაი, კასპიის ზღვის სანაპირო). ერთ ჯგუფში, მივიღებთ რა მხედველობაში გეოპოლიტიკურ სიტუაციას, მიზანმიმართულია გამოიყოს რიგი საზღვრისპირა რეგონები, რადგანაც აქ საჭიროა არა მარტო ეკონომიკის აწევა, არამედ შეიქმნას მათთვის პრინციპულად ახალი სასაზღვრო და საბაჟო ინფრასტუქტურა, რაც მიგვიყვანს ძირეულ ცვლილებებამდე, მათ შორის ცხოვრების წესის დალაგებამდე.

რეგიონალური კრიზისული სიტუაცია - ეს არის რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა, რომელთა აღმოფხვარა მოითოვს ფედერალურ საკანონმდებლო და აღმასრულებელი მმართველობის ორგანოების ჩარევას და ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო ეკონომიკური საგანგებო მეთოდების გამოყენებას.

რეგიონებში კრიზისული სიტუაციების ძირითადი სახეები:

-დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება, რომელსაც მივყავართ მოსახლეობის დეპოპულაციისაკენ, ქვეყნისა და მისი რეგიონის გენოფონდის გაუარესებისაკენ.

-ტერიტორიის ტექნოგენური დატვირთვის რაციონული ნორმის გადაჭარბება, რომელსაც მივყავართ რეგიონის ეკოსისტემის გაუარესებისაკენ.

-რეგიონის მრეწველობის დაცემა სპეციალიზაციის დარგებში 50-60%-ზე მეტად;

-უმუშევრობის ზრდა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 15%-ზე მეტში;

-რეგიონის პროფილის შეცვლა, რომელსაც მივყავართ კადრების მასობრივ გადაკვალიფიცირებასთან;

-ჭარბი შრომის რეგიონებში ლტოლვილების, გადასახლებულებისა და უცხოელი მუშახელის გამოჩენა, რომელსაც საერთონაციონალურ და სოციალურ დაძაბულობამდე მივყავართ;

-მაღალი და მუდამ მზარდი სამრეწველ კომპლექსის დამოკიდებულების ხარისხი (50%-ზე მეტი) რეგიონთაშორისიდან საერთორეგიონალურ კავშირებამდე;

-ფინანსური რეურსებით დაბალი მომარაგება, რეგიონში დესტაბილზებული სიტუაცია, დაფედერალურ ცენტრთან გართულებული სიტუაცია (მაგალითად, რეგიონის ფინანსური საშუალებების დოტაცია აჭარბებს 30%);

-ინფრასტრუქტურის ობიექტების დაბალი მომარაგება, რომელიც შემოფარგლავს შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

შემდგომი კრიტერიუმებით რუსეთის ფედერაციის სუბიექტები შეიძლება გავყოთ **კრიზისულ და კრიზისის პირას** მყოფებად.

მრეწველობის დაცემის მონაცემების მიხედვით კრიზისულად ითვლება ფედერაციის 9 სუბიექტი (ჩეჩნეთის რესპუბლიკა, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩა-ჩერქეზეთი, დივა, ადიღეა, მორდოვია, მარიი ელ, ყალმუხეთი; პენზას, ასტრახანის, ტამბოვის, ივანოვსკაიას, ფსკოვის, კურსკაიას, ბრიანსკიას, ორლოვსკიას ოლქები და ალთაის მხარე), კრიზისის პირას მყოფი 16 სუბიექტი (კურგანსკაია, კიროვსკაია, ტულსკაია, ვლადიმირსკაია, ვორონეჟსკაია, როსტოვსკაია, სმოლენსკაია, ჩიტინსკაია, სარატოვსკაია, კალაუჟსკაია, ნოვგოროდსკაია, ორენბურგსკაია და ტვერის რაიონი, სტავროოლის მხარე, ჩუვაშთისა და ბურატიის რესპუბლიკები).

დემოგრაფიული სიტუაციის დამახასიათებელი მაჩვენებლების მიხედვით, კრიზისულ ტერიტორიებს მიეკუთვნება 5, კრიზისს პირას მყოფს კი ფედერაციის - 12 სუბიექტი; ცხოვრების დონის მიხედვის შესაბამისად 19-დან 5;

უმუშევრობის დონის მიხედვით - შესაბამისად ფედერაციის 17-დან 12 სუბიექტი.

დამახასიათებელია, რომ ფედერაციის სუბიექტების მნიშვნელოვანი რიცხვი გხვდება კრიზისულ და კრიზისის პირას მყოფ ჯგუფში, ნებისმიერი კლასიფიკაციის გამოყენებისას.

რეგიონალური კრიზისული სიტუაციების შედეგები:

-მკვეთრი მატება გარდაცვალებისა შობადობასთან მიართებაში, რომელიც იწვევს რეგიონის მოსახლეობის სწრაფ დაბერებას;

-ძირძველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, რაც იწვევს ნაციონალური ტრადიციების დაკარგვას;

-ტერიტორიაზე ტექნოგენური დატვირთვის გაძლიერება, მისგან გამომდინარე შედეგებით;

-წარმოების დაცემა, რასაც მივყავართ უმუშევრობის ზრდასთან, დაწესებულებების გაკოტრებასთან, რეგიონალური ბიუჯეტის ფინანსირების პოტენციური წყაროების დადაბლებასთან, რაც შემოიფარგლებოდა სამომხმარებლო ბაზრის ფორმირების შესაძლებლობით, პირობების შექმნა ბაზარზე უცხოური იმპორტირებული პროდუციისათვის ადგილობრივი მწარმოებლების საზიანოდ;

-უმუშევრობის ზრდა;

-რეგიონის ეკონომიკის არამდგრადი ფუნქციონირება, უზომოდ დიდი დამოკიდებულება შემოტანილ და ექსპორტულ პროდუქციასა და ნედლეულზე, როგორც შედეგი შეუსრულებელი ვალდებულებებისა;

-გაზრდილი მასა გადაუხდელობისა და გადასახადებიდან ამორიცხული ნაკლოვანებებისა, რომელსაც მივყავართ ფედერა-

ლური ბიუჯეტის დეფიციტთან და დასაშვები ნორმის გადაჭარბებასთან.

შექმნილ სიტუაციაში, როცა ფედერაციის სუბიექტების უმეტესი ნაწილი უუნაროა, რათა არსებული კრიზისიდან საკუთარი საშუალებებით გამოვიდეს, რეგიონალური პოლიტიკის შემუშავებისა და გავრცელების მნიშვნელობა ხდება სახელმწიფოს მთლიანობის, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გადამწყვეტი მომენტი.

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის განვითარების ისტორია შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად.

პირველი პერიოდი 1975 წლიდან 1988 წლამდე, როცა თანასაზოგადოების პოლიტიკა ბაზირებდა წევრი-ქვეყნების რეგიონალური პოლიტიკის კვოტების სისტემაზე ერთობლივი ფინანსირებით. მიუხედავად მიღებული ვალდებულებისა რეგიონალური პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც დაფიქსირებული იყო რომის მოლაპარაკებით, პირველი სპეციფიკური ინსტრუმენტი რეგიონალური პოლიტიკის - რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდი - შექმნილი იქნა მხოლოდ 1975 წელს, გაერთიანებული სამეფოსა და დანიის თანასაზოგადოებასთან შეერთების შემდეგ.

80- წლების ბოლომდე ევროკავშირის ასიგნირება რეგიონალური პოლიტიკის ფარგლებში გამოიყენებოდა წესებისა და რეგიონების ფინანსირებისათვის, რომელიც განსაზღვრული იყო ნაციონალური ხელისუფლებით. ევროპული ინტეგრაციის ზრდასთან ერთად - ერთიანი ევროპული კანონის მიღებით და თანასაზოგადოებასთან ესპანეთისა პორტუგალიის მიერთებით - გაიზარდა მოთხოვნა მეტად აქტიური და სწრფად ორდინირებულ მოქმედებებზე, რომელიც მიმართული იქნა რეგიონალური ართანასწორობის ლიკვიდაციისაკენ. ამასთან დაკავშირებით 1988 წელს გატარებული იქნა ძირეული რეფორმა თანასაზოგადოების რეგიონალური პოლიტიკისა, რომელიც ფაქტიურად დასაწყისი გახდა და-

მოუკიდებელი და ეფექტური რეგიონალური პოლიტიკის გატარებისა ეროკავშირის დონეზე.

რეფორმა ითვალისწინებდა ,,სტრუქტურული პოლიტიკის ინსტრუმენტების'' შემადგენლობის მეთოდების მთლიან გადახედვას ევროკავშირის ქვეყნების მიერ, რომელიც მიმართული იყო რეგიონალური განვითარებისაკენ, დაკავებულობის უზრუნველყოფასთან, სწავლის და აგრეთვე სოფლის მეურნეობის რაიონების განვითარებისაკენ. ამან ასევე მიიყვანა სტრუქტურული ფონდის ბიუჯეტური ასიგნირების მნიშვნელოვან მომატებასთან, რომელიც გაიზარდა ორჯერ 1987 წლიდა 1993 წლამდე პერიოდში. Maastrisht Treaty-ის მოლაპარაკება, რომელიც წინ უსწრებდა ეკონომიკური კავშირისა და ერთიანი ფულადი სისტემის შექმნას, 1993 წელს მიღებული იქნა ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის ახლებურად გადახედვა, ორი სკანდინვიური სახელმწიფოს (შვედეთი და ფინეთი) მოთხოვნილებებთან დასაახლოვებლად, რომლებიც ევროკავშირს შეუერთდნენ და უზრუნველყოფდნენ თევზჭერაზე მთლიან თანადგომას. ბიუჯეტური რესურსები კვლავ იქნა გაზრდილი. 90-იანი წლების ბოლოს ევროკავშირის ,,სტრუქტურული''მოღვაწეობის წილზე მოდიოდა 35% მეტი, გასავლები დახლოებით 27,4 მლრდ. ეკიუ 1999წელს -შედარებით 1987 წელთან 7 მლრდ. ეკიუ, ან ბიჯეტის 19%.

რეგიონალური პოლიტიკის მიზნები და პრინციპები

1957 წლის რომის მოლაპარაკების დროიდან ევროკავშირი მიისწრაფვის რეგიონალური უთანასწორების შემცირებისაკენ. ეს მიზანი, რომელიც დადასტურებულია ევროკავშირის შექმნის შესახებ მოლაპარაკებაში, ხელმოწერილი Maastrisht -ში 1991 წელს მოიცავს უთასაწორობის შემცირებას უფრო მეტად განვითარებული და უფრო მეტად ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების დონის მიხედვით.

განვლილი 25 წლის მანძილზე ევროკავშირის მიერ გატარებული რეგიონალური პოლიტიკის მიზანმიმართებამ მიიღო დადას-

ტურება: სოციალური თანასწორობა - დიდი ბზარის მიუღებლობა შემოსავლებისა და დაკავებულობის ამოსავალი წერტილის მიხედვით; პროდუქტიულობა - ევროკავშირის შესაძლებლობა მიმართოს დახმარება ნაკლებად განვითარებული რაიონებისაკენ, მიიზიდოს ამგვარად რესურსები, რომლებიც ადრე რჩებოდნენ გამოუყენებლად; ეფექტურობა - ევროკავშირის როლი პოლიტიკის კოორდინირებაში, რომელიც ტარდება ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების მიერ რეგიონალური განვითარების ინტერესებით; აგრეთვე ევროინტეგრაციის ინტერესები - რომლებიც წყვეტენ შესაძლებლობას იმისას, რომ რეგიონალური ან სოციალური უთანასწორობა საფრთხის ქვეშ აყენებს ევროპის ინტეგრაციის მომავალი განვითარების პროცესებს. 80-იანი წლების შუაწლებიდან დაწყებული ეს აქცენტი ევროპული ინტეგრაციის ინტერესებში გატარებული პოლიტიკის შემეცნების ხარისხში გახდა განსაკუთრებით თვალნათელი. იგი დადასტურებულად განისაზღვრებოდა, როგორც შემოსავლების მაღალი დონის ეკონომიკური უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანობა და დაკავებულობა, აგრეთვე სოციალური სოლიდარობა, რომელიც მიღწეული იქნა უთანასწორობის დაწევის გზით, დაკავების უზრუნველყოფის გეგმით, სიღარიბის ლივიდაციის სოციალური შესაძლებლობებით (სეს1996).

სტრუქტურული ფონდების რეფორმების შემდეგ 1988 წელს, მისი მოღვაწეობა ბაზირებული იქნა რამდენიმე საკვანძო პრინციპებით:

-რესურსების კონცენტრაცია მეტნაკლებად საჭიროების მქონე რეგიონებსა და რეგიონის ჯგუფებს შორის - განსაკუთრებით რეგიონებში, რომლებიც მიეკუთვნებიან ე.წ. მიზან 1 (სტრუქტურულად ჩამორჩენილი რეგიონები). აქვე შედის ის რეგიონები, რომლებიც მიეკუთვნებიან მიზან 2 (რომლებზეც მოდის დაცემის პირას მყოფი სამრეწველო რეგიონები), მიზანი 5 ბ (სოფლის რაიო-

ნები)ან მიზანი 6 (მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის მქონე რაიონები);

-ფინანსირება განიხილება, როგორც დიდხნიანი სწრაფად მოქმედი პროგრამა და არა, როგორც ერთჯერადი პროექტი;

-პოლიტიკა ხორციელდება ურთიერთობის პარტნიორობის განხორციელების მიზნით ევროპის კომისიასა, ნაციონალურ ხელიუფლებასა და რეგიონული მმართველობის მიერ.

-დაბოლოების პრინციპი, როცა ევროკავშირის დონეზე ფინანსირება აბოლოებს და არ ცვლის რეურსებს, რომლებიც ასიგნირებულები არიან ამ მიზნით ნაციონალურ დონეზე.

-სუბსიდიარების პრინციპი, რომლის დროსაც რესურსების მართვა ხორციელედება ყველაზე დაბალ, სიტუაციაზე დამოკიდებულ ადმინისტრაციულ -რეგიონალურ, ნაციონალურ ან ევროპულ დონეზე.

 გარდა ამისა მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კონტროლსა და შეფასებას, რომელიც საშუალებას იძლევა ფონდების ეფექური გამოყენების უზრუნველყოფას.

ლექცია 15

ევროპის ინტეგრაცია და ევროკავშირი

ევროპის ინტეგტაციის ისტორია

ევროპელების უმეტესობისათვის პირველი მსოფლიო ომი ნიშნავდა ევროპული ცივილიზაციის დასასრულს. თუმცა უმცირესობა ხვდებოდა, რომ ევროპის გადარჩენა და მისი უსაფრთხოება დამოკიდებული იყო მის უნარზე, დაეძლია აგრესიული ნაციონალიზმი, რომელმაც ევროპის კონტინენტი კატასტროფამდე მიიყვანა, და გაეთავისებინა იდეა მშვიდობიანი და ერთიანი ევროპის შესახებ.

1923 წელს ავსტრიელმა რიხარდ კუდენხოვ-კალერგიმ დააარსა პანევროპული მოძრაობა. 1926 წელს მან მოახერხა ერთად შეეკრიბა ევროპის სხვადასხვა გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურები პირველ პანევროპულ კონგრესზე ვენაში. აღნიშნულ კონგრესამდე, ევროპა, როგორც პოლიტიკური კონცეფცია, არ არსებობდა. კუდენხოვ-კალერგის აზრით, ურთიერთზიზღი ევროპაში წამლავდა ატმოსფეროს და ევროპის პრობლემების მოგვარება მხოლოდ თავად ევროპელებს შეეძლოთ. მისი აზრით, ევროპის მშვიდობიანი გაერთიანების გზაზე ერთერთი ურთულესი დაბრკოლება საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული ათასწლიანი შუღლი იყო.

პან-ევროპული მოძრაობის ოქროს წლები მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარი იყო, როდესაც ხელმოწერილ იქნა ლოკარნოს შეთანხმება (1925წ. გერმანიის დასავლეთის საზღვრების გარანტიის შესახებ) და ბრიან-კელოგის პაქტი (1928წ. ომზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის იარაღზე, უარის თქმა).

1929 წელს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბრიანმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ევროპის სახელმწიფოების ფედერაციის იდეა: ფედერაცია, რომელიც ეფუძნება სოლიდარობასა და სურ-

ვილს, მიღწეულ იქნეს ეკონომიკური სიმდიდრე და პოლიტიკური და სოციალური თანამშრომლობა. იდეას აღფრთოვანებით შეხვდნენ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური მოღვაწეები.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის კონცეფცია სწრაფად ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა, თუმცა რიგმა ეკონომიკურმა და, შემდეგ, პოლიტიკურმა მოვლენებმა რამდენიმე წლით შეაფერხა მისი საბოლოო ფორმით ჩამოყალიბება და სრული რეალიზება. 1930 წელს დაიწყო ეკონომიკური დეპრესია ყველა თანმდევი პრობლემებით, ხოლო 1933 წელს გერმანიაში ხელისუფლებაში მოვიდა ჰიტლერი. ნაციონალიზმმა კიდევ უფრო დიდი სიმძაფრით იჩინა თავი, და ევროპა ახალმა კატასტროფამ მოიცვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა ევროპის ერთიანობის საჭიროება. ევროპამ გააცნობიერა თავისი სისუსტე - ომმა ბოლო მოუღო ევროპის ტრადიციულ ჰეგემონიას მსოფლიოში. ორ ახალ სუპერსახელმწიფოს - აშშ-სა და საბჭოთა კავშირს - გააჩნდათ ბევრად უფრო დაწინაურებული ეკონომიკა, ისინი ბევრად უკეთეს პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ევროპის ყველა სახელმწიფო ერთად. ორივე მსოფლიო ომი დაიწყო, როგორც ევროპის ომი და ევროპის კონტინენტი მთავარი საომარი ველი იყო ორივე შემთხვევაში. ერთადერთი გამოსავალი შექმნილ ვითარებაში იყო ევროპული სახელმწიფოების გაერთიანებაში. ამ იდეის მატარებელნი იმედოვნებდნენ, რომ ამ გაერთიანებით შეიქმნებოდა მესამე (იმ პერიოდის ორ სუპერსახელმწიფოს - აშშ-სა და სსრკ-ს შემდეგ) ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი, და ევროპა დაიბრუნებდა თავის ისტორიულ ფუნქციას მსოფლიო სისტემაში.

უმნიშვნელოვანესი ხდებოდა გერმანიისა და საფრანგეთის შერიგების საკითხი, მათ შორის, არსებული ისტორიული პრობლემების მოგვარება. შუამავლად შეიძლება აშშ გამოსულიყო, და ეს მშვიდობის გარანტია გახდებოდა. გარდა ამისა, მეცნიერთა აზრით, ევროპელებს შორის სულ უფრო და უფრო მატულობდა სურ-

ვილი ეცხოვრათ თავისუფალ, სამართლიან და ეკონომიკურად ძლიერ კონტინენტზე, სადაც საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდებოდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

1946 წელს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ციურიხის უნივერსიტეტში, ბევრის აზრით, ომის შემდეგ პირველი ნაბიჯი იყო ევროპის ინტეგრაციისაკენ. ჩერჩილის თქმით, მთელი ევროპა ისეთივე თავისუფალი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო, როგორც შვეიცარია. ამის მიღწევა, მისი აზრით, შესაძლებელი იყო ერთიანი ევროპული ოჯახის შექმნით და მისი ისეთი სტრუქტურით უზრუნველყოფით, რომლის პირობებშიც მშვიდობიანი, უსაფრთხო და თავისუფალი ცხოვრება იქნებოდა. მისი აზრით, შესაქმნელი იყო ევროპის გაერთიანებული შტატები, ხოლო ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო თანამშრომლობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის.

პირველი მოსფლიო ომის შემდგომი პერიოდისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღარ მიმართეს იზოლაციონისტურ პოლიტიკას და, როგორც მსოფლიოს უძლიერესმა სახელმწიფომ, თავის თავზე აიღეს პასუხისმგებლობა ჩარეულიყვნენ ევროპის საშინაო საქმეებში. ამერიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შემაფერხებელი გარემოებების დიდი დამსახურება იყო ის საერთაშორისო დაძაბულობა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა ქვეყნები. ამრიგად, 1945 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის აგიტაცია და მისი მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება ამერიკის ძირითადი პირობა გახდა იმ ევროპული სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც სურდათ აშშ-ისაგან ეკონომიკური დახმარების მიღება. ცივი ომის პირობებში ამერიკამ შეიმუშავა მარშალის გეგმა, რომლის მიზანიც იყო ევროპაში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაჩქარება, რათა ის არ გადაქცეულიყო კომუნისტური რეჟიმის გავლენის სფეროდ.

ასევე აშშ-ის ინიციატივით 1949 წელს დასავლეთ ევროპის უმეტესმა სახელმწიფომ, აშშ-მა და კანადამ დააარსეს ჩრდილოე-

თატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც უპირისპირდებოდა სოციალისტურ ქვეყნებს. ეს იყო კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია და მასში გაერთიანებით ევროპულ-მა სახელმწიფოებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პოლიტიკური ერთიანობისაკენ.

ევროპის სამმა ქვეყანამ გარკვეული ნაბიჯი გაერთიანებისკენ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გადადგა. ესენია: ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. 1944 წელს მათ შექმნეს ბენილუქსი - საბაჟო კავშირი. 1948 წელს ამ ქვეყნებმა დაიწყეს საერთო საგარეო ტარიფის შემოღებაზე მუშაობა.

1949 წელს ევროპის საბჭოს შექმნა კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ევროპის გაერთიანებისკენ. მისი მიზანი იყო ევროპის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიული სისტემების მხარდაჭერა და ადამიანის უფლებების დაცვა.

ევროპის კავშირის შექმნის პროცესში პირველი ნაბიჯი იყო 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის წინადადება, საფრანგეთსა და გერმანიას, აგრეთვე ყველა სხვა მსურველ სახელმწიფოს შეეერთებინათ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები. ამ ეკონომიკურ ინტეგრაციას შორს გამიზნული გეგმა ჰქონდა - მჭიდრო ეკონომიკური კავშირით დაეზღვიათ ევროპა შესაძლო ომისაგან.

1951 წელს პარიზის ხელშეკრულებით ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დაარსდა, რომლის დამფუძნებელიც იყო ექვსი ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ნათელი იყო, რომ ეკონომიკური კავშირი ერთადერთი შესაძლო გზა იყო პოლიტიკური ერთიანობისაკენ, და იმ ისტორიულ ეტაპზე ეკონომიკური კავშირები უფრო მყარი შეიძლებოდა ყოფილიყო ევროპის სახელმწიფოებს შორის, ვიდრე პოლიტიკური და სამხედრო.

1957 წელს ექვსი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროპის ეკონომიკური გაერ-

თიანების შესახებ და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების შესახებ.

1992 წელი გარდამტეხი პერიოდია ევროპისათვის. ამ წელს ხელი მოეწერა მაასტრიხტის ხელშეკრულებას (ევროპის კავშირის ხელშეკრულება). მასში მოდიფიცირებული იყო პარიზის, რომისა და სხვა საკვანძო ხელშეკრულებები, დახვეწილი და განვრცობილი იყო ევროპის მოკლე და გძელვადიანი ეკონომიკური მიზნები და ჩამოყალიბებული ევროპის ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი ამოცანები. მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ოფიციალურად დამკვიდრდა ტერმინი ,,ევროპის კავშირი" (ევროკავშირი).

მაასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაცია არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ელოდნენ, თუმცა იგი ძალაში მაინც შევიდა 1993 წლის 2 ნოემბერს.

ევროპის კავშირი

ევროპის კავშირი შემოკლებით *ევროკავშირი* -ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. მისი წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა - 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-ის დაიაპონიას.

ევროპის ტერიტორიაზე, ევროკავშირის მასშტაბების სადარი ერთიანი სახელმწიფო გაერთიანებები იყო: დასავლეთ რომის იმპერია, ფრანკების სახელმწიფო, საღვთო რომის იმპერია. გასული ათასწლეულის განმავლობაში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების შესახებ მუდამ არსებობდა. ამერიკული რევოლუციის შემდეგ კი გაჩნდა იდეა *ევროპის შეერთე-*

ბული შტატების შესახებ, რომელიც ხელახლა გაცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი - ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს გზებისა და საშუალებების ძიება მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის. მათ თანდათან გაიაზრეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის იდეა და დაადგნენ პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა და უსაფრთხოება იყო.

დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა. ევროკავშირის ძირითადად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ჩათრეულნი იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში, და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა იდეა გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (Europeam Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (ზეეროვნული) ორგანო, ე.წ. ,,უმაღლესი ხელისუფლება" (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკი-

ნის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

1957 წელს ხელი მოეწერა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ხელშეკრულებას, ქალაქ რომში. ეს ხელშეკრულება ძალაში 1958 წლის 1 იანვარს შევიდა. რეალურად შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა საბოლოო ტარიფების ნულამდე დაყვანას და სხვა ქვეყნების მიმართ ერთიანი ტარიფის შემოღებას. რეალურად კი არ არსებობდა არც პანევროპული ინსტიტუტი და არც გეოგრაფიულად, ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად ჩამოყალიბებული ევროპის კავშირი. გარდა ამისა, მოხდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებებად ევროპის ნახშირისა და ფოლადის ხელშეკრულების და ევრატომის, ანუ ევროპის ატომური ენერგეტიკის საკითხებში თანამშრომლობის ორგანიზაციის გაერთიანება.

შეიქმნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელსაც 1986 წლის თებერვალში ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ საერთო ევროპული აქტით მოახერხდა ეკონომიკური და მონეტარული ინტეგრაციისათვის საფუძვლის ჩაყრა, რადგან ხელშეკრულებაში ჩაემატა თავი, სადაც ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის კონვერგენცია გაერთიანების მომავალი განვითარების უმთავრეს საწინდარად იყო გამოცხადებული.

1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულება ევროკავშირის განვითარების ახალი ეტაპი გახდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად არა მარტო ჩამოყალიბდა ევროკავშირი, არამედ რომის ფუძემდებლური ხელშეკრულების საფუძვლიანი რევიზიაც მოხდა. საბოლოოდ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ საყრდენს, საიდანაც მხოლოდ პირველი საყრდენი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებები) იქნებოდა საზოგადოებრივი (ანუ რეგულირდება სუპრაეროვნულ დონეზე) და დარეგულირდებოდა ევროპულ დონეზე. რაც შეეხება მეორე (მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები) და მესამე (საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) საყრდენებს, გადაწყდა, რომ მათი ადმინისტრირება ეროვნულ დონეებზე მომხდარიყო, კომისი-

ის და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების ჩარევის გარეშე. მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი და დაიწყო სერიოზული მზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებლად.

ევროპის კავშირი აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის საფუძველზე:

• ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება - 1951 წელს ამ ორგანიზაციისგან დაიწყო ევროპის კავშირის შექმნა;

• ევროპული თანამეგობრობა - შეიქმნა 1957 წელს ე.წ. რომის შეთანხმებით და ეწოდებოდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა ანუ "საერთო ბაზარი";

• ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა - შეიქმნა 1957 წელს.

ევროპის კავშირში ინტეგრაციული პროცესების მთავარი მიზნები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებით:

• რომის შეთანხმება - ხელი მოეწერა 1957 წელს;

• ერთიანი ევროპული აქტი - ხელი მოეწერა 1987 წელს;

• მაასტრიხტის შეთანხმება - ხელი მოეწერა 1992 წელს;

• ამსტერდამის შეთანხმება - ხელი მოეწერა 1997 წლის ოქტომბერში;

ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი დღეისათვის არის 2003 წლის "მიერთების შეთანხმება", რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლია 1 მაისს. ზემოთაღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში, ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში, რომლის მიღების პროცედურა ამჟამად მიმდინარეობს.

ევროკავშირი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება ევროპის 28 სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ევროპულ ხელშეკ-

რულებათა დადებისას წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემდნენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს , რომლებიც იცავენ ეროვნულ და საერთო ინტერესებს. ევროკავშირის გამგებლობაშია, კერძოდ, საერთო ეკონომიკური ბაზარი, საბაჟო კავშირი, ერთიანი ვალუტა, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და სხვა.

ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ევროპის კავშირს განასხვავებს მისი უნიკალური ინსტიტუციური სტრუქტურა. შექმნილია დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლე-



ბის ავსებენ ერთიმეორეს და ყოველ მათგანს გარკვეული როლი აკისრია გადაწყვეტილებათა მირების პროცესში.

ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუციები[6]

რომის ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირის მიმართულებებთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზნების განსახორციელებლად დაარსდა ხუთი ძირითადი ინსტიტუცია:

ევროპის კავშირის საბჭო

---

* დიდ გაუგებრობას, როგორც წესი იწვევს ევროკავშირის ორგანოების აღრევა ევროსაბჭოსა და მის ორგანოებში. ასე მაგალითად, ხშირად ზოგიერთებს ერთმანეთში ერევა ევროპარლამენტი, რომელიც ევროკავშირის ორგანო არის და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. განსაკუთრებით გაუგებარია ბევრისათვის ევროპაში არსებული სხვადასხვა საბჭოების რაოდენობა და ფუნქციები. შესაბამისად ხშირად ხდება ევროსაბჭოს, ევროკავშირის საბჭოს და ევროპული საბჭოს ერთმანეთში არევა. თავიდანვე უნდა განვასხვავოთ, რომ ევროსაბჭო ეს არის საერთოევროპული ორგანიზაცია, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, და რომლის წევრიც არის საქართველო. რაც შეეხება ევროკავშირის საბჭოს და ევროპულ საბჭოს, ისინი ევროკავშირის ოფიციალურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ და არაფერი აქვთ საერთო ევროსაბჭოსთან. ამ თავში ჩვენ საუბარი სწორედ ამ ორ ორგანოზე გვექნება.

ევროკავშირის საბჭო, რომელსაც ასევე მინისტრთა საბჭო ეწოდება, არის ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო ორგანო. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან წევრი სახელმწიფოების მინისტრები. იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხი განიხილება საბჭოს სხდომაზე, შესაბამისი მინისტრი წარმოადგენს თითოეულ ქვეყანას (საგარეო საქმეთა, ფინანსთა, სოციალური საკითხების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, და ასე შემდეგ). მიუხედავად იმისა, რომ საბჭოში წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები შედიან, იგი ევროკავშირის ძირითად საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს.

მინისტრთა საბჭო გამოხატავს თითოეული წევრი სახელმწიფოს ინტერესებს. მინისტრთა საბჭო გაერთიანების ყველაზე ძლიერი ორგანოა.საბჭო შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან. მის სხდომას ესწრება ერთი კომისარი მაინც და საბჭოს სამდივნოს მოხელეები. წევრთა შემადგენლობა მუდმივად იცვლება. თუ დღის წესრიგში სოფლის მეურნეობაა, სხდომას ესწრებიან სოფლის მეურნეობის მინისტრები, მრეწველობის საკითხების განხილვას ესწრებიან მრეწველობის მინისტრები, ბიუჯეტის განხილვაში კი მონაწილეობენ ფინანსთა მინისტრები.

საბჭოს ექვსი თვის ვადით ხელმძღვანელობს ერთი წარმომადგენელი თითოეული წევრი სახელმწიფოდან. როტაცია მიმდინარეობს ლათინური ალფაბეტის მიხედვით. კონკრეტული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს ენიჭება მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ტიტული და საბჭოს სამდივნოს დახმარებით მისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო სათავეში უდგას საბჭოს საქმიანობას ექვსი თვის განმავლობაში. ასეთ პერიოდებს უწოდებენ საფრანგეთის პრეზიდენტობის, ჰოლანდიის პრეზიდენტობის ვადას და ა.შ., იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელია ამ პოსტზე.თუ ევროპის კონსტიტუცია მიღებული იქნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, მაშინ როტაციის პრინციპი შეიცვლება ერთი თავმჯდომარით, რომელიც აირჩევა ორწელიწადნახევრით.

საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება მინისტრების მიერ ხმის მიცემის პროცედურის შედეგად. არის ხმის მიცემის სამი პროცედურა, იმის მიხედვით, თუ რომელ საკითხზე მიმდინარეობს კენჭისყრა: უბრალო უმრავლესობა (პრცედურული საკითხებისათვის), კვალიფიცირებული უმრავლესობა (ხმის მიცემის დაბალანსებული სისტემა, სადაც ყველა ქვეყანას აქვს შესაბამისი ხმების რაოდენობა მისი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ძირითადად გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა შიდა ბაზარი, ეკონომიკური საკითხები, ვაჭრობა) და ერთსულოვნება (საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, იურიდიული და პოლიციური თანამშრომლობა და საგადასახადო პოლიტიკა).

ხშირად საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ევროკომისიის მიერ გაკეთებული მოხსენების ან წინადადების საფუძველზე ევროპარლამენტთან ერთად. ეს ხდება ან კონსულტაციების პროცედურის სახით (მაგალითად, ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, იურიდიულ და პოლიციურ თანამშრლობასთან და გადასახადებთან), ან გადაწყვეტილებებში თანამონაწილეობის (codecision) სახით (შიდა ბაზართან დაკავშირებული საკითხები).

ევროკავშირის კანონმდებლობის გარდა მინისტრთა საბჭო ინაწილებს პასუხისმგებლობას ევროპარლამენტთან (თუმცა მისი როლი მეორეხარისხოვანია) გაერთიანებული ბიუჯეტის მიღებაზე. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე სხვა ინსტიტუციების, როგორიცაა: ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის ან აუდიტორული სასამართლოს დანიშვნა.

საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში 80-90-ჯერ. როგორც წესი სხდომები გრძელდება ერთი დღე, ხანდახან ორი დღე, იშვიათად კი უფრო გრძელვადიან ხასიათს ატარებს. ხშირად ორი-სამი სხდომა ერთდროულად ტარდება. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრების ერთ პალატაში, ხოლო ფინანსთა მინისტრების მეორეში.

1995 წლამდე მინისტრთა საბჭო მდებარეობდა ბარლეიმონის გვერდით მდგომ შარლემან ბილდინგში. ხოლო 1995 წლის შემდეგ მინისტრთა საბჭო და მისი სამდივნო განლაგებულია იუსტუს ლიპსიუს ბილდინგში, ბრიუსელში.

ევროპული საბჭო

ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტად, რომელიც მეტწილად არაფორმალურია, თუმცა აქვს გამორჩეული მნიშვნელობა, არის ევროპული საბჭო, ანუ ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო. მისი შექმნა იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც ნიშნავდა, რომ არ არსებობდა მისი არსებობის არც ფორმალური და, არც ინსტიტუციონალური საფუძველი. კერძოდ, არ მომხდარა საბჭოს ლეგალიზაცია ახალი ხელშეკრულების გაფორმებით, თუმცა მომდევნო წლების მანძილზე საბჭოს ,,კონსტიტუციონალიზაცია" მაინც მოხდა.

განვითარების სხვადახვა ეტაპზე ევროპის საბჭოს განსხვავებული როლი და ფუნქციები ჰქონდა. თუ დასაწყისში იგი „ბუხრისპირა მოლაპარაკებების" ფორუმს წარმოადგენდა, 80-იან წლებში მოგვევლინა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ ინსტიტუტად და ხელშეკრულებების მომმზადებელ უპირეველეს ორგანოდ, სადაც ფორმდებოდა მნიშვნელოვანი კომპრომისები და მიიღწეოდა ევროკავშირის მომდევნო განვითარების განმსაზღვრელი შეთანხმებები.

ევროპული საბჭო იკრიბება მინიმუმ წელიწადში ორჯერ. ეს შეხვედრები ტარდება როტაციის მქონე პრეზიდენტობის დასასრულს, შესაბამისად ყოველ ექვს თვეში. იმის გამო, რომ პრეზიდენტობის მქონე სახელმწიფოები, როგორც წესი, თვლიან, რომ მათ უნდა მოახდინონ თავიანთი მიღწევების აფიშირება, ყოველი პრეზიდენტობის დროს ტარდება დამატებით ერთი სამიტი მაინც. 90-იანი წლების შუა ხანებიდან მსგავსი სამიტები იმართება წელიწადში ოთხჯერ. სამიტები ტარდებოდა პრეზიდენტობის მქონე ქვეყანაში, თუმცა 2001 წლიდან გადაწყდა, რომ ერთი სამიტი მაინც თითოეული პრეზიდენტობის პერიოდში ჩატარებულიყო ბრიუსელში.

რაც შეეხება სამიტების ხანგრძლივობას, ისინი გრძელდება რამდენიმე დღე, თუმცა ამ ბოლო დროს მათი შეხვედრების ხანგრძლივობა შემცირდა ერთ დღემდე.

ევროპული საბჭოს ფუნქციებში შედის როგორც ზოგადი სახის მითითებების მიცემა ევროკავშირის განვითარებსიათვის, ასევე კონკრეტულ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება. მართალია, ზოგჯერ ევროპული საბჭოს როლი ევროკავშირის განვითარების და ინტეგრაციის ახალი გეზების მოძებნაში დიდია, მისი საქმიანობა ხშირად ძირს უთხრის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას.

ევროპის პარლამენტი

ევროპარლამენტის მიზანია მოახდინოს ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუციების დემოკრატიული კონტროლი და დააკისროს მათ პასუხისმგებლობა, თუმცა მისი ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდულია. იგი არ წარმოადგენს გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოს და მის სტატუსს ვერ შევადარებთ წევრ სახელმწიფოთა ეროვნული პარლამენტების სტატუსებს. ევროპარლამენტი არის ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ასამბლეის მემკვიდრე, რომელიც დაარსდა სტრასბურგში, როგორც მრჩეველთა ორგანო.

ევროპარლამენტი შეიქმნა პარიზის ხელშეკრულებასთან ერთად, თუმცა სახელი ევროპარლამენტი ეწოდა მხოლოდ 1962 წელს. 1979 წლიდან ევროპარლამენტი არის არჩევითი და მის არჩევაში მონაწილეობს ევროკავშირის ყველა მოქალაქე. არჩევნების სისტემა ყველა სახელმწიფოში განსხვავებულია, თუმცა არჩევნები დროის ერთ მონაკვეთში ტარდება და ყველა ქვეყანაში შედეგებიც ერთდროულად ქვეყნდება. ძირითადად, ხმის მიცემა ხდებოდა პროპორციული წესით, დ'ონდტის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი გამორჩეულია იმით, რომ მასში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მცირე პარტიების უფლებები. იტალიაში გამოიყენებოდა ღია სიები, დიდ ბრიტანეთში კი დახურული სიები (ინგლისი, უელსი და

შოტლანდია) და ერთჯერადი გადატანითი ხმების (single transferrable votes) სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტი საკონსულტაციო ორგანოს წარმოაგენს, უკანასკნელ ხანებში გაიზარდა მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გავლენა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე არის სამგვარი: 1) საკანონმდებლო პროცესი, 2) ბიუჯეტის მიღების პროცესი და 3) აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა.

ევროკომისია

ევროკომისია წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს. მის წევრებს, რომელთა დანიშვნაც ხდება ეროვნული მთავრობის მიერ, არავითარი ვალდებულება არ აკისრიათ მათ წინაშე. კომისიის წევრთა მთელი ძალისხმევა მიმართულია ევროკავშირის როგორც ერთი მთლიანობის ინტერესებისკენ. კომისიის თითოეული წევრი მოცემულ თანამდებობაზე დანიშვნისას წარმოთქვამს საზეიმო დეკლარაციას.

ევროკომისია შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან, ქვეყანების გარკვეული ნაწილი ევროკომისიაში წარმოდგენილია ორი კომისიის წევრით, ხოლო დანარჩენი - ერთით. მოცემულ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ 5 წლის ვადით ეროვნულ მთავრობათა წარდგენით. შესაძლებელია კომისიის წევრის ხელახალი დანიშვნა. ტრადიციულად კომისიის წევრთა ერთი ნაწილი ოთხწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა ინიშნება, ნაწილი კი - იცვლება ახალი კანდიდატებით. კომისიის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ პოლიტიკოსები, რომლებიც წევრ ქვეყანაში წარმოადგენენ მმრთველ პარტიას.

კომისიის მოვალეობები ჩამოთვლილია რომის ხელშეკრულების 155-ე მუხლში, რომლებიც ზოგადად მოიცავს საინიციატივო, აღმასრულებელი და ზედამხედველობითი ფუნქციების შესრულებას.

ევროკომისიას ევალება ევროსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკში განხორციელება. კომისია ახდენს

წევრი სახელმწიფოების მიერ გაერთიანების კანონების შესრულების კონტროლს, როგორც კი იგი ჩათვლის, რომ წევრმა სახელმწიფომ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები, მან უნდა გამოთქვას თავისი აზრი და შემდგომ შეუძლია აღძრას საქმე უზენაეს სასამართლოში მოცემული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

კომისიის პრეზიდენტი არის ევროკომისიის და ხშირ შემთხვევაში მთელი ევროკავშირის სახე. კომისია შედგება გენერალური დირექტორატებისა და სამსახურებისაგან. ეს სტრუქტურა დაახლოებით წააგავს სახელმწიფო უწყებებში არსებული დეპარტამენტების სტრუქტურას.

ევროკომისიის შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში და უკავია სპეციალურად ამ მიზნით 1992 წელს აგებული მინის ფასადის მქონე ბარლეიმონის შენობა. კომისიის პერსონალი 16 000 კაცისგან შედგება, რომელთა ერთი-მესამედიც დაკავებულია გაერთიანების 11 ოფიციალურ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, შვედური, ფინური) თარგმნით, 1 600 თანამშრომელი აწარმოებს მეცნიერული კვლევებს ისპრაში (იტალია), ქალჰემსში (გაერთიანებული სამეფო), გილში (ბელგია) და სხვა მრავალ ცენტრებში.

პერსონალი, რომლის ნაწილიც ლუქსემბურგშია, ორგანიზებულია 36 დეპარტამენტად და გენერალურ-დირექტორებად, რომელთაგანაც თითოეული ექვემდებარება ერთ ან ორ კომისარს.

ევროკომისია იკრიბება ყოველ ორშაბათს დილით და თუ დღის წესრიგი დატვირთულია სხდომა შეიძლება გაგრძელდეს ლანჩის შემდეგაც. ხშირად იგეგმება დამატებითი სხდომები. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს როგორც წესი კენჭისყრის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ყველა ოფიციალური დოკუმენტი ითარგმნება და ქვეყნების ოფიციალურ პირთა დასწრებით ჩატარებული სხდომების სინქრონული თარგმნა თერთმეტივე

ენაზე ხდება, კომისიის შიგნით ყოველდღიური საქმიანობა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე წარმოებს.

ევროსასამართლო

რომის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის მასშტაბით კანონის მოქმედების შემოწმების ამოცანას ასრულებს ევროსასამართლო, რომელიც განთავსებულია ლუქსემბურგში.

ევროსასამართლო შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენელი მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატებისაგან. მოსამართლეთა არჩევას ახენს მინისტრთა საბჭო, წევრ სახელმწიფოთა წარდგენის საფუძველზე. სასამართლოს წევრები ფლობენ თავიანთ ქვეყანაში უმაღლეს იურიდიულ თანამდებობაზე დანიშვნისთვის საჭირო კვალიფიკაციას, ან წარმოადგენენ აღიარებული კომპეტენციის მქონე იურისტ-კონსულტანტებს (რომის ხელშეკრულების 167 მუხლი). მათი დანიშვნა ხდება ექვსწლიანი განახლებადი ვადით. სასამართლოს შემადგენლობის ნახევრის განახლება ხდება ყოველ სამ წელიწადში. იგივე პრინციპით ხდება გენერალური ადვოკატების დანიშვნაც.

მოსამართლეები თავიანთი წევრებიდანვე ირჩევენ ევროსასამართლოს პრეზიდენტს სამწლიანი განახლებადი ვადით. მნიშვნელოვანი საქმეებისა და წევრი ქვეყნის, ან გაერთიანების ინსტიტუციის მიერ აღძრული საქმის განხილვისას სასამართლო განუხრელად მოქმედებს როგორც ერთიანი ორგანო. სხვა საქმეების განხილვა ევალებათ სასამართლოს შიგნით მოქმედ პალატებს. ნებისმიერ ეტაპზე პალატას შეუძლია გადასცეს საქმე სრულ სასამართლოს, თუ მისი აზრით წარმოქმნილი იურიდიული გარემოება მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას.

ევროკავშირის სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტებია ევროკავშირის საფინანსო ორგანიზაციები: ევროპის ცენტრალური ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი. ასევე ევროკავშირის სხვა დამხმარე ორგანოები: ევროპის რეგიონთა კომიტეტი; ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი; ევროპის პოლიტიკის და უშიშროების კომიტეტი.

ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებშია განთავსებული: ბრიუსელი (ბელგია), სტრასბურგი (საფრანგეთი), ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი), მაინის ფრანკფურტი (გერმანია). ევროკავშირს ოფიციალური პოლიტიკური ცენტრი არა აქვს, თუმცა დე-ფაქტო "დედაქალაქად" ბრიუსელი ითვლება

ევროკავშირის დამფუძნებელი სახელმწიფოები:

• 1950: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი

ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოები:

• 1973: დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია

• 1981: საბერძნეთი

• 1986: ესპანეთი, პორტუგალია

• 1995: ავსტრია, ფინეთი, შვედეთი

• 2004: ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი

• 2007: ბულგარეთი, რუმინეთი

• 2013: ხორვატია

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოები:

• 201?: თურქეთი, მაკედონია, ისლანდია, სერბეთი

ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს პლურალისტურ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, გააჩნია გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს.

ევროზონა , ასევე **ევროსისტემა** ან **ევროლენდი** — რეგიონი, რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი,სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი,სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს — ესტონეთი.

შენგენის ზონაში შედის ევროპის 25 სახელმწიფო, რომლებმაც 1985 წელს ქალაქ შენგენში (ლუქსემბურგი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. შენგენის ზონა ჰგავს ერთგვარ სახელმწიფოს, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტულ ზონისათვის, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება.

ეს წესები შეიმუშავა 1999 წლის ევროკავშირის ქვეყნების ამსტერდამის შეხვედრამ. გარდა ამისა შენგენის ხელშეკრულებამოქმედებს სამ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში: ისლანდიაში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში და დე-ფაქტოდ სამ მიკროსახელმწიფოში: მონაკოში, სან-მარინოში და ვატიკანში.-

ევროკავშირის ყველა ქვეყანამ გარდა დიდი ბრიტანეთისა დაირლანდიის, შეასრულა დანაპირები და შევიდა შენგენის ზონაში. გამონაკლისია კვიპროსი, რუმინეთი და ბულგარეთი, რომლებიც უახლოეს მომავალში შევლენ კავშირში. ამ დროისათვის შენგენის ხელშეკრულება მოიცავს: 25 ქვეყანას, 4 312 099 კვ. კმ. და 400 მილიონ მოსახლეს.

შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა რომ შიდა, სახელმწიფოებს შორის საზღვრები გაუქმებულიყო. ხოლო გარე საზღვრები გამაგრებულიყო. ასევე ქვეყნები ვალდებულნი არიან რომ ერთიანი პილიტიკა შეიმუშავონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს

მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის შექმნას.

შენგენის ზონამ დაიწყო ფუნქციონირება 1995 წლის 26 მარტის. თავდაპირველად ხელშეკრულება ამოქმედდა 6 ქვეყანა-ში: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლა-ნდები, ესპანეთი და პორტუგალია. 1997 წელს შეუერთდაიტალია და ავსტრია. 1999 წლის ამსტერდამის შეხვედრაში ხელშეკრულე-ბამ საერთო ევროპული სამართლებრივი სტატუსი მიიღო, ანუ ევროკავშირის ყოველი ახალი წევრი ვალდებული იყო კანონ-მდებლობა მოწესრიგებინა ამ დოკუმენტის გათვალისწინე-ბით. 2000 წელს ზონაში შევიდა ახლადმიღებული საბერძნეთი და სკანდინავიის საპასპორტო კავშირის (ფინე-თი, დანია, შვედეთი) ქვეყნები, ხოლო 2001წელს ევროკავშირის - არაწევრი 2 ქვეყანა ისლანდია და ნორვეგია. 2007 წელს ზონაში შევიდნენ - ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. 2008 წლის 12 დეკემბერს ხელშეკრულებას მესამე არაწევრი ქვეყა-ნა, შვეიცარია შეუერთდა.

გამოყენებული ლიტერატურა

სერგო კაპანაძე, ევროკავშირის პოლიტიკა, თბ., 2006

ირაკლი გორგილაძე, გეოპოლიტიკის საფუძვლები, თბ., 2009

მსოფლიოს რეგიონალური დიფერენციაცია, იხ. ბმულზე - http://www.tpdc.ge/images/stories/geografia_seminarebi.pdf

Бусыгина И.М. Политическая регионалистика, Учебное пособие, М., 2006;

Гаврилов А.И., Региональная экономика и управление, Учеб. пособие для вузов, М., 2002;

Основы регионоведения, Отв. ред. проф. И. Н. Барыгин; Авторский коллектив: Ачкасова В. А., Белобородова И. Н., Дука А. В., Межевич Н. М. М.: Гардарики, 2007; Барыгин И. Н. Регионоведение, При участии В. А. Ачкасовой, А. В. Дуки, Н. М. Межевича, М., Аспект-пресс, 2007р;

Регионоведение: Учебник для вузов, Ю.Н. Гладкий, А.И. Чистобаев, М., 2002;

Дергачёв В.А., Вардомский Л.Б., Регионоведение, учебное пособие, 2011;

Регионоведение, Учебное пособие для вузов, под ред. Волкова Ю.Г., 2004

Алехин Э.В., Регионоведение, Учебник, Пенза, 2012;

Гладкий Ю.Н., Чистобаев А.И., Регионоведение, Учебник, М., 2003;

Озорнова Л.М., Катункина Е.В. Региональная экономика, Учебно-методичесий комплекс, 2005;

Гранберг А.Г., Основы региональной экономики, учебник для вузов, 2004;

Основы регионоведения, учебник, под ред. проф. И.Н. Барыгина, 2007;

Региональная экономика, Основной курс, Учеб. для студ. вузов, Под ред. В.Н. Видяпина, М., 2005;

Регионоведение, Учебник для студентов вузов, Под ред. Т.Г. Морозовой, 1998;

Туровский, Р.Ф. Политическая регионалистика, учеб. пособие для вузов, М., 2006;

Бутов В.И., Основы региональной экономики, М., 2000;

Гладкий Ю.Н., Чистобаев А.И., Основы региональной политики, СПб., 1998;

Медведев Н.П., Политическая регионалистика, М., 2002;

Региональная экономика, Учебник для вузов, Т.Г. Морозова, М.П. Победина, Г.Б. Поляк и др., Под ред. проф. Т.Г. Морозовой, 2004;

Барыгин И.Н., Регионоведение, Учебник для вузов, 2007;

В. А. Дергачев, Л. Б. Вардомский, Регионоведение, Учебное пособие для студентов вузов, 2008;

Волкова Ю.Г., Регионоведение, Учебное пособие для, 2004;

Гусева В.С., Щербакова Ю.В., Регионоведение, Конспект лекций, 2007;

Волкова Ю.Г., Регионоведение, Учебное пособие для вузов, 2004;

Поздняков Э.А., Геополитика. М., 1995;

Проблемное страноведение и мировое развитие, М., 1998;

Хантингтон С., Столкновение цивилизаций, М., 2003.

ირაკლი მანველიძე

რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები

ლექციების კურსი

ტირაჟი 100

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2013**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge